კვირის პალიტრა

ფეხი

N19(204) 6/V.-12/V.2004.
ფასი 60 თ.

1168
2004

„ნიკოლაოზელების“ მამა: „მე-8 ცოლამდე ჯერ არ ავსულვარ, მაგრამ...“

თეთა – რუსა მამაჯის ქალი არ ასვენებს

ისტორიის გაკვეთილები – აბაშიძეებისთვის თავდადებული ოჯახის ტრაგედია

სასიძო – ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი: ახლა მრძნობებისთვისაც მოვიცლი

გემოვნება – ვისი ფანტა გიორგი თარგამაძე

ეროვნული ფასეულობანი

გაპოვიდა მაისის ნომერი

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

№19 (204)
6 – 12 მაისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ასე ძლიერი საქართველო ანუ „ევროპისკენ ჰერი, ჰერი!..“ 3
სახელმწიფო
ასლან აბაშიძის ყოფილი თანამოაზრის პროგნოზი: ყველაფერი ძალიან მალე დასრულდება... 4
ერთი კითხვა 5
სამართალი
„ადამიანის ცხელმი გამომწყვდევა ჩვენთვის თვითმიზანი არ არის“ 6
გემოვნება
ვისი ფანია გიორგი თარგამაძე 7
სასიძო
● „ზურული ვარ და ცოტა მწარე ენა მაქვს...“ 10
● ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი წუნია არ არის... 11
პირველი სიყვარული
როგორია დათო დარჩიასათვის იდეალური ქალი 13
კრიმინალი
● ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა მკვლელობის ბრალდებით საპყრობილეში აღმოჩნდა 14
● ჩხუბი 50 ლარის გამო სისხლის ღვრით დასრულდა 15
● 4 წლის ბოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული დამნაშავედ ცნეს 16
თემა
როცა ქალი ეშმაკივით შეგიჩნდება... 18
ჭრელი მსოფლიო 20,41
თანამემამულე
ლალი ნიკოლაძის თურქული ოდისეა და წინადადება ახალ ქართულ ხელისუფლებას 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-მემეცნებითი კოლაქი გოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან 24
შთამომავლობა
ისტორიის გაკვეთილები – აბაშიძეებისთვის თავდადებული ოჯახის ტრაგედია 24
გზავნილები
„რა მოსწონთ ქალებს ჩემი ქმრის?“ 27
საქმიანი ქალი
„ყველა რანგის მოადგილემ“ უკვე სამი მინისტრი გამოიცვალა 30
კურიოზები
კულისებს მიღმა „მიმალული“ ოხუნჯობანი ბორის წიფურიასაგან 32
ტაქარი
რა უნდა ვიცოდეთ მონაგვნობასთან დაკავშირებით 34

ვინ არიან ძველი და ახალი ლაზები

„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სისხლით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ.“ – ეს სიტყვები VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს ეკუთვნის.

39

როცა ქალი ეშმაკივით შეგიჩნდება...

ევამ მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ადამს ედემი არ დააკარგვინა. მას შემდეგ მოთქვამს ძლიერი სქესი: მაგრამ ბევრიც იწუწუნონ, ასე მოდის ადამ და ევადან და აწიც ასე იქნება. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა რამდენიმე მამაკაცის ნაამბობი მოვისმინე.

18

ლალი ნიკოლაძის თურქული ოდისეა



მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მრავალცოლიანობაზე ბევრს ლაპარაკობენ, მე ერთი ცოლის ყოლის მომხრე ვარ. ჩემს შვილებსაც კატეგორიულად ავუკრძალე და საბედნიეროდ, მიჯერებენ... ეს არ უნდა მოხდეს 3-ჯერ, 8-ჯერ. მართალია, 8-მდე არა ვარ ასული, მაგრამ...

21

ყველაზე ახალგაზრდა ქართველი პარლამენტარი წუნია არ არის...

ცოტა უხერხული კი არის, რომ ვიწუწუნოთ, მაგრამ 470 ლარს ცოლშვილიანი კაცი ვერ იკმარებს. მე მარტოხელა ადამიანი ვარ და მეყოფა, მაგრამ რა ქნან სხვებმა? მინისტრის მოადგილე რანგით დეპუტატზე დაბლა დგას და ხელფასი სამჯერ მეტი აქვს...

11

დღესასწაული

ხსენება წმინდა დიდმოწამისა და ძლევამოსილ გიორგისა – გიორგობა 35

ფავორიტები

ბოლო 50 წლის საუკეთესო ევროპელი ოსტატები 36

ფესვები

როგორ გადაიქცა ჭანი ზანად ანუ ვინ არიან ძველი და ახალი ლაზები 39

რომანი

რუსუდან ბერიძე. თავისუფალი თემა (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი

შადე – ცხოვრების ფარული სტილით გამორჩეული მომღერალი 46

ბომონდი 48

ტესტი

ერთგული მკითხველი 50

შოუბიზნესი 50

ავტო 52

მარჩიელი

„მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არასდროს იქნება“ 53

ჰიპოთეზა

მფრინავი თეფში დედამიწაზე ყოფილა შექმნილი 54

საკითხავი ქალებისათვის 56

ჯანმრთელობა

- თუ სმენა დაგიქვეითდათ 57
- პატარა მატყუარები 57
- მედიცინის სიახლეები 58

იუმორი 59

ჰოროსკოპი

კვირის (10-16 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

ფენომენი

არაოფიციალური ქართველი რეკორდსმენი 62

ტესტი

როგორი რეაქცია გაქვთ პირუთვნელ სიმართლეზე 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე:
მოდელი — ელენიკო შეჟრილაძე
(სააგენტო „ნატალი“)
გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

არაოფიციალური ქართველი რეკორდსმენი

10-ნიშნა რიცხვების ზეპირად გამრავლების შედეგი – ე.ი. პასუხი – 20-ციფრიანი რიცხვია, რომელსაც ჩვეულებრივი კალკულატორი ვერ იტევს. ახალგაზრდა ქართველი ფენომენის, ვახტანგ აბაშიძის მიზანია, გინესის წიგნში შეტანილი მსოფლიო რეკორდის ოფიციალურად მოხსნა...

62

ისტორიის გაკვეთილები – აბაშიძეებისთვის თავდადებული ოჯახის ტრაგედია



როცა გავიგე, რომ ასლან აბაშიძის წინაპრები ჩემს წინაპრებს გადაურჩენიათ, მოვკიდე ჩემს ცოლშვილს ხელი, ავიღე მაუზერი და ჩავედი ბათუმში, რათა მისთვის ასლანბეგის მაუზერი მიმეცა და კაცურად ხელი ჩამომერთმია. არ მიმიღო, ახლოსაც არ გამიკარა.

24

შადე – ცხოვრების ფარული სტილით გამორჩეული მომღერალი



მსოფლიო ტურნეს დამთავრების შემდეგ, შადემ კარლოს სკოლისთან ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმება გადაწყვიტა. თუმცა, ურთიერთობა, რომელსაც ჯერ კიდევ მანამდე გასჩენოდა ბზარი, ვერც ქორწინებამ იხსნა...

46

თავისუფალი თემა

– Миша! – დაუძახა მას ოფიციანტმა. – Вылезай, к тебе гости!

– Какие ещё гости! – უხალისოდ იკითხა სასწრაფოდ წელში გასწორებულმა მეპურემ და როგორც კი უკან მოიხედა, ძლივსღა წაიჩურჩულა:

– გვანცა, შვილო, შენ აქ საიდან გაჩნდი?!.

42

ასე ძლიერი საქართველო ანუ „ევროპისკენ ჭერი, ჭერი!..“

უკვე კარგა ხანია, რაც ჩვენი კომპასის ისარმა ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ იბრუნა პირი და ჩვენც ამ მიმართულებით დავიწყეთ სვლა. მართალია, ნელა, კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც მივდივართ, უფრო სწორად, მივცოცავთ, რადგან ეს „ჩვენი კუ“ იმდენად ზანტი აღმოჩნდა, რომ ლოკოკინას სიჩქარეს ძლივს ავითარებს, მაგრამ ხომ მივცოცავთ?!

ვიცოცეთ, ვიცოცეთ და მოვედით დღემდე – ასე ძლიერი და თანამედროვე სტანდარტების ჯარის მქონე ქვეყნამდე, რაც უპირველესი პირობაა ევროკავშირში შესაძრომად.

აკი, განაცხადა კიდეც ჩვენმა ემოციურმა მზეჭაბუკმა ვარშავის ეკონომიკურ სამიტზე – მალე ევროკავშირის კარზეც მოგიკაკუნებთ და მზად იყავითო... იმათ კი გვიპასუხეს, ჩვენ მზად ვართ, ახლა თქვენი მზადყოფნა დაგვანახვეთო, – და გაჩაღდა ფოთში ქართული სამხედრო ძალების დემონსტრირება: თუ რაიმე დაცურავს, დაწყებული რეზინის გასაბერი ლეიბიდან, კატერით დამთავრებული, ყველაფერი ხაკისფრად გადაღებეს და ზღვაში ჩაუშვეს.

ამ სანახაობით დასატკბობად მთელი ხელისუფლება ფოთში ჩავიდა; მეც როგორღაც შევძვერი ერთ-ერთ კატერზე, ჭიქა ზღვის წყლით ავავსე, ნახევარი დავლიე, ნახევარიც თავზე გადავივლე და მეზღვაურად მოვინათლე. კაპიტანმა მხარზე ხელი დამკრა და – უკვე შენც ზღვის მგელი ხარო, – ისეთი სიამაყით მითხრა, რომ ყმუილი ავტეხე.



ყური მოვკარი, პრეზიდენტიც დაგვესწრებოდა და სწორედ ამ დროს ცა ვერტმფრენმა გადმოსერა, რომელიც ისე ოსტატურად დაეშვა, მივხვდი, რომ მინიმუმ ჯეიმს ბონდი იჯდა შტურვალთან. ისიც გადმოვიდა და წვრთნებიც გაჩაღდა...

ოპერაციაში აქტიურად ჩაებნენ ჩოლოქის გაღმელი უჯარო გენერალი და მოხალისეთა „ოპოლჩენიეც“, რომლებმაც (არ შეიძლება, განსაკუთრებული მადლობით არ აღინიშნოს) ბრწყინვალედ გაართვეს თავი ბრძანებას: „როგორ უნდა ავაფეთქოთ ხიდი, რომ მტერს ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსასვლელი გზა ჩავუკეტოთ“:

ხიდის აფეთქების იმიტაცია ისე უნდა მომხდარიყო, რომ საახალწლო ფეიერვერკივით, მხოლოდ ხმა და ნათება ჰქონოდა. ჰოდა, „ძეძგვა, მარა, რა ძეძგვა!“ – ხიდის ნანგრევები, თევზები და კიბორჩხალები ფრიალ-ფრიალით აიჭრნენ ცაში...

მთავარსარდლის შეკითხვაზე, რა ხდება ჩვენს თავსო? – ბათუმიდან ასეთი პასუხი მოვიდა: რა ჩვენი ბრალია, ბატონო! სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რომ ჩვენი გლეხებისთვის სასუქი გამოაგზავნა, ის დავუდეთ ხიდის ბოძებს ტროტილის მაგივრად. კიდევ კარგი, ყანებში არ მოვაყარეთ, თორემ სიმინდი, ტაროს ნაცვლად, სულ ნაღმებს და ყუმბარებს მოისხამდაო... (არადა, წელს ამინდებია ისეთი, გადარევა რომ იცის სიმინდმა) ახლა, ბატონო, ქვეყნიდან იზოლაციაში ვიმყოფებით და იძულებულები ვართ, დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთო...

ამას მოჰყვა სწავლების მეორე და მთავარი ეტაპი: მიტინგის დაშლა-დარბევა, რომელშიც სახანძრო დაცვის რამდენიმე ეკიპაჟიც ჩაერთო. თუმცა წყლის ჭავლი იმდენად „ძლიერი“ აღმოჩნდა, რომ მანქანის კაპოტსაც კი გასცდა. ხელკეტებიანმა მოხალისეებმაც ივაჟკაცეს და მიტინგიც იმდენად წარმატებით დაარბიეს, რომ – ასეთი არც „უჩენიები“ გვინდა და არც დემოკრატიაო – გაიფიქრა ბევრმა ბათუმელმა და თავს თბილისში გამოქცევით უშველა. ისინი თვითონ პრეზიდენტმა მიიღო და ასეთი გამბედაობისთვის გმირის ტიტულები (ამჯერად მხოლოდ სიტყვიერად) დაურიგა. მართალია, ამბობენ, ესაო, ისაო, მათ შორის ყოფილი შავსათვალიანი კრიმინალებიც ერივნენო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ხომ არსებობენ პატრიოტი კრიმინალები, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას უჭერენ მხარს და მოღალატე და პოლიტიკურად ბეცი კრიმინალები, რომლებიც „აღორძინებისკენ“ არიან.

მოკლედ, ბათუმურმა „უჩენიებმა“ ისეთი აურზაური გამოიწვია, რომ „ფაფუ“! – დაყვინთა ჩვენმა საევროკავშირო ოცნებამ. ევროკავშირი პროფილაქტიკა კი არაა, ნაწილებად დაშლილი რომ მიგიღოს და თვითონ აგაწყოს... ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია და იქნებ ისიც გაგვახსენდეს, რომ კიდევ გვაქვს შემოსაერთებელი რაღაც-რაღაც ნაწილები...

სწორედ ამიტომ მისცა ჩვენმა „ჯეიმს ბონდმა“ ხიდის ამფეთქებლებს 10 დღის ვადა – ხიდსაც აღადგენთ და კონსტიტუციის უზენაესობასაცო, თორემ ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს შვილსაცაო...

ჰოდა, ბარემ ხარჯი ხარჯია და ის „სხვა ნაწილებიც“ ხომ არ შემოგვეერთებინა, რომ უფრო თამამად მივუკაკუნოთ ევროკავშირს კარზე და იმათაც გვითხრან:

„ვინც არ უნდა იყო მანდ, ღარიბი თუ მაშვრალი, მდიდარი თუ მათხოვარი, სიხარულით გიღებ კარს“...

P.S. გენერალი ოფიცერს:

– რამდენი ჯარისკაცი გვყავს?

– ოთხმოცამდე იქნება.

– კარგია! პირველი ასეული გადავა შეტევაზე. მეორე და მესამე ასეულები ფლანგებს გაამაგრებენ. სასუქი ხომ გვაქვს საკმარისი? შეასრულეთ!..

– არის, ბატონო გენერალო!.. ოცეულებო, ასეულებად დაიყავით და მომყევით!..

პროვოკატორი



ეს ინტერვიუ იმ დროს ჩაიწერა, როცა აჭარაში მიმდინარე პროცესებმა კულმინაციას მიაღწია: პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მხარდამჭერებთან ერთად ბათუმში შევიდა, თბილისი რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის იგორ ივანოვის ჩამოსვლის მოლოდინში, ხოლო მრავალათასიანი საპროტესტო აქციის მონაწილეები ასლან აბაშიძის გადადგომის მოლოდინში იმყოფებოდა. ამიტომ მოვლენების კომენტარი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის უახლოესი გარემოცვის ყოფილ წევრს ვალერი გელბახიანს ვთხოვეთ, ერთგვარ პროგნოზადაც იქცა, რადგან „გზის“ ამ ნომერზე მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა და საბოლოო შედეგის დალოდების საშუალება აღარ გვქონდა...

ასლან აბაშიძის ყოფილი თანამოაზრის პროგნოზი: ყველაფერი ძალიან მალე დასრულდება

ხათუნა მაღრაძე

— შეიარაღებული დაპირისპირებისა და სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური შიში უკვე გაქარწყლებულია, რადგან აჭარის მოსახლეობა მანიფესტაციებით გამოხატავს თავის ნებას. ეს სრულიად განსხვავებული ფორმისა და შინაარსის პროცესია, რომელიც აჭარის ხელისუფლების უპირობო გადადგომით დამთავრდება.

— პრეზიდენტის მიერ მიცემული 10-დღიანი ულტიმატუმის პირობებში, რამდენად დროული იყო ფართომასშტაბიანი გამოსვლების დაწყება?

— ქუჩის აქციების დაწყება დროულად მიმაჩნია. პრეზიდენტმა ასლან აბაშიძეს განუსაზღვრა კონკრეტული ვადა გადაწყვეტილების მისაღებად, ულტიმატუმის ვადის პარალელურად კი, სამოქალაქო და პოლიტიკური ხასიათის მანიფესტაციები არ იკრძალება. თუ ასლან აბაშიძე არ ფიქრობდა გადადგომას, ხალხის მოთხოვნები ბუნებრივად დააჩქარებს მისი თანამდებობიდან წასვლის პროცესს. ათასობით მომიტინგის ნებას აჭარის ლიდერი წინ ვეღარ აღუდგება. იმ შემთხვევაში, თუ აბაშიძე ამ მოთხოვნებს შეასრულებს და თანამდებობიდან გადადგება, ხელისუფლებამ მას და მისი გარემოცვის წევრებს აუცილებლად უნდა მისცეს ხელშეუხებლობის გარანტიები.

— ბოლო პერიოდში, ბევრს ლაპარაკობენ ასლან აბაშიძის მხრიდან სიტუაციის არაადეკვატურ შეფასებაზე. თქვენ წლების განმავლობაში, მასთან დაახლოებული პირი იყავით. როგორ ფიქრობთ — მისი ხასიათიდან და ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, რა იქნება აბაშიძის შემდგომი ნაბიჯი?

— ასლან აბაშიძე არაადეკვატურია იმ შემთხვევაში, როცა მის წინააღმდეგ მიმართულია მუქარა. ასეთ პირობებში იგი სრულიად საპირისპირო ქმედებებს ახორციელებს. მაგრამ ხალხი ასლან აბაშიძისთვისაც ხალხია და არა მგონია, მისი ფსიქიკა ამ ადამიანების წინააღმდეგ იყოს მიმართული, მით უმეტეს, რომ აქციებს 100 ან 500 კაცი არ მართავს — ეს არის დიდი მასა, რომელიც კატეგორიული და შეუპოვარია, თავის მოთხოვნებში.

— რეგიონის ხელისუფლება დიალოგისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. რაზე შეიძლება შეთანხმდნენ ოპოზიცია და აბაშიძის გარემოცვა?

— დიალოგი აუცილებლად უნდა შედგეს. საუბრის თემა ერთადერთი იქნება — ვადამდელი არჩევნები, რომელიც ყველა დონეზე უნდა ჩატარდეს. ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, რომელიც ახალარჩეული ხელმძღვანელობის ლეგიტიმურობას დაადასტურებს, ეს ყველასთვის მისაღები პირობა უნდა იყოს.

— რამდენად თანმიმდევრულია, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან მიმართებაში ცენტრალური ხელისუფლება?

— ხელისუფლების ტაქტიკამ გაამართლა. მას გარკვეული ხნის განმავლობაში, ასლან აბაშიძის გარემოცვა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ჰყავდა მოქცეული. ამ ხნის მანძილზე, აჭარის ხელისუფლება ყოველდღე ელოდა შეიარაღებულ ძალადობას და სპეცოპერაციის განხორციელებას ცენტრისგან... როგორც ჩანს, აბაშიძემ ამ წნეხს ვერ გაუძლო, წონასწორობა დაკარგა და აფეთქებებისა და დარბევების სერია თავად დაიწყო. ამან მოსახლეობა გააღიზიანა და ქუჩის აქციებიც დაიწყო. ახლა მთავარია, თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ გააფუჭოს.

— გაფუჭებაში რას გულისხმობთ?

— უნდა გამოირიცხოს შურისძიება, ქუჩის აქციები დაპირისპირებასა და ხელჩართულ ცემა-ტყეპაში არ უნდა გადაიზარდოს.

— თქვენი ინფორმაციით, არის თუ არა განხეთქილება აბაშიძის გარემოცვაში?

— აჭარაში ისეთი კრიტიკული სიტუაციაა, რომ ალბათ ყველა თავის გადარჩენას ცდილობს. მათ დაინახეს, რომ ხალხის ძალა, ადგილობრივი ხელისუფლებისას აღემატება.

— იმ პირობებში, როცა ასლან აბაშიძეს პოლიციისა და სხვა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები აღარ ემორჩილებიან, ვისი იმედი შეიძლება ჰქონდეს აჭარის ლიდერს?

— მხოლოდ პირადი დაცვის წევრებისა და რამდენიმე დანაყოფის, რომელიც მისი დაქვემდებარებიდან არ გამოსულა. დაახლოებით 200-300 ადამიანზეა საუბარი. თუმცა, ეს არის ზღვაში წვეთი იმ ძალასთან შედარებით, რომელიც აბაშიძის რეჟიმს უპირისპირდება. აბაშიძის ყველა შანსი და რესურსი ამ შემთხვევაში ამოწურულია.

— თქვენი ვარაუდით, რამდენ ხანს გასტანს საპროტესტო აქციები?

— ძალიან მალე ყველაფერი დასრულდება. ჩვენ ფინიშს ვუახლოვდებით. მე ვფიქრობ, რომ სისხლის ღვრისა და სამოქალაქო ომის საშიშროება აღარ არსებობს — ხალხის აქტიურობა თავის საქმეს გააკეთებს. ახლა მთავარია სიფრთხილე, რომ შემდგომი ექსცესები გამოირიცხოს.

■

„თავისუფალი ეკონომიკური ზონა მიკრორეგიონული პროექტი არ იქნება“

— ახალი მთავრობის ინიციატივით, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელსაც აჭარის რეგიონი 5 წელია რაც მოითხოვს, შესაძლებელია, სამეგრელოში შეიქმნას. თქვენი აზრით, რატომ შეჩერდა არჩევანი მაინცდამაინც სამეგრელოზე?

მიხეილ მაჭავარიანი, *პარლამენტის ვიცე-სპიკერი:*

— ჩემი აზრით, ეს არა პოლიტიკური, არამედ წმინდა ეკონომიკური

გადაწყვეტილებაა, რაც ჩვენთვის საკვლევი მისაღებია. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდეს. რეგიონის შერჩევა ამ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოხდება. განვითარდება ინფრასტრუქტურა, რაც სამუშაო ადგილების შექმნასა და ასობით ადამიანის დასაქმებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება თავისუფალი ეკონომიკური ზონის სამეგრელოში შექმნას — აქ გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება არ იქნება მონორეგიონული პროექტის სახით შემუშავებული, არამედ მთელ საქართველოზე გავრცელდება. ამიტომ შესაძლებელია, ასეთი ზონა ნებისმიერ მხარეში შემოვიღოთ, მათ შორის აჭარაში, მას შემდეგ, როცა ეს რეგიონი დაბრუნდება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში. კანონის მიღების დროს, ეს საკითხი კიდევ უფრო დაიხვეწება, შედეგი კი, ქართული ეკონომიკის განვითარებაზე აუცილებლად პოზიციურად აისახება. ■

„აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება უნდა შეუნყდეს“

— თქვენ აფხაზეთის საპარლამენტო დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვთ; ახალმა პარლამენტმა მათი უფლებამოსილება არ ცნო. როგორ ფიქრობთ, — ვინ უნდა დაიკავოს მათი ადგილები?

გიგა ბოკერია, *პარლამენტის წევრი:*

— აფხაზეთის დეპუტაციის ადგილები ცარიელი უნდა იყოს, ნიშნად იმისა, რომ საქართველო თავისი უძველესი კუთხის დაკარგვას ვერასოდეს შეეგუება. თუმცა, მათი ადგილები უახლოეს მომავალში აუცილებლად შეივსება: ახალ დეპუტატებს აფხაზეთში ჩვენი თანამემამულეები აირჩევენ. იმ ადამიანებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, რომლებიც 1992 წლიდან საკანონმდებლო ორგანოში მუშაობენ, თავად დევნილი მოსახლეობაც მოითხოვს. გარდა ამისა, მათთვის მანდატის გაგრძელება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპს წარმომადგენლობითი დემოკრატიის შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ დაცული არ არის არჩევითობისა და პერიოდულობის ნორმა. აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების უვადოდ გაგრძელება დემოკრატიული პრინციპებისათვის უარის თქმას ნიშნავს. მთელი ამ დროის განმავლობაში, ამ ადამიანების პარლამენტში ყოფნას დევნილი მოსახლეობისთვის სასიკეთო არაფერი გაუკეთებია. ამას მარტივი მიზეზი აქვს: ეს ადამიანები არ არიან დამოკიდებული ამომრჩეველზე, ამიტომ მათი ინტერესების დაცვა უშუალო მოვალეობად არ მიაჩნიათ. აფხაზეთის მოსახლეობის ნება-სურვილს მხოლოდ მათ მიერ არჩეული პარლამენტარები გამოხატავენ, რომლებიც სულ მალე, ძველი დეპუტატების მიერ გათავისუფლებულ სავარძლებს შეავსებენ. ■

„ბიუჯეტის პარამეტრების შესრულება საეჭვოდ მეჩვენება“

— ბატონო რომან, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელსაც საქართველოს პარლამენტმა 11 მაისამდე უნდა უყაროს კენჭი, თქვენ „ზედმეტად ოპტიმისტურად დაგეგმილი“ უწოდეთ. რა არის ამ პროექტის მთავარი ხარვეზი?

რომან გოცირიძე, *პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ჩემი აზრით, ბიუჯეტის წარმოდგენილი პარამეტრებით შესრულება დიდად საეჭვოა. გასული 4 თვის განმავლობაში, მთავრობამ მოახერხა თვეში 87 მლნ ლარის მობილიზება; წარმოდგენილი პარამეტრების გათვალისწინებით მაისიდან, თვეში 115 მლნ ლარის ამოღება მოუწევთ, რისი განხორციელებაც ცოტა არარეალურად მეჩვენება. დამაფიქრებელია ბიუჯეტის, საგარეო დაფინანსების წყაროებზე ორიენტირებაც. შარშან საგარეო წყაროებიდან მისაღები თანხა ბიუჯეტში 153 მლნ ლარით იყო განსაზღვრული. წელს ეს მაჩვენებელია 436 მლნ. ბიუჯეტის პროექტი საგარეო წყაროებზეა აგებული და თუ მთავრობამ ვალდებულებების შესრულება ვერ მოახერხა, სერიოზული საბიუჯეტო პრობლემები შეგვექმნება. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ამ კუთხით პარამეტრები სწორად არის გათვლილი და ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არ იქნება. საგადასახადო შემოსავლების შესავსებად კი, მთავრობას დაძაბული მუშაობა მოუწევს. თუმცა, ბიუჯეტის შეფასება ოპტიმისტურია, ამბიციური, რეალისტური თუ არარეალისტური — ეს საბოლოოდ მაშინ გამოჩნდება, როცა წლის ბოლოს, მისი შესრულების მაჩვენებლები დაფიქსირდება. თუ მთავრობამ საგადასახადო შემოსავლების პარამეტრები შეასრულა, უნდა ვაღიაროთ, რომ წარმატებით იმუშავეს. ■

ქალაქის პროკურატურა, რომელსაც წლების მანძილზე, მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, ბოლო პერიოდში, გახმაურებული საქმეების გამოძიების ეპიცენტრად იქცა. ქალაქის მთავარი პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე, ხმაურიანი საქმეების ძიებაში ერთვება, აგროვებს სამხილებს ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ და კრიტიკას არ იშურებს პროკურატურის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი უწყების მიმართ. თბილისის პროკურორის მთავარი პრიორიტეტი, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა და სახელმწიფოსთვის დამალული თანხების ბიუჯეტისთვის დაბრუნებაა.

ვალერი გრიგალაშვილი:

ადამიანების ცხოვრებაში გამომწყვდევა ჩვენთვის თვითმიზანი არ არის

ხათუნა მაღრაძე

— ბატონო ვალერი, რატომ ვერ განხორციელდა დღემდე ის სპეცოპერაცია, რომელსაც ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ გეგმავდით?

— ჩემი გამოსვლების შემდეგ, პროკურატურაში უამრავი წერილი მოდის. ადამიანები ასახელებენ ნარკომოვაჭრეთა კონკრეტულ მისამართებს და მათ წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებას გვთხოვენ. მართალია, კანონის შესაბამისად მოკვლევისა და ოპერატიული საქმიანობის ფუნქცია პროკურატურას არ აკისრია, მაგრამ პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, სპეცოპერაციის ჩატარებაზეც არ ვამბობთ უარს. თუმცა, ,,ნარკობარიგების'' დაკავებას თავისი სპეციფიკა აქვს, მათი აყვანა კონკრეტულ ფაქტზე უნდა მოხდეს. მე ვიცი, ვინ ყიდის ,,წამალს'', მაგრამ როცა მასთან მიდიან სამართალდამცავები და ეუბნებიან, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების რომელიმე სამსახურიდან არიან, ნარკომოვაჭრე ჩახედავს თუ არა მათ თვალებში, მაშინვე ხვდება ,,სტუმრების'' ვინაობას და ყრის ნარკოტიკს...

— ხომ არ სჯობდა, ეს ოპერაცია წინასწარი ხმამაღალი განცხადებების გარეშე ჩატარებულიყო?

— რაღაც ეტაპზე, შიშის ფაქტორი ნამდვილად გაუჩნდათ: რამდენიმე დღის განმავლობაში ვიღებდი ინფორმაციას, რომ ქალაქში ნარკოტიკებით ვაჭრობა აღარ მიმდინარეობდა. პროფილაქტიკური ღონისძიებებისთვის ესეც არ არის ცუდი. მაგრამ, სპეცოპერაცია მაინც ჩატარდება. რამდენიმე დღის წინ, ჩემთან მოვიდა ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელმაც მითხრა, რომ მზად იყო პროკურატურასთან სათანამშრომლოდ. მისგან ერთ-ერთი მსხვილი ნარკომოვაჭრის დასაკავებლად საჭირო ინფორმაცია მივიღეთ. ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად, კანონის გათვალისწინებით, პოლიციიდან 5 თანამშრომლის დახმარება ვითხოვეთ, მაგრამ ეს ოპერაცია გაიშიფრა. მეორე დღეს გაირკვა, რომ პიროვნება, რომელმაც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. პროკურატურა აუცილებლად გაარკვევს, რამდენად საფუძვლიანი იყო მისი დაპატიმრება, რადგან გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს.

— პოლიციის მიმართ მწვავე განცხადებების მიღმა, თქვენი და შს მინისტრის პიროვნულ დაპირისპირებაზეც საუბრობენ...

— მე და გია ბარამიძეს გვაქვს სატელეფონო საუბრები და არავითარ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს. უბრალოდ, პრობლემა იმდენად საგანგაშოა, რომ გაჩუმება არ შეიძლება. პროკურატურას აქვს ზედამხედველობის ფუნქცია და შენიშვნებიც სწორედ ჩვენი მხრიდან უნდა გაჟღერდეს. მე ვებრძვი ნარკომოვაჭრეებს და არა მინისტრს. ჩემი განცხადებების შემდეგ, პოლიციის მუშაობა ამ მიმართულებით საგრძნობლად გააქტიურდა.

— წელან ახსენეთ ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელმაც პროკურატურასთან „თანამშრომლობა" გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა ე.წ. „დასმენის" შესახებ კანონი მიიღო, „თანამშრომლობის" მსურველთა რიცხვმა ხომ არ მოიმატა?

— პირველ რიგში, ამას დასმენა არ უნდა დავარქვათ; ეს არის ქმედება სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. რაც შეეხება თანამშრომლობას, საქართველოში ძველი მენტალიტეტი ჯერ კიდევ მოქმედებს. ინფორმაცია ძირითადად, ანონიმური წერილებისა და სატელეფონო ზარების მეშვეობით შემოდის. ადამიანებს ანგარიშსწორების ეშინიათ. ჰგონიათ, რომ მათი ვინაობა გამჟღავნდება, შინ მიუვარდებათ ვინმე და პასუხს მოსთხოვენ ,,თანამშრომლობისთვის''. იმედი მაქვს, რომ მოსახლეობა ამ საკითხს მალე სხვაგვარად შეხედავს.

— ქალაქის პროკურატურამ პირველად, იერიში საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობაზე მიიტანა, აღელერდა კონკრეტული ბრალდებებიც. რა ეტაპზეა ამ საქმის გამოძიება?

— ნებისმიერი ზარალი, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს მიადგა, უნდა ანაზღაურდეს, რაც მოხდა კიდეც საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობასთან მიმართებაში. თუმცა, თანხის გადახდა არ ნიშნავს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. პროკურატურა მხოლოდ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე თანხმდება. გამოძიება გაგრძელდება მანამდე, სანამ ყველა საეჭვო დეტალი არ გაიშიფრება.

— სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: საპარლამენტო ოპოზიცია პოლიტიკურ მოტივებზე საუბრობს და პროკურატურას პროცედურული ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს. რა შეგიძლიათ თქვათ ამის საპასუხოდ?

— როგორც ისინი აცხადებენ, პროკურატურას არა აქვს კონტროლის პალატის შემოწმების უფლება. ჩვენ კონტროლის პალატა არ შეგვიმოწმებია, უბრალოდ, ვიძიებთ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელშიც მხილებულია სულხან მოლაშვილი. ჩვენს უწყებას უფლება აქვს, აწარმოოს გამოძიება ნებისმიერი პირის მიმართ, რომელსაც არ იცავს იმუნიტეტი. კანონი არ დაგვირღვევია, დაველოდეთ მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილებას და ამის შემდეგ მოხდა მოლაშვილის დაპატიმრება.

— გაიზრდება თუ არა თანხა, რომელსაც მოლაშვილს პროკურატურა ედავება და გაათავისუფლებენ თუ არა მას გადახდის შემთხვევაში?

— თანხა, რომელზეც დღეს არის საუბარი, მხოლოდ 7 ორგანიზაციის შემოწმებას ეხება. გამოძიება გრძელდება, იკვეთება სხვა დანაშაულებიც. როგორც ჩანს, გადასახა-

დის ოდენობა საგრძნობლად გაიზრდება. სავარაუდოდ, რამდენიმე მილიონზე იქნება საუბარი.

— ამბობენ, ამა თუ იმ ბრალდებულის მიმართ გადასახდელი თანხის ოდენობის დადგენა პროკურატურის „კეთილ ნებაზეა“ დამოკიდებულიო...

— პროკურატურა გადასახდელი თანხის ოდენობას, ბრალდებულის მიერ მითვისებული და დამალული გადასახადების მიხედვით ადგენს. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება კი, კანონით გათვალისწინებული ნორმაა. თუ სახელმწიფოს ინტერესები დაკმაყოფილდება, ადამიანების ცხოვრებაში გამომწყვდევა ჩვენი თვითმიზანი არ არის.

— სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევა, ე.წ. კანონიერი ქურდებისთვისაც დაიწყება. ახალი კანონპროექტი „რეკეტის“ შესახებ, პროკურატურას ალბათ უფრო მეტ თავისუფლებას მიანიჭებს.

— იუსტიციის სამინისტროს ეს ნოვაცია, ჩემი აზრით, უფრო გააიოლებს ორგანიზებული დანაშაულისა და კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლას. მკვლელობით, ძარცვითა და ყაჩაღობით დაგროვილი ქონება ნებისმიერ ადამიანს უნდა ჩამოერთვას. სახელმწიფოში ყველა მიმართულებით შეიქმნება იმის პრეცედენტი, რომ ძალისმიერი მეთოდებითა და უკანონო გზით ნაშოვნი სიმდიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში გადავა, დამნაშავეები კი გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან — მნიშვნელობა არა აქვს, ჩინიანი იქნება ის თუ უჩინო, რადგან დანაშაული მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირებს არ ჩაუდენიათ.

— ბატონო ვალერი, საკანონმდებლო ნოვაციების ასეთი სიუხვე უკონტროლოს ხომ არ გახდის სამართალდამცავების მოქმედებას, რომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებაზე არცთუ ისე უსაფუძვლო ბრალდებები ისმის?

— ჩვენ უნდა შევქმნათ სამართლებრივი სახელმწიფო. თუ ამა თუ იმ პირის მიმართ კონკრეტული სამხილი არსებობს, კანონის შესაბამისად, მის მიმართ საქმის აღძვრის უფლება უნდა გვქონდეს. ეს არც პოლიტიკურ ანგარიშსწორებად უნდა მოინათლოს და არც უფლებამოსილების გადაჭარბებად. პროკურატურას აქვს ყველა ძალოვანი უწყების ზედამხედველობის ფუნქცია, ამიტომ ვცდილობთ, გავაკონტროლოთ, როგორც საკუთარი, ასევე სხვა სამართალდამცავების მოქმედების კანონიერება. შეიძლება იყო რაიმე გადაცდენა, მაგრამ ყველა ფაქტს სათანადო შეფასება მიეცემა.

■

ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ მისი გემოვნების ჩამოყალიბებაში მშობლებთან ერთად, პიონერთა სასახლის პედაგოგებს — ელდინო საღარაძეს და ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისაც მიუძღვით წვლილი. ბატონ ნუგზარს ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე რომ აეხსნა, როგორი უნდა იყოს ნამდვილი ინტელიგენტი, უთქვამს — ნამდვილი ინტელიგენტი არის ის, ვინც მაშინაც კი, როცა მარტოა, ცხვირში თითს არაფრით შეიყოფსო... გიორგი ფიქრობს, რომ ინტელიგენტის და გემოვნებიანი ადამიანის ქცევის ფორმულა სწორედ ისაა, როცა ადამიანი სხვების დასანახად კი არ აკეთებს რაღაცას, არამედ უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე არის ყველაფერზე ანგარიშვალდებული.

ვინ ფანია გიორგი თარგამაძე

ნათია თენიეშვილი

— მიმაჩნია, რომ ადამიანმა გემოვნებაზე არ უნდა იდაოს. გემოვნებიანი ადამიანი, ვინც გარკვეულ კლასიკურ პარამეტრებს აღიარებს, ხვდება, რომ ძალიან რთულია, აუხსნა ადამიანს, რომელსაც გემოვნება არა აქვს, რომ ეს კარგია. ერთი პერიოდი, დაინტერესებული ვიყავი გენეტიკით, რა თქმა უნდა — მოყვარულის დონეზე. ჩემი აზრით, გენეტიკას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უნარ-ჩვევების განსაზღვრისათვის. კარგი გენეტიკა იძლევა იმის საშუალებას, რომ იყო გემოვნებიანი ადამიანი, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ცხოვრების სტილზე, გარემოზე და ა.შ. კარგი ჯიშის სპანიელი, როცა ნადავლს ხედავს, ცალ ფეხს სწევს და ამით მიანიშნებს მონადირეს, რომ იქ რაღაც არის. მას ეს გენეტიკურად აქვს, ყოველგვარი წვრთნის გარეშე. მე მიმაჩნია, რომ ადამიანსაც დაჰყვება წინაპრის ათეულობით თაობის კვალი, თუმცა, გარემოც განმსაზღვრელია. ძალიან მიყვარს იტალიური არხების ყურება. არაფერი განსაკუთრებული და საინტერესო ამ არხებზე არ ხდება, მაგრამ ყველაფერი ძალიან ლამაზია. იქ ყველამ იცის ლამაზად ჩაცმა და თავის მოვლა. რამდენჯერმე მომიწია იტალიაში ყოფნა და ოჯახებში ცხოვრება. ბავშვს პატარაობიდანვე ასწავლიან — რომელ შარვალზე რა ფერის წინდა უნდა ჩაიცვას, რა ქსოვილის პიჯაკს როგორი ქვედაბოლო შეუხამოს და ა.შ. ამით მას ნელ-ნელა უყალიბდება გემოვნება. მე მაქვს „ჰუგო ბოსის“ ორი პიჯაკი. ერთი გერმანიაში შევიძინე, მეორე — იტალიაში. ჩემი აზრით, იტალიაში შეკერილი გაცილებით დახვეწილია და მე ის უფრო მომწონს.

— თუ გეკითხებოდნენ ბავშვობაში, რისი ჩაცმა გინდოდათ? თუ რასაც მშობლები შემოგთავაზებდნენ, იმაზეც თანახმა იყავით?

— მეკითხებოდნენ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ დიდი არჩევანის საშუალება მქონდა. ჩემს შვილებს თავზე არ გადასდით, მაგრამ არჩევანის საშუალება აქვთ. მე ერთ ჩვეულებრივ ოჯახში ვიზრდებოდი. მამა ტელევიზიის თანამშრომელი იყო, დედა — სანეპიდსადგურის. მათ ჩვეულებრივზე დაბალი ხელფასები ჰქონდათ. მაღალი ანაზღაურებაც რომ ჰქონოდათ, არჩევანის საშუ-

ალება მაინც არ იყო — საბჭოთა კავშირში ტანისამოსის დეფიციტი იყო. მახსოვს, მამაჩემი წამიყვანდა ხოლმე მაღაზიაში, სადაც ნაცნობი ჰყავდა. საწყობში, ყუთებში ჰქონდათ გადადებული რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი. დიდი არჩევანი არ იყო, მაგრამ რაც მთავარია, იყო „იმპორტული“ და შედარებით კარგი ხარისხის. არჩევანის გაკეთების საშუალება მაშინ მომეცა, როცა გავიზარდე და საზღვარგარეთ წავედი.

— ახლა ტანისამოსს თქვენ თვითონ ირჩევთ თუ მეუღლე გეხმარებათ?

— თათია იშვიათად ერევა ჩემი ტანსაცმლის შერჩევაში. ერთადერთი, რაზეც შეიძლება, აზრი ვკითხო, ფეხსაცმელია. პროფესიით თეატრმცოდნეა, ვეუბნები ხოლმე — ტელეწამყვანი რომ არ გამოსულიყავი, კარგი საქონელმცოდნე, ეკონომისტი იქნებოდი-მეთქი. ფეხსაცმელზე გართულება აქვს და ყოველთვის ძალზე დიდი გემოვნებით შერჩეული ფეხსაცმელი აცვია. ამიტომ ვეკითხები ხოლმე აზრს. რაც შეეხება დანარჩენ სამოსს და ატრიბუტიკას — ყველაფერს მე თვითონ ვარჩევ. თუმცა, ამ ბოლო დროს, ჩემი ქალიშვილები აქტიურად მეხმარებიან ჰალსტუხების შერჩევაში.

— მერე, როგორ ართმევენ თავს? კარგი გემოვნება აქვთ?

— თეკლა 6 წლის არის, მაკინე — სამის. თავიდან, რომელი ჰალსტუხიც რაღაცით თვალში მოუვიდოდათ, იმას მირჩევდნენ ხოლმე. მერე ნელ-ნელა ვასწავლე, რომ ფერს, სტილსა და ფაქტურას აქვს მნიშვნელობა. ახლა, დადგებიან ხოლმე ჩემს გარდერობთან და არჩევენ — თუ რომელი ჰალსტუხი მოუხდება ჩემს იმდღევანდელ ჩაცმულობას. სხვათა შორის, უკვე დიდ წარმატებებს აღწევენ. ძალიან მოსწონთ, როცა მათ ვეკითხები ჭკუას და კიდევ უფრო მეტად მოსწონთ, თუ მათ რჩევას ვითვალისწინებ.

ყველაზე ორიგინალური კი, პირველი საჩუქარი იყო. მაშინ მე სხვა ქალაქში ვიყავი...

— ალბათ ძალიან ბევრი ჰალსტუხი გაქვთ, არა?

— საკმაოდ ბევრი. ტელევიზიაში ვიყავი თუ პოლიტიკაში, ეკრანზე გამოჩენა ყოველთვის მიწევდა, ამიტომ ახალგაზრდული ასაკიდანვე მომიწია ჰალსტუხის ტარება. ერთი-ორი, „იბერვიზიის“ დროინდელი ჰალსტუხიც მაქვს შემონახული, კარგ მოგონებებთან არის დაკავშირებული და იმიტომ. თუმცა ახლა, რომ ვუყურებ იმ ჰალსტუხებს — მეცინება, როგორ ვიკეთებდი-მეთქი? — ვფიქრობ, დრო ყველაფერს ცვლის...

— ყოველთვის კლასიკურად გაცვიათ?

— არასაეთერო დღეს ან როცა ოფიციალური შეხვედრები არა მაქვს, სპორტულად მაცვია. ჯინსშიც ხშირად მნახავთ. თუმცა, მე რომ მომწონს, ისეთი ჯინსი ჯერჯერობით თბილისში ვერ ვნახე.



ტინეიჯერობის დროსაც და ახლაც, სტინგს ვუსმენ

— თათიას ჩაცმულობაში თუ ერევით?

— აქტიურად — არა, რჩევით — კი. ვეუბნები ხოლმე, რომ უფრო ხშირად ჩაიცვას კაბა.

— რატომ? არ მოგწონთ, როცა შარვალი აცვია?

— საერთოდ, მომწონს კაბა, უფრო ქალურია და იმიტომ. თუმცა, თათიას შარვალიც ძალიან უხდება. საერთოდ, ძალიან გემოვნებიანი ადამიანია და ჩემი რჩევები არ სჭირდება. თუ სადმე მივდივართ, მაშინ მეკითხება — კარგია თუ არა ეს ტანსაცმელიო? მეც ვპასუხობ. თუ არ მომწონს, იმასაც ვეუბნები, მაგრამ არა კატეგორიული ტონით. შვილების ჩაცმულობასაც ძირითადად, თათია განსაზღვრავს.

— თქვენი ლიტერატურული გემოვნება როგორ ყალიბდებოდა და ახლა თუ გაქვთ წიგნის საკითხავი დრო?

— წიგნი ბავშვობიდანვე მიყვარდა. ამის განმსაზღვრელი ფაქტორი ის იყო, რომ მამაჩემი კითხულობდა ბევრს. შეეძლო, დილით დამჯდარიყო, არ გახსენებოდა არც სადილი, არც ვახშამი და 300-გვერდიანი წიგნი ბოლომდე წაეკითხა. დიდუბეში, ჩემი ქუჩის დასაწყისში იყო ბიბლიოთეკა. მუდმივი მკითხველი ვიყავი. ერთ მისვლაზე 7-8 წიგნი მომქონდა და ასე გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. მერე პიონერთა სასახლეში „პოეზიის თეატრში“ ვიყავი. ვდგამდით საკმაოდ რთულ ლიტერატურულ სპექტაკლებს — მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის და ილიას ნაწარმოებების მიხედვით. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანიც“ კი დავდგით. იმდენად „მძიმე“ ლიტერატურული გე-

მოვნება ჩამომიყალიბდა, რომ ახლა, მსუბუქი ჟანრის წიგნებს ვეღარც ვკითხულობ. თუმცა, თანამედროვე მწერლობას თვალს ვადევნებ. მაინტერესებს, რა ხდება ჩემი თაობის მიერ შექმნილ ლიტერატურაში. აი, თეატრში სიარულს კი, ჩემი სამსახურის გადამკიდე, ვერ ვახერხებ და ამაზე ძალიან მწყდება გული.

— ტინეიჯერობის ასაკში ყველა ბავშვი რომელიმე მომღერლის ფანია. თქვენ თუ იყავით ვინმეს ფანი?

— არასდროს არავის ფანი არ ვყოფილვარ. საკმაოდ უცნაური მუსიკალური გემოვნება მაქვს. ვერ გეტყვით, რომელია ჩემი საყვარელი კლასიკოსი კომპოზიტორი. მიყვარს მოცარტის, ბახის, ვივალდის გარკვეული ნაწარმოებები, თუმცა, მათ ყველა ნაწარმოებს ვერ ვუსმენ. ჩემი საყვარელი ნაწარმოებების კრებული მაქვს დისკზე და იმას ვუსმენ ხოლმე. ერთადერთი, ვისზეც შეიძლება ვთქვა, რომ მისი ფანი ვარ — გია ყანჩელია. მიმაჩნია, რომ თანამედროვე ქართული მუსიკის მოკაშკაშე ვარსკვლავია ნიკა მემანიშვილი. რაც შეეხება საესტრადო მუსიკას — ტინეიჯერობის დროსაც და ახლაც, სტინგს ვუსმენ. სამსახურში მუსიკის მოსასმენად ნაკლებად მცალია. კაბინეტში სულ ორი დისკი მაქვს და ორივე — სტინგის. მუსიკის აჩემება ვიცი, ისე, როგორც სუნამოსი: დიდხანს ერთსა და იმავე სუნამოს ვერ ვხმარობ. ახლაც, სამსახურში უჯრაში სამი სუნამო მიდევს — „ფარენაიტი", „გუჩი" და „ჰუგო ბოსი". ხან სულ ერთს ვხმარობ, ხან — სულ მეორეს...

— სუნამოს თქვენ თვითონ ყიდულობთ თუ გჩუქნიან?

— ძირითადად, თვითონ. მე უკეთ ვიცი, რა მომწონს და რა მინდა. თუმცა, რამდენიმე თვის წინ, თათიამ მაჩუქა სუნამო და ძალიან მომეწონა.

— თქვენ თუ უძღვნით თათიას საჩუქრებს და ყველაზე ორიგინალური რა გიჩუქებიათ?

— ადრე უფრო ხშირად ვაჩუქებდი ხოლმე რაღაცას. ყველაზე ორიგინალური კი, პირველი საჩუქარი იყო. მაშინ მე სხვა ქალაქში ვიყავი, თათია — თბილისში. კონვერტით, სასიყვარულო წერილთან ერთად, გამოვუგზავნე გიშრისთვლიანი ვერცხლის გულსაკიდი. მე თვითონ შევარჩიე და ეს გულსაკიდი რაღაცნაირად ჩვენი ურთიერთობის სიმბოლოდ იქცა. ამის შემდეგ, ბევრი საჩუქარი მიმირთმევია მისთვის. უცხოეთიდანაც ჩამომქონდა ხოლმე ტანსაცმელი. ყველა აღნიშნავდა და თვითონაც ამბობდა — ძალიან კარგია და გემოვნებითაა შერჩეულიო. თუმცა, იმ ჩემს ჩამოტანილ სამოსს ხშირად არ იცვამდა და ვხვდებოდი, რომ მთლად სათანადოდ ვერ მქონდა შერჩეული; შეიძლება, იმიტომ მეუბნებოდა — კარგიაო, — კიდევ რომ ჩამომეტანა.

— რაიმე კოლექცია ხომ არ გაქვთ ან ბავშვობაში ხომ არ აგროვებდით რამეს?

— დიდი კოლექციონერი არასდროს გახლდით. ჩემს ბავშვობაში ეს საქმე ძალიან მოდური იყო, ზოგი ფეხბურთის გუნდების პლაკატებს აგროვებდა, ზოგი — მარკებს, ზოგი რას და ზოგი — რას. მე ვაგროვებდი კალმისტრებს და მქონდა ძალიან კარგი კოლექცია. მერე ბათუმში წავედი სამუშაოდ, ჩვენი სახლი ინგრეოდა და სხვაში გადავცვალეთ. ამ გადასვლა-გადმოსვლაში ეს კალმისტრები გამეფანტა, ბევრი გავაჩუქე და ახლა იმდენი აღარა მაქვს, მაგრამ კარგი კალმისტრების პატარა კოლექცია მაინც შემომრჩა. ეს არის ერთადერთი აქსესუარი, რაზეც გართულება მაქვს.

— ბავშვობაშიც ისეთი მოწესრიგებული იყავით, როგორიც ახლა ხართ?

— მიყვარს წესრიგი და სისუფთავე. თუმცა, ორი პატარა რომ გეყოლება შინ, იქ წესრიგს ვერ შეინარჩუნებ. მით უმეტეს, მაკინე ძალიან ცელქია. როგორც არ უნდა დაალაგო, ერთ წუთში თავდაყირა აყენებს ყველაფერს. ბავშვობაში ფეხბურთსაც ვთამაშობდი, „პაროლობანასაც", „ორდროშობანასაც" და ქუჩაშიც ვატარებდი დროს, მაგრამ არასდროს ვისვრებოდი. ეს თავისთავად ხდებოდა. ასეა ახლაც — ტანსაცმელი არ მიფუჭდება. შემიძლია, ერთი ფეხსაცმელი სამი სეზონი ვატარო და არაფერი შეეტყობა. როცა სახლი ან სამუშაო მაგიდა არეული მაქვს, მაშინ ტვინშიც ყველაფერი არეული მაქვს.

— შინ თუ გაქვთ თქვენი საყვარელი ადგილი, სადაც საოცნებობის ან ტელევიზორის ყურების დროს ზიხართ ხოლმე?

— საკმაოდ მოუწესრიგებელი სასადილო გვაქვს. საერთოდ, ჩვენი სახლი ძალიან სარემონტოა. სულ ვფიქრობთ — აი, ახლა გავაკეთებთ რემონტს, აი, ახლა-მეთქი, — მაგრამ ჯერჯერობით ისეთი შემოგვრჩა, როგორიც იყო. სასადილო დროებით გავაკეთეთ და რომ იტყვიან — ყველაფერი დროებითი გაცილებით მუდმივი ხდებაო — ისე დაგვემართა. რა თქმა უნდა, არის ადგილი, სადაც მუდმივად ვსხედვართ და ვსადილობთ, მაგრამ რომ გითხრათ, სუფრის თავშია მაინცდამაინც ჩემი ადგილი-მეთქი, მოგატყუებთ. ხან სად მომიხდება დავჯდომა და ხან სად. ეგეთ წესებს და ტრადიციებს, სასადილოს რომ მოვაწესრიგებ, მერე დავამკვიდრებ ოჯახში... ■



...კაბა, უფრო ქალურია და იმიტომ. თუმცა, თათიას შარვალიც ძალიან უხდება

„გზის“ წინა ნომრის „სასიძოს“, მამუკა ლომაშვილის სახელზე მოსული გამოხმაურებების რიცხვმა კვირას საღამოსთვის უკვე რვაასს გადააჭარბა. როგორც ჩანს, ის ბევრი გოგონას კერპად ქცეულა... ერთ-ერთი მისი თაყვანისმცემლის დედაც დაგვიკავშირდა და გაგვანდო: ჩემს შვილს ძალიან მოსწონს მამუკა. ის ჯერ 16 წლისაა და წელს ამთავრებს სკოლას. ქერა, ცისფერთვალება გოგონაა. ძალზე მორცხვია და თვითონ ვერ გაბედა დაკავშირება. ახლა აქ, ჩემ გვერდით ზის და მისმენს. გთხოვთ, იქნებ მამუკას გაცნობის საშუალება მოგვცეთო...

ახლა კი დანარჩენ „მესიჯებს“ გავეცნოთ.



„გურული ვარ და ცოტა მწარე ენა მაქვს...“

მარი ხაფარიძე

„მამუკა, მიშა სააკაშვილს მართლა ძალიან ჰგავხარ. მიშაც მომწონს და შენც მომეწონე. თეკლა“.

„აუ, შენ რა მაგარი ყოფილხარ! ერთი სიტყვით, შენმა სერიოზულმა საუბარმა მაგრად მომხიბლა. ისე, ხომ არ გამომეხმაურები?“

„ეჰ, მამუკა, მამუკა... რა ძალა გადგა?! ახლა ყველაფერს შენ დაგაბრალებენ. აი, ნახავ, გამიხსენებ. ქეთი“.

„მარი, შენ გაიხარე! ეს რა მაგარი „სასიძო“ „გაჩითე“. შეყვარებული რომ არ მყავდეს, მამუკა აუცილებლად შემიყვარდებოდა“.

„მამუკა, ძალიან მომწონხარ. მხოლოდ ერთი ზარი – დანარჩენს ბედისწერა გადაწყვეტს. ქრისტინა. ქუთაისი“.

„საყვარელო მამუკა, გისურვებ ბედნიერებას, ბრწყინვალე კარიერას, უდიდეს სიყვარულსა და ყველა ოცნების ახდენას. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არა ისე, რომ ვენებს ვიჭრიდე. ციალა“.

„მიშა მომწონს, მაგრამ „პატენტი“ არაფრის მიყვარს. ეს სიტყვები არ გეწყინოს. გურული ვარ და ამიტომ ცოტა მწარე ენა მაქვს. იმიტომ არ გწერ ამ „მესიჯს“, რომ მიშას იმიტაციას აკეთებ ან პოპულარული ხარ, უბრალოდ, მომწონს მამაკაცი, რომელიც პატივს სცემს ქართულ ტრადიციებსა და ოჯახს“.

„ოცნებად მყავდი, ოცნებად მრჩები, თუმც არ მინათებ ყოველთვის ცისკარს, რა ვუყოთ, მთვარეც არ არის ჩემი, ჩემი არ არის და მაინც მიყვარს“. მაკა, 18 წლის“.

„ძალიან გამიხარდა, როცა ვნახე, რომ „სასიძო“, მამუკა ლომაშვილია. ძალიან მინდა მისი გაცნობა... მამუკა, თითქმის ყოველდღე გხედავ. მიყვარხარ“.

„მარი, გახსოვს, ერთხელ რომ გთხოვე, რუბრიკაში ეს ბიჭი მოიწვიე-მეთქი? იმის შემდეგ, ყველა ნომერს ვყიდულობდი. დიდი მადლობა. არ მეგონა, რომ მამუკა ასეთი კარგი პიროვნება იქნებოდა. დაველოდები, თუმცა, იმედი ნაკლებად მაქვს. იმ ადამიანს კი, ვისიც გახდება, ვეტყვი, რომ გააბედნიეროს. ქუთაისი“.

„მახსოვს, ერთხელ უნივერსიტეტიდან დაღლილი მოვდიოდი და ბიჭებს შორის დაგინახე... მაღალი, სიმპათიური... იცი, არ გატყუებ. მეც გლდანელი ვარ. არ არის აუცილებელი, მე ამირჩიო. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. თაკო.“

„მამუკა, „მე შენთვის ვეძებ უსიტყვო სიტყვებს, ხომ არის სადღაც უფერო ფერი. არ მინდა, იგი რომ სხვაგან ითქვას, არ მინდა, რომ სხვამ შეგახოს ხელი“. უფრო კარგი და ლამაზი რა გითხრა?“

„მამუკა, ძალიან მომწონხარ. არ დამიჯერებ და მიყვარხარ კიდეც. ტყუილი არც მე მიყვარს. მინდა იცოდე, რომ ერთი სოფლელი გოგო ვარ. ნინო“.

„მიშა? ვინ მიშა? მიშა კი არა – მამუკა! მამუ, ძალიან კარგი ადამიანი ხარ. უფალი იყოს შენი მფარველი. ლოლიტა“.

„მამუკა, გახსოვს? ახალი წლის ღამეს უამრავ ხალხში გიცანი და სურათებიც გადავიღეთ. ძალიან მინდა ამ სურათებზე შენი ავტოგრაფი. სოფიკო“.

„სიო ეხება შენს ტუჩებს, როგორც ფანტელი სამყაროს, ისეთ სიყვარულს გასწავლი, სიკვდილმაც რომ ვერ გაგვყაროს“. ძალიან მინდა, რომ გაგიცნო. მაკა“.

„მამუკა, „წლების მერე თეთრი ფიფქი მაგ შავ თმას რომ დაგიფარავს, მაშინ იგრძნობ, მხოლოდ მაშინ, თუ რა გოგო დაგიკარგავს“. მარი“.

„მამუკა, მიყვარხარ... ჩემი გულის წითელო ვარდო, ჩემი გრძნობების რევოლუციავ!“

„რომ იცოდე, როგორ მიხარია შენი დანახვა, შენს სიყვარულზე უარს არ მეტყოდი“.

„მამუკა, ბევრი ფიქრობს ჩემს მოხიბვლას, მე კი გულში ჩამივარდი, მომწონხარ და შემიყვარდი. მაკო. 19 წლის“.

„მამუკა-მიშიკო, ღმერთმა შენი თავი თუ შემახვედრა, მოგიტაცებ, ცივ ნიავს არ მოგაკარებ, არც არაფერს მოგაკლებ. ძალიან კარგი ხარ. ველი შენს „მესიჯს“. ნინო. 20 წლის“

„მარი, „სასიძოს“ ვერ გამაცნობ? მინდა, სააკაშვილი-2-თან ვიმეგობრო. თაკო“.

„მამუკა, მართლა მაგარი ვინმე ხარ. მინდა, შენი ხმა გავიგო, ტელევიზორიდან კი არა, ტელეფონით. გთხოვ, ერთხელ დამირეკე და მითხარი – როგორ ხარ, ნინო?.. გეხვეწები, ეს თხოვნა შემისრულე“.

„მამუკა, პროფესიით მეც იურისტი ვარ. ძალიან მაინტერესებს სისხლის სამართალი. ხომ არ გავიცნოთ ერთმანეთი და ერთად ვიმუშაოთ რაიმე თემაზე? რაც შეეხება სიყვარულს...“

„დარწმუნებული ვარ, მამუკა არ გამომეხმაურება, უბრალოდ, ძალიან ბევრი მსგავსება აღმოვაჩინე ჩვენს ხასიათებში. სხვათა შორის, ჩემი შვილიც ძაღლის წელშია დაბადებული. ჩემი მეუღლე კი შენი სეხნიაა და კიდევ... ამაზე, თუ გსურთ, პირადად ვისაუბროთ. ნუ შეგეშინდება, შენგან არაფერს ვითხოვ. გისურვებ წარმატებებს“.

„მამუკა, მახარებს შენი წარმატება. ძალიან მიყვარხარ. მე ვარ ყაზბეგიდან. აუცილებლად გადმორეკე. გისურვებ წინსვლას. აბა, შენ იცი, გკოცნი“.

„უნივერსიტეტში ხშირად გხვდები. მეც აგრარულში ვსწავლობ. ძალიან კარგი ბიჭი ხარ. რა მოხდება, რულოვსი-2-ად მე მაქციო? ჟურნალისტიკა, I კურსი“.

ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მამუკას კარიერასა და პირად ცხოვრებაში.

■

ჩვენი მკითხველის — ე. ი. თქვენი გულის გასახარად გეტყვით, რომ ამ კვირაში „მივდექ-მოვდექი, შევაწუხე ხალხი“ და საუკეთესო „სასიძოც“ „გავჩითე“. ჩვენი რუბრიკის სტუმარი გახლავთ ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი, 25 წლის დათო კირკიტაძე. ის თბილი, ყურადღებიანი ადამიანია და იოლად შეუძლია, უცხო ადამიანის კეთილგანწყობა მოიპოვოს. ეს ინტერვიუ მისი „დებიუტი“ გახლავთ და მკითხველი, მის შესახებ ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობს.

ჯერჯერ ახალგაზრდა ქართული პარლამენტარი წუნია არ არის...

მარი ჯაფარიძე

— დათო, გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— ვცხოვრობ დედასთან და ძმასთან ერთად. მყავს და, რომელიც გერმანიაში სწავლობს. მე ყველაზე უფროსი ვარ და-ძმებს შორის. მამა გახლავთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გენერალური დირექტორი, დედა — დიასახლისი.

— ჰოროსკოპით ვინ ხართ?

— წლის მიხედვით — ცხენი, თვის მიხედვით — ლომი. დაბადებული ვარ 2 აგვისტოს. საერთოდ, ჰოროსკოპს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ და ამიტომ, არ ვიცი, ემთხვევა თუ არა ჩემი თვისებები, ჩემი ზოდიაქოს ნიშნის თვისებებს.

— გვითხარით, თქვენში კარგი თვისებები ჭარბობს თუ ცუდი?

— საკუთარი თავის ქება კარგ ტონად არ მიმაჩნია. ისე, მეგობრები მეუბნებიან ხოლმე, რომ „კაი“ ბიჭი ვარ და ჯიგარი.

— „კაი“ ბიჭი — „ძველი ბიჭის“ გაგებით ხომ არა?

— არა, არა, — ისე — კარგი ადამიანის გაგებით და არა „ძველი ბიჭის“.

— მაშ, უარყოფითი რა გაქვთ?

— ფიცხი ვარ და ეს შეიძლება ჩავთვალოთ უარყოფით თვისებად. თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, თავი შევიკავო და ჩემი ფიცხი ხასიათი არ გამოვამჟღავნო ხოლმე.

— თქვენი შემორიგება იოლად შეიძლება?

— კი, ძალზე იოლად. ბოღმიანი ადამიანი არ ვარ. უცებ ავფეთქდები ხოლმე მაგრამ წყენა მალევე მავიწყდება.

— პროფესიით ვინ ხართ?

— დავამთავრე სპორტის აკადემია. ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ვთამაშობდი ფეხბურთს. შემდეგ დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ასე რომ, ორი სპეციალობა მაქვს.

— გვიამბეთ, რა გზა გაიარეთ, ვიდრე დეპუტატი გახდებოდით?

— უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გავერთიანდი არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციაში, რომელიც თანამშრომლობდა „მოქალაქეთა კავშირთან“. მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობა“ დაარსდა, გადავედი „ნაციონალებში“ და ვეწეოდი აქტიურ პარტიულ მოღვაწეობას. ვმონაწილეობდი საკრებულოს არჩევნებში, პარტიული სიით. არჩევნების შემდეგ კი, დავინიშნე სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილედ. შემდეგ პარტიული სიით ვმონაწილეობდი 2 ნოემბრის არჩევნებში. ვიყავი რიგით 37-ე. პარლამენტში კი 36 ადამიანი გავიდა და მე და სიაში ჩემ შემდეგ მყოფი ხალხი, გარეთ დავრჩით. სწორედ ამიტომ მოვაწყვეთ რევოლუცია *(იცინის)*... ბოლო არჩევნებზე კი, 32-ე ვიყავი და დეპუტატის მანდატიც მოვიპოვე.

— ამბობენ, ყველაზე ახალგაზრდა პარლამენტარი სწორედ თქვენ ხართ...

— კი, ასეა, მაგრამ ამას ჩემს პლუსად არ მივიჩნევ და სულაც არ მიხარია, რომ ყველაზე პატარა ვარ.

— საინტერესოა, როგორ ემზადებოდით პირველი სხდომისთვის?

— არ დაგიმალავთ, რომ ძალზე მოუთმენლად ველოდი პარლამენტის მუშაობის დაწყებას. პირველ სხდომაზე დასასწრებად ამაღლებული განწყობით წავედი. ეს ძალზე სასიამოვნო და საპასუხისმგებლო განცდაა, როცა შენი ხალხი ნდობას გიცხადებს და არჩევანს შენზე აკეთებს. მიუხედავად ასაკისა, ვცდილობ, ისე მოვიქცე, როგორც ჩემს სამსახურებრივ მდგომარეობას შეეფერება. გული კი გართობისკენ, დისკოთეკებისკენ მიმიწევს, მაგრამ რადგან ჩემს იმიჯს არ შეეფერება, იძულებული ვარ, თავი შევიკავო. მოკლედ, ბევრ რამეზე მიწევს უარის თქმა. პარლამენტარობა კი ძნელი სულაც არ ყოფილა. პლასტიკური ბარათის მსგავსი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები დაგვირიგეს, რომელზეც მოთავსებულია სპეციალური ჩიპი; ამ ბარათს ჩადებ პულტში და დააჭერ თითს — ან ჰოს იტყვი, ან არას. მიკვირს, ამ პატარა ბარათის გამო როგორ ხოცავენ ერთმანეთს *(იცინის)*... ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც, ძალზე საინტერესოა იმ საკითხებზე მუშაობა, რომელსაც განვიხილავთ ხოლმე.

— მუშაობა ძალიან კარგია, მაგრამ ქეიფი და დროს ტარება არ გიყვართ?

— 21 წლამდე ვთამაშობდი ფეხბურთს და ამის გამო სასმელს საერთოდ არ ვეკარებოდი. ახლაც ძალზე იშვიათად ვსვამ და მაშინაც, ცეკვის სურვილი მიჩნდება ხოლმე. სულ რამდენჯერმე დავმთვრალვარ და არასოდეს არაფერი დამიშავებია. შარიანი არ ვარ.

— შეყვარებული როგორი ხართ?

— ეგ ცოტა ისეთი შეკითხვაა... იმდენად დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მიყვარდა, რომ აღარც მახსოვს, როგორი ვიყავი მაშინ. ვფიქრობ, ჩვეულებრივი ვიქნებოდი. უფრო ყურადღებიანი და ხალისიანი.

— ახლა გულის სწორი არ გყავთ?

— არა, ამისთვის ვერ მოვიცალე. იმედია, ახლა მოვიცლი. ცოტა მოწესრიგდება ქვეყანაში არსებული სიტუაცია და აუცილებლად მოვიცლი პირადი გრძნობებისთვის...

— როგორი გოგონები მოგწონთ?

— საერთოდ, წუნია არ ვარ. მომწონს ყველაფერი, რაც კარგია. ამიტომ მთავარია, გოგო მომეწონოს; სიმაღლეს, თმისა და თვალების ფერს ყურადღებას არ ვაქცევ.

— ანგარების გამო თუ მოიყვანთ ცოლს — ვთქვათ, თუ სი-

მამრი თქვენს კარიერას წაადგება?

— სიმამრის თანადგომა ნამდვილად არ დამჭირდება, რადგან, ვინც ქვეყანაში რაიმეს წყვეტს, ყველა ჩემი მეგობარია და საჭიროების შემთხვევაში მათი თანადგომის იმედი ყოველთვის მექნება. ამაზე მეტი რა უნდა გამიკეთოს სიმამრმა?! ასე რომ, ანგარებით დაქორწინება ნამდვილად არ მჭირდება.

— ვის აზრს აქვს თქვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა?

— თუ საქმიდან გამომდინარე ვყოყმანობ ამა თუ იმ საკითხზე, ამ შემთხვევაში ვითვალისწინებ იმ ადამიანების აზრს, რომელსაც ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ განსაკუთრებით, ბატონი ვანო მერაბიშვილის აზრს ვანიჭებ უპირატესობას. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ აზრს გავითვალისწინებ.

— ჯიუტი ხართ?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ ჯიუტი ვარ. როდესაც ვგრძნობ, რომ რაიმე საკითხში ვერ ვერკვევი, შემიძლია სხვას დავეკითხო...

— ბუზღუნი თუ გჩვევიათ?

— ხანდახან კი. შესაძლოა, ხანდახან ძალზე მცირე წვრილმანზეც კი ავბუზღუნდე. არასოდეს ვიბუზღუნებ იმის გამო, რომ მშია, რადგან შიმშილი ჩემს განწყობაზე არ მოქმედებს. შესაძლოა, მთელმა დღემ ისე გაიაროს, მხოლოდ გვიან ღამით გამახსენდეს, რომ მშიერი ვარ.

— მოწესრიგებული ადამიანი ხართ?

— კი. არ მჩვევია ჩემი ნივთების აქეთ-იქით დაყრა. ბავშვობიდანვე მივეჩვიე წესრიგს. უკვე გითხარით, რომ სპორტსმენი ვიყავი და როდესაც „ზბორებზე“ წასვლა მიწევდა, იქ ფეხბურთელები საწოლსაც თვითონ ვალაგებდით და საკუთარ თავსაც თვითონ ვაქცევდით ყურადღებას. ამიტომ, მარტო ცხოვრებაც არ გამიჭირდება, თუმცა, კერძების კეთება არ მეხერხება. კვერცხსაც ვერ შევიწვავ. თეორიულად ყველაფერი ვიცი, მაგრამ პრაქტიკულად არასოდეს გამომიყენებია.

— მოდით, ახლა თქვენს სამუშაო პირობებზე გვითხარით რამე. თუ საიდუმლო არ არის, ვინ იყო თქვენი კაბინეტის მფლობელი თქვენამდე?

— ეს გახლავთ ვიტალი ხაზარაძის ყოფილი კაბინეტი. პოლიტიკურ გემოვნებაზე რა გითხრათ, მაგრამ საყოფაცხოვრებო გემოვნება მართლაც კარგი ჰქონია ბატონ ვიტალის. უზარმაზარი კაბინეტია, საუცხოო ავეჯით მოწყობილი. მისმა ყოფილმა მფლობელმა წაიღო მხოლოდ პირადი ნივთები, ხოლო ის, რაც პარლამენტის ბალანსზე იყო, დატოვა...

— მას ყოფილი პრეზიდენტის ფოტოც ჰქონდა კედელზე. ისიც დაგიტოვათ?

სიმამრის თანადგომა ნამდვილად არ დამჭირდება, რადგან, ვინც ქვეყანაში რაიმეს წყვეტს, ყველა ჩემი მეგობარია

— არა, ბატონი ედუარდის ფოტო არ დამხვედრია. როგორც ჩანს, თან წაიღო ბატონმა ვიტალიმ. იქნებ, რამეში გამომადგესო. ჩაფიქრებული მაქვს, რომ მოძღვარს ვაკურთხებინო ჩემი სამუშაო ოთახი და ვფიქრობ, ამ ჩანაფიქრს მალე მოვიყვან სისრულეში.

— ოჯახის წევრების დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა მას მერე, რაც დეპუტატი გახდით?

— ოჯახის წევრები უფრო მომთხოვნი გახდნენ ჩემ მიმართ. კატეგორიულად მოითხოვენ, რომ სულ კოხტად ვიყო გამოწყობილი, წვერი გავიპარსო ყოველ დილით და თან მთხოვენ, რომ შინ ადრე მივიდე.

— სპორტსმენი კაცი ჰალსტუხს როგორ შეეგუეთ?

— ცოტა კი გამიჭირდა, მაგრამ შემდეგ შევეგუე. მეტი რა გზა მაქვს? ეს გახლავთ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული, აუცილებელი მოთხოვნა, რომ კოსტიუმითა და ჰალსტუხით გამოვცხადდეთ სხდომაზე.

— გაბრაზებას როგორ გამოხატავთ და გინება თუ გჩვევიათ?

— საზოგადოების თავშეყრის ადგილას არ ვიგინები. ისე კი, თუ მარტო ვარ, არ ვაკლებ ხოლმე. გულს ასე ვიოხებ.

— კონფლიქტურ სიტუაციებში მუშტი-კრივსაც გამოიყენებთ?

— არც ეს არის გამორიცხული. თუ შეურაცხყოფას მომაყენებენ, ძალასაც გამოვიყენებ.

— ეს მეთოდი არც წინა პარლამენტისთვის იყო უცხო...

— არა, სხდომათა დარბაზში მუშტიკრივს არ გავმართავ, რადგან სატელევიზიო კამერებია ჩართული, მაგრამ პარლამენტში არსებობს სხვა ოთახები, რომელიც შესაძლოა ამ მიზნით გამოიყენო. თუმცა ვფიქრობ, ამ მეთოდის გამოყენება ახლა პარლამენტში საჭირო არ გახდება.

— რისი გეშინათ?

— ძალიან მეშინია მიწისძვრის. თბილისში მიწისძვრა რომ მოხდა და სახლები დაინგრა, ხომ გახსოვთ? ამ დროს, საკრებულოს არჩევნების წინა პერიოდი გახლდათ და პარტიის ოფისში, თათბირი გვქონდა. შენობა რომ შეზანზარდა, ჯერ ფანჯრიდან გადმოხტომას ვაპირებდი (პირველ სართულზე ვიმყოფებოდით), შემდეგ გადავიფიქრე და კარიდან შურდულივით გამოვვარდი. ყველაზე ადრე მე დავტოვე ოფისი და სამშვიდობოს რომ დავიგულე თავი, შვებით ამოვისუნთქე.

— მშვიდი ადამიანი ხართ?

— არა, ძალზე მოუსვენარი ვარ. გადეპუტატების შემდეგ, ყველაზე მეტად სხდომაზე, ერთ ადგილზე ჯდომა გამიჭირდა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ შეზღუდული არ ვართ და თავისუფლად გამოვდივართ დერეფანში. ახლა ნელ-ნელა მივეჩვიე და უკვე იმდენად აღარ მიჭირს.

— იქნებ, თქვენი ხელფასიც გაგვიმხილოთ?

— ამ მხრივ დეპუტატები ცოტა დაჩაგრულად ვგრძნობთ თავს. ცოტა უხერხული კი არის, რომ ვიწუწუნოთ, მაგრამ 470 ლარს ცოლშვილიანი კაცი ვერ იკმარებს. მე მარტოხელა ადამიანი ვარ და მეყოფა, მაგრამ რა ქნან სხვებმა? მინისტრის მოადგილე რანგით დეპუტატზე დაბლა დგას და ხელფასი სამჯერ მეტი აქვს. ვფიქრობ, ცოტა ხანში, ეს საკითხიც გადაწყდება...

— ეი. თქვენი აზრით, კაცი არ უნდა ეყოს ხელფასს?..

— არა, ნამდვილად არა. ხელფასი უნდა ეყოს კაცს, რომ მარცხენა შემოსავლისკენ არ გაიხედოს.

მის ზოგიერთ შეხედულებას იმედია დათანხმდებით, ზოგს ალბათ არა, მაგრამ ჩვენს „სასიძოს“ წუნს ვფიქრობ, ვერ დასდებთ. გამოხმაურების მსურველებმა შეგიძლიათ დარეკოთ ან გამოგზავნოთ „მესიჯი“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.

■

ვიკა კარტის თამაშისას გავიცანი

სიყვარული საოცარი რამ არის. მასზე საუბარი კაცს ყოველთვის აახალგაზრდავებს და კარგ გუნებაზე აყენებს. ასე მოხდა მსახიობ დათო დარჩიასთან შეხვედრისას, რომელმაც გვიამბო, თუ ვინაა მისი პირველი და ერთადერთი სიყვარული და როგორი შეყვარებული იყო თავად.

როგორია დათო დარჩიასთვის იდეალური ქალი

ეკა მღინარაძე

— ჩემი პირველი და ერთადერთი სიყვარული ჩემი მეუღლე — ვიკა ბუხნიკაშვილია. ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანით. მაშინ მე მეოთხე კურსზე ვიყავი, ის — პირველზე. ვიკა ინსტიტუტში კარტის თამაშის დროს გავიცანი. ვეთამაშე და მოვაგებინე... მერე ყველაფერი ისე აეწყო, რომ დავმეგობრდით. ერთმანეთს თეატრალური ინსტიტუტის სასაუზმეში ვხვდებოდით. ორი წლის განმავლობაში, სულ ერთად დავდიოდით. ხან ის დადიოდა ჩემს სახლში, ხან მე — მასთან. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთან სტუმრად მოსული ვიკა სამუდამოდ დავტოვე. მაშინ მე ოცდახუთი წლის ვიყავი, ვიკა კი, ჩემზე ოთხი წლით უმცროსია. რიტუალების სასახლეში მოვაწერეთ ხელი. ქორწილი კი, ჩემი მშობლების სახლში გადავიხადეთ, ძალიან მოკრძალებული, ვინაიდან 11 წლის წინ, ჩვენში ყველაფერი ჩამკვდარი იყო — იმ დროს ხომ საქართველოში ომი მიმდინარეობდა.

— პირველად როდის და სად გამოუტყდი სიყვარულში?

— სიყვარული მხოლოდ მაშინ ავუხსენი, როცა ის ჩემი მეუღლე გახდა — მანამდე, უბრალოდ ვხვდებოდით, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა...

— რა თვისებით მოხიბლეთ ერთმანეთი?

— ჩემი აზრით, ქალმა მამაკაცს თავი ნამდვილად უნდა მოაწონოს, ხოლო კაცისგან ეს დაუშვებელია. კაცი ბუნებრივი უნდა იყოს — ეს თვისება ქალებს ძალზე მოსწონთ. ვიკამ კი მე თავდაპირველად, სილამაზით მომხიბლა, შემდეგ კი — ხასიათით.

— როგორი შეყვარებული იყავი?

— თითქმის ყველა შეყვარებული ფიქრობს, რომ მაგარი შეყვარებული იყო, მაგრამ მე ვთვლი, რომ იმდენად ძლიერი შეყვარებული ვიყავი, რომ ყველა შეყვარებულზე მაგარი შეყვარებული ვიყავი. ნახე, რა ენის გასატეხი გამომივიდა *(იცინის)*!..

— რა შეგიძლია გვითხრა ზოგადად სიყვარულზე?

— სიყვარული არის ის, რაც გაგაფრენინებს და გაგარეკინებს; ეს არის სიგიჟე, რომელიც ოჯახის შექმნამდე გრძელდება. ხოლო როცა ოჯახს შექმნი, ცხოვრება სიყვარულს ასხვაფერებს...

— რას აფასებ ქალში და რა გაღიზიანებს?

— ქალი უნდა იყოს ჭკვიანი და ქალური. მაღიზიანებს ქალის ჩაჩაჩული „კოლგოტკის“ დანახვა.

— მოდი, შვილებზე მომიყევი რამე.

— მე და ვიკას გვყავს ქალ-ვაჟი — გუგა და ელენე. ისინი ჯერჯერობით კარგი ბავშვები არიან, მომავალში რას იზამენ, არ ვიცი. არა მგონია, ცუდ გზას დაადგნენ, იმიტომ, რომ მათ ისეთი ნათლიები ჰყავთ, როგორებიც არიან ბატონი რობერტ სტურუა და დათო საყვარელიძე.

— ბავშვები ვის უფრო ჰგვანან?

— გუგა უფრო დინჯია და მე მგავს. გოგო ხასიათით ვიკას უფრო ჰგავს. გარეგნობით კი, უფრო ბებიებს და ბაბუებს ჰგვანან.

— მეუღლე თუ არის ეჭვიანი, შენი პროფესიიდან გამომდინარე?

— თავიდან, რა თქმა უნდა, ეჭვი იჩენდა ხოლმე თავს, მაგრამ 11 წელი პატარა დრო არ არის იმისათვის, რომ ერთმანეთი კარგად გაგვეცნო. ჰოდა, დღეს ჩვენში ეჭვი აღარ არსებობს — მხოლოდ სიყვარული დარჩა. იმედია, ბოლომდე ასე ვიქნებით.

— დაბოლოს — ბედნიერ კაცად მიგაჩნია თავი?

— რა თქმა უნდა. მე ბედნიერი ვარ, რომ მყავს შესანიშნავი მეუღლე და შვილები. მინდა ყველამ გაიგოს, რომ იდეალური ქალის მაგალითი ჩემი მეუღლეა, რომელიც ძალიან მიყვარს და სიცოცხლის ბოლომდე მეყვარება. ■

სიყვარული არის ის, რაც გაგაფრენინებს და გაგარეკინებს

ოთხი მცირეწლოვანი შვილის მამა მკვლელობის ბრალდებით საპყრობილეში აღმოჩნდა

33 წლის პაატა ხუციშვილი კასპის რაიონულმა სასამართლომ, შემდეგ კი თბილისის საოლქო სასამართლომ განზრახ მკვლელობაში ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით) განუსაზღვრა. განაჩენში აღნიშნულია, რომ სასამართლომ განსასჯელისთვის შემამსუბუქებელი გარემოებები გაითვალისწინა — ხუციშვილი წარსულში არ გახლდათ ნასამართლევი და პირად კმაყოფაზე ოთხი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

მეგი ცანავა

საგამოძიებო მასალების თანახმად, დანაშაული, რომლისთვისაც იგი სამართალდამცავებმა დააკავეს, 2002 წლის 13 ოქტომბერს მოხდა. პაატა ხუციშვილი კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში ცხოვრობდა. აღნიშნულ დღეს ის მეზობელ სოფელ — რკონში ბიძაშვილმა კობა იორდანაშვილმა მიიპატიჟა. იორდანაშვილს რკონის ღვთისმშობლის სალოცავისთვის ცხვარი შეეწირავს და ამ ფაქტთან დაკავშირებით საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან, ხუციშვილის გარდა, ოცამდე კაცი დაუპატიჟებია, მათ შორის ქალები და ბავშვები. ქეიფი შებინდებისას დასრულებულა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ხუციშვილი ბიძაშვილის „გაზ-24“-ში ჩამჯდარა, მაგრამ გზაში ავტომანქანა გაფუჭებულა და ის და იორდანაშვილი იძულებული გამხდარან, ახლომდებარე სოფლისკენ ფეხით წასულიყვნენ, რათა ვინმესთვის დახმარება ეთხოვათ. სოფლის ცენტრში, წყაროსთან ადგილობრივებს — ალექსი თათხაშვილსა და ზურაბ ელისაბედაშვილს შეხვედრიან. უცნობებს ხუციშვილი გამოლაპარაკებია და უკითხავს — რომელ სოფელში ვართო? უპასუხიათ, რომ სოფელ ერთაწმინდაში იმყოფებოდნენ. ბრალდების თანახმად, ხუციშვილმა რატომღაც ჩათვალა, რომ ატყუებდნენ და საყვედური გამოთქვა. ამის გამო შელაპარაკება მოუხდათ. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, პირველმა ხუციშვილმა შეაგინა ელისაბედაშვილს, ამ უკანასკნელმა კი პასუხად ხელი გაარტყა მას. გაჩაღდა ჩხუბი. ხუციშვილი მიღებული დარტყმის შედეგად წაიქცა. იქვე მყოფი თათხაშვილი და იორდანაშვილი, ელისაბედაშვილის დაწყნარებას ცდილობდნენ. ჩხუბის ხმაზე შემთხვევის ადგილას ელისაბედაშვილის მეგობარი — ლაშა იმედაშვილიც მივიდა. ისიც შეეცადა, დაემშვიდებინა მოჩხუბრები და თან კითხულობდა — რა მოხდაო? მომხდარით შეწუხებული იორდანაშვილი ერთაწმინდელებს სთხოვდა, ეპატიებინათ ხუციშვილისთვის ასეთი საქციელი და მის მაგივრად იხდიდა ბოდიშს, მაგრამ მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილება მაინც ვერ შეძლო. იმ დროს, ხუციშვილი მოშორებით, მათგან რამდენიმე მეტრში იწვა მიწაზე. მოულოდნელად მან ჯიბიდან დანა ამოიღო, გახსნა, შემდეგ წამოდგა და ელისაბედაშვილს მიუახლოვდა თუ არა, მუცლის არეში დაჭრა იგი. ელისაბედაშვილმა მაშინვე დაიძახა — მგონი, დამჭრაო, — და უკან დაიხია. თათხაშვილი და იმედაშვილი მას მისცვივდნენ, ხუციშვილმა და იორდანაშვილმა კი, დრო იხელთეს და იქიდან გაიქცნენ. დაჭრილი, თანასოფლელებმა კასპის რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. მიღებული დაზიანებებისგან ელისაბედაშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა აღნიშნეს, სასიკვდილო ჭრილობა ჭიპის არეში დაფიქსირდა.

შემთხვევიდან რამდენიმე საათში, სამართალდამცავებმა პაატა ხუციშვილი საკუთარ სახლში დააკავეს. პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში მან თავი დამნაშავედ არ ცნო, განაცხადა, რომ ელისაბედაშვილის მკვლელობა მას არ განუზრახავს და დანა მხოლოდ მოგერიების მიზნით მოიქნია. სასამართლოს მან ასეთი ჩვენება მისცა: *„...ვინება დავუწყეთ ერთმანეთს. შეგინებაზე ერთ-ერთმა მათგანმა დამარტყა, წავიქეცი და წაქცეულსაც მომხვდა რამდენჯერმე ფეხი. ვიღაცამ დაიძახა — მგონი, მოკვდაო. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ვიღაცა გამოქანდა ჩემკენ დასარტყმელად. სწორედ ამ დროს ამოვიღე დანა შარვლის უკანა ჯიბიდან და მოგერიების მიზნით მოვიქნიე. გავიგონე — მგონი, დავიჭერიო. იქ მყოფნი დაჭრილთან მივიდნენ, მე კი ზემო ხანდაკში წავედი, ჩემს სახლში. ტანსაცმელს ვიცვლიდი, როცა შს კასპის რაიგანყოფილების თანამშრომლები მოვიდნენ და პოლიციაში წამიყვანეს“.*

კასპის რაიონულმა სასამართლომ განსასჯელის ჩვენება — რომ მან დანა მოგერიების მიზნით ჯერ კიდევ მიწაზე წაქცეულმა მოიქნია, — არ გაიზიარა. განაჩენის თანახმად, ჩვენება პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნითაა მოგონილი და იგი რეალობას არ შეესაბამება. მოსამართლემ არ გაიზიარა არც ხუციშვილის ბიძაშვილის — იორდანაშვილის სიტყვები: ამ უკანასკნელის თქმით, ხუციშვილს სოფლის ბირჟაზე 5-6 კაცი გადაუდგა წინ და ცემა დაუწყო. შემთხვევის ადგილზე მყოფმა დანარჩენმა პირებმა სასამართლოზე განაცხადეს, რომ ელისაბედაშვილი მათთან იდგა, როცა მოულოდნელად დაიყვირა და მუცელზე ხელი მიიდო. მოწმეების თქმით, დაჭრის მომენტში ის ხუციშვილს არ ურტყამდა. სასამართლომაც ასე ჩათვალა. განაჩენის თანახმად, დანაშაული მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც მოჩხუბართა შორის ინციდენტი ამოიწურა და ხუციშვილის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. შესაბამისად, განსასჯელი 108-ე მუხლის მიხედვით (განზრახ მკვლელობა) ცნეს დამნაშავედ. მოგვიანებით, ეს განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულის ადვოკატები მის გაუქმებასა და ხუციშვილის გამართლებას მოითხოვდნენ. ამასთანავე, სასამართლომ დააკმაყოფილა სამოქალაქო სარჩელი — დაზარალებულის სასარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. ხუციშვილს დაზარალებული მხარისთვის 5.000 ლარის გადახდა დაეკისრა.

მსჯავრდებულის ადვოკატებმა თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს. აღნიშნულ საკითხს უზენაესი სასამართლო ამ კვირაში განიხილავს. ■

ჩხუბი 50 ლარის გამო სისხლის ღვრით დასრულდა

წარსულში ნასამართლევ, 37 წლის საჩხერელ პაატა იაკობაშვილს საკუთარი ძმის მეგობრის მკვლელობაში ადანაშაულებენ. პროკურატურის ინფორმაციით, 48 წლის ლერი შარვუშაძე მან 50 ლარის გამო გამოასალმა სიცოცხლეს. იაკობაშვილი კატეგორიულად უარყოფს ბრალდებას და აცხადებს, რომ მკვლელობა განზრახ კი არა, თავდაცვის მიზნით ჩაიდინა.

მეგი ცანავა

საქმის მასალების თანახმად, 2003 წლის 12 ნოემბერს, დაახლოებით დღის 3 საათისთვის, მთვრალი იაკობაშვილი საჩხერის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში შევიდა. იქ მისი ძმა მუშაობდა, მაგრამ იმ დროს ადგილზე არ დახვდა. იაკობაშვილმა ჯიხურის სხვა თანამშრომლებს სთხოვა, 50 ლარი ესესხებინათ მისთვის. ძმის ამხანაგებმა იგი უარით გაისტუმრეს.

თეიმურაზ კოზახიძე, მოწმე:

„მეც იმ ჯიხურის თანამშრომელი გახლავართ. პაატამ ფული გვთხოვა, მჭირდებაო, – თქვა, მაგრამ ვერ მივეცით. ლერი შარვუშაძე იმ დროს იქ არ ყოფილა. პაატა წავიდა, მაგრამ ნახევარ საათში ისევ მობრუნდა. ლერი უკვე მოსული იყო. პირდაპირ მას მიმართა – ამათ ფული ვთხოვე და არ მომცეს, იქნებ, შენ მაინც მომცე, უფრო გამიგებო. ლერიმ უპასუხა – მთელი დღის მანძილზე, სულ რამდენიმე ლარისთვის ვმუშაობთ და ამდენ ფულს საიდან მოგცემ? 5-7 ლარის მეტს ვერ გასესხებო“.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, განაწყენებულმა იაკობაშვილმა შარვუშაძეს გინება დაუწყო, უცენზურო სიტყვებით მიმართავდა დანარჩენებსაც, შემდეგ ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო და შარვუშაძეს მოუღერა. იქვე მყოფმა ჯიხურის თანამშრომელმა – არჩვაძემ მისი განიარაღება სცადა, მაგრამ ჩხუბი, საუბედუროდ, მაინც სისხლის ღვრით დასრულდა.

თეიმურაზ კოზახიძე: *„ჩხუბის დროს ლერიმ პაატას გაარტყა. პაატამ სწორედ მაშინ ამოიღო ჯიბიდან დანა. არჩვაძემ ეს რომ დაინახა, მაშინვე მივარდა მას და დანიან ხელში სტაცა ხელი. მეც წიხლი ამოვარტყი პაატას და ჯიხურიდან გარეთ გავაგდე. მაშინ არჩვაძე წაიქცა, შევნიშნე, რომ ხელი ჰქონდა გადასერილი, ამიტომაც მთელი ყურადღება მისკენ გადავიტანე – რამე არ დაემართოს-მეთქი. ამასობაში პაატას ლერი დაუჭრია. მე დაჭრის მომენტი არ დამინახავს. ყველაფერი სულ რაღაც 10 წუთში მოხდა. „სასწრაფო დახმარების“ მანქანაც მაშინვე მოვიდა...“*

პროკურატურის ინფორმაციით, იაკობაშვილმა შარვუშაძეს დანა 4-ჯერ დაარტყა – მარცხენა მკერდის ძვლის არეში, მარჯვენა ლავიწთან, გულმკერდის მარცხენა მხარეს და წელის მიდამოში. დაზიანებები მძიმე ხარისხის აღმოჩნდა და შარვუშაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გოჩა იაკობაშვილი, განსასჯელის ძმა:

„იმ დღეს, საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი. დაახლოებით 4 საათი იქნებოდა, როცა სავალუტო ჯიხურიდან ყვირილი მომესმა. მაშინვე იქითკენ გავიქეცი და დავინახე, რომ ჩემს თანამშრომლებს – ჯაჯანიძეს და გოგატიშვილს ლერი შარვუშაძე ხელში ჰყავდათ აყვანილი და ისე მოჰყავდათ. მივხვდი, რომ ლერი ცუდად იყო. იქვე შევნიშნე ჩემი ძმა – პაატა. ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. ხელში დანა ეკავა. მაშინვე მასთან მივვარდი, დანა წავართვი, შემდეგ იქვე გაჩერებულ ტაქსიში ჩავსვი და შინ გავუშვი. ლერი იქვე წამოაწვინეს, გამვლელი „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გააჩერეს და საავადმყოფოში წაიყვანეს. ჯიხურში რაც მოხდა, თანამშრომლებისგან გავიგე. ამბობდნენ, რომ ვერ დაინახეს, თუ რა დროს დაჭრა ჩემმა ძმამ ლერი. ის დანა შევინახე, მაგრამ როცა ლერის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე, პოლიციაში წარვადგინე“.

დარეჯან ჭიღლაძე, მოკლულის ცოლი:

„მომხდარ ფაქტს არ შევსწრებივარ. შინ ვიყავი და იმ დროისთვის, ჩვეულებისამებრ, ქმარს ველოდებოდი, კერძს ვამზადებდი. 5 საათი შესრულებული იქნებოდა, როცა მეზობელი ქალი მოვიდა და მითხრა – ლერი ცუდად არის, საავადმყოფოში უნდა წამოხვიდეო. გამიკვირდა, რადგან ჩემი მეუღლე არასდროს ავადმყოფობდა. გზაში მითხრეს – იაკობაშვილის ბიჭმა დაჭრაო. აღარ გამომიკითხავს, რა მოხდა, რადგან მაშინ, მხოლოდ ქმრის ჯანმრთელობაზე ვფიქრობდი. საავადმყოფოში რომ მივედით, უკვე ოპერაციას უკეთებდნენ. შემდეგ, როცა უკვე უბედურება დატრიალდა, ბუნებრივია, დავინტერესდი, რამ და ვინ შეიწირა ჩემი ქმრის სიცოცხლე. თავდაპირველად, სხვადასხვა ვერსიაზე საუბრობდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ჩემი ქმარი ჯიხურში იჯდა და რაღაცას წერდა, ამ დროს იაკობაშვილი მას უკნიდან მიეპარა და ისე ჩაარტყა დანა. დანაშაულის მოტივთან დაკავშირებითაც სხვადასხვა ხმა დადიოდა. შემდეგ გამოძიების მასალებს გავეცანი და მაშინ შევიტყვე დეტალების შესახებ. ვერ გამიგია, რატომ მოიქცა ასე სასტიკად პაატა იაკობაშვილი? მის ძმასა და ჩემს ქმარს განსაკუთრებული, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ლერი არც პაატაზე ყოფილა ოდესმე განაწყენებული. ხშირად დადიოდა მათ ოჯახში, სუფრასაც უშლიდნენ... ვიცი, რომ მომხდარის გამო იაკობაშვილის ოჯახის წევრებიც ძალიან შეწუხდნენ“.

განსასჯელის მხარე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იაკობაშვილები გულწრფელად განიცდიან მომხდარ ფაქტს და ყოველთვის გამოთქვამენ მზადყოფნას დაზარალებული ოჯახის დასახმარებლად. განსასჯელი ცნობს დაზარალებული მხარის მიერ წარდგენილ სამოქალაქო სარჩელს და აცხადებს, რომ მოკლულის დაკრძალვის ხარჯებისა და მორალური ზიანის შესახებ დასახელებულ თანხას – 2.965 ლარს გადაიხდის.

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში პაატა იაკობაშვილი აღნიშნავს, რომ 2003 წლის 12 ნოემბერს დილიდან თავის უბანში იმყოფებოდა, იქვე დალია არაყი; ნაშუადღევს კიდევ უნდოდა დაელია, მაგრამ ფული აღარ ჰქონდა და სწორედ ამ მიზნით მივიდა სავალუტო ჯიხურში. „...ჯიხურში მეორედ იმიტომ მივბრუნდი, რომ მინდოდა გამერკვია, თუ რატომ მომექცნენ ასე ჩემი ძმის მეგობრები. ლერი წამოდგა, სახეში გამარტყა, მე საპასუხოდ შევაგინე... შემეშინდა, ისინი ბევრნი იყვნენ, მე კი – ერთი. ამიტომაც ამოვიღე ჯიბიდან დანა და გავშალე. არ მახსოვს, დანის წართმევას შეეცადა თუ არა ვინმე. იქ მყოფთა შორის არჩვაძე იყო თუ არა, ისიც არ მახსოვს. მხოლოდ ის მაგონდება, რომ დანას ვიქნევდი აქეთ-იქით, რათა ყველანი არ დამსხმოდნენ თავს და არ გაველახე. ლერი ყველაზე ახლოს იდგა ჩემთან და როცა დანა მოვიქნიე, ვიგრძენი, რომ მას მოხვდა, თუ არ ვცდები, ფერდში. ფერდზე მოიკიდა ხელი. სისხლი არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ*

დაჭრილი იყო“, — წერს ჩვენებაში ბრალდებული.

შემთხვევის შემდეგ, იაკობაშვილი ტაქსით ახლობლის სახლში მივიდა. *„ვთქვი, რომ კაცი დავჭერი. იქიდან შევატყობინეთ პოლიციას. რაიგანყოფილების თანამშრომლები მოვიდნენ და წამიყვანეს*“, — აცხადებს იაკობაშვილი. მან წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სასამართლოშიც დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ დანა, რომელსაც იქნევდა, ვის ან სხეულის რა ადგილებში მოხვდა, არ დაუფიქსირებია. განსასჯელის თქმით, ჯიხურში მყოფნი მთვრალები იყვნენ. განსაკუთრებული აგრესიულობით სწორედ ლერი შარვუშაძე გამოირჩეოდა. მისი ადვოკატის თქმით, შარვუშაძე კონფლიქტური პიროვნება იყო, რასაც კატეგორიულად უარყოფს დაზარალებულის მხარე. ოფიციალური ცნობით, აწ გარდაცვლილი წარსულში მკვლელობისთვის იყო ნასამართლევი და ამ დანაშაულის გამო ციხეში 9 წელი იჯდა. თუმცა, შარვუშაძის ქვრივი ირწმუნება, რომ ამ ფაქტს არანაირი კავშირი არა აქვს ჯიხურში მომხდარ ინციდენტთან და არც მისი ქმრის აგრესიულ ბუნებაზე მეტყველებს. განაჩენს იაკობაშვილის მიმართ უზენაესი სასამართლოს კოლეგია სავარაუდოდ, მომავალ კვირაში გამოაცხადებს.

■

ზუგდიდელი ცოლ-ქმარი და „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ დიჯეი ნარკოტიკებისთვის დააკავეს

2004 წლის 30 აპრილს, შს სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში, წერეთლის გამზირზე დროებით საცხოვრებელ ბინაში თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 29 წლის არსლანბეკ ბურაკი დააკავეს. სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, ბურაკს ბინაში ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე — მარიხუანა მოჰყავდა. 24 ძირი მარიხუანა მას ქოთნებში ჰქონდა ჩარგული, მცენარის კულტივირებას იგი დაახლოებით 7-8 თვის მანძილზე ეწეოდა. მარიხუანის გარდა, სამართალდამცავებმა ბინიდან მცენარის მოსაყვანად სპეციალურად დამზადებული თვითნაკეთი საშუალებები ამოიღეს. ამ საშუალებებით ბურაკი თურმე, მცენარის ფოთლებს აშრობდა, შემდეგ კი ყალიონით ეწეოდა.

არსლანბეკ ბურაკი „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ დიჯეიდ მუშაობდა. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 260-ე და 265-ე მუხლებითაა აღძრული. ბრალის დადასტურების შემთხვევაში, ბურაკს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ორი დღით ადრე, ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე, თემქის დასახლებაში დააკავეს ზუგდიდელი ცოლ-ქმარი — 47 წლის ისინან მალიჩავი და 46 წლის ელისო ბაკარაძე. დაკავებისას მალიჩავს პოლიეთილენის პარკში 12 „პაკეტად“ დაფასოებული და სარეალიზაციოდ გამზადებული ყაყაჩოს თესლი აღმოაჩნდა. ნარკოტიკული ნივთიერების საერთო წონა 2 კგ-სა და 900 გ-ს შეადგენდა. ბაკარაძეს 1 კგ და 100 გ ყაყაჩოს თესლი უპოვეს. გამოძიებას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური აწარმოებს. ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგორიშის მცხოვრები ცოლ-ქმარი დაკავებულია.

■

რუსმა სამართალდამცავებმა საქართველოს მოქალაქე — კანონიერი ქურდი სუმბათა დააკავეს

ქალაქ ასტრახანში თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მიერ ძებნილი ე.წ. კანონიერი ქურდი სუმბათა რუსმა სამართალდამცავებმა ჯერ კიდევ გასული წლის 15 იანვარს დააკავეს. მაშინ დაკავების ადგილზე, მინსკის კონვენციით გათვალისწინებული მასალები, ხოლო რუსეთის გენერალურ პროკურატურაში ექსტრადიციის მასალები გადაიგზავნა. თუმცა, ნარკომანიისთვის ძებნილი სუმბათა — იგივე სუმბათ ამაიაკის ძე აბასოვი (1961 წელს დაბადებული) სამართალდამცავმა ორგანოებმა გაურკვეველი მიზეზებით პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

თითქმის წელიწად-ნახევრის შემდეგ, ქალაქ ასტრახანის კიროვის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა სუმბათას დასაკავებლად დამატებითი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ჩაატარეს და ძებნილის აყვანის შესახებ საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შს სამინისტროს აცნობეს.

■

4 წლის გოგონას გაუპატიურებაში ბრალდებული დანაშაულს ცნეს

მეგი ცანავა

22 წლის თბილისელ ზურაბ ხუცურაულს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გასულ კვირას განაჩენი გამოუტანა. საქმე ორი წლის წინ ჩადენილ, გახმაურებულ და სადისტურ დანაშაულს ეხება. 2002 წლის 14 სექტემბერს, ვარკეთილის მასივში 4 წლის გოგონა გააუპატიურეს. გონებადაკარგული და დასისხლიანებული ბავშვი ბოროტმოქმედმა საცხოვრებელი კორპუსის ბნელ სარდაფში მიატოვა. გოგონა მალე მოვიდა გონზე, სარდაფიდან ამოძვრა და მეზობლებმაც მაშინ იპოვეს. როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, მოძალადემ ბავშვს ჯერ ქვა ჩაარტყა თავში, შემდეგ კი, გაუკუღმართებული ფორმით, მასთან სექსუალური კავშირი დაამყარა. ნაპოვნი გოგონა სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, მის სხეულზე ექიმებმა მრავალი დაზიანება დააფიქსირეს — მარჯვენა თხემის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ჭრილობები თხემისა და მარჯვენა თვალბუდის არეში, სისხლნაღენთები ორივე თვალბუდის მიდამოში, მრავალი ნაჭდევი გულმკერდის არეში უკანა მხარეს. ბავშვის სასქესო ორგანოები დაზიანებული იყო სწორ ნაწლავამდე, სწორედ ამის გამო აუცილებელი გახდა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გოგონა სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა.



მსჯავრდებული ზურაბ ხუცურაული

სასამართლო მასალების თანახმად, დანაშაულის ჩადენიდან 4 დღის შემდეგ, ზურაბ ხუცურაული საკუთარი ნებით გამოცხადდა ვარკეთილის პოლიციის განყოფილებაში და აღიარებითი ჩვენება დაწერა. პროკურატურამ გამოძიება ჩაატარა და საბრალდებო დასკვნით, წარსულში ორჯერ ნასამართლევ ხუცურაულს ორი მძიმე დანაშაულის – გაუპატიურებისა და განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობის მუხლები მიუყენა. სასამართლო კამათისას, სახელმწიფო ბრალმდებელმა 137-ე მუხლის (გაუპატიურება) 138-ე მუხლით (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება განსაკუთრებული სისასტიკით) გადაკვალიფიცირება მოითხოვა.

წარდგენილ ბრალდებაში ხუცურაულმა თავი დამნაშავედ არ ცნო. პოლიციაში გამოცხადება კი ასე ახსნა: ვიცოდი, რომ ჩემზე ეჭვობდნენ და ჯობდა, თავად მივსულიყავიო. სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, მაგრამ მისი ჩვენების შესახებ განაჩენიდან (რომელიც საჯაროდ ცხადდება) ხდება ცნობილი. განსასჯელმა პროცესზე განაცხადა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და იმ დროს, თავის მეგობრებთან – გოდიშვილსა და ციცაგთან ერთად სხვაგან იმყოფებოდა. მისი თქმით, 2002 წლის 14 სექტემბერს, დღის 12 საათზე, ხსენებულ პირებთან ერთად მეგობრის სანახავად ელიავას ბაზრობაზე წავიდა, იქ დალიეს არაყი, შემდეგ კი, დაახლოებით 14 საათზე, №89 სამარშრუტო ტაქსით ვარკეთილისკენ გაემართნენ; მეგობრები ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონისკენ წავიდნენ, ხოლო თავად შინ მივიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და 5-ის ნახევრისთვის ისევ შეხვდა მეგობრებს. მათთან ერთად წავიდა ვორონცოვზე, ე.წ. „სიყვარულის ბაღში“, იქ იგი ნაცნობ გოგოს უნდა შეხვედროდა. იქიდან ყველანი ერთად ლოტკინზე, ბიძამისთან – ჯიმშერ ჯიქურაძესთან მივიდნენ საქეიფოდ; მაშინ დაახლოებით 19 საათი იქნებოდა; მეგობრებს ამ ხნის მანძილზე არ დასცილებია.

აღსანიშნავია, რომ ხუცურაულს წინასწარ გამოძიებაში რამდენიმე აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული. სასამართლოში ეს ფაქტი მან ვარკეთილის პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ფიზიკური ზეწოლით ახსნა. კოლეგიამ განსასჯელის სიტყვები სარწმუნოდ არ მიიჩნია, რის საფუძვლადაც პროცესზე დაკითხულ პოლიციელთა ჩვენებებზე მიუთითა. პოლიციის თანამშრომლებმა სხდომაზე აღნიშნეს, რომ ხუცურაულს საშუალება ჰქონდა, სურვილისამებრ დაეწერა და შეეცვალა ჩვენების შინაარსი, რასაც აკეთებდა კიდეც. მათი თქმით, მომხდარი ფაქტი პირველსავე დღეს მოექცა პრესისა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრში და ვინმეს ხუცურაულზე უკანონო ზემოქმედების სურვილი რომც ჰქონოდა, ამას ვერ განახორციელებდა. განაჩენის მიხედვით, განსასჯელმა ერთ-ერთ მოძალადე პოლიციელად აწ გარდაცვლილი გივი წოწონავა დაასახელა, თუმცა, პროცესზე იგი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ირაკლი ბახტაძეში აერია.

გოგონას მშობლების გარდა, ხუცურაულის დანაშაულზე დაზარალებულის მეზობლებიც მიუთითებენ. მოწმის მურმან ჩუბინიძის ჩვენებით, იმ საღამოს, დაახლოებით 6 საათზე, სადარბაზოში უკანა მხრიდან შევიდა გვერდით კორპუსში მცხოვრები ზურაბ ხუცურაული, 5 წუთში იქიდან ორჯერ საეჭვოდ გამოიხედა, 15 წუთში კი, მეზობლებმა იმავე სადარბაზოში დასისხლიანებული ბავშვი იპოვეს.

სასამართლოზე დაიკითხნენ ხუცურაულის მეგობრები – გოდიშვილი და ციცაგი. სასამართლო მასალების მიხედვით, მათი და ხუცურაულის ჩვენებები ერთმანეთთან მნიშვნელოვან წინააღმდეგობაშია. განსაკუთრებით დიდი სხვაობა განსასჯელისა და მოწმეების მიერ დაფიქსირებულ საათებში აღინიშნება: გოდიშვილისა და ციცაგის თქმით, ხუცურაული მათ 17.45 საათზე დაშორდა და შინისკენ წავიდა, განსასჯელის ჩვენების მიხედვით კი, ეს 14.00 საათზე მოხდა. როგორც გოდიშვილი და ციცაგი ირწმუნებიან, ისინი ხუცურაულს იმავე საღამოს, მეორედ 19.00 საათზე შეხვდნენ. განსასჯელი ამბობს, რომ ამ დროს ისინი უკვე ბიძამისთან იყვნენ მისულები.

განაჩენის მიხედვით, განსასჯელმა ხუცურაულმა თბილისის №5 საპყრობილეში ყოფნისას, 2002 წლის 1-ელ ოქტომბერს თავის ძმას – ლევან ხუცურაულს წერილი მისწერა. წერილში ის ძმას სთხოვს, როგორმე დაიყოლიოს გოდიშვილი და ათქმევინოს, რომ შემთხვევის დღეს, 18 საათისთვის, ისინი უკვე ლოტკინზე, ბიძამისთან იმყოფებოდნენ.

ხუცურაულმა ეჭვმიტანილად დაკითხვის დროს, დანაშაული დეტალურად აღწერა, თუმცა ბავშვისთვის თავში ქვის ჩარტყმა უარყო და განაცხადა, რომ გოგონა თვითონ დაეცა. სასამართლო პროცესზე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა – ირაკლი ბახტაძემ ამის შესაძლებლობა კატეგორიულად გამორიცხა: მისი თქმით, თავის არეში დაფიქსირებული დაზიანება მკვრივი, ბლაგვი საგნის არანაკლებ სამჯერ ჩარტყმის შედეგადაა მიყენებული.

სხვა მტკიცებულებებთან ერთად, კოლეგია ხუცურაულის ტანსაცმელზე აღმოჩენილ სისხლზეც მიუთითებს. ექსპერტიზის თანახმად, სისხლის ჯგუფი დაზარალებული ბავშვის სისხლის ჯგუფს ემთხვევა. სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გოგონას იმ ტანსაცმელზე, რომელიც შემთხვევის დღეს ეცვა, 1 ცალი მცირე ზომის ლურჯი ბოჭკოს მიკრონაწილაკი აღმოჩნდა, იგი ფერითა და მიკროსტრუქტურით ხუცურაულის ლურჯი პულოვერის ბოჭკოს ემთხვევა. მოწმეების ჩვენებით, 2002 წლის 14 სექტემბერს, მას სწორედ ლურჯი პულოვერი ეცვა.

ხუცურაულს ფსიქიატრიული ექსპერტიზაც ჩაუტარდა. სასამართლო-სტაციონარული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, *„იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო, შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის“*. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ იგი ამჟამადაც შერაცხადია.

ყოველივე ამის საფუძველზე, სასამართლო კოლეგიამ პროკურატურის ბრალდებები დაადასტურა და ხუცურაულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. მსჯავრდებულის მხარე განაჩენს არ ეთანხმება და საკასაციო პალატაში საჩივრის შეტანას აპირებს. პროცესზე ხუცურაულის ადვოკატი მის გამართლებას მოითხოვდა და აცხადებდა, რომ ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცებები – პულოვერი და ა.შ. სამართალდამცავებმა გააყალბეს, კერძოდ – იქვე არ დალუქეს და შემდეგ მიასხეს სისხლი. განაჩენის მიხედვით, ჩხრეკის დამსწრე პირებმა კი, პირიქით – სამართალდამცავთა მიერ ნივთმტკიცებების დალუქვა დაადასტურეს. ■

ნანა ქიბიმაური

რეცა ქალი ეშმაკივით შემოვიჭიმება...

რას შემომიჩნდი, ქალო, ეშმაკივითო?! — ეს გამონათქვამი ალბათ ერთ-ერთი უძველესია და შესაძლოა პირველად ადამმაც წარმოთქვა, როცა ევა შეუჩნდა — გინდა თუ არა, იმ ხის ნაყოფი გავსინჯოთ, რომელიც ღმერთმა აგვიკრძალაო. ქალბატონმა ევამ მიზნის მისაღწევად ალბათ ქალური ხრიკებიც გამოიყენა და მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ადამს ედემი არ დააკარგვინა. მას შემდეგ მოთქვამს ძლიერი სქესი: კაცი რომ ქალის ჭკუაზე გაივლის, მისგან ხეირს ნუღარ ელი, თავსაც დაკარგავს და კაი ცხოვრებასაცო, — მაგრამ ბევრიც იწუწუნონ, ასე მოდის ადამ და ევადან და აწიც ასე იქნება. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა რამდენიმე მამაკაცის ნაამბობი მოვისმინე. ისინი გულახდილად ჰყვებოდნენ თავს გადახდენილ ამბებს, — იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს, როცა ქალი კაცს ეშმაკივით შეუჩნდება.

რაფოს ამბავი

„მართალია, რომ ამბობენ, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო. აი, ასეთი „გამწევი“ ქალი აღმოჩნდა ალა. რაც ის გავიცანი, ჩემს „არ მინდას“ მისმა „მინდამ“ ყოველთვის აჯობა.

ავლაბარში დაბადებული და გაზრდილი სომეხი ვარ. ჩემი ხალხის პატრიოტი რომ ვყოფილვარ, ყარაბაღში დატრიალებული ამბების შემდეგ მივხვდი. ტელევიზორს ვერ ვცილდებოდი და მთელ ხელფასს იქაურ ნათესავებთან საუბარში ვხარჯავდი. მერე ფეხსაცმლის სამკერვალო გავხსენი, მაგრამ საქმე არ დაიძრა ადგილიდან. ვალები დამედო, ავლაბრის სახლი გავყიდე და ახალი, შედარებით მოკრძალებული ბინა ისე ვიყიდე, რომ არ გამომიკითხავს, ვინ იქნებოდა ჩემი მეზობელი. როცა გავიგე, რომ ჩემი კარის მეზობელი აზერბაიჯანელი იქნებოდა, მივხვდი, ამ სახლში მოსვენება არ მელირსებოდა და არც შევმცდარვარ. სხვა მეზობლებთან დავიჩივლე – ეს რა ბედი მქონია, თათარი ალას მეზობლობა როგორ ავიტანო-მეთქი?! ვიღაცას ამბავი მიუტანია მისთვის, ახალი მეზობელი ვერ გიტანს და ჯობს, მოერიდოო. გადარეულა ალა, თუ ქალი ვარ, მე მაგას ვაჩვენებ ყარაბაღს და ერევანსო, – დაუქადნია. ერთხელაც მომიკაკუნეს. გავაღე კარი და ალა დგას სპირალგაწყვეტილი „პლიტით“ ხელში: „გაფუჭდა, დენი მარტღამს და შენ იქნებ გააკეთოს“. სამსახურში მაგვიანდება-მეთქი, – ვუთხარი და კარი ცხვირწინ მივუხურე. იმ დღეს ვერაფერი გავაკეთე, სინდისი მქენჯნიდა, ასე რომ მოვიქეცი, თან ცოტა შემეშინდა კიდეც, თვითონ არ დაიწყოს ჩხირკედელაობა და მართლა დენმა არ დაარტყას, სასიკვდილოდ მაინც ცოდოა-მეთქი. შინ მისულს ალა კიბის თავზე დამხვდა. – რაფოჯან, „პლიტა“ გავაკეთე, მაგრამ რომ ჩავრთე, ახლა „სოჩიკი“ დაიზვა, მთელი დღე სიცივეში ვზივარო. ზამთარი იყო და ალას ცხვირი და ხელები მართლა გალურჯებული ჰქონდა. შევაკეთე „სოჩიკიც“ და „პლიტაც“, მაგრამ ალა თავიდან მაინც ვერ მოვიშორე. მესამე დღეს უთოთი მომადგა, მეოთხე დღეს – ყავის მადუღარით; მერე ტელევიზორი გაუფუჭდა, მერე მიქსერი... ორი თვის შემდეგ, მეზობლებში დაიჩივლა თურმე, – ხომ ხედავთ, ხალხო, სამსახურიდან მოსული ჯერ ჩემთან შემოდის, მერე თავის სახლში მიდის, როგორმე მომაშორეთ ეგ კაცი, მე მაგას ცოლად არ გავყვებიო. გავგიჟდი, ეს რომ მითხრეს, როდის ვთხოვე, ცოლად გამომყევი-მეთქი?! მეორე დღეს უარესი ამბავი გავიგე, თურმე მეზობლები ჭორაობდნენ, ალა რაფოსგან არის ფეხმძიმედო. აი, მაშინ კი მივეჭერი სახლში, ვყვიროდი – თუ კიდევ გავიგე, რომ ჩემი სახელი ახსენე, დაგახრჩობ-მეთქი. – აბა, როგორ დამახრჩობო? – აი, ასე-მეთქი, – მივეჭერი და... მე დახრჩობა დავუწყე, იმან – კოცნა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ ამბიდან 9 თვის შემდეგ, ალამ ტყუპი ბიჭი გააჩინა. მე მაინც წინააღმდეგი ვიყავი, ალა და ბავშვები ჩემს ბინაში გადმომეყვანა. ორივე ბავშვი თავის გვარზე დაწერა. ეს, რა თქმა უნდა, არ მსიამოვნებდა. მეორედ ამის გამო ვიჩხუბეთ. ისე გამოიყვანა წონასწორობიდან, ისევ ვეცი და დახრჩობა დავუპირე. 9 თვის შემდეგ, ახლა გოგო გააჩინა. რაღას ვიზამდი? – გადმოვიყვანე ჩემთან საცხოვრებლად ცოლ-შვილი და ბინაც გავაერთიანეთ. ახლა ისევ მიშლის ნერვებს, შემომიჩნდა, გინდა თუ არა „ნაციონალებში“ გაწევრდი და სახელოსნო გააფართოვეო. ახლა ეს აიჩემა, დასახრჩობია, მაგრამ თავს ვიკავებ, მაქვს მე მეოთხე შვილის შენახვის თავი?..“

„რემბოს“ ამბავი

„ეს მეტსახელი ფილმ „რემბოს“ გამოსვლის შემდეგ შემარქვეს. 12 წლიდან ვვარჯიშობდი და თავის დროზე პერსპექტიულ მოჭიდავედაც ვითვლებოდი. ვცხოვრობდი ჩემთვის მშვიდად, ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურებოდი, ბავშვებს ვავარჯიშებდი. შემიჩნდა ცოლი: რა დროს ჭიდაობაა, ვინ ცხოვრობს დღეს საქართველოში სპორტით, დროა, ჩვენც ბიზნესი წამოვიწყოთო. ვეუბნებოდი – დამანებე, ქალო, თავი, არ არის ბიზნესი ჩემი საქმე-მეთქი. მაშინ მე წამოვიწყებ, შენ უბრალოდ „ფონი გამიკეთე“, სადაც წავალ, გამომყევი, ჩემ გვერდით ასეთ დაკუნთულ კაცს რომ დაინახავენ, საქმე ცუდად არ წავაო. დღე და ღამე ერთსა და იმავეს მეუბნებოდა და ბოლოს თავისი გაიტანა. წამოვიწყეთ ბიზნესი. ორი ჯიხური და ერთი აფთიაქი ჩამადგმევინა. ხან ბაზრობაზე დამარბენინებდა, ხან სხვა ბიზნესმენების ოფისებში; ხან თურქეთში ვიყავი, ხან ბათუმში. უკან კი დავყვებოდი, მაგრამ აზრზე არ ვიყავი, რას და როგორ ანგარიშობდა. ერთხელაც შინ გახარებული მოვიდა. ახალი საქმე გამოჩნდა, მე და შენ მაგარი ბიზნესი უნდა დავატრიალოთო – სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა. ხვალ ერთ პატივსაცემ კაცს შევხვდებით, მთავარია, რასაც გეტყვის, შენ ყველაფერზე თავი დაუქნიო. კი დავეთანხმე, მაგრამ ისე მქონდა ეს უაზრო წანწალი მობეზრებული, რომ მიზეზს ვეძებდი, ცოლი „ბიზნესვუმენობის“ ტვირთისგან გამეთავისუ-

ფლებინა. დილით საგანგებოდ გამოიპრანჭა, ერთი საათი იტრიალა სარკის წინ. მივედით ვინმე ბატონი თენგიზის ოფისში. შევატყვე, ჩემი დანახვა მაინცდამაინც არ გაუხარდა. მე მდივანთან დამტოვა, ჩემი ქალბატონი კი ხელკავით შეიყვანა კაბინეტში. ითათბირეს და რომ გამოვიდნენ, მაშინ ჩამომართვა ხელი — მე თქვენთვისაც შემიძლია, სამუშაო ადგილი გამოვნახო, „ბელა-სეტას“ დისტრიბუტორად თუ იმუშავებთ, მშვენიერი ფურგონები გვყავს, შესაბამისი დიზაინით გაფორმებულიო. ვიფიქრე, ეს „ბელა-სეტაც“ რომელიმე შოკოლადის სახელია-მეთქი. იხტიბარი არ გავიტეხე და ვუთხარი: — ეს მართლაც საუკეთესოა, რაც კი ოდესმე გამისინჯავს-მეთქი. ყურადღებით დამაკვირდა, მე კი სასწრაფოდ დავემშვიდობე. ცოლი დავიმარტოხელე თუ არა, ვკითხე: „სნიკერსი“ გამიგია, „ტვიქსი“ გამიგია, ეს „ბელა-სეტა“ რაღაა, მანქანებზე რომ დაუხატავთ-მეთქი? როცა მითხრა, რომ ქალის ჰიგიენური პაკეტი იყო, ტვინში სისხლმა ამასხა. მივბრუნდი ოფისში და რაც იქ მსხვრევადი და მტვრევადი იყო, ყველაფერი დავლეწე. წამიყვანეს პოლიციაში. ბიზნესმენობით ნაშოვნი ფული საკმარისი არ აღმოჩნდა ჩემს დასახსნელად და დღემდე ნაწილ-ნაწილ ვისტუმრებ პროცენტიან ვალს.“

ზარმაცი ავთოს ამბავი

„როგორც ყველა ნაბოლარა შვილს, მეც მანებივრებდნენ. სანამ დავოჯახდებოდი, დეტექტივების კითხვის მეტი არაფერი მიკეთებია, წამოვკოტრიალდებოდი კაკლის ჩრდილში და შერლოკ ჰოლმსისა და პუაროს ამბებით ვირთობდი თავს. რაიონშიც ყველა, „ზარმაც ავთოს“ მეძახდა, სამაგიეროდ, ცოლი მოვიყვანე ყოჩაღი. ქუსლებიდანაც ნაპერწკლებს ყრიდა და თვალებიდანაც. შვილი რომ გვეყოლა და წამოიზარდა, მასაც „ზარმაცოვიჩი“ შეარქვეს. ეს ძალიან არ სიამოვნებდა ჩემს მეუღლეს. — ადექი, სადმე დაიწყე მუშაობა, რომ ბავშვს მეტსახელი არ შერჩესო, — ვითომ მხოლოდ ამიტომ უნდოდა ჩემი მუშაობის დაწყება. ბევრი ვიფიქრე, სად იყო ჩემთვის შესაფერისი სამსახური და ბოლოს არჩევანი „სახანძროზე“ შევაჩერე. დილით გავდიოდი, საღამოს მოვდიოდი, რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ... ერთხელაც, ირმა თვალცრემლიანი დამხვდა. ხომ არ შეიძლება, მთელი ცხოვრება მამამთილის პენსიას ვუცდიდე, ჩემი ძმა ნაზრანში მიდის სამუშაოდ და შენც მასთან ერთად წადიო. ჩეჩნეთის ომი ჯერ დაწყებული არ იყო. იქ მართლაც ბევრი ქართველი მუშაობდა მშენებლობაზე. ძალიან არ მინდოდა, სახლს და ოჯახს მოვცილებოდი, მაგრამ საკითხი ასე დამისვა: ან შენ წახვალ, ან მე დავტოვებ ბავშვთან ერთად ოჯახსო. აი, ასე ძალისძალად გამაგდეს სახლიდან. ჩეჩნეთში ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩინოსნის სახლში დავბინავდით. ნახატებს გვიჩვენებდა — აი, ასეთი სახლი ამიშენეთ და რამდენსაც მეტყვით, იმდენს გადაგიხდითო. 4 თვე ვიმუშავეთ, ფული კი გადაგვიხადა, მაგრამ წამოვედით თუ არა, თავისი ხალხი დაგვაწია გზაში, ფულიც წაგვართვეს და კარგადაც გვცემეს. ორი ნეკნი გამიტეხეს. სახლში გავაგებინე ჩემი ამბავი, იქიდან კი მეუღლის პასუხი ჩამომიტანეს: შენი არაფერი მჯერა, მუშაობა გეზარება, არ ჩამოხვიდე, თუკი ფულს არ ჩამოგვიტანო. გული ისე მეტკინა, მართლა აღარ მინდოდა შინ დაბრუნება. ერთი თვის განმავლობაში ქართველი ბიჭები მივლიდნენ და მარჩენდნენ კიდეც. მერე კიდევ ახალი საქმე გამოჩნდა, რკინიგზის ახლოს სახლის აშენება დავიწყეთ და დაიწყო კიდეც რუსეთ-ჩეჩნეთის ომი. რუსებმა პირველად რკინიგზა დაბომბეს. ისეთი ამბავი იყო, თავს ზემოთ ვერ ვწევდით. მე მხარში დავიჭერი, ქალაქიდან მოსახლეობა იხიზნებოდა, ჩვენი მშენებარე სახლის პატრონი კი არსად ჩანდა. არც ფული გვქონდა, არც პური... 3 ქართველი ვიყავით ერთად, ორი კვირის განმავლობაში ქალაქიდან გამოსვლა ვერ მოვახერხეთ. საზღვრამდე დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ. იქაც ფულს გვთხოვდნენ, ფული კი არ გვქონდა. მერე ვიღაც ღვთისნიერი კაცი გამოჩნდა, ტაქსის მძღოლი იყო, დახმარებას შეგვპირდა. შეთანხმებისამებრ დილის 6 საათზე შევხვდით, მაგრამ ის კაცი საქართველოში გადმოყვანას სხვებსაც შეჰპირებია. ის სხვებიც მოვიდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. მოგვერივნენ. მე რას ვიჩხუბებდი? დაჭრილი ვიყავი. ცოცხალმკვდრები დაგვტოვეს თოვლზე. გრძნობაზე რომ მოვედი, ისევ თოვლით გვზელდნენ. გაყინულები ვიყავით. დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ საქართველოში გადმოსვლა. შინ ორმა კაცმა შემიყვანა საკაცით. ისეთი გამხდარი ვიყავი, საკუთარმა შვილმა ვერ მიცნო. ჯანმრთელი გაგიშვი და ინვალიდი დამიბრუნდიო, — ტირილით თავს იკლავდა ირმა, — ყოფილიყავი სახლში და გემუშავა იმ დასაწვავ „სახანძროში“, რას გერჩოდიო... წელიწად-ნახევარი ვიავადმყოფე, მერე კი, გამოვჯანმრთელდი და მართლა დავიწყე მუშაობა. ახლა „ზარმაცოვიჩიც“ წამომეწია სიმაღლეში. ცოლი აღარ მემდურის, ყველაფერი კარგად არის, მაგრამ იმ დღეებმა მაინც თავისი კვალი დააჩნია ჩემს ცხოვრებას“.

ჭინკას ფარანის ამბავი

„მე ახლა 80 წელს ვარ მიტანებული, მარიემი კი 14 წლის იყო, თიანეთის მაზრიდან რომ მოვიტაცე, დავკარი ცხენზე და მთაში ავიყვანე. 5 შვილი გვყავდა. რით უნდა ეთამაშათ მაშინ ბალღებს? ხისგან ვუთლიდით სათამაშო ხმლებსა და ცხენებს. ერთხელაც შემიჩნდა მარიემი: — ეშმაკიან ხევის სათავეში დაბანაკებული გეოლოგები აყრილან, ბარში ბრუნდებიან და რაც არ სჭირდებათ, ადგილზე ტოვებენო. დილიდანვე დაიწყო მეზობლების მოხერხებულობა-ალღოიანობაზე საუბარი და აღარ გაჩერდა: გიორგიმ ისეთი სათვალე ჩამოუტანა შვილებს, მზის შუქს რომ იჭერსო, ელიზბარმა — სასტვენი, ლუხუმმა — კომპასი... იქნებ, შენც გაინძრე, ახვიდე ხეობაში და ბალღებს რაღაც ჩამოუტანოო. — დაღლილი ვარ, ქალო, თავი დამანებე-მეთქი, — ვუთხარი, მაგრამ ვერ შევასმინე, მთელი დღე პირუკუღმა მელაპარაკებოდა. საღამოს კი ველარ გავუძელი და ეშმაკიან ხევის გზას დავადექი.

დაუჯერებელ ამბებს ჰყვებოდნენ ამ ხევის შესახებ სოფლის უხუცესები და ახალგაზრდებს გვაფრთხილებდნენ: მზის ჩასვლის შემდეგ ამ ადგილას გავლას მოერიდეთ, თორემ ავსული აგყვებათო. ეს ავსული თურმე პაპაჩემის მონაგარს მტრობდა განსაკუთრებით. ძველი ანგარიში ჰქონია ჩვენთან. პაპაჩემი შეჰყვარებია. ნადირობიდან მობრუნებულს დახვდებოდა თურმე ხევის სათავეში და სთხოვდა — ნადირის ტყავი მომეცი, მათრახის დასაწნავად მინდაო. ძალიან

"ვიაგრა" ქალისთვის ყფრო ხთფლი დასამზადებელი აღმოჩნდა

ამერიკულმა ფარმაცევტულმა კომპანიამ „პფაიზერმა“, რომელმაც სახელი გაითქვა მამაკაცური იმპოტენციის საწინააღმდეგო ყველაზე ცნობილი საშუალების – „ვიაგრის“ შექმნით, შეწყვიტა გამოკვლევები ამ პრეპარატის ქალებისთვის შესაძლო გამოყენების შესახებ. როგორც კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი კერენ კეიტენი აცხადებს, წლების განმავლობაში მიმდინარე ცდებმა, რომლებშიც 3 ათასამდე ქალი მონაწილეობდა, არანაირი შედეგი არ გამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში საუკეთესო სპეციალისტები და უზარმაზარი თანხები იყო ჩართული. ექსპერტების აზრით, „ვიაგრას“, რომელიც საკმაოდ ხანდაზმულ მამაკაცებსაც კი ეხმარება „მეორე ახალგაზრდობის“ აღმოჩენაში, არა აქვს ასეთივე ზემოქმედება ქალებზე, რადგან სექსის ქალისეული აღქმა გაცილებით რთული ყოფილა და გაცილებით მეტადაა დამოკიდებული ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ფაქტორებზე. ქალებისთვის „ვიაგრის“ შექმნაზე დღესდღეობით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 10 მსხვილი ფარმაცევტული კომპანია მუშაობს.

კმაყოფილი ხალხთ თფ... ხელჩაქნეფლი

ავსტრიაში ძალზე უჩვეულო გამოკვლევა ჩაატარეს. 50 წელზე უფროსი ასაკის ყველა ადამიანი პირობითად დაყვეს ჯგუფებად. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი (30%) – „კმაყოფილთა“ ჯგუფია. ეს ძირითადად, მეოჯახე ხალხია. ისინი ბევრ დროს უთმობენ შვილებსა და შვილიშვილებს, კომუნიკაბელურნი და შედარებით ხელმომჭირნეები არიან.

მეორე – „მეზღვაურები“ (16%) ცხოვრებისგან ყველაზე საუკეთესოს იღებენ და ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს. „მეზღვაურები“ ცხოვრების აქტიურ სტილს მისდევენ, ვარჯიშობენ, ზოგიერთი მათგანი კი, შვილიშვილებზე ხშირად სარგებლობს ინტერნეტით.

მესამე კატეგორიას „ცნობისმოყვარეთა“ ჯგუფი შეადგენს. მათი მთავარი თვისება თვითდამკვიდრება და თვითგანვითარებაა. თავისუფალი დროის ძირითად ნაწილს მუზეუმებში, თეატრებსა და გამოფენებზე ატარებენ. ისინი უკვე შორს არიან ყოფილი პროფესიული მოღვაწეობისგან და რაღაც ახლისკენ აქვთ გეზი აღებული. როგორც წესი, მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან.

ღამაზი ყოფილა ის ჭინკა. პაპაჩემი უარს ვერ ეუბნებოდა. ისხდნენ თურმე მთელი ღამე და სამათრახე ტყავს ჭრიდნენ და წნავდნენ. ჭინკა ქვესკნელის ამბებს უყვებოდა, პაპა საგმირო ამბებს. ერთხელაც ვერ მორიგებულან და ჭინკას მათრახი გადაურტყამს პაპისთვის. წარბგახეთქილი დაბრუნებულა შინ. სიკვდილამდე ეტყობოდა თურმე ნაიარევი. მე რომ დავბადებულვარ, პაპაჩემისნაირი იარა მქონია წარბთან და ძალიან მიფრთხილდებოდნენ თურმე, ბალღს რამე არ მოსწიოს ავსულმაო. ეს ყველაფერი ადრე სიცილად არ მყოფნიდა, მაგრამ ხევს რომ მივუახლოვდი და უკუნეთ სიბნელეში აღმოვჩნდი, რატომღაც გამახსენდა. მერე რაღაც შარიშურის ხმა შემომესმა, მერე – ხმადაბალი სტვენის; მერე თითქოს სუნთქვის ხმა მომიახლოვდა ზურგიდან და... ვიგრძენი, კეფიდან თმა როგორ ამებურძგნა. გეოლოგების სადგომამდე 5 წუთის სავალი გზა იყო დარჩენილი. ისევ მომესმა ხმადაბალი სტვენის ხმა. სწრაფად მივტრიალდი ზურგისკენ და სასოწარკვეთილმა დავიძახე: „ჰაიტ!“ არავინ და არაფერი ჩანდა. უცებ რაღაც საშინელი შუქი დამეცა, თვალებზე ავიფარე ხელი, უცებვე მოვიცილე და... ისევ უკუნეთში ვიდექი. აბა, ბეწინავ, აქ უნდა ივარგო, თორემ კერიასთან ყველა მაგარია-მეთქი – გავიმხნევე თავი, მაგრამ მუხლებში შემჯდარ კანკალს რას მოუხერხებ?! უცებ, ჩუმი სიცილი შემომესმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ვიგრძენი, ვიღაც თუ რაღაც მიახლოვდებოდა. აი, მაშინ კი დავიღრიალე და მოვკურცხლე. გეოლოგების ნასახლარს რომ მივაღწიე, შევნიშნე, ცეცხლი ბჟუტავდა. არაფერი გამხარებია ისე ძალიან ცხოვრებაში, როგორც იმ ცეცხლის დანახვა. ვიცოდი, ჭინკას ცეცხლის რომ ეშინოდა. ცოტა სული მოვითქვი და უცებ მესმის: – თუ ასე გეშინია, უდროო დროს რატომღა დადიხარო? ელდანაკრავივით მოვიხედე და რას ვხედავ? – ჩემ უკან არ ატუზულა? ქალია, მაგრამ ისეთი შავია, მარტო თვალის კაკლები და კბილები უელავს თეთრად, შალშია გახვეული და კლანჭების დასაფარავად ხელთათმანები აცვია. ერთ ხელში პატარა ქვაბი უჭირავს, მეორეზე კი... მათრახი აქვს გადახვეული. გვერდით მომიჯდა, სახელი მკითხა, ქვაბი ნაკვერჩხლებზე დადგა. ადამიანის ენით მელაპარაკება, მეც ვპასუხობ, მაგრამ რას – არ ვიცი! მერე მკითხა, თუთუნი ხომ არ გაქვსო? კი-მეთქი. გაახვია, მეც გავახვიე და ვაკვირდები, ახლა რა მოხდება. ცეცხლი ხომ უნდა მოუკიდოს? დასწვდა ნაკვერჩხალს ხელით და მოუკიდა. ერთადერთი გზაღა დამრჩა, რომ გამერკვია, ადამიანთან მქონდა საქმე თუ ჭინკასთან: ფეხი უნდა შემემოწმებინა. ჭინკას ფეხებზე ხომ თხის ჩლიქები აქვს. არადა, ვხედავ, სწორედ ფეხებს მალავს საგულდაგულოდ. უცებ მეუბნება: – ბეწინა, ჩუმად რატომ ხარ? მომიყევი შენი წინაპრების საგმირო საქმეები, მე კი ჩემს ამბებს გიამბობო. აქ კი მიმტყუნა ნერვებმა: ჰაიტ, შე მაცილომეთქი, – შევძახე ომახიანად და ფეხში ვწვდი – ჯერ ერთში, მერე მეორეში. თხის ჩლიქები კი არ ჰქონდა, მაგრამ როცა ფეხზე წამოდგა, მათრახი ისე გადამიჭირა, როგორც იმ ჭინკამ პაპაჩემს: – არ გრცხვენია, მთიელი კაცი მთაში ამოსულ სტუმარს ასე უნდა მოექცესო? იმ ქალს თამარი ერქვა. გეოლოგების ნაწილი დილით წასულა ბარისკენ, ნაწილი კი შუადღისას. თამარს, ხეობაში თავისივე ზურგჩანთით წასულს, ფეხი უტკენია და რის ვაი-ვაგლახით მიუღწევია ნასახლარამდე. არავინ მოისაკლისებდა, რადგან პირველ ჯგუფს მეორეში ეგონა, მეორეს – პირველში. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. გახეთქილი წარბი მტკიოდა. არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა თამარისთვის რომ მოძალადე არ ვიყავი, მაგრამ ხომ ვერ ვეტყოდი – ფეხებს იმიტომ გისინჯავდი, მაინტერესებდა, ჩლიქები ხომ არ გქონდა-მეთქი?! თვითონაც ამ საკითხზე აღარაფერი უთქვამს. დილით ავიკიდე მისი ზურგჩანთა და ყურებჩამოყრილმა ჩავაცილე ბარამდე. დამშვიდობებისას თავისი ფარანი მაჩუქა – სწორედ ის ფარანი, რომელიც გზად მიმავალს სახეში შემომანათა და შიშის ზარი დამცა. შინ მიბრუნებულს მარიემმა რომ შემომხედა, ლოყა ჩამოიხოკა: – მითხარი, რა გჭირსო. – აი, ქალის ჭკუაზე რომ გავიარე, ის დამემართა, რაც პაპაჩემს, მაგრამ დუმილის აღთქმა დამადებინეს და ვერაფერს გეტყვიმეთქი. ის დღე იყო და ჩემს ოჯახობას ახირებული სურვილი აღარასოდეს გასჩენია. ჭინკას ფარანი კი – როგორც თამარის საჩუქარს შეარქვა ჩემმა ოჯახმა – სათამაშოდ არ გამოდგა, რადგან მისთვის ხელის ხლებას ჩემს მეტი ვერავინ ბედავდა. აი, ასე უნდა დააყენო კაცმა ოჯახში საქმე!

■



„ნიკოლშოუ“ — ანუ ოთხი ძმა ერთ ადამიანში ერთიანდება. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ მამაჩემს — ვარლამ (ლალი) ნიკოლაძეს. ამ ერთ ადამიანში თავმოყრილია: პატიოსნება, წესიერება, არაჟარგონით ლაპარაკი, ნიჭიერება, ქუჩურობაცა და ბევრი იუმორი“, — ასე ახასიათებდა მამას შარშან, ჩვენში უკვე კარგად ცნობილი „ნიკოლშოუს“ ერთ-ერთი წევრი სანდრო ნიკოლაძე „გზისთვის“ მიცემულ ინტერვიუში (2003 წ. №28). მსახიობსა და რეჟისორზე, თეატრზე ფანატიკურად შეყვარებულ კაცზე მაშინ, მისი ოთხი შვილის მეშვეობით მოგითხრობდით. ამ დღეებში კი, ბატონი ლალი თბილისში გახლდათ ჩამოსული, მასთან ინტერვიუ თურქეთში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩავწერეთ და სანამ გავეცნობოდეთ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტს შეგახსენებთ: ლალი ნიკოლაძე სამშობლოდან მას შემდეგ წავიდა, რაც რუსთაველის პროსპექტზე ქართველები დაუპისპირდნენ ერთმანეთს. დღეს ის იზმირის უნივერსიტეტის თეატრალურ ფაკულტეტზე მოღვაწეობს, აქვს საკუთარი თეატრი და მის მიერ თურქულ ენაზე ნათარგმნ ქართულ პიესებს დგამს. დანარჩენს თავად მოგვითხრობს.

ლალი ნიკოლაძის Turquli odisea da winadadeba axal qarTul xelisufleba

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო ლალი, სანამ თურქეთზე ვისაუბრებდეთ, თუ შეიძლება, 1990 წელი გახსენეთ, როდესაც თბილისში საკმაოდ ორიგინალური თეატრი გახსენით. მაშინდელი პრესა მას „ჰუმანურს“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ ასეთ თეატრს მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება...

— პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ, მე ვიყავი კაცი, რომელსაც უყვარდა რეჟისურა, თეატრი. ვფიქრობდი, რომ საბჭოთა სახელმწიფო თეატრს ჰქონდა რაღაც ნაკლი, რომელიც უნდა აღმოფხვრილიყო და მის ადგილზე ახალი აშენებულიყო. ქართველ მსახიობებთან და თეატრალურ მოღვაწეებთან (მათ შორის იყვნენ: ლეო ანთაძე, თენგიზ მაისურაძე, ელენე ყიფშიძე, ბესარ მონავარდისაშვილი, გოგი ჩლაიძე, ბესო ხიდეშელი, გურამ გოგოლაშვილი) ერთად გადავწყვიტეთ, საინტერესო, უჩვეულო თეატრი გაგვეხსნა. ამისათვის 5 ათასამდე უსინათლო და ყრუ-მუნჯი ადამიანი შევარჩიე. მათთან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, გამოიკვეთა განსაკუთრებული თეატრალური ნიჭით დაჯილდოებული 4 უსინათლო და 8 ყრუ-მუნჯი. მათ არ იცოდნენ, რა იყო თეატრი, არც არასოდეს ყოფილან სპექტაკლზე. მაგრამ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, დავდგით სპექტაკლი, რომელიც საოცრება იყო: ვერავინ არჩევდა მათ სხვა მსახიობებისგან!.. ამან დიდი რეზონანსი გამოიწვია. მოდიოდნენ ჩვენთან დელეგაციები, მეცნიერი ფსიქოლოგები, რომლებსაც აინტერესებდათ და სურდათ შეესწავლათ, თუ რა ფსიქოლოგიური ცვლილებები მოხდა ამ ადამიანებში... დარბაზში პირველი ორი რიგი უსინათლოებისთვის იყო, ხოლო მე-14, მე-15 რიგები ყრუ-მუნჯებისთვის იყო გამოყოფილი. რატომ? თურმე, პირველ 2 რიგში მჯდომი უსინათლო, მსახიობთა მოძრაობების მიხედვით აღიქვამს სცენაზე მომხდარს, ყრუ-მუნჯი კი, მე-14 ან მე-15 რიგში უნდა იჯდეს, რადგან იქიდან მისი მხედველობის არეში მთელი სცენა ჩანს, იმ ადამიანის ჩათვლით, რომელიც კუთხეში ზის და მისთვის ჟესტების ენაზე თარგმნის პიესის ტექსტს... ეს, როგორც სცენაზე მდგომი უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯებისთვის, ასევე დარბაზში მსხდომი 50 ადამიანისთვის მეორედ დაბადება იყო...



— შევარდნაძის მოსვლის შემდეგ, „ზვიადისტად“ მოგიხსენიებდნენ, შემდეგ გდევნიდნენ კიდეც, თუმცა, თეატრალურ საქმიანობას მაინც განაგრძობდით. როდის და რა კონკრეტული მიზეზების გამო წახვედით საქართველოდან?

— მართლაც, არეული და რთული დრო იყო. დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობდით ახალგახსნილ თეატრში. 2 წლის განმავლობაში, ხან ვის სახლის სარდაფში, ხან ვის სხვენზე და ხან რომელი დაწყებითი სკოლის სპორტდარბაზში ვატარებდით რეპეტიციებს. სამი სპექტაკლი დავდგით: მიუზიკლი „პანორამა“, მერაბ ელიოზიშვილის „უზუნდარა“ და მოსკოველი ავტორების პიესა — „ბიჭების პალატა“. მოვიპოვეთ გრიბოედოვის თეატრში მუშაობის უფლება. ერთხელ, სატელევიზიო ინტერვიუში ვთქვი: მიხარია, რომ როდესაც ქუჩაში ისვრიან და ერთმანეთს ეომებიან, ჩვენს თეატრში 80%-იანი დასწრებაა-მეთქი. ამ დროს, სხვა თეატრები პროტესტის ნიშნად, სპექტაკლებს ხსნიდნენ და ამას პოლიტიკურ აქციას უწოდებდნენ. მე კი, რომ არ მოვხსენი, იმიტომ დამიძახეს — აი, „ზვიადისტიაო“!.. არასოდეს „არავისტი“ არ ვიყავი, ყოველთვის „თეატრისტი“ ვიყავი. სხვა საქმეა, როდესაც ვიღაცის იდეები მოგწონს და ვიღაცის — არა და ცდილობ, ამ იდეის განხორციელებაში დაეხმარო... ის კაცი სიმართლეს ლაპარაკობდა, გარკვეული, გავლენიანი ნაწილი კი არ ეთანხმებოდა. მე ამ

მართალი კაცის გვერდზე დავდექი და მომაკერეს „ზვიადისტობა“. ზვიად გამსახურდიას დროს, ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე იყო. 300.000 საბჭოთა მანეთის დოტაცია მოგვცა; პრემიერ-მინისტრ ბესო გუგუშვილის გადაწყვეტილებით, ჩვენი თეატრი მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში უნდა გადასულიყო. რეზოლუციის დადებიდან ორ კვირაში შემოვარდა საქართველოში ხუნტა და ყველაფერი ეს წყალში გადაიყარა. პირველი, რაც გააკეთეს – ეს „ზვიადისტი“ ნიკოლაძის თეატრი არ არისო? – გამოყარეს დეკორაციები და დაწვეს... მე სახლში ჩავიკეტე. 6-7 თვის შემდეგ, მომადგნენ კოლეგები და მითხრეს – აღვადგინოთ თეატრიო, – მაგრამ ჩვენს საბუთებს ვერსად მივაკვლიეთ. გვითხრეს – ეს მთავრობა იმ მთავრობის გადაწყვეტილებას არ ცნობსო. ჰოდა, მეც ვთქვი – არც მე გცნობთ ამ მთავრობას-მეთქი, – და იძულებული გავხდი, საქართველო დამეტოვებინა. ეს იყო 1992 წელს. 12 წელია, თურქეთში ვარ.

— მოგვიყევით თურქეთში თქვენი ემიგრაციის პირველ წლებზე. თავიდან თუ დაგეხმარათ ვინმე?

– არ ვიცი, ამას ემიგრაცია ჰქვია თუ არა, მაგრამ თავიდან, თურქეთში არავინ არაფერში დამხმარებია, პირიქით – შეიძლება ითქვას, ბჭყალებით, კბილებით, ფრჩხილებით ვიბრძოდი... პირველ ხანებში, მაღაზიაში დამლაგებლად ვმუშაობდი, მერე – მომღერლად ბარში. ამასობაში, თურქულიც ვისწავლე. იოლი სასწავლი ყოფილა. მერე თარჯიმნად ვმუშაობდი და თურქეთის სახელმწიფო თეატრების გაერთიანების უფროსმა აღმომაჩინა. გაგონილი ჰქონდა ჩემი სახელი და გვარი. ამიყვანეს თურქეთის სახელმწიფო თეატრში რეჟისორად. ცოტა ხანში დავდგი რამდენიმე სპექტაკლი, მაგრამ დიდად კმაყოფილი ვერ დავრჩი. 1996 წლიდან სახელმწიფო თეატრების სისტემაში, იზმირში დავიწყე მუშაობა. უნივერსიტეტის თეატრალურ ფაკულტეტზე მსახიობის ოსტატობას ვასწავლი.

ჩემი „თურქული“ თავგადასავალი ტრაპიზონში დაიწყო, დამლაგებლობით...

— ვიცი, რომ დავით კლდიაშვილი თარგმნეთ თურქულ ენაზე და ახლა თურქულ თეატრში იქაური მსახიობები თურქულად თამაშობენ ქართულ პიესებს. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

– ჩემი „თურქული“ თავგადასავალი ტრაპიზონში დაიწყო, დამლაგებლობით და ბარში სიმღერით. უთეატროდ დარჩენილმა დიდხანს ვერ გავძელი. მე ავად ვარ თეატრით, როგორც ნარკომანს სჭირდება ნარკოტიკი, ისე მჭირდება საარსებოდ თეატრი, სხვანაირად არ შემიძლია... იქ გავიცანი ერთი კაცი – ნეჯათ ზენგილი. ზენგილი თურქულად მდიდარს ნიშნავს, მაგრამ მას არავითარი სიმდიდრე არა აქვს, თეატრის სიყვარულის გარდა. პროფესიით ფიზიკოსია. მე ყოველთვის მქონდა რაღაც შმაგი იდეები და ერთ-ერთი ასეთი იდეის გაჩენისას, ნეჯათთან ერთად გადავწყვიტე, გამოგვეკრა განცხადება: „ვაყალიბებთ თეატრს“. ვფიქრობდით – ვნახოთ, აბა, ვის უნდა?.. მოვიდა ასი კაცი. ასივე ავიყვანეთ. ვასწავლიდით ერთი წლის მანძილზე მსახიობის ოსტატობას. ისეთი კურსი გაიარეს, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებსაც რომ შეშურდებოდათ. 2-3 თვეში ერთხელ, გამოცდებს ვუტარებდით. საბოლოოდ, 15 კაცი დარჩა. სულ ვფიქრობდი – რა დამედგა და როგორ დამედგა? თურქული უკვე კარგად ვიცოდი და ერთ გოგონასთან ერთად, რომელმაც საშუალოდ იცოდა რუსული, გადავთარგმნეთ დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. ჩვენი თეატრი, რომელიც ახლა 10 წლისაა, „დარისპანის გასაჭირით“ გაიხსნა. იმ პერიოდში, საქართველოში ჩამოვედი. ბათუმში ჩემს მეგობართან – დრამატურგ შოშია (ალექსანდრე) ჩხაიძესთან მივედი. მითხრეს – დღეს ხომ 14 იანვარია – ქართული თეატრის დღე, მას თეატრალური საზოგადოება რესტორანში აღნიშნავსო. გამიხარდა: ვიფიქრე – მივალ და ყველას დავპატიჟებ ჩემს სპექტაკლზე-

მეთქი. მივედი, მაგრამ ატყდა ერთი წიოკი – კიოდნენ, მაგინებდნენ... ეს ყველაფერი ვიდეოზეა გადაღებული. რა ექნათ? – შევარდნაძე უყვარდათ, მე კი – არა. ახლა სხვანაირად ლაპარაკობენ, მაგრამ მაშინდელ პრესაშიც დაიბეჭდა: „როგორ შეიძლება, ასე მოექცე კაცს, რომელმაც თურქეთში „დარისპანის გასაჭირი“ დადგა?..“ დღეს შემიძლია გახაროთ, რომ თურქეთის რამდენიმე ქალაქის თეატრალურ სასწავლებელში პროგრამაში შეიტანეს დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“. ამ დროს, უკვე სხვა ნაწარმოებებიც მქონდა ნათარგმნი, კერძოდ, ოტია იოსელიანის – „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელიც შემდეგ, იზმირში დავდგი, აგრეთვე, შალვა დადიანის „გუშინდელნი“, რომელიც ასევე დავდგით და დღემდე გადის. ახლა „ყვარყვარეზე“ ვფიქრობთ. ისიც ნათარგმნი მაქვს, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როდის გავაკეთებ. სულ 7 პიესა მაქვს ნათარგმნი და წიგნად მინდა გამოვცე. ჩვენი თეატრი ჯერჯერობით კერძოა, მაგრამ იმედი გვაქვს, მალე მუნიციპალურ თეატრად ჩამოყალიბდება. ბევრი გეგმა მაქვს, მაგრამ ჩემი ჯიბე ყველაფერს ვერ სწვდება.

— ბატონო ლალი, უპრეცედენტო რამ გაგიკეთებიათ — ტელევიზიით საქართველოში მომხდარ ახალ ამბებს ქართულად გადასცემდით...

ჩვენი თეატრი, რომელიც ახლა 10 წლისაა, „დარისპანის გასაჭირით“ გაიხსნა

— ჩემი საკუთარი სახსრებით ტრაპიზონში ვიყიდე დრო სატელევიზიო არხზე. კვირაში ერთხელ, ეთერში გადიოდა ახალი ამბების ერთსაათიანი ქართულენოვანი გამოშვება, რომელსაც მთელი შავიზღვისპირეთის მაყურებელი იღებდა. დღემდე არ ვიცი, თურქულ კა-გე-ბეს როგორ გადავურჩი: იქ ამისთვის იჭერენ. ახალ ამბებს ვუსმენდი რადიო „თავისუფლების" ეთერში, ვიწერდი და დილით გადავცემდი ქართულად; ვმღეროდი ქართულ სიმღერებს და ვუჩვენებდი „სუხიშვილების" 3-4 ცეკვას. მერე ფინანსურად ვეღარ აუვედი და შევწყვიტე.

— თუ გქონიათ ისეთი სიტუაცია, როდესაც გითქვამთ: აი, ცხოვრება დამთავრდაო?..

— ეს მოხდა 90-იან წლებში, როცა გადავწყვიტე, რომ ცხოვრება აღარ ღირდა და გარეთ აღარ გამოვდიოდი. ინტერვიუზე ბი-ბი-სიმ მომაკითხა. ვიჯექი ჩაბნელებულ ოთახში. ეს ინტერვიუ ალბათ, კა-გე-ბეს არქივში იქნება შენახული... მაინ ვთქვი — რაც ახლა ხდება, ამის გამოსწორებას 30 წელი დასჭირდება-მეთქი. ჯერ 10 წელი გავიდა...

ისინი ჩემი შვილები არიან და მიხარია, რომ ისინი ახლა, ერთ მუშტად შეკრულნი ცხოვრობენ

— ალბათ ფიქრობთ, რომ ნებისმიერი საზოგადოება ინდივიდუალობის მტერია და თქვენც, როგორც თავისუფალი ადამიანი, მის მიერ დადგენილ ჩარჩოებში არ ჩაჯექით...

— ჩარჩოები მართლაც, არსებობს. ჩვენც ჩარჩოებში ვიყავით მოქცეული. საბჭოთა კავშირის დროს, ამერიკაში მოვხვდი. ეს ჩემი ოცნების ასრულება იყო... ქუჩაში მარტო დავსეირნობ და უეცრად ერთი გამვლელი მეკითხება — ხომ არაფერი გიჭირსო?.. მერე იგივე კითხვა ჩემმა მასპინძელმაც დამისვა. მივხვდი, რომ ამერიკაში ჩემი „საბჭოთა გამომეტყველება" ეუცნაურებოდათ და იმიტომ მეკითხებოდნენ ამას... თურქეთში ინტერვიუს ჩამორთმევისას სულ მეკითხებიან ერთი და იმავეს — ხომ არ გენატრება საქართველოო? მენატრება, აბა, არ მენატრება? მაგრამ საქართველოში რომ ვცხოვრობდი, სანამ აირეოდა ყველაფერი, მიუხედავად ამ თავს მოხვეული ჩარჩოებისა, ქუჩაში იქნებოდა თუ სადმე სხვაგან, ქართველი ხალხის თვალები იყო ელვარე, ახლა კი, მოვდივარ ქუჩაში და სულ სხვანაირ — დაბეჩავებულ გამომეტყველებას ვაწყდები. როგორ უნდა მენატრებოდეს ასეთი საქართველო?.. მენატრება ის, რაც სანატრელია, ის ხალისიანი და მხიარული ქართველები, რომლებიც „იმ" საქართველოში ცხოვრობდნენ...

— რა იყო თქვენთვის ყველაზე დიდი დანაკარგი?

— ჩემი ყველაზე დიდი დანაკარგი ის 12 წელია, რომელიც საქართველოს გარეშე გავატარე და ვინ იცის, კიდევ რამდენი წელი მომიწევს უსაქართველოდ ყოფნა.

— ბატონო ლალი, თქვენი შვილები ამ რამდენიმე ხნის წინ შეიკრიბნენ და... იმღერეს. ისე იმღერეს, რომ დიდიანპატარიანად ყველა აალაპარაკეს...

— ჩემი შვილების შესახებ რა შემიძლია გითხრათ? — უბედნიერესი მამა ვარ. ადრე ბევრი, ნიშნის მოგებით მეკითხებოდა ამის შესახებ... კი, ბატონო, შვილები სხვადასხვა ცოლისგან მყავს, მაგრამ ისინი ჩემი შვილები არიან და მიხარია, რომ ისინი ახლა, ერთ მუშტად შეკრულნი ცხოვრობენ. რასაკვირველია, ამაში, ჩემ გარდა, უდიდესი დამსახურებაა მათი დედების. ამიტომაც ჩემი შვილები ისე ცხოვრობენ, თითქოს მათი დედ-მამა არასოდეს გაყრილა. აბა, ამაზე დიდი ბედნიერება მამისთვის რა უნდა იყოს?!

— რადგან ამ თემაზე ჩამოვარდა საუბარი, გავეფდავ და გკითხავთ — რას ნიშნავს თქვენთვის მშვენიერი სქესის წარმომადგენელი და რას ფიქრობთ ოჯახის ტრადიციულ გაგებაზე?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მრავალცოლიანობაზე ბევრს ლაპარაკობენ, მე ერთი ცოლის ყოლის მომხრე ვარ. ჩემს შვილებსაც კატეგორიულად ავუკრძალე და საბედნიეროდ, მიჯერებენ: თითო ცოლი ჰყავთ და არც აპირებენ გამოცვლას. ეს არ უნდა მოხდეს 3-ჯერ, 8-ჯერ. მართალია, 8-მდე არა ვარ ასული, მაგრამ მაინც *(იცინის)*...

— დაბოლოს, რას გვეტყვით გამგზავრების წინ?

— ძალიან სამწუხარო ამბის გამო ჩამოვედი საქართველოში — დედაჩემის ორმოცზე. დასაფლავებაზე ვერ ჩამოვედი და თავს არანორმალურად ცუდ შვილად ვთვლი. მაგრამ ეს ცუდი დამთხვევის ბრალი იყო: საავადმყოფოში ვიწექი გულის შეტევით, არ მიშვებდნენ და როცა ექიმებმა პასუხისმგებლობა აიღეს და წამოსვლა დავაპირე, ვეღარ ვასწრებდი. ახლა რამდენიმე დღით ჩამოვედი. უნივერსიტეტში, სადაც 8 წელია ვმუშაობ, წამოსვლა პრობლემებთანაა დაკავშირებული. გული მწყდება, რომ მივდივარ. თან ძალიან ვღელავ. ერთ ამბავს გაგიმხელთ, რომელიც ჯერ არავისთვის მითქვამს. თურქეთში ქართული ტელევიზია აღწევს და თვალს ვადევნებდი საქართველოში მომხდარ ამბებს. რაღაცამ აქეთკენ შემომაბრუნა, თორემ, აქამდე ვამბობდი — საქართველოში ჩემი ფეხი არ იქნებამეთქი... რასაკვირველია, შვილების სანახავად ჩამოვიდოდი, მაგრამ სამუდამოდ დაბრუნებაზე არ ვფიქრობდი. ახლა კი, ბევრი ფიქრის შემდეგ, დავწერე წერილი, 20 ცალად გავამრავლე და ჩამოვიტანე; თითო-თითო დავუგზავნე — პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და იმ ადამიანებს, ვისაც საქართველოში პირველი სიტყვა ეთქმით. დღევანდელ მთავრობას ვთავაზობ, საქართველოსთვის იმ საამაყო და მსოფლიო ასპარეზზე გამოსაჩენი საქმის გაგრძელებას, რომელიც მსოფლიოში არსად არავის გაუკეთებია და მე შაბნელი ხუნტის გამო ჩამეშალა. აღვადგინოთ ეს საქმე, რომელმაც ამ საცოდავ ხალხს მეორე სიცოცხლე აჩუქა... ზოგი წერილი გზაშია, ზოგი — ადრესატამდე უკვე მივიდა. ველოდები მთავრობის რეაქციას. რომ ჩამოვედი, პირველ დღეს გავარდა ხმა — ჩამოვიდაო, — და ერთ თუ ორ გაზეთში დაიბეჭდა დიდი სათაურით: „თურქეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი საქართველოს მთავრობას დახმარებას სთხოვს". კარგია, რომ დაიბეჭდა, მაგრამ მე არავის არ ვთხოვ დახმარებას — უბრალოდ, წინადადება შემომაქვს, რომ ქართველებმა თავიანთი საამაყო საქმე გააკეთონ. თუ დღეს, ვთქვათ, 70 მილიონი არ არის ან 7 ათასიც არ არის — ის მოახმარონ ამ საქმეს, რაც არის. იგრძნოს დახმარება იმ ხალხმაც და თეატრმაც და მსოფლიომ დაინახოს, რომ ქართველები ის ერია, რომელიც ბუნებით დაჩაგრული ადამიანების საქმეს წინა პლანზე აყენებს, რომ დღეს საქართველოში ადგილი აღარა აქვს შუღლს, სიძულვილს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია XXI საუკუნის ცივილიზებული მსოფლიოსთვის...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის ფიბის წიგნაკიდან:

1. იხვები ბერძნებმა მოიშინაურეს.
2. ლეონიდ იაკუბოვიჩი პროფესიით ინჟინერია.

3. მზესუმზირას მეორენაირად ლილიფარა ჰქვია.
4. რიონი საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარეა.
5. მარლონ ბრანდოს პირველი ცოლი ინდოელი ჰყავდა.
6. ალიშა მური მომღერალ პინკის ნამდვილი სახელი და გვარია.
7. საქართველოს საგარეო ვალი 2 მილიარდ დოლარს აღემატება.
8. კანადის მეთაურად ოფიციალურად, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ითვლება.
9. ელდარ შენგელაია საქართველოს ყველაზე ასაკოვანი პარლამენტარია.
10. საბერძნეთში ტურიზმი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში არსებობდა.
11. ბაბილონური კალენდრის მიხედვით, კვირაში 7 დღე იყო, რომაულის მიხედვით – 9, ბერძნულის მიხედვით – 10.
12. ლუდვიგ შპორი პირველი ადამიანი იყო, ვინც ორკესტრის დირიჟორობისას გამოიყენა სადირიჟორო ჯოხი.
13. „კაგდაბ ნი სასტაიალსა ვინოს, შტობი მი ვას, ა ნე ვი ნას“, – ასეთი სადღეგრძელო ასწავლა ერთ-ერთ კონცერტზე თავის მაყურებელს მიხაილ ზადორნოვმა.
14. ახალდაბადებული ბავშვების მშობლები იუნონას ტაძარს გარკვეულ თანხას სწირავდნენ. ამ შესაწირის დამადასტურებელ ქვითარს მეტრიკა ეწოდებოდა.
15. ჰონკონგში მიწა ისეთი ძვირია, რომ მოსახლეობა სასფლაოზე ადგილებს ვერ ყიდულობს და ხანგრძლივი დროით, იჯარით იღებს.
16. „ჩვენი რევოლუციის არსებითი მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხალხს არა მარტო თავისუფლება და მატერიალური კეთილდღეობა მოუტანა, არამედ უზრუნველყოფილი და კულტურული ცხოვრების შესაძლებლობაც მისცა“ – სტალინის ასეთი წინასიტყვაობა უძღოდა წიგნს სათაურით: „წიგნი გემრიელი და ჯანსაღი საკვების შესახებ“.
17. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები თავიანთ სამხედრო გემებს ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემებად ნიღბავდნენ და წარმატებით ძირავდნენ მოწინააღმდეგის ხომალდებს. ერთ-ერთი

ისტორიის გაკვეთილები
აბაშიძეებისთვის თავდადებული ოჯახის ტრაგედია

თბილისში, ერთ პატარა ბინაში ცხოვრობს კოტე ბილიხოძე — კაცი, რომლის ოჯახმაც დიდი როლი შეასრულა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის წინაპართა ცხოვრებაში. ბატონი კოტეს ბაბუამ შეიფარა და გადაარჩინა თავის დროზე დევნილი მემედ აბაშიძე და მისი უმცროსი ძმა — ასლანი.



ლელა ჭანკოტაძე

ასლან აბაშიძე დამოუკიდებელი საქართველოს ერთადერთი გენერალი იყო აჭარის მკვიდრთაგან. ის დაიბადა 1877 წელს. ოჯახში ბრწყინვალე განათლების მიღებისა და უცხო ენების შესწავლასთან ერთად, იგი სამხედრო ხელოვნებით დაინტერესებულა. სამხედრო საქმისადმი სიყვარული მას გვარიდან მოსდგამდა. სანჯაყბეგი აბაშიძეები თავიანთი სანჯაყის – იმავე სადროშოს მხედართმთავრებიც იყვნენ და ომში პირველები მიუძღვოდნენ მებრძოლებს (ასლან-უმცროსის მამას – იბრაიმსაც მაიორის სამხედრო ჩინი ჰქონდა). ამიტომ იყო, რომ უმაღლესი სამხედრო განათლების მისაღებად ასლან აბაშიძე-უფროსი კონსტანტინეპოლის სამხედრო სასწავლებელში შესულა, რომელიც წარჩინებით დაუმთავრებია. სწორედ კონსტანტინეპოლში გაიცნო მან კონსტანტინე ბილიხოძე, რომელიც იქ საიუველირო სასწავლებელში სწავლობდა. ასლანბეგი და კონსტანტინე – მუსლიმანი და ქრისტიანი ვაჟკაცები დამეგობრდნენ.

კონსტანტინე ბილიხოძე ბრწყინვალე ოქრომჭედელი გახდა და შეიძლებოდა, მისი ხელნაკეთი ნივთები მუზეუმებსაც შემორჩენოდა, მაგრამ ის მალე გურიაში დაბრუნდა და უბრალო საოქრომჭედლო სალონი გახსნა. ცოტა ხანში დაცოლშვილდა. მის შესახებ შვილიშვილი კოტე ბილიხოძე გვიყვება.

– გასული საუკუნის დასაწყისში აჭარაში არეულობა რომ დაიწყო და ძმები მემედბეგ, ასლანბეგ და მათი ბიძაშვილი ზიაბეგ აბაშიძეები პოლიტიკურად მავნე პირებად გამოცხადდნენ, ასლანბეგი რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ბათუმიდან გამოიქცა და თავი გურიას შეაფარა. რა თქმა უნდა, ბაბუაჩემის, კოტე ბილიხოძის სახლში დაბინავდა. ბაბუა ოქრომჭედელი გახლდათ და ძალზე მდიდარი კაცი იყო. არც მის წინაპრებს უნახავთ გაჭირვება. ისინი მღვდლები ყოფილან. მდიდარმა და შეძლებულმა ოჯახმა დევნილებს ღირსეული მასპინძლობა გაუწია. ბაბუაჩემის სახლში ჩამოაყალიბა ასლანბეგმა მოხალისეთა გამათავისუფლებელი რაზმი. ეს ის პერიოდია, როცა ბათუმის სამხედრო გუბერნატორი რომანოვსკი ავრცელებს საგანგებო ინფორმაციას: „ვინც იცის, სად არიან ისინი, სასწრაფოდ უნდა გვაცნობონ. არც ერთმა მცხოვრებმა არ უნდა აღმოუჩინოს მათ მფარველობა და არავის აქვს უფლება, მისცეს მათ თავშესაფარი ან საჭმელი. ამ ბრძანების დამრღვევი დაჯარიმდება ფულადი გადასახადით და იქნება დაპატიმრებული“ (1908 წლის 23 თებერვალი). მიუხედავად ამისა, ბაბუაჩემმა მაინც არ გაუშვა სახლიდან დევნილები. უფრო მეტიც – მუსლიმან ასლანბეგს მან შვილიც კი მოანათვლინა. ეს ფაქტი გამოყენებულია ფილმში – „შავი შაშვი ჩიოდა“ *(ავტ. – ნუგზარ შატაიძე).*

სცენარის მცირე ნაწყვეტი:

„ბილიხოძეებს დიდი სამზადისი აქვთ: იპუტება ვარიები, კეთდება ღომი, ცხვება მჭადები და ხაჭაპურები... თვითონ მასპინძელი — შუახანს მიტანებული გლეხი, ეზოს ბოლოში ჭურს ხდის, მარჯვედ, რაღაცნაირი დაგემოვნებით საქმიანობს. პატარა ბიჭი მამას წყლიან ვედროს უმარჯვებს. ასლან აბაშიძე მასპინძლის საქმიანობას სიამოვნების ღიმილით უყურებს.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ასლან-ბატონო, აი, ბაღანა რვაი წლის გახდა და ჯერ არ მომინათლავს...

— მონათლე მერე, შე კაცო!

— ნათლიას ვეძებ, ბატონო, ნათლიას!

— ნათლიის მეტი რაა?!

— მე ვინც მინდა, თქმაი ვერ შემიბედავს, თვარა, ვინც არ მინდა, აქეთ მეძალებიენ!

— ვინაა ისეთი? — გაეცინა ასლანს.

ბართლომემ ნიჩაბი მიწაში ჩატოვა; წელში გასწორდა და ასლანს თვალებმოჭუტული მიაჩერდა:

— გითხრა?

— თქვი, შე კაცო! — რაღაცას იაზრებს ასლანი.

— ასლან-ბატონო, დამდე პატივი და მომინათლე, აი ბაღანაი!

— კაცო და... — გაიცინებს ასლანი — ...მუსლიმანი რომ ვარ?!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? შენ შვილი მომინათლე და იყავი მუსლიმანი, რა უჭირს მერე.

ასლანი ჩაფიქრდა.

— ჰა, ჩამომართვი ხელი! — არ ეშვება ბართლომე...“

კოტე ბილიხოძე:

— ოზურგეთის წმინდა ეკლესიაში მართლაც მონათლა ასლანმა კაკო კოსტანტინეს-ძე ბილიხოძე. კონსტანტინე ბილიხოძემ ასლანბეგს პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა გაქრისტიანებისკენ. სულ მალე ვიღაცამ გასცა ასლანბეგი და მემედ აბაშიძე, რომელიც ბოლო დღეებში ასევე ბაბუაჩემის სტუმარი იყო. ასლანბეგის ცხენს ცირა ერქვა. ბაბუაჩემის მოჭედილი და მოვერცხლილი იყო მისი აღკაზმულობა. რომ დაუძახებდნენ სახელს, მაშინვე მივიდოდა ხოლმე. სანამ გაიქცეოდნენ, ასლანბეგმა დაუძახა — ცირაო! — მაგრამ ცხენი მასთან არ მივიდა. ამიღო მუზერი და უნდოდა, ცხენისთვის ესროლა, მაგრამ ვერ გაიმეტა. მობრუნებულა და ბაბუაჩემისთვის უთქვამს: კოწია, შენ ხარ მაგ ცხენის ღირსიო, — და აჩუქა. მეორე დღეს ცხენი წაიყვანეს... გამოუვლია სოფლის ფოსტალიონს და ბაბუისთვის უთქვამს: ჟანდარმერიამ ცხენი წაიყვანა და შენ დაგტოვებს სახლშიო?! ბაბუა შინ შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ასე დამჯდარი გარდაიცვალა — გული გაუსკდა იმის წარმოდგენით, თუ რა ელოდა მის ოჯახს მემედ და ასლან აბაშიძეების შეფარების გამო... ბებია ჟანდარმერიამ იმ დღესვე წაიყვანა. ის ორსულად იყო. ისე აწამეს, რომ ინვალიდი ბავშვი გააჩინა. ბიძაჩემი მთელი ცხოვრება ხეიბარი გახლდათ. ცხადია, ქონების კონფისკაციაც მოუსავეს, ყველაფერი წაიღეს. ციხიდან გამოსულმა ბებომ მაინც მონახა წინასწარ გადამალული რამდენიმე ოქროს ნივთი. სამ შვილს ხელი დაავლო და გაეცალა ოზურგეთს, სადაც მის შვილებს „ასლანის ლეკვებს“ ეძახდნენ. ხალხს მათთვის მხოლოდ წყევლა-კრულვა ემეტებოდა. ბაბუა იქ არის დაკრძალული, ბილიხოძეების სასაფლაოზე. ოღღა ბებია ოზურგეთში ვეღარ წავასვენეთ, რადგან ჩვენი ოჯახი იდევნებოდა... აი, ასეთია აბაშიძეებისთვის თავდადებული ოჯახის ტრაგედია, რაც ჩემს პირად ტრაგედიადაც იქცა.

ასლანბეგ აბაშიძე („მიუხედავად ბევრი ჩხრეკისა, რომელიც ჩვენს ოჯახში ჩატარდა, ამ ფოტოს ვერ მიაკვლიეს...“)

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ასეთი გემი სახელწოდებით „პინგვინი“ კარგა ხანს მოქმედებდა. მისი აღმოჩენა და განადგურება მხოლოდ ერთი შემთხვევის წყალობით მოხდა: ერთ ინგლისელ მფრინავს საეჭვოდ მოეჩვენა ის ფაქტი, რომ გემის თავზე გადაფრენისას, ეკიპაჟი მეგობრულად ხელს არ უქნევდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა.

18. თუ მოკრივეს გახეთქილი წარბის გამო არ შეუძლია ბრძოლის გაგრძელება, გამარჯვებას მის მოწინააღმდეგეს ანიჭებენ. ასეთ შემთხვევას ტექნიკური ნოკაუტი ჰქვია.

19. იაპონელები თევზს გაწვრთნილი ყარყატების მეშვეობით იჭერენ, ხოლო იმისათვის, რომ თევზი არ გადაყლაპოს, მებადურები ამ ფრინველს ყელზე რკინის რგოლს წამოაცვამენ ხოლმე.

20. სანამ ხეს მოჭრიან, პოლინეზიელები მას სახელს არქმევენ. ამის გამოა, რომ მათ მიერ შეკრული ტივის ყველა მორს საკუთარი სახელი ჰქვია.

21. XIX საუკუნეში პლატინის მონეტებმა რუხი ფერისა და მსოფლიოში ნაკლები პოპულარობის გამო, ვერც რუსეთში პოვა გავრცელება, თუმცა ვაჭრები გარკვეულწილად აფასებდნენ მათ, რადგან ხანძრისას, რაც იმ დროს, საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო, ოქროსა და ვერცხლის ფულისგან განსხვავებით, პლატინის მონეტები არასოდეს დნებოდა.

22. ალა პუგაჩოვამ პატარაობისას თავისი მეგობრები ფიდელ კასტროს დასახმარებლად კუბაში წასვლაზე დაიყოლია. ბავშვები მატარებლიდან ჩამოსვეს.

23. ნიკიტა მიხალკოვის ფილმის — „ოჩი ჩორნიე“ — გადაღების დროს, გუჯა ბურდულმა კატეგორიული უარი თქვა იმაზე, რომ პანღური ამოერტყა მარჩელო მასტროიანისთვის.

24. პოლონეთი მეშკო პირველმა გააქრისტიანა, უნგრეთი — იშტვან პირველმა, დანია — ჰარალდ ლურჯკბილამ, ნორვეგია — ოლაფ ტრიგვესონმა, შვედეთი — ოლაფ სკოტკონუნგმა, რუსეთი — ვლადიმირ პირველმა.

25. ცნობილია, რომ პაგანინი მთელი ცხოვრება გვარნერის მიერ გაკეთებულ ვიოლინოზე უკრავდა. დიდი მაესტროს გარდაცვალების შემდეგ, ამ ვიოლინოს პაგანინის ქვრივი შეარქვეს.

■

— ოზურგეთიდან გამოხიზნულები სად დასახლდნენ? ოლღა ბებომ როგორ შეძლო, შვილები გადაერჩინა?

— ბებია თბილისში ჩამოვიდა. ოჯახიდან დარჩენილი რამდენიმე სამკაული გაყიდა, სახლი იყიდა. მაგრამ ის ნივთები არ გაუყიდია, რომლებიც მის ოჯახს ასლანბეგისგან საჩუქრად დარჩა. ეს გახლდათ ასლანბეგის ფაფახი, მაუზერი და სურათი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს სურათი ჩაკრული იყო ალბომში, ბაბუაჩემის სურათის ქვეშ და ამიტომ, მიუხედავად ბევრი ჩხრეკისა, რომელიც ჩვენს ოჯახში ჩატარდა, ფოტოს ვერ მიაკვლიეს. ვერც მაუზერი იპოვეს. მე მაუზერის არსებობა მაშინ შევიტყვე, როცა დედაჩემი სულს ებრძოდა. ჩემმა დამ, მთამსვლელმა თამარ ბილიხოძემ მომცა და მითხრა: გაუფრთხილდიო. ეს 1981 წელს იყო.

— სურათს რა ბედი ეწია?

— სურათი 1993 წელს მივეცი ბიძაჩემს სედორე ბილიხოძეს. მასთან გურამ შარაძე მისულა. სწორედ გურამ შარაძისგან შეიტყო ბიძაჩემმა, რომ ასლანბეგი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ბაბუა ყოფილა. მანამდე, ჩვენთვის ასლანბეგი უბრალოდ, ბაბუის საუკეთესო მეგობარი და მამაჩემის ნათლია გახლდათ, მათი სიყვარულისა და მეგობრობის გამო ვინახავდით მის ნივთებს, თორემ, თუნდაც ასლანბეგის ფოტოსურათის გამო, ნებისმიერს დახვრეტდნენ. როცა გავიგე, რომ ასლან აბაშიძის წინაპრები ჩემს წინაპრებს გადაურჩენიათ, მოვკიდე ჩემს ცოლ-შვილს ხელი, ავიღე მაუზერი და ჩავედი ბათუმში, რათა მისთვის ასლანბეგის მაუზერი მიმეცა და კაცურად ხელი ჩამომერთმია. არ მიმიღო, ახლოსაც არ გამიკარა. სამი წლის ბავშვის ამარა ქუჩაში დავრჩი. იმის მოლოდინში — ხვალ მიმიღებს თუ ზეგ-მეთქი, — ფულიც გამომელია. ბავშვიც გამიცივდა. მაღალი სიცხე ჰქონდა, თბილისში წამოსვლას ვეღარ ვახერხებდი. გამწარებულმა მაუზერი ტაქსის მძღოლს მივყიდე. მეტი გზა არ მქონდა. სანამ ბათუმში ჩავიდოდი, გიორგი თარგამაძის ხელით ჩემი გაკეთებული უნიკალური ჯვარი წარწერით — „ენა, მამული, სარწმუნოება“ გავუგზავნე. ეს ჯვარი ციხეში გავაკეთე.

— ციხეში როგორ მოხვდით?

— მამაჩემი არაფრის გამო, უმიზეზოდ დაიჭირეს და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. არ აპატიეს ასლანბეგის ნათლულობა. მე მაშინ რვა წლის ვიყავი, ჩემი და — ოთხის. რა უნდა გვექნა უსახსროდ დარჩენილებს? ბაზარში წავედი და კომბოსტო მოვიპარე. დედა მეჩხუბა, მაგრამ შიმშილმა რომ შეგვაწუხა, კიდევ მოვიპარე სტაფილო და რამდენიმე კარტოფილი. აღარაფერი უთქვამს. ასე შევაჩვიე ხელი ქურდობას. ბოლოს და ბოლოს, დამიჭირეს... ჯვარს ციხეში ცხრა წლის მანძილზე ვაკეთებდი. იმ ჯვრის გარდა, ძვირფასი არაფერი გამაჩნდა. მთელი ჩემი გული და სული ჩავდე შიგ. სწორედ ყველაზე ძვირფასი, რაც მებადა, ვაჩუქე ასლან აბაშიძეს. ასლანბეგიც ხომ თავის საუკეთესო ნივთებს უძღვნიდა ბაბუაჩემს: კრაველის ქუდი მოიხადა და მამაჩემს დაახურა თავზე, იარაღი და ცხენიც ბაბუას უსახსოვრა... მის ხსოვნას ოჯახში ყოველთვის განსაკუთრებულად ვინახავდით. როცა მამაჩემი მოუნათლავს, თოთხმეტი ზარბაზნის ზალპი მიუციათ. ოთხი წელი იცხოვრეს ბაბუაჩემის სახლში. მეც ოთხჯერ ჩავედი მათ შვილიშვილთან აჭარაში, მაგრამ რად გინდა?!.

— რა მიზნით ჩახვედით ასლან აბაშიძესთან?

— ოზურგეთში ის სახლი იყიდებოდა, რომელსაც ერთხანს, მემედ და ასლან აბაშიძეებმა შეაფარეს თავი — ე.ი. ბაბუაჩემის სახლი. მეზობლების ხელმოწერებიც შევაგროვე, რომ იმ სახლში გაკეთებულიყო აბრა: „ამა და ამ წლებში ამ სახლში ცხოვრობდა გენერალი ასლან აბაშიძე“. მინდოდა ოზურგეთში გაეგოთ, ჩემმა ოჯახმა რა გააკეთა ასლან აბაშიძისთვის. ჩვენ ხომ დღემდე „ასლანბეგის ლეკვებს“ გვეძახიან... მთელმა ბათუმმა იცის, ასლანთან რომ მინდოდა შეხვედრა. მაშინ გიორგი აბაშიძე ქალაქის მერი არ იყო. წინ გადავუდექი და ვუთხარი, ვინც ვიყავი და მამამისთან შეხვედრა რომ მინდოდა. მამაჩემის საქმეებში არ ვერევიო, — მიპასუხა. არადა, მათგან არაფერი არ მინდოდა, მხოლოდ იმ სახლის შენარჩუნებას ვთხოვდი, რომლის ნახვის ოცნებითაც მოკვდა ბებიაჩემი და რომელშიც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება აღინიშნა. სწორედ ბაბუაჩემის სახლში გაშლილ სუფრასთან მემედ აბაშიძეს გადასცეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ოფიციალური განცხადება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში სამუსლიმანო ავტონომიის გამოცხადების შესახებ. მეოთხედ რომ ჩავედი ბათუმში, მატარებლის ბილეთი მიყიდეს და თბილისში გამომიშვეს. მერე, ამაზე უსიამოვნო ამბავიც გადამხდა: ცოტნე ბაკურიამ დამიბარა, მივედი ცოლ-შვილთან ერთად. ასლანის სახელით ბავშვს ორმოცი ლარი აჩუქა. ორმოცი ლარი — ვაჟკაცობის, ერთგულებისა და სიყვარულის სანაცვლოდ...

— ის სახლი, რომელშიც ეს ისტორიული მოვლენები მოხდა, ისევ დგას?

— დიახ. რამდენჯერმე გაიყიდა. ახლა იქ სომხები ცხოვრობენ. მათთვის ის სახლი არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს. შეიძლება, დაშალონ კიდეც და ახალი, აგურის სახლი დაადგან ზედ. ასეთია ცხოვრება — სიკეთის წილ სიკეთეს ვერ მოიმკი კაცი...

■

კონსტანტინე ბილიხოძე ...შინ შევიდა, მაგიდას მიუჯდა და ასე დამჯდარი გარდაიცვალა — გული გაუსკდა

კაკო ბილიხოძეს არ აპატიეს ასლანბეგის ნათლულობა, დაიჭირეს და 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს

მარი ჯაფარიძე

არსებობს თუ არა სიცოცხლე სხვა გალაქტიკაში? ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი? ცოცხლობს თუ არა ყვავი 300 წელს? მართლაც მაიმუნისგან წარმოიშვა თუ არა ადამიანი? ააყვავებს თუ არა საქართველოს ახალი მთავრობა? — კიდევ უამრავი კითხვა არსებობს, რომელზეც პასუხი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენს მკითხველებს ასეთი გლობალური მასშტაბის კითხვები ნაკლებად აწუხებთ და მათი უმრავლესობა პასუხს ისეთ საკითხზე ეძებს, რომელიც პირად გრძნობებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი მათგანი ასეთ კითხვას სვამს: საიდან აქვს ქალს იმდენი ძალა, რომ ცხოვრება დაგინგრიოს? — და საკმაოდ საინტერესო ამბავს გვიყვება...



კითხვა, რომელიც ეკასუხოდ რჩება

„რა მოსწონთ ქალებს ჩემი ქმრის?“

„ჩემ გარდა 15 საყვარელი კიდევ ჰყავდა...“

„ამბავი, რომელიც მინდა მოგიყვეთ, რამდენიმე წლის წინ მოხდა. საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვმუშაობდი და თბილი, მოსიყვარულე ოჯახიც მქონდა. გავიცანი თვალებფახულა, ლამაზი და საინტერესო ბუნების ქალი, რომელიც ქმარს გაცილებული გახლდათ. მაშინვე თვალი დავადგი. მისი გულის მოსანადირებლად დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია. ძალზე კარგი თვისებები ჰქონდა და სულ მალე ისე შემიყვარდა, თავი დამავიწყა. მისი მშობლები საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ, თვითონაც კარგი სამსახური ჰქონდა. ქალაქის ელიტაში ტრიალებდა და უამრავი მამაკაცი უპრაწავდა თვალებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ უზომოდ ვუყვარდი და სულაც არ მაღელვებდნენ მისი თაყვანისმცემლები. დღედაღამ მასზე ვფიქრობდი. ოჯახზე გული ავიცრუე. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და მაინც, სულ მენატრებოდა. თვითონ ძალზე ფრთხილობდა, ეშინოდა, მისი მშობლების ყურამდე არ მისულიყო ჩვენი ურთიერთობის ამბავი. ხშირად ვხვდებოდით წვეულებაზე, მაგრამ არც კი ვამჟღავნებდით, რომ ერთმანეთს ვიცნობდით. ამასობაში ცოლთან ურთიერთობა გამიფუჭდა. შინ მისვლა აღარ მინდოდა, რადგან ყოველდღიური სკანდალები მომბეზრდა. სამაგიეროდ, მის გარეშე უკვე ვეღარ ვძლებდი. ჩემი შემოსავლის ნახევარზე მეტს მას ვახარჯავდი. არც ჩასაცმელ-დასახური აკლდა და არც უცხოური ფირმის მანქანა. ბოლოს, ოჯახი მივატოვე და საცხოვრებლად ცალკე გადავედი. გეგმებს ვაწყობდი — ცოტა დრო გავა და მერე მასზე დავქორწინდები-მეთქი. მის გამო მოვიმდურე მშობლები, ძმა, მეგობრები... ნელა-ნელა ყველა შემომეცალა და თითქმის მარტო დავრჩი, მაგრამ სულ არ მენაღვლებოდა. მთავარი იყო, რომ ის ჩემ გვერდით გახლდათ, მე კი სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ ეს მჭირდებოდა. ერთ დღეს, მეგობარმა დამირეკა და მითხრა: — თვალი გაახილე, ეგ ქალი გღალატობსო. ამის გამო მეგობარს შეურაცხყოფა მივაყენე, მაგრამ ეჭვის ჭია შემიჩნდა. გადავწყვიტე, შემემოწმებინა. შედეგი? აღმოჩნდა, რომ ჩემ გარდა, 15 საყვარელი კიდევ ჰყავდა და ყველაზე საოცარი ის იყო, რომ არც ერთმა მეორის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. თუმცა ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და თითოეული მათგანი, ისევე, როგორც მე, დარწმუნებული იყო, რომ ამ ქალს სიგიჟემდე უყვარდა. მის საყვარლებს შორის, რამდენიმე ჩემი მეგობარიც აღმოჩნდა. მოკლედ, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ მე საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი. მისგან რომ გავთავისუფლდი, მივიხედ-მოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ სრულიად მარტო ვიყავი, თანაც ახლობლებთან ურთიერთობის აღდგენა არც ისე იოლი იყო, რადგან უზომოდ ჰქონდათ გული ნატკენი... ახლა კითხვა, რომელიც ასე მაწუხებს: როგორ მოახერხა ამ ქალმა ამდენი და საიდან აქვთ ქალებს იმდენი ძალა, რომ ადამიანს ცხოვრება დაუნგრიონ? ზაზა, 34 წლის“.

მამაკაცებს ვალში არც მკითხველი ქალბატონები რჩებიან და საპასუხოდ ასეთ კითხვას სვამენ: რატომ გვინგრევთ ცხოვრებას? გვიამბობს 30 წლის ანა.

„ცოლი რომ გავხდები, ინგას დავავიწყებ...“

„უზომოდ მიყვარდა ერთი ბიჭი, რომელიც ჩემი თანამშრომელი იყო და ყოველდღე ვხვდებოდი. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ მას ერთ განათხოვარ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელიც ძალზე ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა. ჩვენ ორივენი ექიმები ვართ და ერთ განყოფილებაში ვმუშაობდით. ის გოგო მანამდე, ერთ-ერთი ექიმის საყვარელი იყო, მერე დათოსთან „გადაინაცვლა“ და ხშირად ყოფილა შემთხვევა,

რომ ჩემი და დათოს მორიგეობის დროს, თავის კუროს სამსახურში აკითხავდა, ერთ ოთახში განმარტოვდებოდნენ ხოლმე, მე კი ტირილით თავს ვიკლავდი. დათომ იცოდა, რომ მე ასე ძალიან მიყვარდა. ეს არც თანამშრომლებისთვის გახლდათ დაფარული. ყველა ცდილობდა, მისთვის თვალი აეხილა, მაგრამ მას ის ერჩია ყველა ქალს. სამსახურიდან ექსკურსიაზე წავედით მოსკოვში. დათოც ჩვენთან ერთად იყო. მთხოვა, მაღაზიაში გავყოლოდი. უარი არ მითქვამს. ქალთა განყოფილებაში შემიყვანა, უამრავი კაბა მომაზომა, შემდეგ რამდენიმე შეიძინა და თავის საყვარელს აჩუქა. წარმოგიდგენიათ? მაინცდამაინც მე მთხოვა, ეს ტანისამოსი მომეზომებინა... გავიდა ხანი... ცხოვრება ძველებურად გრძელდებოდა. მე დათო მიყვარდა, დათოს — ინგა და მე არაფრის იმედი არ მქონდა, როდესაც დათომ ცოლობა მთხოვა. სიხარულით ცას ვეწიე. ყოველგვარი წყენა დამავიწყდა. მაშინვე დავთანხმდი. საქმეში ოჯახის წევრები ჩაერივნენ და ქორწილის დღე დავთქვით. ამის შემდეგ, თითქოს არაფერი შეცვლილა. ისევ ძველებურად დავდიოდით სამსახურში, ინგაც ძველებურად აკითხავდა. ერთადერთი, მარჯვენა ხელის არათითზე წამოცმული ოქროს რგოლი მახსენებდა, რომ საქმრო მყავდა. ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი. ვფიქრობდი — ცოლი რომ გავხდები, ინგას დავავიწყებ-მეთქი... დიდი ქორწილი გადავიხადეთ, საქორწინო მოგზაურობაშიც გახლდით. იქიდან დაბრუნებულები, საცხოვრებლად ცალკე გადავედით, მაგრამ... დათოს ჩემთვის თითის დაკარებაც არ უცდია. ცალკე საწოლში იძინებდა... ჭკუიდან გადავდიოდი, ისე ვნერვიულობდი. ღამღამობით ინგას ურეკავდა და მასმენინებდა, როგორ ეფერებოდა შორიდან, როგორ ეუბნებოდა, მენატრები და შენთან ყოფნა მინდაო... ჩემი დიდი გრძნობა თანდათან გაქრა და 7 თვის შემდეგ, ზიზღში გადაიზარდა. მივატოვე და წამოვედი. დღემდე ვერ გამიგია, რატომ მოიქცა ასე? რატომ დამინგრია ცხოვრება? განათხოვარი ქალი მქვია, მაგრამ ქმარს ერთხელაც არ უკოცნია ჩემთვის... მას შემდეგ, 8 წელი გავიდა. მე სამსახური მივატოვე და სხვაგან გადავედი. ის ისევ იქ მუშაობს. განქორწინების დროს, მოსამართლისთვის ნამდვილი მიზეზი არ გამიმხელია. ვინ დაიჯერებდა?! აი, ის, რაც მინდოდა, მომეყოლა. ნახვამდის".

კიდევ ერთი უპასუხო კითხვა, რომელსაც მკითხველი სვამს:

რატომ მოიკლა თავი?

„მინდა, ჩემი ბიძაშვილის შესახებ მოგიყვეთ. რომანი ძალიან კარგი ბიჭი იყო. მეგობრებს უზომოდ უყვარდათ და პატივს სცემდნენ. საცოლეც ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა. ამ ცოტა ხნის წინ, ბიძა დაეღუპა. ძალზე განიცადა მისი სიკვდილი. ერთ დღეს განაცხადა — სვანეთში, დაღუპული ბიძის ოჯახში მივდივარო. მშობლები არ უშვებდნენ, მაგრამ თავისი გაიტანა და მეორე დღეს სვანეთში გაემგზავრა. იქ ჩასული, უგუნებოდ ყოფილა. საღამოს მოუთხოვია, თოფი მომეცით, გასაწმენდი იქნება და გავწმენდო. ბიცოლას უარი უთქვამს. მეორე დღეს კვლავ უთხოვია. ბიცოლას გამოუტანია, ვაზნები ამოუღია და ცარიელი იარაღი მიუცია. ზედა სართულზე ასულ რომანს ოთახის კარი ჩაუკეტავს და პირველი, რაც გაუკეთებია, ის იყო, რომ საცოლესთვის დაურეკავს და უთქვამს — მაპატიე იმისთვის, რასაც ცოტა ხნის შემდეგ შეიტყობო. გოგონა შემფოთებულა, რომანისთვის დაურეკავს უამრავჯერ, მაგრამ ის მის ზარს აღარ პასუხობდა, რადგან თავისი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანით იყო დაკავებული. ერთადერთი დამალული ტყვია მოძებნა, იარაღში ჩადო და... გაისროლა. არავინ იცის, რა მოხდა, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რატომ დაამწუხრა ოჯახი და საცოლეც, რომელიც ასე უყვარდა და სულ მალე, ქორწილსაც გეგმავდა. ეს კითხვები პასუხგაუცემელი დარჩება და ვერავინ გაიგებს, რატომ მოიკლა რომანმა თავი..."

„გზავნილებს" 14 წლის ნინიკოც შეეხმიანა და თავისი უპასუხოდ დარჩენილი კითხვაც გაგვგიმხილა.

„ვხვდები, რომ დედამ სხვა მამაკაცის გამო მიგვატოვა"

„დედიკოს და მამიკოს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. როდესაც ჩემი მეგობრებისგან ვიგებდი ხოლმე, რომ მათი მშობლები ჩხუბობდნენ, სულ მიკვირდა, ნეტავ, გასაყოფი რა აქვთ-მეთქი? მათი კამათიც კი არასოდეს მომისმენია. დედას დედამთილთანაც ძალზე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამ ერთი წლის წინ, ჩემმა მშობლებმა ჩხუბი დაიწყეს. მერე ჩვენს ოჯახში უკმაყოფილება გახშირდა. ვგრძნობდი, რომ დამნაშავე დედა იყო, რადგან ბებია (დედის დედა) დედაჩემს ამტყუნებდა და როცა მარტო იყვნენ, სულ ეჩხუბებოდა — მოსაკლავი ხარო, — ეუბნებოდა... არ ვიცი, რატომ ჩხუბობდნენ, მაგრამ ხშირად მესმოდა ფრაზა — ბავშვებს რას უპირებ? — მე უფროსი და მყავს. ერთხელ ქეთიმ დამიძახა და ჩუმად მითხრა — დედას რომ ვაბრაზებთ, ამიტომ ჩვენი მიტოვება უნდა და მოდი, ყველაფერი დავუჯეროთ, რომ არ წავიდესო. ამის შემდეგ, დედას სულ თვალებში შევყურებდით. სახლსაც ჩვენ ვალაგებდით, ჯერ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენ კისრისტეხით გავრბოდით მისი დავალების შესასრულებლად. ერთხელ, შინ მარტო მე და დედა ვიყავით. ის საწოლზე იწვა და ტიროდა. მივედი, მოვეფერე და ვუთხარი: დედა, თუ ჩვენთან აღარ გინდა, ჩვენ ბებიასთან წავალთ, შენ კი აქ დარჩი, ბებია შინ არ შეგიშვებს, სად უნდა იცხოვრო-მეთქი?.. დედამ მიყვირა და ოთახიდან გამომაგდო. რამდენიმე დღის შემდეგ კი, რომ გავიღვიძეთ და დედა მოვიკითხეთ, შინ აღარ დაგვხვდა. მაშინვე კარადას ვეცი და გული დავიმშვიდე, რადგან მისი ტანისამოსი ხელუხლებლად დამხვდა, მაგრამ იმ საღამოს დედა შინ არ დაბრუნებულა, არც შემდეგ საღამოს... ჩვენ მამასთან ერთად ვიყავით, რომელიც საღამოს, ორი ბოთლი არყით ბრუნდებოდა შინ და მარტო სვამდა. მამა მთვრალი პირველად მაშინ ვნახე. შემდეგ ბებიამ თავისთან წაგვიყვანა... მამა ხშირად გვაკითხავს, მაგრამ სულ ნასვამია და პირგაუპარსავი. ყველას ვეკითხებით — დედა სად წავიდა? — გვპასუხობენ, რომ საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, მაგრამ ვიცი, რომ გვატყუებენ. ვხვდები, რომ დედამ სხვა მამაკაცის გამო მიგვატოვა. აქა-იქ ასეთ ფრაზებსაც ვისმენ — ქალი, შვილებს რომ მიატოვებს და გერებს მოუვლის, უნდა მოკლაო, — ან — ერთი, მიმაგნებინა, სად არის და ჩემი ხელით გამოვჭრი ყელსო... თუმცა, სახელს არ ახსენებენ, მაგრამ ვხვდები, ამას დედაჩემზე ამბობენ... ახლა კი მინდა, ჩემს ნონა დედიკოს მივმართო და ვკითხო, რატომ მიგვატოვე? ეს „მესიჯი" ქეთისაც წავაკითხე და მოეწონა. ამიტომ ორივეს სახელს მივაწერ: ნინო და ქეთი".

ერთ-ერთი ქალბატონი კი გაოცებული გვეკითხება:

„რა მოსწონთ ქალებს ჩემი ქმრის?"

„რომ გითხრათ, ძალიან ლამაზი ქმარი მყავს-მეთქი, ტყუილი იქნება. ერთი ჩვეულებრივი, სიმპათიური, მაგრამ მოსაწყენი მამაკაცია. სექსში ხომ საერთოდ არ უქნია ღმერთს. მე სულ სხვა რამეზე ვოცნებობ, ის კი „მამაპაპური" მეთოდის

იქით არ მიდის. იძულებული ვარ, ვიოცნებო და ისეთ ფილმებს ვუყურო, სადაც ჩემი ფანტაზიის შესაბამისი ინტიმური სცენებია. ვიცი, რომ ჩემს ქმარს ბევრი საყვარელი ჰყავს. ქალები მასზე ჭკუას კარგავენ. ერთხელ, წვეულებაზე მივდიოდით. რომ გამოეწყო, ვუთხარი – სულ არ გიხდება ეგ ტანისამოსი-მეთქი. – შენ ნუ გაამჟღავნებ, რომ ჩემი ცოლი ხარ და გაჩვენებ, რამდენ ქალს მოვხიბლავო. ასეც მოვიქეცით. ბიჭოს! ხან ერთი ქალი ჩამოეკიდა კისერზე, ხან მეორე. მერე, გიტარა რომ მოიმარჯვა და სულ „დამწვრებისა“ იმღერა, საერთოდ, ყველა გააგიჟა. უცხო თვალით შევხედე ჩემს ქმარს და მოვიხიბლე. გადავწყვიტე, მეც უცნობი ქალივით დამეწყო მისი „შებმა“. ხან ცეკვის დროს გავეხახუნე, ხან თვალი ჩავუკარი... სიცილით კვდებოდა ისიც და ვინც ჩვენი ორნის შესახებ იცოდა, ისინიც. ბოლოს მითხრა – ქალბატონო, მე გაგაცილებთო, – და დავინახე რამდენი შურიანი მზერა გამომყვა. სასტუმროში წამიყვანა და ის ღამე საყვარლებივით გავატარეთ, მაგრამ... ისევ ძველებური მეთოდით. საინტერესოა, რა მოსწონთ ქალებს ჩემი ქმრის?“

„ჟურნალ „გზას“ ძეგლს დავუდგამ“

„16 წლის უკვე სტუდენტი გავხდი. გარეგნობაც კარგი მქონდა და ასაკთან შედარებით, ზედმეტად სერიოზული გოგოც ვიყავი. ამიტომ თაყვანისმცემელთა ყურადღება არ მაკლდა. რამდენიმე ბიჭს ერთდროულად ვუყვარდი და ხშირად ჩემ გამო ჩხუბიც კი მომხდარა. მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა მომიტაცა. მთლად გულგრილი არც მე ვიყავი მის მიმართ და დავრჩი. მას კი, თურმე, ქალთან ურთიერთობა არ შეეძლო და თვე-ნახევარში უკან დამაბრუნეს მშობლებმა, ისეთივე უმწიკვლო, როგორიც გათხოვებამდე ვიყავი. მას შემდეგ, დიდი დრო გავიდა. ჩემი ქმარი აღარ მინახავს, მაგრამ არაფრით მასვენებს კითხვა – რატომ უნდა აურიო ცხოვრება ადამიანს, თუ ის გიყვარს? ის ახლა შორსაა, მაგრამ თუ მაინც წაიკითხავს ამ წერილს, გამომეხმაუროს. ღმერთის წინაშე ჩვენ ისევ ცოლ-ქმარი ვართ“.

„დღემდე მაწუხებს ერთი კითხვა: რატომ არის ცხოვრება ასეთი მკაცრი? 26 წლის მანძილზე ბედნიერად თავი ჯერ არ მიგრძნია. ჩემთან მხოლოდ უბედურება და სევდაა. ასე მგონია, ღმერთიც და ეშმაკიც ჩემკენ იშვერენ ხელებს და დამცინიან. სიყვარულის ნაცვლად, იარაღი, ფორმა და სამხედრო სამსახური მარგუნა ბედმა. გული მწყდება, როცა ამაზე ვფიქრობ. მენატრება ის, ვისაც წლებია, ოცნებებში ვეფერები. მარი, დაბეჭდე ეს „მესიჯი“, იქნებ, წაიკითხოს იმ გოგომ, რომელიც წაშლის ჩემს ცხოვრებაში იმ კითხვას, რომელიც ზემოთ დავსვი. რატომ ვისჯები? და თუ წაიკითხავ, შენ, ჩემო ერთადერთო იმედო და ოცნებავ, ძალიან გთხოვ, გამოჩნდი, თორემ ამ ჩემს გულს, ასე გაყინულს, ველარ გაათბობ. შემეხმიანე მარის საშუალებით. იქნებ, „გზავნილები“ ბედნიერების პოვნაში დამეხმაროს და მერე ალბათ ჟურნალ „გზას“ ძეგლს დავუდგამ...“

„დიდი ხნის წინ, სრულიად შემთხვევით, ახლობელთან დავრეკე და „მასთან“ მოვხვდი. ალბათ ბედი იყო. მისი ხმა ძალიან მომეწონა. მერე თანდათან დავუახლოვდი. სულ ბოლოს კი უიმისოდ აღარ შემეძლო, მაგრამ შეხვედრაზე მაინც არ დავთანხმდი. დღესაც ვერ ვცემ ამ კითხვას პასუხს. ვფიქრობ, იმის მეშინოდა, რომ არ მოვეწონებოდი. ის კი სულ მეხვეწებოდა, ერთი წამით მაინც შემხვდიო. მე კი ხან რას ვიმიზეზებდი, ხან რას. ის, ყველაფერის მიუხედავად, სულ ჩემს ზარს ელოდა. მეგობრის დახმარებით, ათი წლის შემდეგ შევხვდი. ძალიან მომეწონა. უფრო მეტიც – უზომოდ მიყვარს. ისიც იმავე გრძნობით მპასუხობს, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია. ნეტავ, ადრე მენახე. რად არ შეგხვდი? შენს თავს ვფიცავარ, ვერ გამიგია. თუ ამ „მესიჯს“ წაიკითხავ, მიხვდები, რომ მე ვარ, შენი ფისო, რომელსაც ასე უზომოდ უყვარხარ“.

„ერთი ბიჭი მიყვარდა და ვაღიარებ, რომ დღესაც მიყვარს. 5 წელი ველოდი, რომ სიყვარული აეხსნა, უცნაური ადამიანი იყო. სიყვარულიც უცნაურად ამიხსნა. მოვიდა და პირდაპირ ცოლობა მთხოვა. მე კი უარი ვუთხარი. მის ჯიბრზე სხვას გავყევი. ქორწილის დღეს, ისევ მოვიდა და გაპარვა შემომთავაზა. ისევ ცივი უარით გავისტუმრე. არადა, უზომოდ მიყვარდა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ? ჩემს უაზრო საქციელზე პასუხს ვერ ვპოულობ. მინდოდა მასთან ყოფნა და რატომ ვუთხარი უარი, არ ვიცი“.

„ერთადერთი კითხვა, რომელიც უპასუხოდ რჩება, ეს არის – ვუყვარვარ გოგას? თიკო“.

„ადამიანთან ორი წელი ვიცხოვრე და ვერ გავიგე, რა გრძნობა ჰქონდა ჩემ მიმართ. თქვენი საშუალებით მინდა ვკითხო – ნატო, გიყვარდი ოდესმე?“

„...54.13-ის მფლობელს: „მე მიყვარს შენი მოხვეული ქუჩის ნაპირი და იმ ნაპირთან მდგომი შენი სახლის სარკმელი. მიყვარს ეს ქუჩა, საიდანაც დაიარები და ისიც მიყვარს, ვისაც ჰქვია შენი სახელი“ ...95.12-ის მფლობელისაგან“.

„ვადაეცით ქუთაისელ თამაზ მ-ს, რომ მენანება უიმისოდ გასული ყოველი დღე. ძალიან მიყვარხარ, ჩემო მწვანეთვალებავ. უშენობა არ შემიძლია“.

„იცით, რამდენი კითხვის პასუხს ვეძებ? ჩამოვთვალო? რატომ არის ვარდი ყვავილების მეფე, როცა გვირილა უფრო ლამაზია? რატომ იჩენენ გოგონები ჭიპს? რატომ აქვთ ქალებს პირი გაღებული და ენის წვერი გამოყოფილი, როდესაც წამწამებზე ტუშს ისვამენ? რატომ იჭმევა ქადა ორი ხელით? რატომ ცივა ზამთარში, რატომ ცხელა ზაფხულში და რატომ „სველა“, როცა წვიმს? რატომ ჰქვია სიდედრს სიდედრი და ზოგიერთ მომღერალს – ვარსკვლავი? როგორ ახერხებენ ქალები მაღალ ქუსლებზე სიარულს და საერთოდ, სად აქვთ კაცებს ჭკუა? ნიკო“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ: სინდისის ქენჯნა. გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, როდის და რატომ შეგაწუხათ სინდისმა.

■

წამალი „მთავარი ლა“

- თმის დაავადებები, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა);
- ტილები, წილები, ისპობა 1 საათში;
- კანის და ფრჩხილის სოკო, ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნოჭების გასწორება, მცენარეული საპნები;
- ნატურალური მკვებავი მალამოები.

მკურნალობა გარანტიით

ვის: ჭავჭავაძის გაზ. 2/2, ჩაის სახლთან, სამეცნიერო
პოლიკლინიკაში, ვიდეა ყოველდღე 11-18 სთ-ზე, ბიოლოგი ეჭედლიძე, ბეგაშვილი
☎ 30-94-73; 34-35-16 ნალბანდოვ

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ნათია თურნავა ახალი კადრი ნამდვილად არ არის. იგი რამდენიმე წელია სტაბილურად ინარჩუნებს აღნიშნულ თანამდებობას და ხუმრობს კიდეც, რომ უკვე სამი მინისტრი გამოიცვალა. როგორ გადაურჩა საკადრო წმენდას, როგორ ახერხებს ურთიერთობას „პატარა“ მინისტრთან და რატომ ამსგავსებენ მას ფინანსთა მინისტრის მოადგილეს — ამ ყველაფერს ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„ყველა ჩანგის მოადგილე“ უკვე სამი მინისტრი გამოიცვალა

ემა ტუხიაშვილი

— ქალბატონო ნათია, ზუსტი მეცნიერებები ბავშვობიდანვე გიტაცებდათ?

— ბავშვობაში მსახიობობაზე ვოცნებობდი, შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე, ხატვამ გამიტაცა, ხოლო ეკონომიკას რაც შეეხება, ამ სიტყვის მნიშვნელობა გარკვეულ ასაკამდე არც კი ვიცოდი. მართალია, სკოლაში ფრიადოსანი ვიყავი, თუმცა ამავე დროს, საკმაოდ აქტიური და ხალისიანი ბავშვი გახლდით. შემიძლია გითხრათ, რომ სკოლაში ერთი შატალოც კი არ გამიცდენია. მეტიც, შატალოზე სიარული, ვერც სტუდენტობის პერიოდში მოვიშალე, არადა, მამაჩემის რეკომენდაციით პირველ კურსზე ჯგუფის კომორგად *(კომკავშირული ორგანიზატორი. — ავტ.)* დავინიშნე. მაგრამ ჯგუფურ შატალოში მონაწილეობის გამო ეს თანამდებობა მალევე დამატოვებინეს და პირად საქმეში საყვედურიც კი ჩამიწერეს. ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაბარებაც მამამ მირჩია. სკოლა ოქროს მედალზე მქონდა დამთავრებული, ამიტომ ნებისმიერ ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი გამოცდით შემეძლო მოხვედრა. სწორედ მაშინ ვკითხე მამაჩემს, თუ რა იყო ეკონომისტობა, მან კი ამიხსნა: ეს ისეთი პროფესიაა, რომ შენი ლუკმაპური ყოველთვის გექნებაო. ეს ჯერ კიდევ ის პერიოდი იყო, როდესაც საგეგმო ეკონომიკა არსებობდა ჩვენს ქვეყანაში და არავის ეგონა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდოდით. როდესაც ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, ბევრი მსაყვედურობდა, რომ უბრალოდ გავაფუჭე ოქროს მედალი და შემეძლო, გაცილებით უკეთესი პროფესია ამერჩია. თუმცა, რამდენიმე წელიწადში ამ პროფესიამ დიდი აქტუალობა შეიძინა და ეკონომისტებზე მოთხოვნაც გაჩნდა.

— თქვენი პირველი სამსახური და პირველი ხელფასი თუ გახსოვთ?

— სიმართლე გითხრათ, პირველი სამსახური უფრო დამამახსოვრდა, ვიდრე პირველი ხელფასი, რადგან მაშინ ჩემთვის მთავარი იყო, ჩემი შესაძლებლობები გამომევლინა. ჩემი პირველი თანამდებობა გახლდათ უფროსი მეცნიერ-მუშაკი საქართველოს პარლამენტარიზმის ინსტიტუტში, იგივე „იმელი“. ამავდროულად ვკითხულობდი ლექციებს უნივერსიტეტში და რამდენიმე გამოცემაში, ეკონომიკური თემატიკის სტატიებსაც ვაქვეყნებდი. როგორც ჩანს, ჩემი შრომა და გარჯა შეუმჩნეველი არ დარჩა, ვინაიდან ერთ მშვენიერ დღეს, შემომთავაზეს კონსულტანტის თანამდებობა პრეზიდენტის აპარატში. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ახალ კადრებზე მოთხოვნა გაზარდა, მართალია, ჩვენ — ახალგაზრდებს არ გვქონდა შესაბამისი ცოდნა, მაგრამ აქცენტი კეთდებოდა იმათზე, ვისაც შეეძლო, მალე აეთვისებინა ეს ყველაფერი, ესწავლა და განვითარებულიყო იმ სისტემასთან ერთად, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა. მოგვიანებით გაჩნდა შესაძლებლობა, რომ სავალუტო ფონდის ეგიდით სწავლა გამეგრძელებინა ვენის გაერთიანებულ ინსტიტუტში. 1996 წელს შეიქმნა სახელმწიფო კანცელარია, სადაც მუშაობა დავიწყე ფინანსურ-საბიუჯეტო სამსახურში რიგით თანამშრომლად, მოგვიანებით კი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე გავხდი. მოკლედ რომ გითხრათ, ყველა რანგის მოადგილე ვიყავი, ყველა რანგის ეკონომიკურ სამსახურში, როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ასევე არჩევითში *(ქალბატონი ნათია პირველი მოწვევის საკრებულოს წევრიც იყო, სადაც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. — ავტ.)*.

— ამ სამინისტროში მას შემდეგ მუშაობთ, რაც იგი ეკონომიკის, მრეწველობისა და საგარეო ვაჭრობის სამინისტროდ გადაკეთდა. ახლა შეიცვალა პოლიტიკური გუნდი, მოხდა კადრების „გადახალისება“, თქვენ კი სტაბილურად ინარჩუნებთ ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის პოსტს. რითაა ეს განპირობებული?

— როდესაც ეკონომიკის მინისტრად ირაკლი რეხვიაშვილი დაინიშნა, ავტომატურად დადგა მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. მართალია, მქონდა საუბარი მინისტრთან და ვიცოდი, რომ გავაგრძელებდი მუშაობას, როგორც მისი პირველი მოადგილე, მაგრამ ოფიციალური ბრძანება ჩემს დანიშვნაზე, ორგანიზაციული პრობლემების გამო, ცოტა მოგვიანებით მოხდა. ამასთან დაკავშირებით ბევრი ჩემი კოლეგა მირეკავდა და მილოცავდა. რამდენიმესგან კი ერთი და იგივე ფრაზა მოვისმინე: შენ თანდათან ბატონ ვასილ გიგოლაშვილს *(ფინანსთა მინისტრის მოადგილე. — ავტ.)* ემსგავსები, უკვე მესამე მინისტრი გამოიცვალეო. ბატონ ვასიკოს დავურეკე და ეს ამბავი ვუთხარი. ბატონმა ვასიკომ კი მითხრა: შენ ჩემთან შედარებით ჯერ ნორჩი ხარ, მე რვა მინისტრი მყავს გამოცვლილიო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი მე არ ვარ გამონაკლისი იმ მინისტრებსა თუ მათ მოადგილეებს შორის, ვისაც გარკვეული შეხება ჰქონდა წინა ხელისუფლებასთან. თუმცა ვფიქრობ, რომ ეს არის ჩვენი უპირატესობა, ანუ ჩემი და იმ თანამდებობის პირების, ვინც გადმოყოლილია წინა ხელისუფლებიდან. ჩვენ გვაქვს, როგორც პოზიტიური გამოცდილება (ცხადია, რომ ნულიდან არ გვიწევს ახლა რიგი პრობ-



კულისებს მიღმა «მიმალული» ოხუნჯობანი ბორის წიფურიასგან

ნებისმიერ მსახიობს, რომელიც წლების მანძილზე მდგარა სცენასა თუ გადასაღებ მოედანზე, უამრავი საინტერესო რამ აქვს გასახსენებელი — ამა თუ იმ როლზე მუშაობისას მომხდარ კურიოზებზე, პარტნიორებზე, გამოჩენილ მსახიობებსა და რეჟისორებზე, კულისებში და კადრს მიღმა დარჩენილ სიტუაციებზე. „გზის“ თხოვნით, ბორის წიფურიამ სწორედ ამგვარი რამდენიმე შემთხვევა გაიხსენა.

ნინო ჯავახიშვილი

ეროსის სიზმარი

— ორშაბათი ყველა თეატრში დასვენების დღეა. მიუხედავად ამისა, მსახიობები მაინც შეივლიან ხოლმე თეატრში — ზოგს რა საქმე აქვს, ზოგს — რა. ერთ ორშაბათს, დილით, ჩვეულებისამებრ მოვიყარეთ თავი მაყურებელთა ფოიეში. ნელ-ნელა ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით. ამ დროს შემოვიდა ეროსი მანჯგალაძე. ყველას გაგვიხარდა მისი დანახვა და მის გარშემო მოვიყარეთ თავი. ეროსი ძალიან ცუდ ხასიათზე იყო, ხმას არ იღებდა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა. — რა იყო? რაიმე ცუდი ამბავი ხომ არ არისთქო? — ვკითხეთ. — ისეთი არაფერი, უბრალოდ, ცუდ ხასიათზე ვარო, — გვიპასუხა. — რატომ? რა მოხდა-თქო? — ჩავაციედით. — თავი დამანებეთო, — გვეუბნებოდა. მაგრამ რომ არა და არ მოვეშვით, — წუხელ ცუდი სიზმარი ვნახეო, — ამოღერღა და დასძინა — სერგო ვნახე ზაქარიაძე და ვერ გამიგია, რა უნდა ჩემგან, რას მერჩის, რა დავუშავეო... — კარგი სიზმარი გინახავს, ეროსი, მიცვალებულის დასიზმრება დიდხანს სიცოცხლეს ნიშნავს-თქო, — დავამშვიდეთ. — იცით, რა მითხრა? სადა ხარ, ეროსი? რამდენი ხანია, გეძებ, აუცილებლად მოდი ჩემთან, საქმე მაქვს და გელოდებიო... რა საქმე უნდა ჰქონდეს, ნეტავ, რა უნდა ჩემგანო?.. — შეწუხებულმა იკითხა ეროსიმ. ამ ლაპარაკში თვალი მოვკარი რამაზ ჩხიკვაძეს, ჩვენკენ მოდიოდა და სადაც იყო, ფოიეში შემოვიდოდა. გავიქეცი, ზედ კართან შევეგებე და — რამაზ, იცი, ეროსი გაგიჟებულია, წუხელ სიზმარში სერგო უნახავს და აბა, შენ იცი-მეთქი... — გავაფრთხილე. მერე ისევ მსახიობთა წრეს დავუბრუნდი. მოგვიახლოვდა რამაზი, ყველას მოგვესალმა, ეროსის მიუბრუნდა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— სადა ხარ, კაცო, დილიდან გირეკავ და რატომ არ იღებდი ყურმილს?

— რა გინდა?

— კაცო, უცნაური სიზმარი ვნახე წუხელ და მინდოდა, შენთვის მომეყოლა...

ყველა გაშეშდა, შეცბუნებულმა ეროსიმ კი ძლივსღა ამოღერღა:

— მაინც რა ნახე?

— რა ვნახე და სერგო ვნახე ჩვენი, სერგო ზაქარიაძე...

ამის თქმაზე ყველამ ეროსის შეხედა. მან სიმშვიდე შეინარჩუნა და რამაზს ჰკითხა:

— როგორ ნახე? რა უნდოდა?

— როგორ და მოვიდა და მეკითხება: რამაზ, ეროსი ხომ არ გინახავსო? თუ ნახო, გადაეცი, აუცილებლად მოვიდეს ჩემთან, დიდი ხანია ვეძებ, სერიოზული საქმე მაქვსო...

— ვაიმე! — აყვირდა ეროსი. — ვაიმე! რა უნდა ჩემგან? რას გადამეკიდა?

თეატრზე უზომოდ შეყვარებული, მაგრამ ზედმეტად თავისებური ხასიათის კაცი იყო

რამაზს სიცილი აუტყდა:

— გეხუმრე, ეროსი, ტყუილია! წუხელ საერთოდ არ მინახავს სიზმარი.

— მე ხომ ვნახე! — არაფრით არ მშვიდდებოდა ეროსი.

ყველანი ერთად ვაწყნარებდით. ბოლოს გადავწყვიტეთ, ღვინო გვეყიდა, მთაწმინდაზე ავსულიყავით და სერგო ზაქარიაძის საფლავზე თითო ჭიქა წაგვექცია. თამადა რამაზი იყო, ჩვენც კარგად მოვილხინეთ და ეროსიც დაწყნარდა.

მიხეილ თუმანიშვილის მომდურავი

ერთხელაც, ასევე ორშაბათ დღეს, რამდენიმე მსახიობი შევიკრიბეთ ფოიეში. ჩვენთან ერთად ბატონი მიშა თუმანიშვილიც იყო. მან საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა და ვმხიარულობდით. თეატრის ტექნიკური რეჟისორი ვალიკო ბისონიაც შემოგვიერთდა. თეატრზე უზომოდ შეყვარებული, მაგრამ ზედმეტად თავისებური ხასიათის კაცი იყო. ხშირად უთანხმოება მომდიოდა მასთან. სცენაზე ჩადნილ არც ერთ ოინს არ მაპატიებდა ყოფილ „დანოსებს“ მიწერდა დირექციაში. სხვათა შორის, ვალიკო „დათა თუთაშხიაში“ მედუნის მსახურის — დაქირავებული მკვლელის როლს თამაშობს, რომელიც ჭიქაში საწამლავს უყრის რაჟა სარჩ

რომელ ყვავილის სამშობლოა ირანი	ოჯახის შთამომავალი	მრავალსერიიანი ტელეფილმი	მანეთის მეასედი	მდიდრული საბაგარაკო სახლი	3,14	ნი
ია	ა	ა	ა	ი	ა	ა
გაბაფხულის ყვავილი	დავით კლდიაშვილი „... დედინაცვალი“	ნაცვ	ძაღლის პირზე წამოსაცმელი	უფრთო ფრინველი	ხსნარი, რომლითა მეჭეჭებს წვავენ	

მელიასა და ბოდღო ღვალთავას. მოკლედ, ვალიკო მოგვიახლოვდა, მაგრამ დაინახა თუ არა ბატონი მიშა, რაღაც უცნაურად აიმრიზა და დემონსტრაციულად შებრუნდა. თურმე, წინადღეს, საკმაოდ მწვავე შელაპარაკება მოსვლიათ თეატრის საქმეზე. ბატონმა მიშამ შეამჩნია ეს და გასძახა: — ვალიკო, ასე როგორ შეიძლება?! ეს თეატრია, თეატრში კი, ასე მოქცევა არ შეიძლება: თუ პირადი წყენა გაქვს, გარეთ შეგიძლია გამოამჟღავნო, მაგრამ თეატრში — არავითარ შემთხვევაშიო!.. მოკლედ, პატარა ლექცია წაუკითხა ეთიკის თემაზე. ვალიკო უცებ მოტრიალდა და უპასუხა: — ვიცი, ბატონო, რომ თეატრია, ძალიან კარგად მესმის, მაგრამ დღეს ორშაბათია — დასვენების დღე, ჩემს ნებაზე ვარ და მინდა — მოგესალმებით და მინდა — არაო...

ყველა იცინოდა, მაგრამ რატომღაც მე მოვხვდი თვალში და ახლა მე „დამცოფა“: — შენ რაღა გაცინებს, შე არამზადავ? შენ საერთოდ არ ხარ ამ თეატრში გასაჩერებელი, მაგრამ... ყველანი ერთნაირები ხართო...

„მერი ნაკაშიძე რა არის შენი?“

— პარიზში, თეატრში „კომედი ფრანსეზ“ არის ასეთი ტრადიცია — ყოველი მეასე სპექტაკლი იმპროვიზაციის საღამოდ იქცევა. ჩვენს თეატრში მსახიობებს იმპროვიზაციის უფლება არ გვქონდა და თუ სცენაზე რაიმე „უკანონოს“ მოვიმოქმედებდით, დირექციის რისხვა არ აგვცდებოდა. არ მახსოვს, „საბრალდებო დასკვნის“ რომელიმე წარმოდგენაზე დათო პაპუაშვილს ჩემთვის „ნამდვილი“ — ე.ი. ჩემი სცენური სახელით მოემართოს. ასე არ არის ბატონო, ჭიჭიკოო? — უნდა მითხრას წესით, მაგრამ ხან რა სახელს მომიგონებდა და ხან — რას: — ასე არ არის, ბატონო კუჭკუჭი? ასე არ არის, ბატონო ანდუყაფარ?.. საკმარისი იყო, ვინმე საპატიო სტუმარი ჩამოსულიყო ქვეყანაში, რომ უმალ მის სახელს მომაკუთვნებდა — ასე არ არის, ბატონო რაჯმახანო?.. ამის გამო გაუთავებელი ხითხითი იყო. ერთხელ, საგანგებოდ კრებაც მოიწვიეს და ყველა კატეგორიულად გავაფრთხილეს, ასე აღარ მოიქცეთო. ყველაფერი წესრიგში ჩადგა, მაგრამ სცენაზე ცხოვრება უინ-



გავიქეცი, ზედ კართან შევეგებე და — რამაზ, იცი, ეროსი გაგიჟებულია, წუხელ სიზმარში სერგო უნახავს და აბა, შენ იცი-მეთქი...

ტერესო გახდა. ბატონმა სერგომ საგანგებოდ გააფრთხილა მსახიობები — თუ ბორისმა მაინც არ მოიშალა თავისი, თქვენ ნუ მიაქცევთ ყურადღებას და ნახავთ, თვითონვე დარჩება გაბითურებულიო. მოკლედ, სპექტაკლები მიდის. ერთხელაც, შემოდის ზაზა ნაკაშიძე („საბრალდებო დასკვნის“ მთავარი გმირი). ჩვენ შორის ასეთი დიალოგია:

(მივდივარ მასთან და მეგრული აქცენტით ვეკითხები):

— გარეთ კიდევ დარჩა ვინმე?

ის ჩუმად არის...

— რა გვარი ხარ?

— ნაკაშიძე! — მპასუხობს.

— სახელიც გეჭნება შენ, არ უნდა ამას ლაპარაკი.

— ზაზა მქვია!

— ქურდი ხარ?

— არა, — და ა.შ.

დაიწყო სპექტაკლი და ვფიქრობ — რა მოვიმოქმედო. არაფერი მომდის თავში. შემოდის ზაზა და იწყება დიალოგი.

— რა გვარი ხარ?

— ნაკაშიძე! — მპასუხობს მედიდურად.

— მერი ნაკაშიძე რა არის შენი?

..და აქ მოხდა ისეთი რამ, რაც არასდროს მომხდარა: ყველა, ვინც სცენაზე იყო, კი არ იცინოდა — ღმუოდა! მაყურებელი ხომ, ხარხარებდა და ხარხარებდა. ისეთი ამბავი ატყდა, რომ ტექრეჟისორმა კინაღამ ფარდა დააშვებინა... რა თქმა უნდა, ამ ამბავმა დირექციის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ყველამ ხელი ჩაიქნია ჩემზე — ამის გამოსწორება არ იქნებაო, — და... მაპატიეს.

ამის თქმაზე ყველამ ეროსის შეხედა. მან სიმშვიდე შეინარჩუნა და რამაზს ჰკითხა...

სიგარეტის კვამლი და მიცვალებული

ერთ პატარა ამბავსაც გავიხსენებ, რითიც კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმას, თუ რამხელა ძალა აქვს იუმორს ჩვენს ცხოვრებაში.

ჩემს მეგობარს, დათო პაპუაშვილს მამა გარდაეცვალა. სამძიმრის სათქმელად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი რეზო ჩხეიძე მივიდა. მიუსამძიმრა დათოს. ცოტა ხანს ისაუბრეს კიდეც. უცებ რეზო წამოდგა — გარეთ გავალ სიგარეტის მოსაწევადო. დათომ შესთავაზა — აქვე მოსწიეო. — აქ როგორ შეიძლება? — მიცვალებულიაო... — გაიკვირვა რეზომ. — მიდი, მოსწიე, თუ ძმა ხარ, მამაჩემს ერთბაშად ხველება არ აუტყდესო, — მოულოდნელად წამოსცდა დათოს. ამის თქმაზე რეზომ სიცილი ვეღარ შეიკავა და გარეთ გავარდა... განა დათოს არ უყვარდა მამამისი, მაგრამ იუმორის ფასი ხომ არაფერია, მით უფრო მაშინ, როცა გიჭირს...



...ა, რომლითაც ...ს ...ორმების ...ცია ხდება	პიპინიას შვილიშვილი (ფილმიდან)	ეგვიპტელთა ღმერთი	კარბიურატორის ნასვრეტებიანი დეტალი	ერთმანეთზე მიწყობილი ნაკეცები ქსოვილზე	სულელი, დეგენერატი	ვაზის საყრდენი სარი
...ეს	ალკოჰოლური სასმელი	ოპტიკური მოვლენა უდაბნოში	ისტორიის მუზა	სიგურნი უივერნის როლი ფილმში „უცხო“	საიდუმლო მოწყობილობა რაიმე მექანიზმზე	გენა

ლემების გადაწყვეტა), ასევე ნეგატიური გამოცდილება. ადამიანი შეიძლება იყოს აბსოლუტურად ახალი ცოდნით, ახალი გამოცდილებით მოსული, მაგრამ იმის გამო, რომ არ იცის, რა შეცდომები იქნა მანამდე დაშვებული, არ იცის ამ შეცდომების დაშვების მიზეზი და ა.შ., თავს ვერ დაიზღვევს იმისგან, რომ გაიმეოროს იგივე შეცდომები. დრო კი ძალიან ცოტა გვაქვს. მოლოდინი მოსახლეობისა თუ მსოფლიო საზოგადოების მხრიდან იმდენად დიდია, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ და ალბათ ვალდებულნიც, რომ ძალიან სწრაფად ვაჩვენოთ პირველი შედეგი. ახლა რომ განვუცხადოთ მოსახლეობას – უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ვწერდით სიღარიბის დაძლევის პროგრამას, მაგრამ ის უვარგისია, რადგან წინა ხელისუფლების დროს არის შედგენილი და კიდევ ორი წელი უნდა გვადროვოთო, – გაუმართლებელი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრი კარგი პროგრამა და ნათელი იდეა შეიქმნა წინა ხელისუფლების დროს, თუმცა იმთავითვე ყველამ იცოდა, რომ ეს ყველაფერი, მხოლოდ თაროზე შემოსადებად იწერებოდა. ახლა ხელისუფლების ძირითადი მიზანია, რომ ყველა ეს ნათელი იდეა ახლებურად გაიაზროს და ძალიან მოკლე დროში მოახერხოს მათი განხორციელება.

— საკმაოდ ახალგაზრდა ასაკის გამო, ბევრი ადამიანი თქვენს მინისტრს გამოუცდელობაში სდებს ბრალს. როდესაც თქვენ ვენის ინსტიტუტში სწავლობდით, ირაკლი რეხვიაშვილი ალბათ სკოლაში დადიოდა. ეს ასაკობრივი სხვაობა ხელს ხომ არ გიშლით საქმიან ურთიერთობაში?

– იქნებ, ჩემგან ცოტა არაკორექტული იყოს ამაზე საუბარი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ასაკი არ შეიძლება იყოს პროფესიონალიზმის განმსაზღვრელი. მაგალითად, ჩვენს სამინისტროში მუშაობს ერთი სპეციალისტი, რომელსაც წელს ოთხმოცი წელი უსრულდება, მაგრამ ბევრ ახალგაზრდას მირჩევნია. საერთოდ ახალგაზრდული კადრების მოზიდვა ჩვენი მთავრობის ტენდენციაა, თუმცა წინა ხელისუფლებაშიც გვყავდა რამდენიმე ახალგაზრდა თანამდებობის პირი. მათ შორის იყვნენ, როგორც ნიჭიერები, ასევე უნიჭოები. ირაკლის დიდი უპირატესობა აქვს იმის წყალობით, რომ უნიკალური განათლება აქვს მიღებული დასავლეთში. პირადად მე, ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ მისგან.

— ალბათ ისიც ბევრს სწავლობს თქვენგან, არა?

– ალბათ ასეც არის. ჩვენ ვავსებთ ერთმანეთს. მე ჩემი გამოცდილებით, ის კი განახლებული მიდგომით და კომუნიკაბელურობით, რაც აუცილებელია უცხოელ ინვესტორებთან კონტაქტის დასამყარებლად. მახსენდება, რომ რა ასაკის მინისტრიც არ უნდა დაენიშნათ ეკონომიკის სამინისტროში, ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ხოლმე, კრიტიკოსები. შეიძლება, მთლიანობაში ამის მიზეზია უკმაყოფილება ეკონომიკური პოლიტიკით და იმით, რომ მისი დადებითი შედეგები ჯერ არ ჩანს. ამ კუთხით კი კრიტიკა მისაღებია.

— ეკონომიკა სწორ გათვლებსა და მაქსიმალურ სიზუსტეს მოითხოვს. თქვენმა პროფესიამ თუ იქონია გავლენა თქვენს პიროვნულ თვისებებზე?

– მართალია, ეკონომიკაში სიზუსტეც საჭიროა, მაგრამ ჩვენ უფრო პროგნოზებზე ვართ ორიენტირებული. თუმცა, პროგნოზი არ იქნება ხარისხიანი, თუ მას შემოქმედებითად არ მიუდგები. ეს ჩემს ხასიათზე არ მოქმედებს, რადგან თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობა აქაც მეძლევა. თუმცა მეორე მხრივ, ჩამომიყალიბდა მკაცრი მოთხოვნა საკუთარი თავის მიმართ და ვშიშობ, რომ ასეთივე მომთხოვნი ვარ ჩემი კოლეგებისა და თანამშრომლების მიმართ.

ჩვენ ვავსებთ ერთმანეთს. მე ჩემი გამოცდილებით, ის კი განახლებული მიდგომით და კომუნიკაბელურობით

— რამდენად რთულია ქალისთვის, იყოს სახელმწიფო მოხელე?

– უნდა გითხრათ, რომ მე მყავს მეუღლე და თექვსმეტი წლის ვაჟი და მათაც სჭირდებათ ჩემგან ყურადღება, დროის დათმობა და ენერგია. ქალმა რაღაცნაირად უნდა გამონახოს ბალანსი საქმიანობასა და ოჯახს შორის. არავინ იფიქროს – მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ხარ, ვინმე რამეს გაპატიებს. სამსახურში ამგვარი მოპყრობა ჩემთვის შეიძლება შეურაცხმყოფელიც იყოს. პროფესიონალიზმის თვალსაზრისით, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უნდა უსწრებდე შენ გვერდით მდგომ მამაკაცს. შეიძლება, ეს ძალიან მაღალი კრიტერიუმია, რომელიც მე საკუთარ თავს დავუწესე, მაგრამ უწყებაში, სადაც ძირითადად მამაკაცები მუშაობენ, მხოლოდ ასე თუ აღმოჩნდები მოწოდების სიმაღლეზე.

— ეკონომიკური გათვლები თუ გეხმარებათ იმაში, რომ იმყოფინოთ საკუთარი ხელფასი?

– ყველაზე ცუდი ეკონომისტი ვარ საკუთარი ოჯახური ბიუჯეტის მიმართ, ვერასოდეს ვერ ვეტევი დადგენილ თანხაში. სხვათა შორის, ეკონომიკური თეორიდან არის ცნობილი, რომ მოთხოვნილებები განუსაზღვრელია, რესურსები კი ლიმიტირებული. ისევე, როგორც ყველა ქალბატონს, კარგი სამოსი მეც ძალიან მიყვარს და როდესაც მივლინებით უცხოეთში ვიმყოფები ხოლმე, ვცდილობ, რომ დავზოგო სამივლინებო თანხა და „სეილებზე“ *(ფასდაკლებით. – ავტ.)* უცხოური სამოსი შევიძინო. თუმცა ერთი-ორი ცნობილი სამოდელო სახლის ნივთიც მაქვს.

— რიცხვებთან ყოველდღიური შეხების და ანგარიშის შემდეგ, როგორ ახერხებთ დახარჯული ენერგიის აღდგენას?

– ჩემთვის დასვენების დღე მხოლოდ კვირაა, ამიტომ ვცდილობ, რომ მთელი დღე ოჯახთან ერთად გავატარო ხოლმე და სამსახურზე არც კი ვიფიქრო. მიყვარს შვილთან ერთად კინოთეატრში სიარული, ადრე მეგონა, რომ ფილმის საყურებლად მხოლოდ ჩემი შვილის გამო მივდიოდი. ახლა კი იმდენად მომწონს კინოში სიარული, რომ ხშირად ინიციატივას მე ვიჩენ ხოლმე. უცხოეთში მივლინებით ყოფნაც კარგი დასვენებაა ჩემთვის, თუმცა ამ ბოლო დროს თავს ხანგრძლივი მივლინების უფლებას ვეღარ ვაძლევ. მოგეხსენებათ, ჩვენი სამინისტრო მუდმივი რეორგანიზაციის პირობებში იმყოფება და შტატით გათვალისწინებული მინისტრის ხუთი მოადგილის ნაცვლად, თანამდებობას მხოლოდ ორნი ვინარჩუნებთ. ამრიგად სულ მცირე ორი მოადგილის საქმის შეთავსება მაინც მიწევს. ■

ტაძარი

რა უნდა ვიცოდეთ მონაზვნობასთან დაკავშირებით

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს მონაზვნობასთან დაკავშირებით. გვესაუბრება წმინდა დიდმოწამე ქეთევანის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი რაზმაძე.

მორენა მერკვილაძე

— როგორ აღესრულება მონაზვნად აღკვეცა?

— მონაზვნად აღკვეცის წესს წინ უძღვის აღსაკვეცის — ანუ მონაზვნობის მსურველი პირის გამოკითხვა, რომლის დროსაც ირკვევა მისი თავისუფალი და მტკიცე გადაწყვეტილება მონაზვნად შედგომისა. აღკვეცის წინ, ის იხდის თავის სამოსელს და აღმკვეცის წინაშე მხოლოდ გრძელი პერანგით (ძაძით) წარდგება. „რისთვის მოსულხარ?“ — ეკითხება აღმკვეცი (ეპისკოპოსი ან საამისოდ დადგენილი ბერი) — „მე უარვყავ ეს წუთისოფელი და მოვედი, რათა შევუდგე ქრისტეს“ — პასუხობს აღსაკვეცი. ამის გამეორება ხდება რამდენჯერმე. აღსაკვეცი დებს უქორწინებლობის — ქორწინების გარეშე ცხოვრების, უპოვრობის — საკუთრების გარეშე ცხოვრების და მორჩილების — საეკლესიო და სამონაზვნო წესდებებისა და სულიერ მოძღვართა მორჩილების აღთქმას. ამ აღთქმათა მიღების ნიშანია ის, რომ აღმკვეცი, მონაზვნობის მსურველ პირს აძლევს ახალ სახელს, თავზე ჯვრის სახით შეაჭრის ცოტაოდენ თმას და მას ჯვარს, სანთელს, ფსკვნილს და სხეულის შესამოსად ჯვრის გამოსახულებიან ქსოვილს გადასცემს. მონაზვნად აღკვეცის წესის დასრულებისას, ახალაღკვეცილი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ შეასრულებს მორჩილებას და შეუდგება ქრისტეს გზას. ბოლოს, ხდება მისი შემოსვა საბერმონაზვნო შესამოსლით.

— რატომ დებს მონაზვნად აღკვეცის დროს, აღსაკვეცი პირი უქორწინებლობის, უპოვრობისა და მორჩილების აღთქმას?

— პირი, რომელიც მონაზვნობისთვის — ანუ ამ წუთისოფლიდან განშორებისთვის ემზადება, აღარ უნდა იყოს მიჯაჭვული წუთისოფელზე, არამედ დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ ღმერთზე და ყოველივეს ეძიებდეს ღმერთისგან. თუმცა, მონაზვნური, უქორწინებელი ცხოვრება სულაც არ ნიშნავს საერთოდ ქორწინების უარყოფას, არამედ ეს არის განსაკუთრებული გზა ადამიანური ბუნების ძალთა გამოყენებისა, რომლის მისაღწევადაც ბერმონაზვნებს შემწედ განსაკუთრებული მადლისმიერი ნიჭი ევლინებათ.

— რატომ იწოდებიან ქალი მონაზვნები ქრისტეს სძლებად?

— რადგან მათ უარი თქვეს ქორწინებაზე, უფლით შეიმოსნენ და თავიანთი თავი ქრისტეს სასძლოდ გაამზადეს, რისთვისაც საკუთარი სურვილით უარი თქვეს ქორწინებაზე.

— რატომ ეძლევა მონაზონს აღკვეცის დროს ფსკვნილი და რატომ უნდა იმეოროს მონაზონმა განუწყვეტლივ „იესოს ლოცვა“?

— საერთოდ, ფსკვნილი არის თოკისგან დაწნული კრიალოსანი, რომელზეც კვანძები — ანუ ფსკვნილები აღნიშნავს შესრულებული ლოცვის ან მეტანიის რაოდენობას; როდესაც ადამიანი მონაზვნად აღიკვეცება, მას ფსკვნილი ეძლევა — როგორც სულიერი მახვილი, რადგან ფსკვნილის მიღება „იესოს ლოცვის“ გამუდმებით წარმოთქმაზე თანხმობას ნიშნავს. თვითონ „იესოს ლოცვა“ არის უძლიერესი ლოცვა, რომლის წარმოთქმითაც ყველაზე მეტად დაიძლევა და განიდევნება ბოროტი ძალა.

— რატომ იწოდებიან ბერმონაზვნები შავ სამღვდელოებად?

— რადგან მათ უარი თქვეს ქორწინებაზე და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე.

— საერთოდ, რა მისია აკისრიათ ბერმონაზვნებს?

— ბერმონაზონთა უმთავრესი მისია, ქვეყნისთვის განუწყვეტელი ლოცვაა. საერთოდ, ბერმონაზვნობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მონაზონი განუწყვეტლივ უნდა ლოცულობდეს, რაც გულისხმობს, როგორც ღვთისმსახურების სრული კანონის შესრულებას — მწუხრი იქნება, სერობა, ცისკარი, ჟამნების მსახურება თუ სხვა; ასევე პირადი ლოცვითი კანონის შესრულებას და ყოველდღიურ მარხვას. ეს არის საერთო საცხოვრებლის ტიპიკონური მოთხოვნა, რათა მონაზვნები მუდმივად ღვთის დიდებაში იყვნენ და განუწყვეტლივ მსახურებდნენ ღმერთს.

— რას ნიშნავს განდეგილობა, დაყუდებულობა და მესვეტეობა?

— განდეგილთა და დაყუდებულთა ცხოვრების წესი ბერმონაზვნური ცხოვრების სხვა სახეებისაგან არსებითად არ განსხვავდება, მათ ერთი აქვთ როგორც მიზანი, ასევე აღთქმებიც, მაგრამ ბერმონაზვნობის დაწყებისთანავე, ზოგი ბერი სრულ მარტოობას ირჩევდა, ზოგი — გამოქვაბულში გადიოდა და იქ ტვირთულობდა ბერმონაზვნურ ღვაწლს. იყვნენ მონაზვნები, რომლებიც ტყეებსა თუ უკაცრიელ ადგილებში იშენებდნენ განმარტოებულ სენაკებს და იქ იღვწოდნენ. მესვეტეები კი, მაღალ კოშკებსა და უდაბურ კლდეებზე ცხოვრობდნენ. ე.ი. განდეგილობა — ეს არის ბერმონაზვნური ცხოვრების განსაკუთრებული წესი, განმარტოებით დაყუდება აღმატებული მარხვისა და ლოცვისათვის. რაც შეეხება მესვეტეობას, ეს განდეგილობის ერთ-ერთი სახეობაა. დადებული აღთქმის მიხედვით, მესვეტეები ხანგრძლივი დროით ეყუდებოდნენ სვეტზე. მესვეტეობა განსაკუთრებული ღვაწლია, როდესაც ადამიანი ფეხს არ მოიცვლის და ასე ერთ ადგილზე დგომით ებრძვის ვნებებს.

— ხდება თუ არა მონაზონთა ანათემაზე გადაცემა?

— თუ მონაზონი სამღვდლო ხარისხშია — დავუშვათ, მღვდლის ან ეპისკოპოსის, — მას შეიძლება ჩამოართვან სამღვდლო ხარისხი, ე.ი. განკვეთონ სამღვდლო ხარისხიდან, მაგრამ მონაზვნობას ვერ ჩამოართმევენ. ბერმონაზონთა სამღვდლო ხარისხიდან განკვეთის მიზეზად შესაძლოა, იქცეს მონაზონის ეკლესიიდან განდგომა, მწვალებლობაში ჩავარდნა თუ სხვა მძიმე, ტიპიკონური დარღვევა.

— რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს ადამიანმა უარი მონაზვნად აღკვეცაზე?

— თუკი სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერი, მორჩილობის პერიოდში აღსაკვეცს შეატყობს, რომ ვერ შეძლებს, იტვირთოს ბერმონაზვნობის ღვაწლი, ასეთ შემთხვევაში მონაზვნობის მსურველ მორჩილს მონაზვნად არ აღკვეცენ.

— აქვს თუ არა ბერმონაზონთა ლოცვას განსაკუთრებული ძალა?

— მონაზონთა ლოცვას მართლაც უდიდესი ძალა აქვს, მაგრამ ლოცვა აუცილებლად რწმენით უნდა იყოს წარმოთქმული.

■

xseneba wminda didmowamisa da ZlevaSemosili giorgisa – giorgoba

მ ო რ ე ნ ა მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე

გიორგობა დიდ საეკლესიო დღესასწაულთა რიგს განეკუთვნება და მას მართლმადიდებელი ეკლესია ძველი სტილით 23 აპრილს, ხოლო ახალი სტილით – 6 მაისს აღნიშნავს – წმინდა დიდმოწამისა და ძლევაშემოსილი გიორგის, ბორბალზე გაკვრისა და წამების აღსანიშნავად. ნოემბრის გიორგობის დღესასწაული, რომელსაც მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ზეიმობს, დაწესებულია ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ნინოს მიერ, რომელიც დიდმოწამე გიორგის ბიძაშვილი იყო.

გიორგი დაიბადა III საუკუნეში, კაპადოკიაში, რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს. გიორგი სრულიად ახალგაზრდა განმწესდა სამხედრო სამსახურში. ქვეყნის მტრებთან ბრძოლისას გამოირჩეოდა, როგორც მამაცი, გამოცდილი მეომარი და მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღებაც მიიპყრო. იმპერატორმა იგი დაიახლოვა, შვილივით შეიყვარა და მხედარმთვარის მაღალი წოდებაც უბოძა. იმ დროისათვის დიოკლეტიანემ ქურუმების და თავის სიძის – გალერიუსის გავლენით გადაწყვიტა, გაენადგურებინა ყველა ქრისტიანი იმპერიაში და ქრისტიანთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა წამოიწყო. ამის გამო იმპერატორს შეეწინააღმდეგა გიორგი, რისთვისაც მონარქმა რამდენჯერმე აწამა იგი. ერთ-ერთი წამების დროს, დიოკლეტიანემ გიორგის, ბორბალზე გაკვრის ბრძანება გასცა: მომავალი წმინდანი არ შეუშინდა წამებას – ხმამაღლა მადლობდა და ადიდებდა ღმერთს. ბოლოს კი, ჩუმად, გულში ლოცულობდა. წმინდა გიორგი უფლის შეწევნით სრულიად ტანმრთელი გადაურჩა ბორბალზე წამებას...

დიოკლეტიანეს არც ბორბალზე გაკვრის შემდეგ შეუწყვეტია წმინდანის წამება. სულ მალე, მოწამე ახალდამბალი კირის ორმოში ჩააგდეს და მცველები დაუყენეს. სამი დღის შემდეგ, დიოკლეტიანემ ბრძანა, რომ გადაეყარათ მისი ძვლები, მაგრამ გიორგი სრულიად უვნებელი დახვდათ, რადგან მას უფლის ანგელოზი იცავდა... ამ სასწაულის ხილვამ, მცველები ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია. დიოკლეტიანემ კი, წინ დაისვა მოწამე და ჰკითხა: „გვითხარი ჩვენ, ვინ გაგაცოცხლა შენ?“ წმინდა გიორგიმ კი მიუგო: „ვიცი, მეფეო, კიდეც რომ გითხრათ თქვენ, არ დამიჯერებთ, მაგრამ მე არ დავფარავ, იცოდე შენ, მეფეო, რომ იესო ქრისტემ, ღმერთის ძემ, დამიცვა მე ყოველგვარი სატანჯველისაგან და იგი დაიხსნის ეშმაკის მახისაგან ყველას, ვინც კი ვედრებით მოუხმობს მის წმინდა სახელს“. გამძვინვარებულმა მეფემ, ჭეშმარიტების აღიარების ნაცვლად, ბრძანა, რომ წმინდანისთვის, ისეთი ფეხსაცმელები ჩაეცმიათ, რომელიც გავარვარებული ლურსმნებით იყო შემოჭედილი. გიორგიმ ამ ფეხსაცმლით სიარული ვერ შეძლო, ამიტომ მას ქუჩა-ქუჩა ათრევდნენ და სასტიკად სცემდნენ, მაგრამ სულიერად მაინც ვერ გატეხეს. ამის შემდეგ, დიოკლეტიანემ გიორგის საპყრობილეში ჩასმის ბრძანება გასცა. მოწამე კვლავ ლოცულობდა: „უფალო... ნუ გამწირავ, არამედ მომმადლე მოთმინება სიკვდილამდე, რომ არა სთქვას მტერმა: „სადა არს ღმერთი იგი მისი“. როდესაც ლოცვა დაასრულა, მოესმა ხმა ზეციდან: „ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთან ვარ“ და მყისვე გამოუჩნდა შეწევნა უფლისგან – გიორგი სრულიად განიკურნა.

მეორე დღეს, წმინდანი დიოკლეტიანემ თავისთან იხმო და უთხრა: „დამემორჩილე და შესწირე მსხვერპლი კერპთა ღმერთებს“. წმინდა გიორგიმ კი მიუგო: „მე ჩემი ღმერთის შეწევნით მოვითმენ ყოველგვარ სატანჯველს... თქვენ მოწმე ხართ ჩემი ღმერთის ძალისა“. განრისხებულმა დიოკლეტიანემ, გიორგი საქონლის ძარღვებისაგან დამზადებული მათრახით აცემინა, შემდეგ კი, კვლავ საპყრობილეში დააბრუნა.

საპყრობილეში ყოფნის დროს, მრავალი ახალმოქცეული ქრისტიანი ახერხებდა გიორგისთან შეხვედრას. მოწამე მათ სარწმუნოებას ასწავლიდა, სნეულებს კურნავდა, ბრმებს თვალს უხელდა და მრავალ სასწაულს ახდენა.

საპყრობილეში გიორგის ყოფნის დროს აღსრულებულმა სასწაულებმა მეფის ყურამდეც მიაღწია, ამიტომ სასწრაფოდ იხმო თავისთან და ტკბილი სიტყვით შეეცადა მის გადაბირებას. პასუხად გიორგიმ დიოკლეტიანეს, აპოლონის ტაძარში წასვლა მოსთხოვა. დიოკლეტიანემ ეს თანხმობად მიიღო, მაგრამ საკერპოში მისულმა წმინდანმა ლოცვით შემუსრა კერპები, რამაც იმპერატორი სასტიკად განარისხა. მან გიორგისთვის თავის მოკვეთა ბრძანა...

სიკვდილით დასჯის წინა ღამით, საპყრობილეში მყოფ გიორგის მაცხოვარი გამოეცხადა, გაამხნევა და ზეციური ნეტარება აღუთქვა. მეორე დღეს, მოწამეს თავი წარჰკვეთეს, ეს მოხდა ბორბალზე გიორგის გაკვრიდან ექვსი თვის შემდეგ – 3003 წელს, 23 აპრილს, პარასკევ დღეს, დილის შვიდ საათზე...

ანდერძის თანახმად, გიორგის ნეშტი დაკრძალეს პალესტინაში, ქალაქ რამალაში და იგი შეიქმნა კურნებისა და სასწაულების წყაროდ. კონსტანტინე დიდის მეფობის დროს, იერუსალიმის მახლობლად, ქალაქ ლიდიაში წმ. გიორგის სახელზე ააგეს ტაძარი და მისი წმინდა ნაწილები იქ გადაასვენეს.

წმინდანი ითვლება მხედართა, მიწის მოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან დახსნას. წმ. გიორგი საქართველოს მფარველი – მისი ფარი და მახვილია.

■

ბოლო 50 წლის საუკეთესო ევროპელი ოსტატები

სულ ცოტა ხნის წინ, უეფამ ინტერნეტის მეშვეობით სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა, რომელსაც ევროპის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გამოევლინა. გამოკითხვის შედეგების თანახმად, პირველ ადგილზე საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი, ზინედინ ზიდანი გავიდა, მეორე-მესამე ადგილები კი, შესაბამისად, საქვეყნოდ ცნობილმა ოსტატებმა — გერმანელებმა ფრანც ბეკენბაუერმა და ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა დაიკავეს.

იოჰან კრუიფმა გამოკითხვაში 119 332 ხმა მიიღო. იგი ჰოლანდიის იმ ნაკრების კაპიტანი გახლდათ, რომელმაც 1974 წლის მუნდიალზე მსოფლიო თასი გერმანიის გუნდს დაუთმო, თუმცა თავისი ბრწყინვალე თამაშით მილიონობით ქომაგს შეაყვარა თავი. „ტოტალური ფეხბურთის“ ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი წარმატებით ასპარეზობდა „აიაქსშიც“. იოჰანი ამსტერდამულ კლუბთან ერთად 1971 და 1973 წლებში ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. იგი სამჯერ დაასახელეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, მესამედ — „ბარსელონის“ შემადგენლობაში თამაშისას, როდესაც კატალონიელებმა ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვეს. ჰოლანდიის ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 48 მატჩში იოჰან კრუიფს 33 გოლი აქვს გატანილი. გთავაზობთ uefa.com-ის კორესპონდენტის მიერ ჰოლანდიელი სუპერვარსკვლავისაგან აღებულ ინტერვიუს.

მფრინავი ჰოლანდიელი

— თქვენ ნებისმიერი თაობის გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობთ. რით ახსნით ამას?

— ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები, რომლის ღირსებასაც ვიცავდი, იმ პერიოდში დაიბადა, როდესაც ევროპაში იტალიური სტილის, დაცვითი ფეხბურთი მეფობდა. ჩვენ კი, მთელ მსოფლიოს დავანახვეთ, რომ პროფესიონალ ფეხბურთელს ღიმილით და სიხარულით თამაშისას, სიამოვნების მიღება შეეძლო. მე იმ ეპოქის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც დაამტკიცა, რომ ლამაზი ფეხბურთითაც შეიძლება წარმატების მიღწევა.

— მოედანზე ყოველთვის პუბლიკის გასართობად გამოდიოდით?

— ეს ჩემი მუშაობის ნაწილი გახლდათ. ფეხბურთის არსი გამარჯვების მიღწევაში მდგომარეობს და სიხარულის განცდა არ დაგეუფლება, თუ ყოველ კვირას აგებ. მაგრამ გამარჯვებული მხოლოდ ერთია, რადგან ტიტულს ორად ვერ გაყოფ. მაშ, როგორ უნდა ჩაატაროს ყველა კლუბმა კარგი სეზონი? როგორ და თითოეულმა მათგანმა ქომაგებს ლამაზი ფეხბურთი უნდა უჩვენოს.

— ლამაზი ფინტებისა და ტრიუკების მიღმა ალბათ, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი იმალება?

— ყოველი წაგებული მატჩი ფანებში იმედგაცრუებასა და გაღიზიანებას იწვევს — ამას მე განსაკუთრებით „ბარსელონასა“ და „აიაქსში“ ვგრძნობდი. ყოველი წაგებული შეხვედრისთვის ხალხი გვიყვიროდა და გვისტვენდა. ამიტომ ყველაფერი უნდა გველონა, რათა პუბლიკის განწყობა უკეთესისკენ შეგვეცვალა. ჩემი ამოცანა იმში მდგომარეობდა, რომ თამაშის დასწყისში მოედნის ცენტრში რამდენიმე თვალისმომჭრელი ტრიუკი მეჩვენებინა. ხალხი კი ამბობდა: „აი, ეს გვესმის!..“ მათი ჩვენდამი დამოკიდებულება იცვლებოდა. ისინი სულითა და გულით გვქომაგობდნენ და ჩვენც ჩინებულ მატჩს ვატარებდით.

— გამარჯვება და მარცხი თქვენი კარიერის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო?

— როდესაც „ბარსაში“ ვთამაშობდი და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალი“ ანგარიშით 5:0 დავამარცხეთ, ჩემთვის გამარჯვებაზე უფრო მნიშვნელოვანი კატალონიელთა სიხარული გახლდათ. ფეხბურთი სენტიმენტალური თამაშია. ფეხბურთელი კლუბის ან ქვეყნის ნაკრების ღირსებას იცავს და უდიდეს ენერგიას ხარჯავს ტიტულის მოსაპოვებლად. თუმცა ხანდახან, გამარჯვებაზე მეტად, ლამაზი დამარცხება ფასობს.

— 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს ხომ არ გულისხმობთ, რომელშიც ჰოლანდია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან ანგარიშით 1:2 დამარცხდა?

— ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში დავმარცხდით, მაგრამ ამ მარცხმა მაინც მოგვიტანა დიდება! ყველას სურდა ჩვენი გამარჯვება. ჩვენ საერთო-სახალხო ყურადღება, სიმპათია და სიყვარული დავიმსახურეთ. ერთი თვის მანძილზე, ვიდრე ტურნირი მიმდინარეობდა, არავინ საუბრობდა გამარჯვებაზე ან დამარცხებაზე. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ქომაგი უბრალოდ, ჩვენი ლამაზი თამაშით ტკბებოდა. ეს თავის მართლება არ გეგონოთ, სწორედ ასეთი განწყობა იყო და დღესაც, ფინალური შეხვედრის შედეგი სულაც არ მაღელვებს.

— ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში ზიდანთან და ბეკენბაუერთან ერთად მოხვდით. რას ფიქრობთ მათზე?

— თავის დროზე, მე და ფრანცი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს ვიმყოფებოდით, ამჟამად, უბრალოდ მეგობრები ვართ. ორივე იმაზე ვფიქრობთ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ფეხბურთი. ამიტომ ყოველთვის მზად ვარ, ამ საქმეში ფრანცის დასახმარებლად. ტელეფონითაც ხშირად ვლაპარაკობთ ფეხბურთზე. მოედანზე გამორჩეული ფიგურები ვიყავით, იმიტომ, რომ ბურთს ჩვენ ვიმორჩილებდით და არა პირიქით. თუ ადამიანები ერთნაირად უდგებიან ფეხბურთს, ისინი მტრები არასოდეს გახდებიან, არამედ ერთმანეთს დაუმეგობრდებიან.

— ზინედინ ზიდანზე რაღას იტყვით?

— აი, სწორედ ეს მიყვარს ფეხბურთში — გამოკითხვის მონაწილეებმა საუკეთესოებად მცველი, ჰავბეკი და ფორვარდი დაასახელეს. სამივეს ერთი რამ გვაერთიანებს — ტექნიკა. ზიდანისეული თამაშის მანერა, მოედნის ხედვა უბრალოდ, ფანტასტიკაა. ის სამაგალითოა ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის. დღეს ზიზუ თანამედროვე ფეხბურთის სახეა.

კაიზერ ფრანცი



ფრანც ბეკენბაუერი ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი გუნდის კაპიტნისა (1974) და მთავარი მწვრთნელის რანგში (1990) მოიპოვა. თავიდან, ბეკენბაუერი ნახევარმცველი იყო, მაგრამ თანდათან, შემტევ ლიბეროდ გადაიქცა. ის პირველი გერმანელია, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში 100-ზე მეტი თამაში ჩაატარა. ამ მიღწევის შემდეგ, ფრანცმა „ბავარია“ დატოვა და ჯერ ნიუიორკის „კოსმოსს“ მიაშურა, შემდეგ კი – „ჰამბურგს“. ბუნდეს-ნაკრების მაისურით ბეკენბაუერმა სულ 103 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 14 გოლი გაიტანა. იგი გახლავთ ევროპის ჩემპიონი (1972), საკონტინენტთაშორისო (1976), ევროპის ჩემპიონთა (1974; 1975; 1976), თასების მფლობელთა (1967) და გერმანიის თასის (ოთხჯერ) მფლობელი. გარდა ამისა, კაიზერ ფრანცმა ხუთჯერ გაიმარჯვა თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში. 1972 და 1976 წლებში ის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს. უეფას მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში ბეკენბაუერმა 122569 ხმა მიიღო.

ფრანც ბეკენბაუერი:

– ძნელია რომელიმეს გამორჩევა. ალბათ ეს ქომაგთა პირად სიმპათიაზეა დამოკიდებული, 50 წლის მანძილზე ხომ ამდენი თაობა შეიცვალა! 1954 წელს გერმანიამ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა, რომელშიც ფერენც პუშკაში, ნანდორ ჰიდეგკუტი, ფრიც ვალტერი მონაწილეობდნენ. ისინი თავიანთი დროის ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ. იმდროინდელი ვიდეოჩანაწერები შემორჩენილია და მათი ნახვისას ადვილად აღმოაჩენთ სხვაობას ძველ და ამჟამინდელ ფეხბურთს შორის. დღეს უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს ტაქტიკა, მოძრაობაში ყველაფერი დიდი სისწრაფით კეთდება, ერთ ადგილზე ვერავინ გაჩერდება. ერთი სიტყვით, ყველაფერი შეიცვალა. ამიტომ ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა ამოირჩიო საუკეთესო. მაგრამ თუ თქვენ მაინც დამაძალებთ ამას, პირველ ადგილს ჩემს მეგობარს, იოჰან კრუიფს მივანიჭებდი. ევროპაში იგი პუშკაშთან, ალფრედო დი სტეფანოსთან (თუმცა, იგი ევროპელი არ ყოფილა), ბობი ჩარლტონთან და ჯორჯ ბესტთან ერთად უთუოდ საუკეთესო იყო. გარდა ამისა, ჩემი აზრით, სხვა პრეტენდენტებიც მოიძებნებიან, მაგალითად, გერდ მიულერი, რომელმაც თავის კარიერაში უამრავი გოლის გატანა შეძლო. მიუხედავად ამისა, მაინც მივიჩნევ, რომ ამგვარი გამოკითხვები მხოლოდ გასართობ ხასიათს ატარებს.

— „ბავარიიდან“ პირველ ოცეულში ოთხი მოთამაშე მოხვდა — თქვენ, კარლ-ჰაინც რუმენიგე, გერდ მიულერი და ლოთარ მათეუსი. როგორც კლუბის პრეზიდენტი, ამ მიღწევით უნდა ამაყობდეთ. ასეთი პატივი არც ერთ სხვა ევროპულ გუნდს არ რგებია!

– ცხადია, ამ შედეგით ძალიან გახარებული ვარ. ბევრ ქომაგს ჩვენი თამაში არ უნახავს, მაგრამ მაინც მოგვცა ხმა. ეს მართლაც ამაღელვებელია!

— 1966 წელს, თქვენ მონაწილეობა მიიღეთ ინგლისში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. 2006 წელს კი, თქვენი დამსახურებით მუნდიალს გერმანია უმასპინძლებს. რამდენად შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ფეხბურთი?

– დღეს ფეხბურთელებს სამოქმედოდ პატარა სივრცე აქვთ და გადაწყვეტილებაც სწრაფად უნდა მიიღონ. ადრე მანევრებისთვის უფრო დიდი სივრცის გამოყენების საშუალება გვქონდა. დღეს ფეხბურთელმა ბურთის მიღებამდე იცის, თუ რას გააკეთებს ერთი წამის შემდეგ. რამდენიმე ათწლეულის წინ კი, მშვიდად მიიღებდი ბურთს, გაიხედ-გამოიხედავდი, ზუსტ გადაცემას განახორციელებდი და ამაში ხელს არავინ შეგიშლიდა. ამის შედეგად შეიცვალა მოთამაშეთა მომზადების სქემაც. სულ სხვაგვარად ტარდება ვარჯიშები.

— დღეს თამაში თუ გსურთ?

– მსურს. ჩვენს დროს ასეთი მშვენიერი სტადიონებიც არ იყო. დასავლეთში ადგილებიც იშვიათობას წარმადგენდა და მაყურებელთა დიდი ნაწილი ფეხზე იდგა. თანაც მატჩებს მხოლოდ მამაკაცები ესწრებოდნენ. იმნაირად მაყურებელთა შორის სუსტი სქესის წარმომადგენლებს ფაქტობრივად ვერ ნახავდით. ახლა კი, მატჩების საყურებლად ორივე სქესის წარმომადგენლები დიდი აზარტით დადიან. ფეხბურთი ოჯახურ თამაშად იქცა, შეიცვალა ატმოსფერო სტადიონებზე. აღარაფერს ვამბობ იმ ფინანსურ სიტუაციაზე, რომელიც დღევანდელ ფეხბურთშია გამეფებული.

ზიზუ ისევ პირველია

ზინედინ ზიდანის შესახებ არაერთხელ გვისაუბრია. საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ბლეზერზე ჩვენი ჟურნალის წინა ნომერშიც შემოგთავაზეთ მცირე სტატია, მაგრამ რაკი იგი ევროპის ბოლო 50 წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელეს, კიდევ ერთხელ მივაყრობთ თქვენს ყურადღებას თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავს.

1992 წელს, როდესაც ზიზუ „ბორდოს“ ლირსებას იცავდა, იგი საფრანგეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დასახელეს. სწორედ მაშინ შედგა ზინედინის დებიუტი ეროვნულ ნაკრებშიც. იმ მატჩში „ძმაყინწები“ ჩეხებს ხვდებოდნენ და მეტოქის კარში ზიდანს ორი გოლი გაიტანა. 1996 წლიდან, ფრანგი ნახევარმცველი „იუვენტუსის“ ლირსებას იცავდა და ტურინულ კლუბს ორჯერ (1997 და 1998 წლებში) დაეხმარა ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაში, თუმცა ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ევროთასს მხოლოდ „რეალში“ გადასვლის შემდეგ დაეუფლა (2002). ოთხი წლით ადრე კი, საფრანგეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელთა კარში ორი გოლი გაიტანა და თავის გუნდს სანუკვარი თასი მოუპოვებინა. ასევე ნაკრებთან ერთად ზიდანმა 2000 წელს, ევროპის პირველობაში გამარჯვებაც იზეიმა. გასული წლის მიწურულს იგი პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს. უე-

ფას მერ ჩატარებულ გამოკითხვაში კი, „რეალის“ გამთამაშებლმა 123582 ხმა მიიღო.

— როგორ აღიქვით თქვენი გამარჯვება?

— ოცეულში მოხვედრითაც კი ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. უბრალოდ, არ მჯერა, რომ ბოლო ნახევარ საუკუნის მანძილზე, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად მთვლიან. გაკვირვებული ვარ, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ ხალხი ასე აფასებს ჩემს თამაშს. ჩემთვის ფეხბურთი ყველაფერია. ეს თამაში ყოველთვის მიყვარდა. დღესაც, ჩემი კარიერის მიწურულს, ფეხბურთისგან უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.

— პირველ ადგილს ვის მიაკუთვნებდით?

— მე უპირატესობას პელესა და მარადონას ვანიჭებ. მათ შემდეგ კი, სხვა მოთამაშეებსაც გამოვყოფდი — მიშელ პლატინის, ფრანც ბეკენბაუერს, იოჰან კრუიფსა და სხვებს. არანაკლებ მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ დღესაც, მაგალითად, რაული ან ლუიშ ფიგუ.

— როდესაც 1988-1989 წლების სეზონში „კანში“ თქვენი დებიუტი შედგა, წარმოიდგენდით, რომ წლების შემდეგ, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში ითამაშებდით?

— ვერ წარმოვიდგენდი. მაშინ ასეთ თავბრუდამხვევ კარიერაზეც არ ვფიქრობდი. ახლა კი, როდესაც უკან ვიხედები, ვხედავ, რომ ბევრის გაკეთება მოვასწარი. ჩემი მიღწევებითა და კიდევ იმით ვამყობ, რომ ჩემს მშობლებსა და ახლობლებს იმედები არ გავუცრუე. თუმცა შეიძლებოდა, ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარმართულიყო. ბედნიერი ვარ, რომ პროფესიონალურ სპორტში მალე დავიმკვიდრე ადგილი. მე ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანი გახლავართ, რომელიც საყვარელი საქმიანობით ირჩენს თავს.

— თქვენი აზრით, რითია განპირობებული ფრანგული კლუბების დამავჯერებელი ასპარეზობა ევროპულ არენაზე?

— ფრანგულმა კლუბებმა ახლა მიაღწიეს იმას, რაც წლების წინ ესპანურმა კლუბებმა განახორციელეს. ისინი უფრო თავდაჯერებული არიან. ვფიქრობ, მალე ფრანგები შეგნებენ, რომ სხვა ევროპულ კლუბებს არაფრით ჩამოუვარდებიან. „ოლიმპიკმა“ და „მონაკომ“ წელს ეს დამტკიცეს. ფრანგული გუნდები ძლიერ ევროპულ მეტოქეებთან პაექრობით კლასს იმაღლებენ.

— თქვენ „კანს“, „ბორდოს“, „იუვენტუსის“ ღირსებას იცავდით. ამჟამად კი, „რეალში“ თამაშობთ. რა განსხვავებაა ფრანგულ, იტალიურ და ესპანურ ფეხბურთს შორის?

— ამ ქვეყნებში ერთმანეთისგან განსხვავებული სტილით თამაშობენ, მაგრამ საფრანგეთშიც, იტალიაშიც და ესპანეთშიც სანახობრივ, ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. ■

დონ დიეგომ კლინიკა დატოვა

რამდენიმე დღის წინ, დიეგო მარადონას, საავადმყოფოს დატოვებისა და მკურნალობის შინ გაგრძელების უფლება მისცეს. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ბუენოს-აირესის ჰოსპიტალ „სუის-არხენტინაში“ 18 აპრილს მოათავსეს. მაშინ მედიკოსები არგენტინელი სუპერვარსკვლავის ჯანმრთელობას კრიტიკულად აფასებდნენ. თავიდან იმის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ კარდიოლოგიური გართულება ნარკოტიკების მოხმარებამ გამოიწვია. როგორც ცნობილია, ე.წ. მძიმე ნარკოტიკების გამოყენება, რომელთა კატეგორიასაც მარადონას საყვარელი კოკაინიც მიეკუთვნება, მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. ამიტომ ამგვარი ვერსია სრულიად ლოგიკური იყო. თუმცა მოგვიანებით, ექიმებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელის ჰიპერტონიული კრიზისი ფილტვებში ინფექციის შეჭრამ გამოიწვია. საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში, მარადონა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, არგენტინელი ხალხის მისდამი უსაზღვრო სიყვარულში. უფრო მეტიც, ფეხბურთელის მილიონობით ფანი თვალცრემლიანი ლოცულობდა თავისი კერპის გადასარჩენად. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 1986 წლის მუნდიალის გმირი ასე მალე დატოვებდა სამედიცინო დაწესებულებას. „დიეგო მარადონასა და მისი პირადი ექიმის თხოვნით, კლინიკის ხელმძღვანელობამ პაციენტს ჰოსპიტლის დატოვებისა და მკურნალობის შინ გაგრძელების ნება დართო“, — ნათქვამია „სუის-არხენტინას“ წარმომადგენელთა ოფიციალურ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ დონ დიეგომ კლინიკის დატოვება მასმედიის გვერდის ავლით მოახერხა. საავადმყოფოდან იგი მეუღლესთან, კლაუდია ვილიაფანესთან ერთად პირდაპირ მეგობრის ვილაში გაემგზავრა, რომელიც ბუენოს-აირესიდან 50 კმ-ის მოშორებით მდებარეობს და იქ უკვე გოლფის თამაშიც მოასწრო. ■

სკოლარი რონალდუს ემუქრება

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ლუიშ ფელიპე სკოლარი, „მანჩესტერის“ ნახევარმცველ, კრისტიანუ რონალდუს „ევრო-2004“-ის მიღმა დატოვებით ემუქრება. „მე მსურს, რომ იგი ისეთივე ვიხილო, როგორიც კლუბშია. თუ „მანჩესტერში“ მას ტრავმირებულს შეუძლია თამაში, კეთილი ინებოს და ნაკრებისთვისაც ნუ დაზოგავს თავს, წინააღმდეგ შემთხვევაში... ევროპის ჩემპიონატზე არა უბრალოდ მოთამაშეები, არამედ 23 მეომარი მჭირდება“, — აცხადებს ფეხბურთის ბრაზილიელი სპეციალისტი, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 2002 წელს, კორეა-იაპონიაში მეხუთედ მოაპოვებინა მსოფლიო თასი. სკოლარი დიდი პრინციპულობით გამოირჩევა და ალბათ კრისტიანუ რონალდუმ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი ხასიათი. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ ყვითელმაისურიანთა თავკაცმა კორეა-იაპონიის მუნდიალზე არ წაიყვანა რომარიო, რომელიც ბრაზილიაში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ■

— 1966 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა, მაშინ გუნდში 4 ქართველი თამაშობდა: სლავა მეტრეველი, მურთაზ ხურცილავა, გიორგი სიჭინავა და ანზორ კავაზაშვილი. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში თურქეთის ნაკრები მესამე ადგილისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა. ამ გუნდში თამაშობდნენ ლაზები: ნაკი, ოსგანი, ოკანი, სერგენი, ემრე, ოგიუნი, ოქთაი, თუგაი... საერთოდ, ლაზები შრომისმოყვარე, ლამაზი, ლაღი და ნიჭიერი ხალხია, ისევე, როგორც სხვა ქართული ტომები, სტუმართმოყვარეობაშიც არავის უდებენ ტოლს. ისინი ყველაფერში გამოჩინებულნი არიან, მათ შორის — პოლიტიკაშიც. დღევანდელი თურქეთის მეჯლისში 520 დეპუტატიდან 200 ლაზია. სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიცერთა და ადმირალთა მნიშვნელოვან ნაწილსაც ლაზები წარმოადგენენ, რომ აღარაფერი ვთქვათ, ლაზების უდიდეს წვლილზე თურქეთის ეკონომიკასა და ბიზნესში, — გვითხრა საუბრისას ლაზური კულტურის მკვლევარმა, ფილოლოგმა **ლადო კოკაიამ**, რომელსაც ამ ხალხის ისტორიულ წარსულსა და დღევანდელ ყოფაზე სასაუბროდ ვეწვიეთ.

როგორ გაღაიქცა ჭანი ზანად ანუ ვინ ვისთან ძმაკაცი და ახლო ნათესავი ლაზები

თამაგ ქორქოლიანი

— ვინ არიან ლაზები და სად ცხოვრობენ ისინი ამჟამად?

— დაახლოებით 1500 წლის წინათ ჭანები, მეგრელები და ლაზები ერთ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. როგორც აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავს, ერთენოვანი ლაზების და მეგრელების განსახლების ტერიტორია უძველესი დროიდან ჩვენი საუკუნის VIII საუკუნემდე, ბევრად ვრცელი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისს ძველი ბერძნული, ბიზანტიური წერილობითი ძეგლები და საქართველოს ტერიტორიის ვრცელ ნაწილზე მიმობნეული ტოპონიმები (გეოგრაფიული სახელწოდებები) ადასტურებს. მაგალითად: ჯიხაში (ჯიხა ანუ ციხე), დიხაშხო (დიხა ანუ თიხა — მიწა) ოჩხამური (სათევზაო — ჩხომი, თევზი), არტანუჯი (არტაანის ყურე — ყუჯი, ყური, ყურე), ჟინვალი (შუა საუკუნეებში — ჟინვანი ან ზემო ვანი, ჟინ — ზემო), ნიხი (ნიგოზეთი, ნიხ-ნიგოზი), ჭყონში (მწყემსი), საზანო (ზან სვანურად — მეგრელი), წყალტუბო (თბილი წყალი). ოკრიბა (საკრავე). ცალკე აღნიშვნის ღირსია ოცამდე ლაზური სიტყვა, რომელიც თანამედროვე სომხურ სალიტერატურო ენაშია შესული. ისინი ერთნაირად ან მსგავსად გამოითქმება და, რაც მთავარია, ან საერთო მნიშვნელობა აქვს, ან ეტიმოლოგიურად არის ერთიმეორესთან დაკავშირებული. მაგალითად, ჭანჯი — ბუზი, ძიცა — სიცილი, ორინჯი — საქონელი, ლაკოტი — ლეკვი, გორდი — ბაყაყი და სხვა. ხოლო რაც შეეხება ლაზონაში (ასე უწოდებენ ლაზები საკუთარ მიწა-წყალს) მცხოვრებ ჰემშინებს (მუსლიმან სომხებს), მათი ლექსიკის 30 პროცენტი ლაზური წარმოშობისაა. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე სტავროპოლის მხარეში მდებარე, შავი ზღვისპირა კურორტ გელენჯიკის სახელწოდებაც (გელენჯიხი), რომელიც ნიკოფსიიდან ანუ ტუაფსიდან ჩრდილო-დასავლეთით, ნოვოროსიისკის მახლობლად მდებარეობს (ამ არეალში, ოღონდ შედარებით სამხრეთით მდებარე დიდ სანავსადგურო ქალაქ-კურორტს ქართული სახელი სოჭი ჰქვია). საფიქრებელია, რომ ტოპონიმი გელენჯიკი ზანურია და გარე ციხეს ნიშნავს; თუკი ეს ვარაუდი გამართლდა, გამოდის, რომ ზანების ანუ დღევანდელი მეგრელებისა და ლაზების წინაპრების საცხოვრისი შავი ზღვის სანაპიროზე ჩრდილოეთით გელენჯიხიდან, სამხრეთით სამსუნამდე 1500 კილომეტრზე ყოფილა განფენილი. დღეს ლაზეთი სარფიდან რიზემდეა (თურქეთის ტერიტორია) გადაჭიმული. უძველესი პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე კი, ჭანეთი ანუ ლაზეთი თითქმის ოთხჯერ დიდი გახლდათ. თითქმის XX საუკუნემდე, თურქები შავი ზღვის სამხრეთი სანაპიროს მნიშვნელოვან ნაწილს ჯანიკას ანუ ჭანეთს უწოდებდნენ.

ლაზური ოდა

— რომელი საუკუნიდან მოიხსენიებიან ლაზები მატიანეში?

— აღსანიშნავია, რომ ისტორიულ წყაროებში ტერმინი „ლაზი“ ზოგიერთი სხვა ქართული ტომის სახელწოდებისგან განსხვავებით (კოლხი, იბერი, მაკრონი, ჭანი, მაგრალი (ანუ მეგრელი), მესხი და ა.შ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე არ გვხვდება, ბიზანტიელი ისტორიკოსები ლაზებს მხოლოდ ეგრისის მოსახლეობას უწოდებდნენ, მათთვის ქართული ეგრისი იგივე ლაზიკაა. „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სისხლით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავის სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიმტკიცით. ისინი არც ბარბაროსები არიან და არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ“, — ეს სიტყვები VI საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს აგათია სქოლასტიკოსს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიელნი, ისევე, როგორც მათი წინაპარი ძველი ბერძნები ნებისმიერ

არაბერძენს, მათი კულტურული დონის მიუხედავად, ბარბაროსებს უწოდებდნენ და მით უფრო საკვირველია, რომ აღმოსავლეთ რომაელი, ეი. ბიზანტიელი, მისი სახელმწიფოსადმი ვასალურად დამოკიდებული ქვეყნის მცხოვრებთა მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებს.

— მეგრელები, ჭანები, ზანები, ლაზები — ჩვეულებრივ, ეს ტერმინები უმეტესობაში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს, მოკლედ განგვიმარტეთ მათი მნიშვნელობა.

— საკითხი არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არაფერია უჩვეულო იმაში, რომ ქართები — ეი. ყველა ქართული ტომი, სვანების, მეგრელებისა და ლაზების გამოკლებით, მხოლოდ ქართულ ენაზე და ქართული ენის კილოკავებზე მეტყველებენ. ამიტომ, ბევრისთვის ალბათ უცნობია, რომ 3500 და შესაძლებელია, უფრო მეტი ხნის წინათ, ქართული, მეგრულ-ჭანური (იგივე კოლხური — ლაზური) და სვანური ენები, წინარე ქართველური ფუძე ენის დაშლის შედეგად წარმოიშვა. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოსახლე ტომების უდიდესი ნაწილი კოლხური ენის სხვადასხვა დიალექტზე მეტყველებდა. ესენი იყვნენ: ხალიბები, მაკრონები, მოსინიკები, დრილები, ჭანები, საკუთრივ კოლხები და სხვები. დღეს ამ ტომთა სახელების უმეტესობა მხოლოდ ისტორიას შემორჩა, ვინაიდან, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ასიმილაციის (შერწყმა-გაერთიანება) შედეგად, მხოლოდ მეგრელებმა და ლაზებმა შეინარჩუნეს წინაპართა ენა. რაც შეეხება ტერმინებს „ჭანი", „ზანი" და „ლაზი" — აქედან „ზანი" ზოგადად კოლხსაც გულისხმობს და, როგორც ისტორიკოსები და ენათმეცნიერები ვარაუდობენ, ის „ჭანის" ძველბერძნული ვარიანტია. ბიზანტიელნი ამ ტომს „ტძანებს" უწოდებდნენ. მოგეხსენებათ, ბერძნულ ანბანში სულ 24 ასო-ბგერაა, მათ არ აქვთ „ჳ", „ჭ", „ყ", „ჟ" და წარმოიდგინეთ, არც „ჩ" და „შ". აქედან გამომდინარე, „ჭანი" ძველბერძნულად „ტძანად" იქცა, ქართულში დაბრუნებული — ზანად. სვანები დღესაც ზანებს უწოდებენ მეგრელებს. რაც შეეხება ტერმინს „ლაზი" — აკადემიკოს ნიკო მარის ვარაუდით, იგი „ზანის" სვანური „ლა" სუფიქსის დამატებით უნდა გაჩენილიყო, რომელიც ქართული „სა" სუფიქსის შესატყვისია „ლა-ზანი", ბოლო ბგერების დაკარგვის შემდეგ კი, მივიღეთ „ლაზ"-ი.

— ლაზები და მეგრელები საუბრის დროს მეტ-ნაკლებად უგებენ ერთმანეთს, მაგრამ ენებში საგრძნობი განსხვავება მაინც შეიმჩნევა. ნუთუ, ეს მხოლოდ იმითაა გამოწვეული, რომ ისინი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ უკვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში?

— საქართველოს ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, ძნელი შესამჩნევი არ არის ის, რომ საუკუნეთა მანძილზე, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი უფრო ხშირად განიცდიდა მტრის შემოსევებს, ვიდრე ლიხთიმერეთი. მოგეხსენებათ, არაბებმა, თურქსელჩუკებმა და მონღოლებმა დასავლეთ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია თავიდანვე ერთიანი ენის გათიშვა და დაშორიშორება. მეორეც, ენის დაშორიშორებაზე გავლენა მოახდინა დიდმა ისტორიულმა კატაკლიზმებმა. მოგეხსენებათ, რომ ისტორიის ბედუკუღმართობამ განაპირობა ის, რომ ამ უძველესი ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი არასდროს ყოფილა ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. თვით თამარ მეფის ეპოქაშიც კი, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი სამანის ზღვისპირა მიჯნა ხოფას — იმავე ხუფათს არ სცილდებოდა. ლაზეთის დიდი ნაწილი ბიზანტიის ტერიტორიად ითვლებოდა. ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს დაცემის შემდგომ, ქრისტიან ლაზთა გარკვეული ნაწილი, ვინც არ ისურვა სარწმუნოების შეცვლა, საქართველოს შიდატერიტორიაზე გადმოსახლდა. სწორედ მათი შთამომავლები არიან დღევანდელი ჯაშები, ტულუშები, ხალვაშები, მურღულიები (მურღულის ხეობა თურქეთის ლაზისტანშია), ლაზიშვილები, ჭანიშვილები, ჭანიები, ჭანიძეები, ჭანბები, ლაზბები, ბალფშები, არონიშიძეები, არდაშელიები (არდაშელი სოფელია ლაზეთში). საქართველოში მცხოვრები ლაზების უმეტესობამ დღემდე შეინარჩუნა ჭანური გვარებისათვის დამახასიათებელი დაბოლოება, „იში", რაც ქართული ენის ნათესაობით ბრუნვას შეესაბამება. მაგალითად: ბექირიში ანუ ბექირისი — ეი. ბექირის ძე, ბექირის შვილი, დურსუნიში, აბდულიში, მემაშიში, ვანილიში და სხვა. ლაზების გარკვეულმა ნაწილმა, სამწუხაროდ, არ იცის წინაპართა ნამდვილი, ისტორიული გვარი და ამიტომ თურქულ-არაბული საკუთარი სახელებიდან ნაწარმოები თურქულ დაბოლოებას — ოღლი-ოღლუს — მშობლიური, ლაზური ამჯობინეს და XX საუკუნის 20-30-იან წლებში აბდულ-ოღლი აბდულიშად იქცა, ბექირ-ოღლუ — ბექირიშად, დურსუნ-ოღლი — დურსუნიშად და ა.შ. ბევრმა უფრო ტიპური ქართულ დაბოლოებას მიმართა და სარფში დღესაც შეხვდებით ბაქრაძეს, ქორიძეს, ხორავას, თანდილავას, ნარაკიძეს. ანაკლიაში — რაზმაძეს, თამაზაშვილს (ყოფილი თამაზ-ოღლი), აშკარად ლაზური გვარი უნდა იყოს ბაღუაშიც. სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში დღესაც მრავლად გვხვდება გვარი, რომელშიც ჭანურისათვის დამახასიათებელი იშ-იში-დაბოლოებაა მიმალული. მაგალითად: გეგეშიძე, დურმიშიძე, ყოფშიძე, სამუშია, ჯგუშია, ნაკაშია, მორგოშია და სხვა. პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე ჭანურ დაბოლოებად მიიჩნევს ზოგიერთ ქართულ გვარში ასევე „მიმალულ" „ბერ" სუფიქსს. საქმე ისაა, რომ ლაზურში „ბერე" შვილს, ბავშვს ნიშნავს. მაგალითად, გულა-ბერი-ძე, ღოღობერი-ძე, სულა-ბერი-ძე, თავ-ბერი-ძე, გიგიბერი-ა, კუჭუ-ბერი-ა, კაკუ-ბერი და ა.შ. ასევე შვილს ნიშნავს ლაზური სქირი-სკირიც, რომელიც ზოგიერთ მეგრულ გვარში ფიქსირდება. მაგალითად: წულეი-სკირი, პაპასკირი, ბულე-სკირია და სხვა.



„ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც ბრძანებლობენ. ამაყობენ კოლხთა ძველი სისხლით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლებელია, არცთუ ისე უსაფუძვლოდ"
ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.კ.)

— რაოდენობით რამდენი არიან ლაზები და გარეგნულად როგორ გამოიყურებიან ისინი?

— ამ კითხვაზე ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა. რადგან თურქეთში ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის აღწერები არ ტარდება; ზოგი 5 მილიონს ასახელებს, ზოგი — 10-ს და მეტს. თუმცა ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ლაზები დაახლოებით იმდენივე არიან ჩვენს მეზობელ თურქეთში, რამდენიც იმერხეველები (ასე უწოდებენ თურქეთში მცხოვრებ მესხთა, კლარჯთა, ტაოელთა და აჭარელთა შთამომავლებს). რაც შეეხება მიახლოებით რაოდენობას, მათივე თქმით, 5 მილიონზე ნაკლებნი არ უნდა იყვნენ. აქედან უმეტესმა ნაწილმა იცის მშობლიური ენა, ხოლო ვისაც დავიწყებული აქვს, ეროვნული ცნობიერება მაინც არ დაუკარგავს. ჩემთვის ცნობილია, რომ ანკარაში, სტამბოლში და თურქეთის შიდაპროვინციებში მცხოვრებმა ბევრმა

თურქეთის ტერიტორიაზე დღეს უფრო მეტი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ერთად აღებული

— როგორც უკვე მოგახსენეთ იქიდან გამომდინარე, რომ ისტორიული ჭანეთის თითქმის ორი მესამედი არასდროს ყოფილა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ პონტოელები, ბიზანტიელები, ოსმალები, მათ ლაზებს და ჭანებს უწოდებდნენ, ხოლო სხვა დანარჩენ ქართველებს — გეორგიანელებსა და გურჯებს. ლაზების ფსიქიკაში ჩამოყალიბდა თვალსაზრისი, რომ ისინი არა ქართველები, არამედ მხოლოდ ლაზმა ახლა დაიწყო მშობლიური ენის შესწავლა. ფაქტობრივად, თურქეთის ტერიტორიაზე დღეს უფრო მეტი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ერთად აღებული. რაც შეეხება გარეგნობას, მიუხედავად იმისა, რომ ლაზებისა და მეგრელების დაშორიშორებიდან საკმაო დრო გავიდა, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, მათ შორის განსხვავება ფაქტობრივად არ არსებობს. ეს განსაკუთრებით ე.წ. პონტოური ტიპის ქართველებზე — ე.ი. ზღვისპირა მეგრელებსა და გურულებზე ითქმის, ზოგადი ანთროპოლოგიური შტრიხები კი ასეთია: უმეტეს შემთხვევაში, ღია ფერის, ხვეული ან ტალღოვანი თმა, ლურჯი ან მომწვანო-მონაცრისფრო თვალები, ტანის ხმელ-ხმელი, ძვალწვრილი აგებულება, ხორბლისფერი კანი, სახის მოგრძო ოვალი. რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ლაზები ანთროპოლოგიურად ბევრად ნაკლებად ჰგვანან მათ მეზობელ აჭარლებსა და იმერხველებს. ეს კარგად შეუნიშნავს ერთ ინგლისელ ეთნოგრაფს, რომელმაც XIX საუკუნეში იმოგზაურა ლაზონაში. აქვე ორიოდე სიტყვით არ შეიძლება, არ შევეხოთ ლაზურ მუსიკალურ ფოლკლორს. მიუხედავად თურქულ-ბერძნული ჰანგების დიდი გავლენისა, ლაზური სიმღერები ერთგვარი თვითმყოფადობით გამოირჩევა. განსაკუთრებული ადგილი მათ მუსიკალურ ინსტრუმენტებში, ჭიბონსა (გუდა-სტვირი) და ჭიანურს უკავია. ლაზები უდიდესი ოსტატობით უკრავენ მათზე. აქვე შევნიშნავ, რომ სიტყვა ,,ჭიანური'' ,,ჭანურიდან'' მომდინარეობს.

მიუხედავად თურქულ-ბერძნული ჰანგების დიდი გავლენისა, ლაზური სიმღერები ერთგვარი თვითმყოფადობით გამოირჩევა

— რაკი ლაზური ენა ტომობრივი ენაა და სარწმუნოებაც გამოცვლილი აქვთ, მათი ეროვნული ცნობიერებაც განსხვავებული იქნება.

ქართველების მონათესავე ტომები არიან. და მათ უმეტეს ნაწილს დღესაც აღიზიანებს, როცა ლაზურს, დიალექტს უწოდებენ და არა — ენას. მაგრამ ამჟამად ლაზების თვითშეგნება ამ თვალსაზრისით გარკვეულ პროგრესს განიცდის, რასაც 1988 წელს სარფი-ტრაპიზონის მაგისტრალის გახსნამ შეუწყო ხელი. გადაუმოწმებელი ინფორმაციით, მარტო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში თურქეთის 700-800 მოქალაქე ქართულად ეუფლება განათლებას და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იმერხველნი და ლაზები არიან. ბევრი მათგანი აქაურ ქართველზე დაქორწინდა. რაც შეეხება ჩხალელ ლაზებს (ჩხალა დიდი სოფელია ლაზონა—ტაოკლარჯეთის საზღვარზე), იმერხველებთან უშუალო მეზობლობის წყალობით მშვენივრად მეტყველებენ ქართულად. ■

საბჰიეო დაიანა – მისით კვლავ ფულს აკეთებენ...

35 წლის სტრიპტიზიორმა სტელა ვაინმა ლონდონელ მაყურებელს თავისი „შედევრი" წარუდგინა — გარდაცვლილი პრინცესა დაიანას პორტრეტი, რომელიც სისხლისგან იცლება და საშველად თავის მსახურს პოლ ბარელს უხმობს. ყველა რომ მიმხვდარიყო ავტორის ჩანაფიქრს, მხატვარმა პორტრეტს კომიქსის სტილის წარწერაც კი დაურთო: „გამარჯობა, პოლ! მოდი ჩემთან. ძალიან შეშინებული ვარ". თვითნასწავლმა მხატვარმა უკვე გაყიდა თავისი ქმნილება 600 გირვანქა სტერლინგად. ლედი დის ახლობლებმა კი, ამ ფაქტის გამო აღშფოთება ვერ დაფარეს, თუმცა, მსგავს მოვლენებს ვერ ეწინააღმდეგებიან. პრინცესას უახლოესმა მეგობარმა ვივიენ პერიმ აღნიშნა: „სანამ შესაძლებელი იქნება დაიანაზე ფულის კეთება, ხალხი ასე მოიქცევა".



მეტროში კითხვის მისაჩვევად

მექსიკის დედაქალაქის მეტროს ხშირად, მსოფლიოში ყველაზე დიდ მუზეუმსაც უწოდებენ. იქ სისტემატურად იმართება გამოფენები, კონცერტები და თეატრალური წარმოდგენები. ამ ბოლო დროს კი, მეტროში წიგნების დარიგებაც დაიწყეს, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილ ბიბლიოთეკაში. ამ აქციის ერთადერთი პირობა, მიწისქვეშა გადასასვლელიდან ამოსვლისას წიგნის დაბრუნებაა. თუმცა, ეს პრობლემა სათანადოდ არაა მოგვარებული: პირველი დღის ბოლოს, სტელაჟებს ნახევარზე ნაკლები წიგნი დაუბრუნდა. პროექტის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ მექსიკელებში ცოდნის წყურვილს გააღვივებენ. წიგნს ჩაჩერებული მექსიკელი ხომ დიდი იშვიათობაა. ნაწილობრივ ეს გაუნათლებლობის მაღალი დონით აიხსნება, გარკვეულწილად კი — კითხვის კულტურის არარსებობით. სპონსორების მიერ გამოყოფილი თანხით მეტროსთვის თანამედროვე ავტორების 6 კრებულის გამოცემას აპირებენ.

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52,1-18)

თავისუფალი თემა

რუსუდან ბერიძე

გვანცა ჩოხელს, სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი, ირაკლი იაშვილი შეუყვარდება. გოგონას იმდენად გაიტაცებს გრძნობა, რომ ირაკლი მას ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიწვენს, თუმცა ცოლად შერთვასაც შეჰპირდება. მაგრამ, ამასობაში, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყება. ირაკლი ომში წავა და უკან აღარ დაბრუნდება. გვანცა ირაკლისგან ფეხმძიმედ დარჩება. ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგება გვანცას სკოლის მეგობარი ლუკა ჩადუნელიც. ლუკას გვანცა ძალიან უყვარს, ამიტომ, აფხაზეთის ომში წასვლამდე, მასზე ოფიციალურად იქორწინებს და მის ბავშვსაც გვარს მისცემს.

როგორც კი ქვეყანა ოდნავ დამშვიდდება, გვანცა დაკარგული ლუკას ძებნას იწყებს და შემთხვევით, ირაკლის ნახევარძმას, პარლამენტარ ლაშა რჩეულიშვილს გადაეყრება. ლაშას რჩევითა და დახმარებით გვანცა გერმანიის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდება. მაგრამ მალე იქაც ახალ შარში გაეხვევა: თანაკურსელი გოგონას თავქარიანობის გამო, გვანცას თურქეთში ჩაიტყუებენ და მონად გაყიდიან. ის საშინელი ქალის — ზეინაბ-ხანუმის ხელში აღმოჩნდება. მისი კლანჭებიდან თავის დახსნაში, ამ უკანასკნელის ძმა — ბავშვობიდან ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული უმარი დაეხმარება. თბილისში დაბრუნებული, ფსიქიკაშერყეული გვანცა ნორმალურ ცხოვრებას რის ვაი-ვაგლახით უბრუნდება. მოგვიანებით, ის ლაშა რჩეულიშვილს მიაკითხავს, რომელიც მას პირად მდივნად აიყვანს და ნელ-ნელა, თავის ფარულ საქმეებშიც ჩაახედებს. გვანცა ხვდება, რომ ლაშა საშიშ გზას ადგას, მაგრამ ხმამაღლა მაინც არაფერს ეუბნება.

ერთხელაც, ლაშა, მოსკოვიდან ოფიციალური მოწვევით ჩამოსული ქართველი ბიზნესმენით გიორგი ჩადუნელით დაინტერესდება. ის ლუკა ჩადუნელის მამა აღმოჩნდება. გიორგის ლუკაც თან ახლავს. ის გვანცას შინ მიაკითხავს. წლების უნახავი ახალგაზრდები ირაკლის გამო იჩხუბებენ და გვიან ღამით გვანცასგან დემონსტრაციულად წამოსული ლუკა მამამისის ფულზე მონადირე გამტაცებლების ხელში აღმოჩნდება. გამტაცებლები გიორგი ჩადუნელს, შვილის სანაცვლოდ, დიდი თანხის გადახდას მოსთხოვენ. ბიზნესმენთან ხელმოსაწერი სარფიანი საქმის ჩავარდნით შეშფოთებული ლაშა გამტაცებლებზე გასვლას საკუთარი არხებით ცდილობს, მაგრამ ამასობაში, თავადაც თავდასხმის მსხვერპლი ხდება...

სარეანიმაციო განყოფილებაში ლაშას ორი უცნობი სასუნთქ აპარატს გამოურთავს, მაგრამ ექიმები ამჯერადაც დროზე მიუსწრებენ და ხელმეორედ გადაარჩენენ. მომხდარით შეშფოთებული მისი თანამშრომელი ივიკო გვანცას აფრთხილებს — იცოდე, ლაშა ცუდ საქმეებშია გარეული და შენც თავის წუმპეში მიგათრევსო... ლაშას პატიოსნების დიდად არც გიორგი ჩადუნელს სჯერა, თუმცა, საკუთარ ეჭვებს გვანცას ისიც ჯერ ვერ უმტკიცებს. ამასობაში კი, ლაშა ნელ-ნელა ცხოვრებას უბრუნდება...

საავადმყოფოში ლაშას სანახავად მისულ გვანცას პალატაში ვიღაც უცნობი დახვდება, რომელსაც ხელზე ლუკას საათს დაუნახავს. გვანცა ამ ამბავს მაშინვე გიორგის შეატყობინებს, რომელიც უცნობთან დალაპარაკებას გადაწყვეტს, მაგრამ უცნობი ლაშასთან აღარ გამოჩნდება. მოგვიანებით, საათს გვანცას სამსახურში გაუგზავნან...

— ეს საათი შენთან საიდან გაჩნდა? — გაფართოებული თვალები შეანათა ივიკოს გვანცამ.

— რა იყო? არ მოგწონს?..

— ვინ მოგცა-მეთქი?

— კარგი, ჰო, ნუ ავარდი!.. — უკან დაიხია ივიკომ. — დაცვის ბიჭებმა მომცეს. ამ დილით ვიღაც ტიპს დაუტოვებია შენთვის.

— რომელ ტიპს? სახელი მაინც ვერ ჰკითხეს?

— სახელიც ჰკითხეს და გვარიც, მაგრამ იმ ტიპს უთქვამს, ქალბატონ გვაცნას ინკოგნიტო „პაკლონიკი“ ვარო... ამის მერე, ბიჭებს საათი დაუთვალიერებიათ და საეჭვო რომ ვერაფერი აღმოუჩენიათ, დაუტოვებიათ. რა იყო?.. არ მითხრა ახლა, იმ ტიპს მეც არ ვიცნობო...

— ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ მისი გაცნობა არ ამცდება... — ამოიოხრა გვანცამ.

— მერე რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? რომ გაიცნობ, თუ მოგეწონა, ხომ კარგი, თუ არა და — საკაიფო საათი მაინც შეგრჩება.

— მეც ეგრე ვფიქრობ! — დაეთანხმა გვანცა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, საათი ხელზე გაიკეთა და წასასვლელად მოემზადა.

— თუ საიდუმლო არ არის, საით გაგიწევია? — დაინტერესდა ივიკო.

— საავადმყოფოში. ლაშა უნდა ვნახო. თუ გინდა, შენც წამოდი.

— წამოვალ, აბა, აქ მარტომ რა ვაკეთო?!. რაც ლაშა დაჭრეს, ფრაქციაში საქმე მაინც აღარაფერია. ასე რომ, აქ ტყუილად ყურყუტს, წამოგყვები და შეფს კიდევ ერთხელ ვინახულებ, ჩამეთვლება მაინც... — ბოლოს, თვალი ჩაუკრა მან გვანცას.

საავადმყოფოში მისულებს, ლაშას პალატიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმათ.

— ვიღაც ჰყავს, — ფეხი აითრია ივიკომ. — მოდი, ცოტა მოვიცადოთ და მერე შევიდეთ, თორემ...

— მერე გვიან იქნება!.. — გააწყვეტინა გვანცამ და პალატის კარი სწრაფად შეა-

ღო, მაგრამ ზღურბლზე შედგა და ოთახში მყოფთ გაოცებით მოავლო თვალი: ლოგინზე წამომჯდარ გაფითრებულ ლაშას ის ორი ახმახი ადგა თავზე, ვინც რამდენიმე დღის წინ, სასუნთქი აპარატი გამოურთო, ცოტა მოშორებით, ფანჯრის რაფას კი, ის უშნოდ აწოწილი ტიპი მიყრდნობოდა, ვის ხელზეც გვანცამ ლუკას საათი შენიშნა... კარის ხმაზე ლაშამ და მისმა სტუმრებმა მიიხედეს და შეცბნენ.

— ბატონო ლაშა, ცუდ დროს ხომ არ მოვედით? — უხერხულობის გაფანტვა სცადა გვანცას ზურგს უკან ატუზულმა ივიკომ.

— რომ გითხრათ, არა-მეთქი, დამიჯერებთ?.. — ახმახებს შიშით ახედა ლაშამ და შემდეგ, ისევ გვანცასა და ივიკოს მიუბრუნდა: — ექთანმა არ გითხრათ, რომ დაკავებული ვარ?

— ექთანი რომ არ გვინახავს? — შეწუხდა ივიკო. — ადგილზე არ დაგვხვდა.

— არა უშავს! — დაამშვიდა ლაშამ. — ცოტა ხანს, გარეთ დამელოდეთ და მე თვითონ დაგიძახებთ.

გვანცა და ივიკო უსიტყვოდ უკან გაბრუნდნენ. ივიკომ პალატის კარი მჭიდროდ მიხურა და მაშინვე გვანცას ეცა:

— ის ტიპები იცანი?

— კი. სამივე.

— მესამე სადღა ნახე? — გაოცდა ივიკო.

— სადაც ის ორი: გუშინწინ ლაშასთან იყო მოსული, — უპასუხა გვანცამ და თან, ჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო.

— ვის ურეკავ? — დაინტერესდა ივიკო.

— შენ არ იცნობ, — ნომერი სწრაფად აკრიბა გვანცამ და ყურმილში შეწუხებული ხმით ჩასძახა: — ბატონო გიორგი, გვანცა ვარ... ლაშასთან, საავადმყოფოში... კი, მოხდა... თქვენ რომ გაინტერესებთ, ის კაცი ახლა აქ არის... კარგი, გელოდებით...

— ყველაფერი გასაგებია! — თვალები ეშმაკურად მოწკურა ივიკომ. — გამომძიებელს დაურეკე, ხომ?

— რომელ გამომძიებელს? — უცბად ვერ მიუხვდა გვანცა.

— ჩვენ რომ დავკითხეს, იმ გამომძიებლებიდან ერთ-ერთს ხომ გიორგი ერქვა?

— არ მახსოვს, შეიძლება, მართლაც ასე ერქვა... — მშვიდად მიუგო გვანცამ. — მაგრამ მე სულ სხვა გიორგის ველაპარაკე.

— მაინც რომელს? მე არ ვიცნობ? — აღარ მოეშვა ივიკო.

— ალბათ არა. თუ გინდა, გაგაცნობ. ოღონდ, ახლა მაცალე, ცოტა აზრი უნდა მოვიკრიბო... — საფეთქლები ნერვიულად მოისრისა გვანცამ.

— დაიშოკე, ხომ? აბა, რა გეგონა?!. — ნიშნის მოგებით დაიწყო ივიკომ და შემდეგ, შეთქმულივით ჩურჩულზე გადავიდა: — ახლაც არ დამიჯერებ, რომ ჩვენი შეფი ბნელ საქმეებშია გახვეული?

— დაგიჯერებ!.. ყველაფერს დაგიჯერებ! — დანებების ნიშნად ორივე ხელი მაღლა ასწია გვანცამ. — ოღონდ, ახლა შემეშვი! ისე, ბოლომდე კიდევ არ მჯერა, რომ ლაშას გვერდით სამი ყაჩაღი ვნახე...

— რატომ სამი? თავად ლაშა შენ რომელიმეზე უკეთესი გგონია?.. — საკუთარ უფროსს საბოლოოდ წერა გამოუყვანა ივიკომ...

გიორგი ჩადუნელი ლაშას პალატასთან ისე სწრაფად გაჩნდა, თითქოს იქვე ახლოს იყო ჩასაფრებული და მხოლოდ გვანცას ზარს ელოდა. გვანცას გვერდით ივიკოს დანახვამ ცოტა კი გააკვირვა, მაგრამ მაინც მაშინვე, საქმეზე გადავიდა:

— აქ არის? — ხმადაბლა ჰკითხა მან გვანცას. — ხომ არ გამასწრო?

— არა, აქ არის, მაგრამ საათი აღარ უკეთია, — დანანებით უპასუხა გვანცამ.

— მაინც უნდა ვნახო! — პალატის კარს მიუახლოვდა გიორგი.

— კი, მაგრამ რას ეტყვით?

— რაიმეს მოვიფიქრებ... ეგ კაცი ახლა ლუკასთან მისასვლელი ერთადერთი ძაფია... მეორე დღეა, ჩემთვის საერთოდ აღარ დაურეკავთ.

— სამაგიეროდ, მე დამირეკეს და ეს გამომიგზავნეს, — პიჯაკის მარცხენა სახელო აიწია გვანცამ.

გვანცას ხელზე ნაცნობი საათის დანახვაზე, გიორგის ფერი ეცვალა:

— რატომ გამოგიგზავნეს?.. ლუკა ცოცხალია?

— ცოცხალია, ოღონდ გამფრთხილეს — თუ ჭკუით არ მოიქცევით, მისთვის დრო მალე გაჩერდებაო...

— კარგი! — გააწყვეტინა გიორგიმ. — მომეცი საათი და აქ დამელოდე!

გვანცამ საათი უსიტყვოდ მოიხსნა და გიორგის გადასცა...

— გოგო, შენ მართლა ხომ არ გაუბერე?! — როგორც კი გიორგი პალატაში შევიდა, მაშინვე გვანცას ეცა ივიკო. — ეს ხომ ის ბიზნესმენია, შვილი რომ მოსტაცეს!.. გესმის, რაში ხარ ჩათრეული?..

— მესმის, — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— არა! არაფერიც არ გესმის, თორემ, ახლავე აქედან აიფახებოდი!

— აი, მაგას კი ვერ გავაკეთებ.

— მოიცა, მოიცა! — უცბად თვალები ეშმაკურად მოჭუტა ივიკომ. — შენ ამ ფულის ტომარასთან ასე უცბად სხვა რამემ ხომ არ დაგაახლოვა?

— სისულელეებს მორჩი! — გაღიზიანდა გვანცა. — ბატონი გიორგი ჩემი ლუკას ბაბუაა.

— რა-ა? — გაოცებისგან თვალები კინაღამ შუბლზე აუვიდა ივიკოს. — და ამ ამბავს ამდენ ხანს მიმალავდი?

— იმასაც ვნანობ, ახლა რომ გითხარი! — ივიკოს ზურგი აქცია გაღიზიანებულმა გვანცამ. — ხომ ვიცი, მთელ სამსახურს მოსდებ...

— Обижаешь, подруга, обижаешь! — საგანგებოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა გვანცა ივიკომ. — მოდი, იცი, როგორ მოვიქცეთ? შენ ეგ კაცი ნორმალურად გამაცანი და მე შენს ამბებზე კრინტსაც არავისთან დავძრავ, — მოსულა?

— ნორმალურად გაცნობაში რას გულისხმობ?

— ძალიან კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ. უთხარი, ლაშასთან რომ ხელშეკრულებას გაფორმებს, მეც არ დამივწყოს. ბოლოს და ბოლოს, ერთი ერთგული კაცი მაინც ხომ უნდა დატოვოს აქ?!.

— და ის ერთგული კაცი შენ იქნები, ხომ? — გააწყვეტინა გვანცამ.

— აბა, რა?!. — სასაცილოდ გაიბღინძა ივიკო.

— ვწუხვარ, მაგრამ მაგ საქმიდან არაფერი გამოვა.

— რატომ? — შეწუხდა ივიკო. — შენი აზრით, ერთგულება საერთოდ არ შემიძლია?

— შენი შესაძლებლობები ამჯერად, ნამდვილად არავის აინტერესებს. უბრალოდ, ბატონი გიორგი საქართველოში არანაირი ხელშეკრულების გაფორმებას აღარ აპირებს...

— ნაღდად? — უნდოდ ჰკითხა ივიკომ.

— ნაღდად, ნაღდად... — მშვიდად მიუგო გვანცამ.

— ჰო-ო... მაგრად „ტეხავს“, ხომ იცი?! — ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დერეფანში გაიარ-გამოიარა ჩაფიქრებულმა ივიკომ... — ე, გოგო!.. — წამოიძახა მან შემდეგ. — პალატიდან ჩამიჩუმიც კი აღარ ისმის. მოდი, შევიხედოთ, ერთმანეთი ხომ არ დახოცეს?

სწორედ ამ დროს, პალატის კარი ხმაურით გაიღო, ლაშას სამივე ნაცნობი ერთმანეთის მიყოლებით გამოლაგდა და დერეფანს გაუყვა. შემდეგ პალატიდან ჩაფიქრებული გიორგიც გამოვიდა.

— ბატონო გიორგი... — მაშინვე მასთან გაჩნდა გვანცა. — მადლობა ღმერთს, რომ გამოჩნდით, თორემ, მე და ივიკო უკვე შიშმა აგვიტანა. ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობამდე ჯერ ბევრი გვიკლია, ჩემო კარგო, — მხარზე ხელი მოუთათუნა გვანცას გიორგიმ.

— რამე მაინც თუ გაარკვიეთ?

— კი, გავარკვიე, თანაც — საბოლოოდ: ასეთებთან... — ხელი პალატისკენ გაიშვირა. — ...არანაირი საქმის დაჭერა არ შეიძლება!

— ლაშას გულისხმობთ? — გაუკვირდა გვანცას.

— ლაშასაც!

— ა, ბატონო, ეგეც მე ვარ?! — მოულოდნელად ჩაება საუბარში ივიკო და შემდეგ,

უშუალოდ გიორგის მიმართა: — ბატონო გიორგი, ამ ჭკუისკოლოფს იქნებ, თქვენ მაინც შეაგნებინოთ რამე! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიხვდეს, ვინ ვინ არის?!.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თავად ვინ ხართ? — დაინტერესდა გიორგი. — ან ქალბატონი გვანცას გამო ასე რატომ წუხდებით?

— მე-ე? — დაიბნა ივიკო. — ვინ უნდა ვიყო? გვანცას თანამშრომელი ვარ... უფრო სწორად — კეთილისმსურველი თანამშრომელი...

— კეთილი სურვილებისთვის დიდი მადლობა, მაგრამ ახლა გვანცას და მე თქვენთვის ნამდვილად არ გვცალია, — უთხრა გიორგიმ და მაშინვე გვანცას მიუბრუნდა: — მოდიხარ?

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაეთანხმა გვანცა. — ოღონდ, ერთი წუთით ლაშასთან შევალ და დავემშვიდობები...

— მეც შემოვალ! — გვანცას მაშინვე მხარი აუბა ივიკომ.

— ამის გაკეთებას არც ერთს არ გირჩევთ, — შეაჩერა ახალგაზრდები გიორგიმ. — ლაშამ შემოგითვალათ, ძალიან დავიღალე და იქნებ, ხვალ მოვიდნენო...

საავადმყოფოდან გამოსულმა გიორგიმ ივიკო უცერემონიოდ მიიშორა, გვანცას კი ხელკავი გამოსდო და ქუჩას ისე გაუყვნენ.

— იქნებ, სადმე დავმსხდარიყავით და ისე გველაპარაკა? — შესთავაზა მან შემდეგ გვანცას.

— როგორც იტყვით, — დაეთანხმა გვანცა. — ისე, აქვე, ქუჩის კუთხეში, ერთი პატარა მყუდრო კაფეა. თუ გნებავთ, იქ შევიდეთ...

კაფეში შესულმა გიორგიმ მაშინვე ოფიციანტ გოგონას უხმო, ყავა და ტკბილეული შეუკვეთა და როგორც კი ყავის პირველი ყლუპი მოსვა, მაშინვე საქმეზე გადავიდა:

— მაშ ასე, ჩემო კარგო. ჩემი ბიჭი შენი უფროსის ამფსონების ხელშია...

— დავიჯერო, მართლა ლაშამ გაატაცებინა?! — შეწუხდა გვანცა.

— მაგას ვერ ვიტყვი, მაგრამ ლუკას გატაცების პირველი წუთებიდანვე რომ ყველაფრის საქმის კურსში იყო, ეს თვითონვე აღიარა.

— არამზადა ყოფილა! — ხელები ისე მომუშტა გვანცამ, თითქოს ვიღაცასთან ჩხუბს აპირებსო. — თუ თავიდანვე ყველაფერი იცოდა, ერთი სიტყვა მაინც როგორ არ გვითხრა?!

— მოკვლით დამუქრებიან...

— ისე, შეიძლება, მართლაც ეგრე ყოფილიყო. იმიტომ, რომ ის ორი ტიპი, წელან ლაშას საქმეს რომ ურჩევდნენ, ადრე მასთან რეანიმაციაში შეიპარნენ და სასუნთქი აპარატი გამოურთეს...

— მერე? — დაინტერესდა გიორგი.

— მთავარმა ექიმმა მაშინვე პოლიცია გამოიძახა, მაგრამ მერე საქმე ისე ჩაფარცხა, რომ ლაშა არც კი დაუკითხავთ...

— არც დაჰკითხავენ... — გააწყვეტინა ჩაფიქრებულმა გიორგიმ. — იმიტომ, რომ ეგ ბევრად უფრო ჩახლართული ამბავია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თუმცა, ჩემთვის ერთი რამ უკვე აშკარაა: ჩემი შვილის გამოხსნის საქმე თბილისში საბოლოოდ ჩიხში შევიდა, ამიტომ სასწრაფოდ მოსკოვში უნდა დავბრუნდე და საქმეში იქაური „შავები“ ჩავრთო, თორემ, შარაგზის ყაჩაღების ნდობა არ შეიძლება — ფულს აიღებენ და შვილს მაინც არ დამიბრუნებენ...

— ისინიც რომ ეგრე მოგექცნენ? — შეწუხდა გვანცა.

— ვინ ისინი? — ჩაეკითხა გიორგი. — კანონიერი ქურდები?.. გამორიცხულია! თუ, რა თქმა უნდა, თავად არ გავფუჭებ საქმეს! გასაგებია, ჩემო კარგო, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ?

— გასაგებია... — ამოიოხრა გვანცამ. — როდის მიდიხართ?

— მივდივარ კი არა — მივდივართ.

— კიდევ ვინ მოგყვებათ?

— შენ და პატარა ლუკა, — მშვიდად მიუგო გიორგიმ..

— რა-ა? — თვალები გაუფართოვდა გვანცას. — ჩვენ რაღა შუაში ვართ?

— შუაში კი არა, თავში ხართ, ჩემო კარგო... — ამოიოხრა გიორგიმ. — ის ახვრები უკვე პირდაპირ დამემუქრნენ, რომ თუ საქმე გართულდა, შენ და ბავშვსაც აღარ დაგზოგავენ. ასე რომ, მოამზადე!

— არა, რას ამბობთ? — სულ მთლად დაიბნა გვანცა. — ასე უცბად როგორ წამოვიდე?! ან სამსახურს რა ვუყო, ან ჩემებს როგორ ავუხსნა ეს ყველაფერი?!

— სამსახურზე ნუ იდარდებ: ლაშა მივლინებაში გიშვებს...

— რომელ მივლინებაში? სად?

— თუნდაც, მოსკოვში, ჩემთან... არ შეიძლება, ჩემს ფირმაში მივლინებით ჩამოხვიდე? რაც შეეხება შენებს — ბაბუაშენს სიმართლეს ვეტყვით, ბებიაშენს კი, უბრალოდ, მივლინების ფურცელს ვუჩვენებთ და მორჩა! იმ დღეს, ხომ ნახე, როგორ წუხდა — ლუკამ შვილი წესიერად ვერ მოისიყვარულაო. ჰოდა, ვეტყვით, რომ მოსკოვში მოისიყვარულებს...

— არა, არა! — ხელები გაასავსავა გვანცამ. — მაინც ვერ წამოვალ.

— რატომ? კიდევ რა მიზეზია?

— მიზეზი არის და თანაც, ძალიან სერიოზული.

— მაინც?

— საქმე ისაა, რომ თქვენ ჩემი და ლუკას ურთიერთობაზე სიმართლე არ იცით...

— არც მაინტერესებს! — გააწყვეტინა გიორგიმ. — ჩემს შვილს უსაზღვროდ უყვარხარ და ჩემთვის ესაა მთავარი! დანარჩენს კი, თქვენ ორნი გაარკვევთ, გასაგებია?

— გასაგებია... — ამოიოხრა გვანცამ. — ოღონდ, ის მაინც მითხარით, მოსკოვში რამდენ ხანს უნდა დავრჩე, ან რა უნდა ვაკეთო?

— ნუ გეშინია, რამეს აუცილებლად მოვიფიქრებთ. ბოლოს და ბოლოს, ჩათვალე, რომ დასასვენებლად მოდიხარ, ქალაქს დაათვალიერებ... ყოფილხარ მოსკოვში?

— არა.

— აი, ხომ ხედავ!.. საქართველოს საერთოდ თუ გასცილებიხარ?

— კი, როგორ არა?! გერმანიაში ვარ ნამყოფი, კიდევ... თურქეთში...

— ცოტა უცნაური გემოვნება კი გქონია. გერმანიის მერე, თურქეთს ნამდვილად არ ავირჩევდი.

— არც მე ამირჩევია... — ისე ამოიოხრა გვანცამ, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო...

ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ, გვანცამ და პატარა ლუკამ მოსკოვის ცენტრში, გიორგი ჩადუნელის ფართო და კომფორტულ ბინაში ამოყვეს თავი. გიორგის მეუღლემ ლიდიამ სტუმრებს საგანგებო დახვედრა მოუწყო, ყველაზე ნათელ და მოხერხებულ ოთახში დააბინავა და საღამოს, ჭარბი ემოციებისგან ძილგატეხილი ლუკას დამშვიდებადაძინებაშიც მიეხმარა გვანცას...

— ჩინებული მეუღლე გყავთ! — უთხრა მეორე დილით სასადილო ოთახში შესულმა გვანცამ გიორგის.

— მართლა? — გაეღიმა გიორგის.

— О чём вы тут без меня шепчетесь? — დაინტერესდა ოთახში მოზრდილი ლანგრით შემოსული ლიდია.

— Да вот, наша гостья говорит, что у тебя прекрасный муж, — ეშმაკურად თვალი ჩაუკრა გვანცას გიორგიმ.

— В принципе, она права, — მეუღლეს მრავალმნიშვნელოვანი მზერა ესროლა ლიდიამ და შემდეგ, გვანცას მიუბრუნდა: — Думаю, что в этом плане и Лука по стопам отца пошёл, да?

— Да, конечно... — სახეზე სიწითლემ გადაჰკრა გვანცას და მაშინვე თავი ჩაღუნა.

— Не горюй, деточка! — მხარზე ხელი შინაურულად მოხვია ლიდიამ. — Скоро опять вместе будете! Вот увидишь...

— Лидия! — გააწყვეტინა გიორგიმ ცოლს. — Я же просил...

— Хорошо, хорошо, молчу! — ხელები უმწეოდ გაასავსავა ლიდიამ და ჩაის დასხმა დაიწყო...

ამის შემდეგ, თითქის მთელი კვირა ისე გავიდა, რომ გვანცას გიორგი სალაპარაკოდ ერთხელაც აღარ უნახავს. კვირის ბოლო საღამოს კი, ოთახში პატარა ლუკასთან ერ-

თად განმარტოებულ გვანცას გიორგიმ კარი უცერემონიოდ შეუღო და მხიარულად შესძახა:

— ჩქარა, ჩაიცვი, რესტორანში მივდივართ!

— რესტორანში? — დაიბნა გვანცა. — მერე ბავშვი?

— ბავშვიც წამოიყვანე! ამ ერთხელ შეიძლება! ბოლოს და ბოლოს, მამის მშვიდობით დაბრუნება მაგანაც ხომ უნდა აღნიშნოს?!

— მართლა? — სახე გაუნათდა გვანცას. — ლუკა გამოუშვეს?

— ჯერ არა, მაგრამ ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ დღე-დღეზე, საღ-სალამათს დამიბრუნებენ.

— რა კარგია! — სიხარულით ტაში შემოჰკრა გვანცამ, თუმცა მაშინვე შედგა და გიორგის დამნაშავესავით შეხედა: — ძალიან დიდი თანხა გადაიხადეთ?

— საკმაოდ, — უპასუხა გიორგიმ. — თუმცა, შენი უფროსის ამფსონები მაინც უფრო მეტს მთხოვდნენ... ცუდია, რომ მაგ ახვრებთან შეხვედრა თბილისში მაინც მომიწევს...

— თბილისში მიდიხართ? — გული სიხარულით შეუხტა გვანცას.

— ჰო, სხვა გზა არ არის...

— მეც ხომ წამიყვანთ?

— რა იყო — ასე უცბად მოგწყინდა ჩვენთან ყოფნა?

— არა, რას ამბობთ?! — შეკრთა გვანცა და საბოდიშო და გასამართლებელ სიტყვებს დაუწყო ძებნა, მაგრამ გახარებული გიორგი ახლა დერეფანში გაიჭრა და ცოლს გასძახა: — Лидия, милая, собирайся! В наше любимое местечко надо наведаться.

გიორგის და მისი მეუღლის საყვარელი ადგილი ძველ არბატზე მდებარე პატარა, მყუდრო რესტორანი აღმოჩნდა. რესტორანს „ლილე“ ერქვა.

— სვანების რესტორანია? — როგორც კი წარწერა წაიკითხა, მაშინვე დაინტერესდა გვანცა.

— არა, — გაეღიმა გიორგის. — „ლილე“ რესტორნის მეპატრონე ცოლ-ქმრის სახელების დასაწყისი ასოებია: ცოლს ლია ჰქვია, ქმარს — ლევანი, ასე მივიღეთ „ლილე“... სხვათა შორის, ძალიან კარგი ხალხია. თუ აქ არიან, აუცილებლად გაგაცნობ...

ცოლ-ქმარი მართლაც, ადგილზე აღმოჩნდა და საპატიო სტუმრებისთვის უმალ, მშვენიერი სუფრაც გააწყობინა. ნაირ-ნაირი ქართული კერძებით ავსებულ სუფრას გვანცა გაკვირვებული ათვალიერებდა.

— მიირთვი, საყვარელო... — ხან რას და ხან რას სთავაზობდა გვანცას უცბად გაშინაურებული ლია. — აქ ყველაფერი ქართული და ქართველების ხელითაა მომზადებული. ასეთ გემრიელ შოთს კი, საქართველოშიც იშვიათად შეხვდები... — იმწუთას სუფრაზე შემოტანილ ცხელ-ცხელ შოთს ყუა წაატეხა მან და გვანცას გაუწოდა.

— პურსაც ადგილზე აცხობთ? — ალბათ, უფრო ზრდილობისთვის დაინტერესდა გვანცა.

— აბა, რა! — უპასუხა ლიამ. — მეპურეც ქართველი გვყავს! ძალიან ტრაგიკული ბედის კაცი კია, საწყალი...

— მართლა?.. რა დაემართა? — ჰკითხა გვანცამ და გულში თავადვე გაუკვირდა — ნეტავ, ვიღაც მეპურის ბედი რაღაში მადარდებსო?..

— რომელი ერთი ჩამოგითვალო, საყვარელო... — ცოტა არ იყოს, თეატრალურად ამოიოხრა ლიამ. — ჯერ იყო და, 9 აპრილის ღამეს, ცოლი მოეწამლა და დღემდე მკურნალობს, მერე კიდევ...

— ლია! — გააწყვეტინა ცოლს ჭიქით ხელში ფეხზე წამომდგარმა ლევანმა. — რა გაუწყალე გული მაგ ადამიანს?! რაში აინტერესებს ჩვენი მეპურე მიშას ამბები?!

— შენს ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ხომ სიტყვასიტყვით იმახსოვრებს, აი!.. — შეეპასუხა ლია ქმარს, მაგრამ ჭიქა თავადაც ასწია: — გვითხარი, რას გაუმარჯოს, თორემ, გაშრა ყელი!

...სუფრა გვიან ღამემდე გაგრძელდა და ბოლოს, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს კმაყოფილი დაემშვიდობა.

— კარგად იყავი, საყვარელო, — გულში შინაურულად ჩაიკრა გვანცა ლიამ, ლიდიას მკერდზე მიძინებულ ლუკას კი, ლოყები დაუკოცნა. — ძალიან გამახარებთ, თუ კიდევ მესტუმრებით შენ და შენი ანგელოზი...

— მეც ძალიან გამიხარდებოდა... — დაეთანხმა გვანცა.

— მართლა? — გაბრიალდა ლია. — მაშინ ხვალ შემოიარეთ. დილიდანვე ადგილზე ვიქნები. ყავა დავლიოთ და ცოტა თბილისის ამბები მომიყევი, თორემ, საუკუნეა, ჩემს ქალაქში აღარ ვყოფილვარ...

მეორე დილით, გვანცამ ისაუზმა თუ არა, ლიდიას დაუბარა — მე და ლუკა ცოტას გავისეირნებთო, — და ლიას სანახავად გასწია. ლია მას კაბინეტში, უზარმაზარ სავარძელში მედიდურად მჯდარი დახვდა.

— უკვე მოხვედი, საყვარელო?! — შეწუხებული სახე მიიღო ლიამ. — ლევიკო... ჩემი ლევანი უცხოელი სტუმრების დასახვედრად წავიდა და მთელი საქმე მე დამაწვა კისერზე. ნახევარი საათი ვერ დამელოდები?

— რა თქმა უნდა, ქალბატონო ლია, — სასწრაფოდ დაეთანხმა გვანცა.

— გინდა, ყავას მოვატანინებ?.. — შესთავაზა ლიამ.

— არა. ნუ შეწუხდებით, ჯერ არ მინდა!

— მაშინ იქნებ, შენ და შენს ბიჭს ჩვენს ბაღში გაგესეირნათ? იქ პატარა შადრევანიც გვაქვს...

— დიდი სიამოვნებით... — მაშინვე ფეხზე წამოდგა გვანცა და შვილს ხელი მოჰკიდა: — ისე, გამოგიტყდებით და, თქვენი სამზარეულოსა და პურის საცხობის ნახვაც ძალიან მინდოდა... — დასძინა მან შემდეგ.

— მართლა? — სახეზე კმაყოფილება აღებეჭდა ლიას. — ახლავე ვინმეს მოვძებნი და ყველაფერს დაგათვალიერებინებს... ნახავ, რამხელა თონე გვაქვს...

პურის საცხობი უშუალოდ სამზარეულოს ებმოდა და გვანცას იქ მართლაც, მოზრდილი თონე დახვდა. გვანცა და მისი თანმხლები ოფიციანტი საცხობში იმ დროს შევიდნენ, როცა თეთრ შარვალხალათიანი მეპურე თონეში მოხერხებულად ჩაეკიდა და პური ტყაპანით მიაკრა.

— Миша! — დაუძახა მას ოფიციანტმა. — Вылезай, к тебе гости!

— Какие ещё гости! — უხალისოდ იკითხა სასწრაფოდ წელში გასწორებულმა მეპურემ და როგორც კი უკან მოიხედა, ძლივსღა წაიჩურჩულა:

— გვანცა, შვილო, შენ აქ საიდან გაჩნდი?!.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადუ

ადუ ბრიტანეთის ვარსკვლავი სტილიდ ვაფორმებული პოპმომღერალი

თაყვანისმცემლები ვარსკვლავს ლედის სახელით მოიხსენიებენ. მიუხედავად თავისი 20-წლიანი აქტიური მუსიკალური კარიერისა, პოპმომღერალს მხოლოდ ექვსი ალბომი აქვს გამოშვებული. მომღერალს შეუძლია, თავს უფლება მისცეს, რვა წლის მანძილზე არ გამოუშვას დისკი და არ ჰქონდეს იმის შიში, რომ მას დაივიწყებენ. ყოველი მისი ახალი ალბომის გამოსვლას მილიონობით თაყვანისმცემელი მოუთმენლად ელის. მისი სახელია — შადე ადუ ან უბრალოდ — შადე.

ჰელენ ფოლაშადე ადუ 1959 წლის 16 იანვარს, ნიგერიის ქალაქ იბადანში დაიბადა. მამამისი, იორუბას ტომის წარმომადგენელი – ადებიზი ადუ, პროფესორი გახლდათ ეკონომიკის დარგში, ხოლო დედა, ენ ჰეისი – ინგლისელი მედდა. მომავალი მომღერლის მშობლებმა ერთმანეთი ლონდონში გაიცნეს, სადაც ნიგერიელი მეცნიერი ლექციების კურსის წასაკითხავად იყო მიწვეული. თავიანთი პირმშო წყვილს ლონდონშივე შეეძინა და მამის დაჟინებული მოთხოვნით ბიჭუნას ნიგერიული სახელი – ბანი დაარქვეს. ამასობაში პროფესორს ბრიტანეთში მუშაობის კონტრაქტი დაუმთავრდა და მისტერ ადუ ოჯახთან ერთად ნიგერიაში გაემგზავრა. იბადანში ქვეყანას მოევლინა გოგონა, რომელსაც დედის სურვილით ელენი დაარქვეს; მეორე სახელად კი ფოლაშადე დაანათლეს. ნიგერიელ მეზობლებს გოგონას ევროპული სახელი დიდად არ ეპიტნავებოდათ, ისინი თავდაპირველად პატარას, ფოლაშადეს ეძახდნენ, შემდეგ კი ეს სახელიც შეუმოკლეს და ჩვეულებისამებრ, შადეთი მოიხსენიებდნენ.

სამწუხაროდ, ადებიზისა და ენის სიყვარულმა დიდხანს არ გასტანა: გოგონა ოთხი წლის გახლდათ, როცა მისმა მშობლებმა გაყრა გადაწყვიტეს. გაყრის შემდეგ, ენი შვილებთან ერთად ბრიტანეთში დაბრუნდა. თავდაპირველად, მშობლებთან ლონდონში ცხოვრობდა, მალე კი, ხელმეორედ გათხოვდა და ბავშვებთან ერთად საცხოვრებლად ჰოლანდ-ონ-სიში გადავიდა. ლონდონისაგან განსხვავებით, სადაც პოლიტკორექტულობა ცხოვრების ნორმად იყო მიჩნეული, ბრიტანულ პროვინციაში ჯერ კიდევ რასისტული განწყობა სუფევდა. მომღერალი მოგვიანებით იხსენებდა: „იმ წლებში თავს ყველგან უცხოდ და მიუსაფრად ვგრძნობდი. ინგლისში თანაკლასელები ზანგს მეძახდნენ, ნიგერიაში კი, სადაც საზაფხულო არდადეგებზე ჩავდიოდი, პირიქით, ყველა თეთრკანიანად მომიხსენიებდა“. შადე ბავშვობიდანვე საოცარი პლასტიკურობით გამოირჩეოდა და შესანიშნავად ცეკვავდა. მოზარდ გოგონას განსაკუთრებით სოულისა და პანკის ჟანრის მუსიკა ხიბლავდა; მისი კერპები კი იყვნენ: არეტა ფრანკლინი, კერტის მეიფილდი, მარვინ გეი და სმოკი რობინსონი. თუმცა, შადეს იმ წლებში მუსიკალურ კარიერაზე არც კი უოცნებია. 17 წლის ასაკში გოგონამ ლონდონის წმ. მარტინის ხელოვნების კოლეჯში ჩააბარა, სადაც სადიზაინერო ხელოვნებას ეუფლებოდა. მისი მიზანი გახლდათ, გამოსულიყო ცნობილი მხატვარ-მოდელიერი.

კოლეჯის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მომავალმა მომღერალმა მეგობართან ერთად პატარა ატელიე – Lubelle & Adu გახსნა. გოგონებს საქმეები არცთუ ისე კარგად მისდიოდათ და მოკლე ხანში გაკოტრდნენ კიდეც. შადემ სამოდელო ასპარეზზე სცადა ბედი და სხვა ცნობილი კუტიურიეების ტანსაცმლის დემონსტრირებას ახდენდა. მაგრამ ამ საქმეს გული დიდხანს ვერ დაუდო და ამჯერად მუსიკალურ ასპარეზზე მოღვაწეობა გადაწყვიტა. 1980 წელს 21 წლის ჰელენ ადუ პანკჯგუფ Arriva-ს სოლისტი გახდა. ამავე წელს, შადემ Arriva-ს ჯგუფის წევრ რეი სენტ-ჯონსთან ერთად დაწერა სიმღერა – Smooth Operator, რომელიც ოთხი წლის შემდეგ, მსოფლიო მასშტაბის ჰიტად იქცა.

1981 წელს, მომღერალმა მეგობრისგან შემთხვევით შეიტყო, რომ ჯაზ-პანკის ჯგუფი Pride „ბექვოკალისტს“ ეძებდა. შადემ მონაწილეობა მიიღო კასტინგში და... ჩაფლავდა. მოგვიანებით, ჯგუფის წევრებმა საკუთარი გადაწყვეტილება შეცვალეს, რადგან უკეთესი კანდიდატურა ვერ შეარჩიეს. სულ მალე Pride-ის „ბექვოკალისტი“ ჯგუფის სოლისტად გადაიქცა და კომპოზიტორის საოცარი ტალანტიც გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ საკლუბო პუბლიკამ შეიყვარა Pride-ის ელეგანტური და ესთეტური მუსიკა, 1983 წელს ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ ხმის ჩამწერ სტუდიასთან კონტრაქტი არ ჰქონდათ გაფორმებული.

ჯგუფის ყოფილმა მენეჯერმა, ლი ბარეტმა მოახერხა leibl Epic-ის წარმომადგენელთა დარწმუნება იმაში, რომ მათ შადე ადუსთან მაინც გაეფორმებინათ კონტრაქტი. ამაზე მომღერალმა განაცხადა, რომ საკუთარი ჯგუფის წევრებთან განშორებას არ აპირებდა... საბოლოოდ, ლეიბლის წარმომადგენლები კომპრომისზე წავიდნენ და Epic-მა თავის ფრთის ქვეშ მთელი ჯგუფის შეფარებაზე

თანხმობა განაცხადა, ოღონდ, ერთი პირობით: ანსამბლს სახელი უნდა გამოეცვალა და შადე დარქმეოდა. ასე გაერთიანდნენ ამ იდუმალებით მოცული სახელის ქვეშ ჰელენ ადუ, სტიუარტ მეტიუმანი, ენდრიუ ჰეილი და პოლ სპენსერ დენმანი. მოკლე ხანში კი, ჯგუფმა Sade-მა ჯაზის, სოულის და კარიბის ზღვის აუზის მოტივების შერწყმით საოცრად ახლებურ ჟღერადობას მიაღწია და უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.

ჯგუფ Sade-ის ბრწყინვალე კარიერას სათავე დაედო სინგლით – You Love Is King და ალბომით – Diamond Life (1984). ორივე მათგანი დიდ ბრიტანეთში უმალ ოქროს დისკად იქცა. ოკეანის გაღმა კი, ჯგუფმა წარმატება მომდევნო წელს მოიპოვა. Sade-ს ამერიკული ექსპანსიის სტარტად იქცა სინგლი – Smoth Operator. იმავე წელს, შადე-ის წევრები წლის საუკეთესო ახალბედებად აღიარეს, ხოლო მათი ალბომი მსოფლიოში ექვსმილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ჟურნალ Time-ის ყდაზე გამოქვეყნებულ შადეს ფოტოსურათს კი, რედაქციამ ასეთი წარწერა გაუკეთა: „80-იანი წლების თაობის ახალი კერპი“.

მოპოვებულ წარმატებას შენარჩუნება და განმტკიცება სჭირდებოდა, ამიტომ ჯგუფმა ახალი ალბომის ჩაწერაზე დაიწყო მუშაობა. ალბომმა – Promise დღის სინათლე 1985 წელს იხილა. ტრიუმფი გაგრძელდა. ახალგამოსულმა სიმღერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ Sade თვითმყოფადი და განუმეორებელი კოლექტივი იყო, რომელიც ჭეშმარიტ მუსიკას ასრულებდა. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მუსიკალური ჟურნალის – Billboard – რიტმ-ენდ-ბლუზებსა და პოპჩარტებს Promise რამდენიმე კვირის მანძილზე სათავეში ედგა. დაახლოებით იმავე პერიოდში შადე ადუ ჯულიან ტემპლის მეტისმეტად ამბიციურ მუსიკალურ პროექტში – Absolute Beginners („ახალბედები“) მიიწვიეს. ეს გახლდათ კინოეკრანზე მომღერლის გამოჩენის პირველი და უკანასკნელი შემთხვევა.

მეორე ალბომის გამოსვლის შემდეგ, Sade ხანგრძლივ საგასტროლო ტურნეში გაემგზავრა. რვა თვის განმავლობაში ჯგუფმა მთელი მსოფლიო მოიარა და უამრავი კონცერტი გამართა. ასეთი დაძაბული სამუშაო რეჟიმის შემდეგ, შადემ დასვენება გადაწყვიტა და მადრიდში მდებარე საკუთარ სახლში განმარტოვდა.

მომღერალს პირველი რომანი სწორედ ესპანეთში ამ განმარტოების დროს

ჰქონდა, სადაც მან რეჟისორ-დოკუმენტალისტი კარლოს სკოლი გაიცნო. შადემ გადაწყვიტა, რომ რომანტიკულ ურთიერთობას მისთვის მუშაობაში ხელი არ უნდა შეეშალა და თავის მუსიკოსებთან ერთად შემდგომი ალბომის ჩაწერას მოჰკიდა ხელი. ალბომზე – Stronger Than Pride მუშაობა ბაჰამის კუნძულებსა და საფრანგეთში მიმდინარეობდა. კრიტიკოსებმა ახალ დისკს არცთუ ისე მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ ჯგუფის თაყვანისმცემლებს ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდათ. სულ მალე, ალბომი პლატინის დისკად იქცა, ხოლო ჯგუფის მსოფლიო ტურნეს ბილეთები სარეკორდო ვადაში გაიყიდა.

მსოფლიო ტურნეს დამთავრების შემდეგ, შადემ კარლოს სკოლისთან ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმება გადაწყვიტა. საქორწინო ცერემონია მადრიდის ციხედარბაზ ვინუელაში 1989 წლის 11 ოქტომბერს შედგა. თუმცა, ურთიერთობა, რომელსაც ჯერ კიდევ მანამდე გასჩენოდა ბზარი, ვერც ქორწინებამ იხსნა. ახალდაქორწინებული წყვილი მოკლე ხანში დაშორდა ერთმანეთს და მომღერალმა მშობლიურ ლონდონს მიაშურა. გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ შადე ძალზე განიცდიდა ესპანელ რეჟისორთან განშორებას და შემოქმედებითი მოღვაწეობის გასაგრძელებლად განწყობა არ ჰქონდა.

თუმცა, ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ ყველაფერი არცთუ ისე ცუდად იყო. ახალმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მომღერალს პოეტურად უფრო ღრმა სიმღერების დაწერისკენ უბიძგა. 1992 წელს გამოვიდა ჯგუფის ახალი ალბომი – Love Deluxe, რომელიც პუბლიკამ და კრიტიკოსებმა ერთნაირი აღფრთოვანებით მიიღეს. დისკმა ამერიკის ნაციონალურ ჰიტაღლუმში 90 კვირის განმავლობაში შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია. ალბომის მხარდასაჭერად მოწყობილი მსოფლიო ტურნეს დროს კი, შადე და კარლოს სკოლი შერიგდნენ, მაგრამ მათი თანაცხოვრება დიდხანს არც ამჯერად გაგრძელებულა – 1993 წელს ყველაფერი ახალი კონფლიქტითა და გაყრით დასრულდა. ერთი წლის შემდეგ, ჯგუფმა ახალი დისკი – The Best Of Sade გამოუშვა, რომელშიც მისი რჩეული სიმღერები შევიდა. ეს ჯგუფის ათწლიანი მოღვაწეობის ერთგვარი ანგარიში გახლდათ.

ამას მოჰყვა ექვსწლიანი დუმილის პერიოდი. შადე ადუმ იამაიკაზე საკურორტო ადგილას – ოჩო რიოსში სახლი შეიძინა, სადაც თავის ახალ ბოიფრენდთან, პროდიუსერ ბობ მორგანთან ერთად განმარტოვდა. 1996 წლის 21 ივნისს მათ გოგონა შეეძინათ, რომელსაც ილო დაარქვეს. 1997 წელს ადუ და რიოსი ლონდონში გადაბარგდნენ,

თუმცა, მომღერლის ეს ნაბიჯი სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ის მოღვაწეობის გაგრძელებას აპირებდა. ახალი ალბომის გამოსვლამდე ჯერ კიდევ სამი წელი რჩებოდა.

ამ დროს კი, Sade-ს სხვა წევრები დამოუკიდებლად განაგრძობდნენ მოღვაწეობას. სტიუარტ მეტიუმანი ნიუიორკში საკუთარ სტუდიაში საცეკვაო სიმღერებს წერდა და ამ მუსიკით ლოს-ანჯელესისა და ლონდონის კლუბებს ამარაგებდა. ენდრიუ ჰეილი ლონდონში ცნობილი დიზაინერების მოდების ჩვენებებისთვის ქმნიდა მუსიკას. პოლ სპენსერ დენმანმა ლოს-ანჯელესში გახსნა ბუტიკი – Goddess, საღამოობით კი, საკუთარ სტუდიაში უკრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი დამოუკიდებლადაც წარმატებით მოღვაწეობდა, ერთად შეკრების სურვილი მოსვენებას არც ერთს არ აძლევდა. როგორც იქნა, საბოლოოდ მუსიკოსები შეიკრიბნენ და თავიანთი ბოლო წლების დამოუკიდებელი შემოქმედების საფუძველზე 1996 წელს ახალი დისკი გამოუშვეს, რომელსაც Sweetback უწოდეს.

ამ დროს კი, შადე ადუ კვლავ თავის გოგონას აღზრდით იყო დაკავებული. თუმცა, უკვე იგრძნობოდა, რომ მისი ესტრადაზე არყოფნის პერიოდი, მეტისმეტად გაგრძელდა... და აი, რვაწლიანი ლოდინით ქანცგაწყვეტილი თაყვანისმცემლები, როგორც იქნა, 2000 წელს ახალ ალბომს – Lovers Rock ელირსნენ. ჯგუფის ფანების გამოხმაურებებმა ინტერნეტი კინაღამ წალეკა. ალბომის ტირაჟმა 5 მილიონს გადააჭარბა. კრიტიკოსებმა ამ დისკში შემავალ სინგლს – By Your Side კლასიკური ნიმუში უწოდეს.

ახალი ალბომის მხარდასაჭერად, ტრადიციისამებრ, ჯგუფი მსოფლიო საგასტროლო ტურნეში გაემგზავრა. 2002 წელს გამოვიდა DVD – Lover Live, რომელზეც ჯგუფის მიერ აშშ-ში გამართული ერთ-ერთი კონცერტი გახლდათ ჩაწერილი. ამის შემდეგ, მათ აღარაფერი გამოუშვიათ.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ Sade-ს თავისი 20-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე 60 მილიონზე მეტი დისკი აქვს გაყიდული. ჯგუფის წევრები სამჯერ გახდნენ „გრემის“ ლაურეატები. 1985 წელს ისინი „ოქროს გრამოფონით“ დაჯილდოვდნენ (ეს ჯილდო წლის საუკეთესო ახალბედა ჯგუფს გადაეცემა). 1993 წელს საუკეთესო სიმღერად აღიარეს – No Ordinary Love; 2001 წელს კი, მათი დისკი – Lovers Rock, საუკეთესო პოპალბომად იქნა მიჩნეული.

შადეს თაყვანისმცემლები კვლავ მოუთმენლად ელიან მომღერლის ახალ ნამუშევარს, მაგრამ როდის მოხდება ეს, მხოლოდ თავად შადესთვისაა ცნობილი: მომღერლის პირადი ცხოვრებისა თუ შემოქმედებითი გეგმების შესახებ ინფორმაცია ხომ მკაცრად გასაიდუმლოებულია. მსოფლიოს პოპვარსკვლავებს შორის, შადე თავისი ცხოვრების ფარული სტილით ყველასგან გამოირჩევა.

მომღერალი თითქმის არასდროს სტუმრობს მაღალი საზოგადოების რაუტებს, ძალზე იშვიათად იძლევა ინტერვიუს და მის სახელთან დაკავშირებულ ჭორს არცთუ ისე ხშირად წააწყდებით პრესის ფურცლებზე. თუმცა, ამ ბოლო დროს, ინტერნეტში გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ შადე სცენაზე დაბრუნებას ექსპერიმენტული მასალით აპირებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც მომღერალი ადრე ასრულებდა. როგორც ამბობენ, მას უკვე მზად ჰქონია ახალი ალბომი, რომელშიც 10 კომპოზიციაა შესული და ეს მასალა იმდენად განსხვავებულია, რომ მომღერალს აგერ უკვე ერთი წელია, მისი გამოცემა ვერ გადაუწყვეტია. იმასაც ამბობენ, რომ ალბომი, რომლის სახელიც სავარაუდოდ Baxter-ია, სულ მალე იხილავს დღის სინათლეს, მაგრამ არსად იქნება მითითებული, რომ ეს შადეს დისკი გახლავთ...

■

ჰერი ოლდმენი ლილიპუტი გახდა

აშშ-ში ამერიკელი რეჟისორის, მეთიუ ბრაიტის კომედიის „პაწაწინა თითის წვერების“ კინოგაქირავება დაიწყო. ფილმში მონაწილეობენ: კეიტ ბეკინსეილი, მეთიუ მაკონახი, პატრისია არკეტი და სკანდალური პორნოვარსკვლავი ბრიჯეტ პაუერსი.

სურათში კეროლი (კეიტ ბეკინსეილი) იგებს, რომ ფეხმძიმედაა, მაგრამ მის მეგობარს სტივენს (მეთიუ მაკონახი) ბავშვის დაბადება არ სურს. გოგონა სტივენისგან შეიტყობს, რომ მისი წინაპრები ჯუჯები ყოფილან. მხოლოდ სტივენი დაიბადა განსხვავებული – იგი მაღალია, მაგრამ მისი ტყუპი ძმა როლფი – ძალზე დაბალი. ყველაფერ ამის გამო, კეროლს შესაძლოა, ცეროდენა შვილი ეყოლოს, თუმცა იგი მაინც გადაწყვეტს ბავშვის გაჩენას.

იმისათვის, რომ ჰერი ოლდმენი ლილიპუტს დამსგავსებოდა, მისთვის სპეციალური გრიმი და კოსტიუმები შეიქმნა. ამ უნიკალური გრიმის ავტორი კი კიტ ვანდერლაანი გახლავთ, რომელსაც სპეცეფექტების შემუშავებაში დიდი გამოცდილება აქვს. ■

ბრიტნი სპირსის ხუმრობა

ბრიტნი სპირსმა თავისი ძმის დაბადების დღეზე სასაცილო ხუმრობა გაითამაშა. ბრაიანი დაბადებიდან 27 წლისთავს ბევერლი ჰილზზე დასთან და მეგობრებთან ერთად აღნიშნავდა. ამ დროს მათ საგამოძიებო ფედერალური ბიუროს მოწმობებითა და მუქ კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭები გამოეცხადნენ, რომლებმაც ბრიტნის ძამიკო შეიპყრეს და, მომღერლის პროტესტის მიუხედავად, სადღაც გააქანეს. შენობას რომ მიუახლოვდნენ, საბრალო ბიჭმა იფიქრა, დაკითხვას მომიწყობენო, მაგრამ... სახლში რომ შევიდნენ, ყველა მისი სტუმარი უკლებლივ იქ დახვდა, რომლებმაც იუბილარს უზარმაზარი ტორტი შეაგებეს. ■

პინკი აღშფოთებულია

პინკი ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბენიტა ფერერო-ვალდნერის წინააღმდეგ სასამართლო სარჩელს ამზადებს. როგორც მომღერალი იუწყება, ქალბატონმა ბენეტამ პინკის სახელი მისი ნებართვის გარეშე გამოიყენა თავის სააგიტაციო ბროშურებში, რომლებიც ვენაში კონცერტის მსვლელობისას ვრცელდებოდა. აქცია საპრეზიდენტო არჩევნებს ეძღვნებოდა, ფერერო-ვალდნერი კი ამ პოსტზე ერთ-ერთი პრეტენდენტი გახლდათ. მინისტრმა საარჩევნო კამპანიისთვის შეგნებულად შეარჩია ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი, რაც, პინკის აზრით, სამარცხვინო საქციელია. ბენიტა ფერერო-ვალდნერს მორალური ზარალის ანაზღაურება მოუწევს. გარდა ამისა, ალბათ ის თავისი მიზნების დასაკმაყოფილებლად მომავალში დაუკითხავად ვერავის სახელს ვეღარ გამოიყენებს. ■

მადონა მიზნესს კარგავს

მადონას კუთვნილი ლეიბლი Maverick Records-ი კატასტროფულად წამგებიანი საწარმო გამოდგა. ამ კომპანიის პარტნიორი-კომპანიის Warner Music Group-ის ინფორმაციით, Maverick-მა, რომელიც მადონას გარდა ალანის მორისეტის, მიშელ ბრანჩისა და სხვა შემსრულებლების საქმეებს აწარმოებდა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 66 მლნ დოლარის ზარალი განიცადა.

შეგახსენებთ, რომ ამ ორ კომპანიას სერიოზული კონფლიქტი აქვს: ამას წინათ, Maverick-მა სარჩელიც კი შეიტანა, Warner-ის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი Maverick-ის „უფროსი ძმაა“, მისი ხელმძღვანელობა ამ კომპანიის დახურვას გეგმავს, თუკი მადონა ვალებს არ დაფარავს.

ამჟამად Maverick-ი მორისეტის ახალი ალბომის რელიზს აპირებს. მისი გამოსვლა 18 მაისს იგეგმება. თუმცა, სიტუაციის უარესობისკენ შეცვლის შემთხვევაში, ალანისს რელიზის თარიღის გადაწევა და სხვა ლეიბლის ძიება მოუწევს. ■

ჯორჯ კლუნი ტურიზმის ზრდას ხელს უწყობს

42 წლის ამერიკელ კინოვარსკვლავს ჯორჯ კლუნს 900 წლის იტალიური ქალაქის ლალიოს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. ლალიო კომოს ტბის ნაპირას მდებარეობს. ასეთი სახით გადაუხადა ქალაქის მერიამ მსახიობს მადლობა, რომელმაც ორი წლის წინ შეიძინა ვილა და საზაფხულო არდადეგებს იქ ატარებს. „მისტერ კლუნმა ლალიო შეარჩია. თუმცა ათასი სხვა ვარიანტი ჰქონდა. ვიმედოვნებთ, რომ ეს მრავალი წელი გაგრძელდება“, – განაცხადა მერმა ჯუზეპე მანტერომ. საქმე ის არის, რომ ვარსკვლავის არსებობა საოცრად ზრდის ტურისტთა რიცხვს ამ ადგილებში, რამაც სასიკეთოდ იმოქმედა ეკონომიკაზეც.

მსახიობის დაჯილდოება საზეიმო ცერემონიაზე მოხდება ლალიოში, სადაც ახალი მოქალაქე სპეციალურად ჩაბრძანდება. ■

ლუსი ლუს ხმაურიანი ქორწილი არ სურს

ლუსი ლუ ცოლად მიჰყვება თავის ლამაზ მეგობარს ზაკ ჰილმას. წყვილი წელიწადზე მეტია, ერთმანეთს იცნობს. ამ ხნის მანძილზე მათ საკმაოდ კარგად გაიცნეს ერთმანეთი და არანაირი სურვილი არა აქვთ, ხმაურიანი ქორწილი გადაიხადონ. შეყვარებულებს მოკრძალებული ქორწილი იზიდავს, სადაც მხოლოდ ახლო მეგობრები და ნათესავები მოიყრიან თავს.

„ალბათ ყველა ელოდება, რომ რაღაც გრანდიოზულს მოვაწყობთ. მაგრამ ქორწინება ხომ იმდენად განსაკუთრებული და პირადულია შენს ცხოვრებაში, რომ არ შეიძლება მისი კინოსიუჟეტად გადაქცევა“, – ამბობს ლუსი. ■

ტრინიტი კრუზთან ერთად ითამაშებს

ბოევიკის „შეუსრულებელი მისიის“ მესამე ნაწილში ქალის გმირს კერი-ენ მოსი შეასრულებს, რომელსაც მაყურებელი „მატრიცაში“ ტრინიტის როლით იცნობს. იგი პარტნიორობას გაუწევს ტომ კრუზს. ეს უკანასკნელი ფილმში მამაკაცის მთავარ როლზე დაამტკიცეს. „შეუსრულებელ მისია-3“-ს Paramount Pictures-ი დადგამს. რეჟისორი ჯო კარნახანი იქნება, ხოლო ფილმის მესამე ნაწილისთვის სცენარი დინ გეორგარისმა დაწერა.

საგულისხმოა, რომ წინა ორი სურათის შემოსავალმა აშშ-ში 400 მლნ დოლარზე მეტი შეადგინა. ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ჩინური სიგრძნის მიხედვით წმინდანებს გულაღმა სძინავთ, ცოდვილებს — პირქვე. როგორ სძინავთ მეფეებს?

ა) მარჯვენა გვერდზე;
ბ) წამომჯდრებს;
გ) საერთოდ არ უნდა ეძინოთ.

2. „მაკულატურა“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს:

ა) უკვე გამოყენებულს;
ბ) დასვრილს (დალაქავებულს);
გ) წერისთვის უვარგისს.

3. რა ეწოდება ჯარში გამოკლებული ცხენის ახლით შევსებას?

ა) რემონტი;
ბ) „დემბელი“;
გ) რეზერვი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„დედაო ღვთისავ“

3 მაისს კინოთეატრ „ამირანში“ რეჟისორ მიხო ბორაშვილის ახალი ფილმის პრემიერა გაიმართა. სტუდია „ქართული ტელეფილმის“ დაკვეთით ბატონი მიხო ახორციელებს პროექტს, რომელიც სამი რელიგიური ფილმისგან შედგება. პირველი, იესო ქრისტეს ცხოვრებას მიეძღვნა; მეორე, რომელიც ამჯერად ვიხილეთ, მარიამ ღვთისმშობლის ცხოვრებაზე მოგვითხრობს; მესამე ფილმში წმინდა გიორგის ცხოვრება იქნება ასახული.

ფილმის დასაწყისში ეკრანზე გამოსახული წარწერა გვაუწყებს, რომ ფილმის მიზანია, მაყურებელს გააცნოს ძველი ქართული ძეგლების კულტურა და სწორედ ამიტომ მასში ჩართულია სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი ხატების რეპროდუქციები.

ღვთისმშობლის როლს მსახიობი მაგდა ღლონტი ასრულებს. სურათი მუსიკალურად, ნინო ქათამაძემ, რომა რცხილაძემ და გოჩა ყაჭეიშვილმა გააფორმეს. მალე, „დედაო ღვთისავ“ პირველი არხის ეკრანზე იქნება ნაჩვენები. ■

„რონდო“ ახალი შემადგენლობით

საზოგადოებისთვის ალბათ უკვე ცნობილია, რომ ჯგუფი „რონდო“ მაიკო ჩიქოვანმა დატოვა. ჯგუფის წევრებს შორის არანაირი უთანხმოება არ მომხდარა (მაიკო ხომ ელენე ოთარაშვილის მეჯვარეა და ალბათ სულ მალე, მისი შვილის ნათლიაც გახდება) — უბრალოდ, ახალგაზრდა მომღერალმა სოლო კარიერის შექმნა გადაწყვიტა და დაგვპირდა, მაყურებლის წინაშე აბსოლუტურად სხვა ამპლუაში წარვდგებიო.

რაც შეეხება „რონდოს“ — რამდენიმე დღის წინ, „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე გოგონებმა ჟურნალისტებს უკვე წარმოგვიდგინეს ჯგუფის ახალი წევრი — 19 წლის მარი სამხარაული, რომელიც დაიბადა და გაიზარდა რუსეთში, კერძოდ, ქალაქ პიატიგორსკში. იქვე დაამთავრა განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულთა ათწლედი, ფორტეპიანოს განხრით ამჟამად კი, თბილისის კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტში სწავლობს.

ჯგუფი უკვე წერს ახალ სიმღერას — „ბოლერო“ და უახლოეს მომავალში, მასზე კლიპსაც გადაიღებს. ამასთანავე, „რონდო“ სულ მალე გაემგზავრება გასტროლებზე მოსკოვში, ხოლო ბაქოში კონცერტების გამართვის თაობაზე მოლაპარაკებები ამჟამად მიმდინარეობს. ■

„ბრავო“ „ქოლგაში“

გასულ კვირას კინოთეატრ „ქოლგაში“ ახალი ჯგუფის — „ბრავოს“ პირველი კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. ჯგუფი 13-14 წლის ოთხი გოგონასგან შედგება. მათი ხელმძღვანელი ერთ-ერთი მათგანის დედა, ქალბატონი მაკა დავითაიაა. „ბრავო“ უკვე ოთხი წელია არსებობს და სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალ-კონკურსშიც მიუღია მონაწილეობა. სიმღერა — „ნეტავი, შემოგეფიცა“ — ქართული ფოლკლორის ნიმუშს წარმოადგენს, რომლის კომპოზიციური ვერსიის ქალაქურ მოტივებზე გარდაქმნა მაკა დავითაიამ ითავა, არანჟირება გიგა კუხიანიძეს ეკუთვნის, ხოლო კლიპის რეჟისორი გიორგი კიკალიშვილი გახლავთ. აღმოსავლური ცეკვების მოტივებზე დადგმული ქორეოგრაფია გია მარღანიას ეკუთვნის. გოგონების პირველ ვიდეორგოლს საზოგადოების მოწონება ხვდა წილად. ■

გასულ კვირას ღამის კლუბ „აქარა მიუზიკ-ჰოლს“ უკვე მეორედ ესტუმრა ცნობილი რუსული როკჯგუფი „მუმი ტროლი“. დარბაზი მუსიკის მოყვარულებით გაივსო. მსმენელები მომღერლებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ ჯგუფის ძველ ჰიტებს, თუმცა ამჯერად, „მუმი ტროლი“ ძირითადად ახალი, განსხვავებული რეპერტუარით წარდგა მათ წინაშე. კონცერტის შემდეგ, წამყვან სოლისტს ილია ლაგუტინკოს ვესაუბრეთ.

"ჩვენს ჯიპში ახანაირი პორნოგრაფია არ არის"

ნათია ქივიძე

– წარმოვადგინეთ ჩვენი ახალი პროგრამა, რომელიც კინოფილმისთვის „Похитители книг“ – შეიქმნა. ამავე სახელწოდების ჩვენი ალბომი ორიოდე თვეა, რაც გამოვიდა. ეს რეპერტუარი ჯგუფისთვის სტილისტურად განსხვავებულია. ჩვენ შევასრულეთ როგორც ტრადიციული, ,,ენერგიული'' სიმღერები, ასევე ელექტრონული რემიქსი, ფრანგული შანსოსა და ესპანური ფლამინგოს ტიპის ინსტრუმენტული კომპოზიციები. რამდენიმე დღის წინ, ზუსტად ეს პროგრამა შევასრულეთ მოსკოვში გამართულ კონცერტზე. ვფიქრობ, რომ იმ მსმენელისთვის, რომელიც ჩვენს კონცერტებზე სხვა დროსაც ყოფილა, დღევანდელი საღამო უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნებოდა.

— როგორ შეხვდით საქართველოში მეორედ მოწვევას?

– საქართველოში მოწვევის შესახებ რომ შევიტყვეთ, ცოტა შევშფოთდით, რადგან ინფორმაციას გაზეთებიდან ვიღებთ, სადაც წერენ, რომ ქართველები თავიანთ საყვარელ მომღერალსაც კი ბოთლებსა და სხვა საგნებს ესვრიან... საბედნიეროდ, ჩვენს შემთხვევაში ასე არ ყოფილა.

— მოდი, ისევ თქვენს რეპერტუარს დავუბრუნდეთ: რამდენად იოლი იყო თქვენთვის ფილმისთვის მუსიკის დაწერა?

– ფილმის მუსიკაზე მუშაობა არცთუ ისე იოლი, მაგრამ სასიამოვნო იყო. ამ ფილმისთვის დაწერილი მუსიკა ,,მუმი ტროლის'' ხასიათში არ ჯდება, მაგრამ გვინდოდა, ესეც მოგვესინჯა და გამოგვივიდა კიდეც. რეჟისორსა და მთელ ჯგუფს მადლობა უნდა გადავუხადო, რადგან მეც მუსიკის წერის დროს, აბსოლუტური თავისუფლება მომანიჭეს. სხვათა შორის, უახლოეს მომავალში, ჩვენ მიერ გახმოვანებული ანიმაციური ფილმიც გამოვა, მაგრამ სამწუხაროდ, ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი ჯერ არ შემიძლია. ამ მულტფილმისთვის ექსპერიმენტული მუსიკა უნდა დავწეროთ. ზუსტად უნდა გავთვალოთ, თუ რისი მოსმენა შეიძლება სურდეთ ბავშვებს. არ გვინდა, ეს მუსიკა იმას ჰგავდეს, რომელზეც ჩვენ და ჩვენი მშობლები გავიზარდეთ, რადგან ის უკვე საკმაო რაოდენობით არსებობს, ახლა სხვა საუკუნეა და ცოტა წინ უნდა წავიწიოთ. ახლანდელ ბავშვებს მომავალში საამაყოდ უნდა ჰქონდეთ ის, რომ მათთვის მუსიკა ,,მუმი ტროლმა'' დაწერა...

— ქართველი როკერებისთვის თუ მოგისმენიათ?

– გულწრფელად რომ გითხრათ, ნამდვილად არაფერი ვიცი ქართული როკჯგუფების შესახებ.

— ახლა თქვენს სკანდალურ კლიპზე „Медведица“ ვისაუბროთ...

– გვეგონა, რომ „Медведица“ აქ ასეთი ცნობილი ჯერ არ იქნებოდა, მაგრამ შევცდით. ამ კლიპს პორნოგრაფიულობა დასწამეს. ეს საშინელებაა, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენს კლიპში არანაირი პორნოგრაფია არ არის – უბრალოდ, ცოტა ინტიმური დეტალებია. ოცამდე კლიპი გვაქვს გადაღებული და გულწრფელად გეუბნებით, რომ ამხელა რეზონანსი არც ერთ მათგანს არ მოჰყოლია. ეს კლიპი რატომღაც თითქმის არც ერთმა ტელეარხმა არ უჩვენა. მისი ხილვა მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ. ნამდვილი, კარგი გემოვნება არასდროს იკარგება...

— როგორ ფიქრობთ — რომელია თქვენი ყველაზე დიდი წარმატება?

– ჩემი ყველაზე დიდი წარმატება ის არის, რომ ამდენს ვმოგზაურობ. მოგზაურობა ძალიან მიყვარს და ამის გამო ბავშვობაში მეზღვაურობაზე ვოცნებობდი. ახლა ვმოგზაურობ, ყველა ქვეყანაში თბილად მხვდებიან, მოსწონთ ჩემი სიმღერები. არ ვიცი, ამაზე უკეთესი ცხოვრებაში რა შეიძლება იყოს. რა თქმა უნდა, პოპულარობას ბევრ ჩემს სიმღერას ვუმადლი, თუმცა, მაინც „Медведица“-ს გამოვყოფ.

— ამბობენ, როდესაც სადმე გიწვევენ, თქვენი პირველი მოთხოვნაა, სასტუმროს ნომერში შამპანური და ლიმონათი „ბურატინო“ დაგახვედრონ...

– ამაში საკვირველი არაფერია. ვითხოვ, რომ ნომერში ყველა ის საჭირო ნივთი დამახვედრონ, რაც ნებისმიერ ადამიანს სჭირდება, რადგან უცხო ქალაქში არ ვიცი, სად უნდა წავიდე და სად რა შევიძინო, ამიტომ ვითხოვ ხოლმე შამპანურითა და ლიმონათით ჩემს უზრუნველყოფას. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ლიმონათი ,,ბურატინო'' იყოს, სიამოვნებით მივირთმევ ლაღიძის წყალს... დაბოლოს – დიდი მადლობა ქართველებს ასეთი თბილი მიღებისთვის და მომავალ შეხვედრამდე გემშვიდობებით.

■

ესპანური ალტერნატივა

ესპანურმა კომპანია SEAT-მა (კონცერნ Volkswagen-ის ქვედანაყოფმა) გამოუშვა კომპაქტური მოდელი Altea. დიზაინით მანქანა, მკვეთრად გამოხატული სპორტული ნიშნებით მინივენს უფრო ჰგავს, ვიდრე კომპაქტური კლასის ტიპურ ჰეჩბეკს.

Altea-ს გარეგნული იერი საავტომობილო დიზაინის ცნობილ ოსტატს ვალტერ დე სილვას ეკუთვნის. ავტომობილში, რომლის სიმაღლე 1,57 მ-ა, კომფორტულად გრძნობს თავს ოთხი ადამიანი, მძღოლის ჩათვლით. თუმცა, არცთუ ისე დიდი სიგრძის გამო (4,28 მ) ვერ გაკეთდა ხალვათი საბარგული. მისი მოცულობა სულ 409 ლ-ია. სალონის ინტერიერი საკმაოდ მოსაწყენია და ეს ოდნავ აფუჭებს იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ავტომობილის გარეგნული კონტურები ქმნის. ასევე ნაკლები ყურადღება მიექცა ზოგიერთი დეტალის სრულყოფას: მაგალითად, უკანა სავარძლები არ მოძრაობს. ტექნიკის თვალსაზრისითაც SEAT Altea არ წარმოადგენს რაიმე სიახლეს – მანქანა იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც Volkswagen Touran და Audi A3. ძრავაც Volkswagen-ის არსენალიდანაა. ბენზინის 4-ცილინდრიანი საბაზო აგრეგატი 1,6 ლიტრის მოცულობისაა და 102 ცხ. ძ. სიმძლავრეს ავითარებს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 181 კმ\სთ-ია, ხოლო საწვავის საშუალო ხარჯი – 7,6 ლ ყოველ 100 კმ-ზე. მანქანა შეიძლება აღჭურვილი იყოს აგრეთვე 2 ლ მოცულობის, 150 ცხ. ძ-ს სიმძლავრის ბენზინის ძრავათი. მომხმარებელს შესთავაზებენ ორ 6-საფეხურიან – მექანიკურ და ავტომატურ გადაცემათა კოლოფს. ახალი „სეატის“ საბაზო კომპლექტაციაში (ფასი – 16.890 ევრო) შედის: კონდიციონერი, აუდიოსისტემა, რეგულირებადი საჭე და ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით. ■

სპორტული Megane

ფრანგულ კომპანია RENAULT-ს ევროპის ბაზარზე Megane II-ის სპორტული ვერსია გამოაქვს. მანქანა მაღალსიჩქარიანია და საუცხოო დინამიკური თვისებებით გამოირჩევა. Megane Sport-ის კაპოტის ქვეშ 4-ცილინდრიანი, 2 ლ მოცულობის ბენზინის ძრავაა მოთავსებული, რომლის სიმძლავრე 224 ცხ. ძ-ს შეადგენს. მანქანა 6,5 წმ-ში ავითარებს 100 კმ\სთ სიჩქარეს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 236 კმ\სთ-ს აღწევს. კომპანიის ვარაუდით, ბენზინის საშუალო ხარჯი არ გადააჭარბებს 8,8 ლ-ს 100 კმ გარბენზე. Megane Sport აღჭურვილია ახალი, 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფით, რომელიც იაპონური ფირმა Nissan-ის ინჟინრების მიერაა შექმნილი. „რენოს“ სწორედ ამ კომპანიასთან აქვს სტრატეგიული ალიანსი მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე. სხვა ტექნიკური სიახლეებიდან აღსანიშნავია სრულიად მოდერნიზებული წინა საკიდარი, რომელიც დიდი დატვირთვისთვისაა გათვალისწინებული. მანქანის გარეგნული იერი უფრო სპორტული გახდა 18-დუიმიანი საბორბლე დისკებისა და ორი უჟანგავი ფოლადის მაყუჩის წყალობით. Renault Megane-ს საკმაოდ მდიდარი კომპლექტაცია აქვს: 6 უსაფრთხოების ბალიში (სამკარიან ვარიანტში მათი რაოდენობა რვამდეც კი აღწევს), მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, საჭის ელექტროგამაძლიერებელი, სტაბილიზაციის ელექტრონული სისტემა, კლიმატ-კონტროლი, სტერეოსისტემა, ვერტიკალურად რეგულირებადი საჭე. ევროპულ ბაზარზე Megane Sport 27.900 ევრო ღირს. ხუთკარიანი ვარიანტი ოდნავ ძვირია – 28.600 ევრო. ამ მოდელის წარმოებაში ჩასაშვებად საკმაოდ ხელსაყრელი დროა შერჩეული: Volkswagen Golf GTI შემოდგომაზე ადრე არ გამოჩნდება, Opel Astra OPC კი – მხოლოდ 2005 წელს. სწორედ ამ ავტომანქანებმა უნდა გაუწიოს ძირითადი კონკურენცია Megane Sport-ს. ■

ის ლიხს ჯილმეტი?

გერმანიის გაერთიანებულმა საავტომობილო კლუბმა (ADAC) ყველაზე ეკონომიური მანქანების სია გამოაქვეყნა. კონკურსში ჩართული იყო ის მანქანები, რომელთა საწვავის ხარჯი არ აღემატება 5 ლ-ს ყოველ 100 კმ-ზე.

პირველი ადგილი დაიკავა VW Lupo-მ. 1,2 ლ მოცულობის, 61 ცხ. ძ-ს სიმძლავრის დიზელისძრავიანი Lupo (1.2 3L TDI) 100 კმ-ზე სულ 3 ლ საწვავით „კმაყოფილდება“. ამრიგად, 15.100-ევროიანი მანქანის ექსპლუატაცია 1 კმ გარბენზე 0,28 ევრო ჯდება. აქ ასევე იგულისხმება სერვისული მომსახურების ხარჯები და „ასაკთან“ ერთად, ფასის უცილობელი ვარდნა.

მეორე ადგილზეა დიზელისძრავიანი Audi A2 TDI. მისი ხარჯიც არ აღემატება 3 ლ-ს, თუმცა, ეს ავტომობილი ცოტა უფრო ძვირი ღირს – 18.900 ევრო.

მესამე პოზიცია დაიკავა ასევე დიზელისძრავიანმა Smart coupe fortwo pure – 41 ცხ. ძ-ის მქონე ძრავათი A და 3,4 ლ საწვავის ხარჯით. მისმა საექსპლუატაციო ხარჯებმა 1 კილომეტრ გარბენზე სულ 0,25 ევრო შეადგინა. მისგან განსხვავებით, ბენზინისძრავიანი Smart ყოველ 100 კმ-ზე 4,7 ლ-ს წვავს. ■

ნათელმხილველი ნატაშა სკოროხოდოვა ფოტოსურათების საშუალებით ცდილობს, პოლიტიკური ელიტის ახალი სახეების საიდუმლოებები ამოიცნოს. ვინ არიან ისინი? რა როლი დაეკისრებათ მომავალში? როგორ გაართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს? როგორ წარიმართება მათი ცხოვრება? ნათელმხილველის მხედველობის არეში ამჯერად, სალომე ზურაბიშვილი, ნინო კალანდაძე და ნიკა გილაური მოხვდნენ.

„მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არასდროს იქნება“

ლელა ჭანკოტაძე

სალომე ზურაბიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი

– ძალზე ერუდირებული და ჭეშმარიტად საქმიანი ქალია. მთელი მისი ცხოვრება სამსახურს ეკუთვნის. შინ თავს კომფორტულად და მყუდროდ ვერ გრძნობს. ურჩევნია, დრო გაწელოს, სამუშაო გამოიზოგოს და დროის უმეტესი ნაწილი კაბინეტში გაატაროს. ბუნებით ლიდერია, პირველობა უყვარს. თავს უფლებას აძლევს, საკუთარი აზრი სხვებს თავზე მოახვიოს. ის ყოველთვის მართალია და მისი აზრი გადამწყვეტია – ამ დეფინიციიდან გამომდინარეობს ოჯახშიც და მეგობრებთან ურთიერთობის დროსაც. აზრსაც ხშირად ეკითხებიან.

— თუ შეგიძლიათ, მისი ხასიათის თავისებურებებზე უფრო კონკრეტულად ისაუბროთ?

– რბილი და მოსიყვარულეა მამაკაცებთან ურთიერთობისას. არასდროს სცდება ზღვარს და მათ პატივმოყვარეობაზე არ მოქმედებს. თანამშრომელ მამაკაცებთანაც მოზომილი და დამთმობია, როცა იცის, რომ მისმა ნათქვამმა შესაძლოა, მათ თავმოყვარეობაზე ცუდად იმოქმედოს. მისი გულის მოსანადირებლად, მამაკაცმა სასწაული უნდა ჩაიდინოს, რადგან მცირედით არასდროს კმაყოფილდება. ცხოვრებისგან ბევრს ითხოვს. ცალმხრივი, ზედაპირული ურთიერთობები მისთვის მიუღებელია. თუ მასთან ხართ, მთელი სულითა და გულით უნდა იყოთ, თუ არა და, ახლოსაც არ გაგიკარებთ.

— როგორი მეუღლეა?

– ერთგული და მოსიყვარულე. ოჯახურ ცხოვრებაში მისთვის მთავარი, ერთგულებაა. თუ ქმარი უღალატებს, მისი ოჯახი მაშინვე დაინგრევა. ძლიერი ნებისყოფის ადამიანია, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ არაფერზე სტკივა გული – უბრალოდ ცდილობს, ყოველთვის კარგი ატმოსფერო შექმნას.

— მის მომავალზე რა შეგიძლიათ თქვათ?

– პოლიტიკური წარმატებები, მიღწევები საგარეო ურთიერთობებში და წინსვლა სამსახურში მისთვის ჩვეულებრივი ამბავია. მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს და წარმატებას წარმატებაზე მიაღწევს. მაგრამ საქართველოს იმაზე ადრე დატოვებს, ვიდრე ეს მის კოლეგებს წარმოუდგენიათ. ის საზღვარგარეთ გაემგზავრება და მოღვაწეობას იქ განაგრძობს. აქედან თავისი სურვილით წავა.

— რატომ?

– აწყენინებენ, თანაც – რამდენჯერმე.

— მერე როგორ აეწყობა მისი ცხოვრება?

– მას ბედნიერი და უზრუნველი მომავალი ელოდება. მატერიალური კეთილდღეობა და წარმატებული კარიერა მისი ცხოვრების თანამდევი იქნება.

ნინო კალანდაძე, პარლამენტის წევრი

– მხიარულ, ლაღ და ცხოვრებით კმაყოფილ ნინო კალანდაძეს ძალზე ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობა ელოდება. დეპუტატობის შემდეგ, ის პოლიტიკიდან წავა. პოლიტიკა მისი ჰობი არც არასდროს ყოფილა. მისთვის მთავარი, მსუბუქი და გასართობი სამუშაოა და არა ისეთი სამსახური, რომელიც მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

— უფრო კონკრეტულად რა შეგიძლიათ თქვათ მასზე?

– მეოცნებეა. ოცნებები ყოველთვის უსრულდება, მაგრამ ცხოვრებისგან უფრო და უფრო მეტს ითხოვს. იღბლიანია. სწორედ ეს არის მისი წარმატების საფუძველი. გეგმების დაწყობა, გეგმის მიხედვით მოქმედება და წინასწარი გათვლების გაკეთება არ შეუძლია. ცხოვრებას ინერციით მიჰყვება. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, იღბალი არ ტოვებს და წარმატებას მაშინაც აღწევს, როცა ამას თვითონაც არ მოელის. ვისაც ნინოსთან მეგობრობა სურს, უნდა გაითვალისწინოს მისი ხასიათის უცნაური თავისებურება: იოლად კარგავს უახლოეს მეგობრებსაც კი და ამაზე არასდროს წუხს. ეჭვიანიცაა. ვინც უყვარს, იმაზე იმდენად ეჭვიანობს, რომ შეიძლება, დეპრესიაში ჩავარდეს.

— როგორია მისი ინტიმური სამყარო?

– მოსიყვარულე და ემოციურია. მასთან ურთიერთობა ბევრ მამაკაცს სურს, მაგრამ ნინო უკარებაა. უფრო სწორად – თავისი პარტნიორის ერთგული რჩება და ყოველი ახალი სასიყვარულო კავშირი აშინებს. სიყვარულში ნამდვილი რომანტიკოსია. ვისაც მისი გულის დაპყრობა სურს, ძალიან უნდა მოინდომოს, თორემ, არაფერი გამოუვა: ნინო განებივრებულია მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებითა და სიურპრიზებით და მისი დაპყრობა ამ ეტაპზე, თითქმის შეუძლებელია.

— **რატომ?**

— შეყვარებულია. მისი სიყვარულის ობიექტი ენერგიული, ვნებიანი და ძლიერი მამაკაცია. თუმცა, მათი ურთიერთობა ხანმოკლეა. ნინოს ქმარი უცხოელი იქნება, რომელიც მას აქედან წაიყვანს...

ნიკა გილაური, ენერგეტიკის მინისტრი

— თავდაჯერებულობა აკლია. მერყევია. სულ ჰგონია, რომ რასაც სხვები ურჩევენ, სიმართლე სწორედ ის არის. ბოლომდე საკუთარ გემოვნებასაც არ ენდობა და ცდილობს, კომპეტენტურ ადამიანებს ჰკითხოს რჩევა. ხასიათის ეს თავისებურება მას ხელს უშლის ხოლმე, რადგან გაბედულად ვერ მოქმედებს. თუმცა, ნიჭიერი და განათლებულია.

— **სიყვარულში როგორია?**

— მოკრძალებული. საკუთარი გრძნობების აფიშირება არ უყვარს. ცდილობს, თვალში არავის შეეჩხიროს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას ურჩევნია, რომ ქალმა იაქტიუროს, ამიტომაც მისი მონადირება იოლია. ძლიერი და აქტიური ქალი ნიკას ხაფანგში უპრობლემოდ გააბამს. ვისაც მისი გულის სამუდამოდ მონადირება სურს, უნდა იაქტიუროს, მაგრამ არც ზომიერების გრძნობა უნდა დაკარგოს. ვულგარული ქალები ნიკას საშინლად აღიზიანებს. საპირისპირო სქესს პატივს სცემს. ქალების მოსმენა უყვარს, მათ აზრებს ითვალისწინებს. ხშირად მათი გავლენის ქვეშაც ექცევა, მაგრამ არც ერთ ქალს არ მისცემს იმის უფლებას, რომ მის პატივმოყვარეობას შეეხოს.

— **რისი ეშინია?**

— ყოველთვის პანიკურად ეშინოდა მარცხის. ეს შიში მაშინაც კი ტანჯავს, როცა ყველაფერი წესრიგში აქვს.

— **რა ელოდება?**

— მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არასდროს იქნება, რადგან მუდამ თავდაუზოგავი შრომა მოუწევს წარმატების მისაღწევად. მან საკმაოდ ბევრი იშრომა და მინისტრის პორტფელიც ამის შედეგად მიიღო. მისთვის მინისტრობა ბედის საჩუქარი სულაც არ ყოფილა. როცა მის მომავალზე ვსაუბრობ, ახლავე უნდა ვთქვა, რომ ის რამდენიმე წლის შემდეგ, ისევ დაბრუნდება მინისტრის პოსტზე. ასაკიანი, გამოცდილი და ერუდირებული ნიკა გილაური ღირსეული და კარგი მინისტრი იქნება. მანამდე კი, მას იმედგაცრუება ელის. თუმცა, იმედგაცრუებას ვერც დავარქმევ მინისტრის პოსტიდან მის გათავისუფლებას. ეს გადაწყვეტილება მისთვის ურიგო სულაც არ იქნება, უფრო მეტიც — ის შვებით ამოისუნქავს...

■

მფრინავი თეფში ედედამიწაზე ყოფილა შეჩვეული

2004 წლის მარტში კანადელმა ავიატორებმა არქტიკაში მოგზაურობის დროს, დაბალ სიმაღლეზე ფრენისას ყინულებში ლითონის სხეული შეინიშნეს. პილოტმა გაურკვეველი ნამსხვრევების გროვას რამდენჯერმე შემოუფრინა და ეკიპაჟის წევრები მიხვდნენ, რომ საქმე ამოუცნობ მფრინავ ობიექტთან ჰქონდათ, რომელსაც, სავარაუდოდ, კატასტროფა სულ ცოტა ხნის წინ განეცადა. დაბალ სიმაღლეზე ფრენისას მათ კარგად გაარჩიეს ყინულებს შორის გამოჩრილი დისკოს ფორმის დაზიანებული კორპუსი.

გაუჩინარებული ნამსხვრევების საიდუმლო

მოულოდნელად ამოვარდნილმა არქტიკულმა გრიგალმა ავიატორებს ამოუცნობი ობიექტის უფრო დეტალურად შესწავლის საშუალება არ მისცა. მფრინავებმა ფოტოფირზე აღბეჭდეს ლითონის სხეული, დაზიანებული კორპუსის ადგილმდებარეობის კოორდინატები კონტინენტზე გადასცეს და კატასტროფის ადგილი დატოვეს. მეორე დღეს, გაზეთ „ტორონტო ტრიბუნის“ ფურცლებზე გამოჩნდა სტატია სენსაციური სათაურით, რომელიც დედამიწაზე უცხოპლანეტელთა ახალი ვიზიტის შესახებ იტყობინებოდა. შემთხვევის ადგილზე გადაღებულმა ფოტოსურათმა კი, მთელი მსოფლიო მოიარა. ფოტოზე ძაბრისებრი ფორმის პრიალა ლითონის ობიექტი იყო აღბეჭდილი, რომელსაც ვეებერთელა ყინულის მასა ორად გაეპო. კანადის სპეცსამსახურებმა შემთხვევის ადგილას სასწრაფოდ გაგზავნეს ექსპედიცია, მაგრამ მათდა გასაოცრად, კატასტროფის ადგილზე მისულმა ექსპედიციის წევრებმა ამოუცნობი მფრინავი ობიექტის დაზიანებული კორპუსი ვერსად აღმოაჩინეს. განცდილი მარცხის მიუხედავად, ექსპედიციის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ არქტიკაში მოგზაურობის დროს, გამუდმებით ჰქონდათ ისეთი შეგრძნება, თითქოს ამ უკაცრიელ ყინულებში მათ გარდა სხვებიც მოქმედებდნენ. მათი თქმით, ქარს პერიოდულად შვეულმფრენის გუგუნის ხმა და აფრენილი თვითმფრინავების ხმაური მოჰქონდა...

ორი კვირის შემდეგ, როცა მომხდართან დაკავშირებული ვნებათაღელვა შედარებით ჩაცხრა, „ტორონტო ტრიბუნის“ რედაქციას 85 წლის ლენს ბეილიმ მიაკითხა. მოხუცმა საკუთარი ცხოვრების შესახებ მოუთხრო ჟურნალისტებს. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლეონიდ ბელი აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, ლეონიდი გერმანელების საკონცენტრაციო ბანაკში ყოფილა ტყვედ. საკონცენტრაციო ბანაკი — 4A გასაიდუმლოებულ ქალაქ პენემიუნდეში მდებარეობდა. წარმოშობით ბელი ირკუტსკელი ყოფილა, ავიაინჟინრის განათლება ჰქონია მიღებული და ომამდე ავიაქარხანაში უმუშავია. სწორედ საკუთარ პროფესიას უნდა უმადლოდეს მოხუცი სიცოცხლის შენარჩუნებას: ტყვედ ჩავარდნილი ავიაინჟინერი, გერმანელებს, რომლებიც კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას განიცდიდნენ, პენემიუნდეში გაუგზავნიათ, სადაც ის საიდუმლო მფრინავი აპარატების აწყობაში ეხმარებოდა მათ.

„შევცბი, როცა გაზეთში გამოქვეყნებული ფოტოსურათი ვნახე: მასზე ხომ ის აპარატი იყო აღბეჭდილი, რომელიც ჯერ კიდევ 60 წლის წინ, საკუთარი თვალით მქონდა ნანახი“, — მთრთოლვარე ხმით ჰყვებოდა ბელი.

როგორც ჩანს, მოხუცი სიმართლეს ამბობდა: ნაცისტური გერმანიის შეიარაღებაში მფრინავი თეფშების არსებობას სხვა წყაროებიც ადასტურებს.

„ციმერმანის ბლინი“

...მეორე მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ეს-ესის ხელმძღვანელობამ წინასწარ განჭვრიტა მესამე რაიხის მოსალოდნელი კაპიტულაცია. ეს-ესის შეიარაღებულმა ძალებმა საიდუმლო დოკუმენტაციისა და ლაბორატორიების განადგურების თაობაზე ბრძანება მიიღეს. სასწრაფოდ უნდა მომხდარყო ექსპერიმენტული აპარატებისა და გამოსაცდელი პოლიგონების დემონტაჟიც, მაგრამ საბჭოთა არმიამ და მოკავშირეთა ძალებმა იმდენად სწრაფად შეუტიეს მოწინააღმდეგეს, რომ საიდუმლო მასალების ნაწილი გამარჯვებულთა ხელში აღმოჩნდა. თანამედროვე ავიაციის განვითარებასა და რაკეტების შექმნას, სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად.

მეცნიერთა აზრით, საიდუმლო პროექტებს შორის იყო ე.წ. „მფრინავი დისკოები“. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიაში დისკოსებური საფრენი აპარატების შესაქმნელად, ინტენსიური მუშაობა იყო გაჩაღებული. ამ მიმართულებით ერთდროულად რამდენიმე კონსტრუქტორი მუშაობდა და ყოველი მათგანი საკუთარი მოდელის შექმნით იყო დაკავებული. ცალკეული დეტალების დამზადება სხვადასხვა ქარხანას ჰქონდა დავალებული, რათა მათი ჭეშმარიტი დანიშნულება ყველასათვის საიდუმლოდ დარჩენილიყო. ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კონსტრუქცია, გერმანელი კონსტრუქტორის ჰაინრიხ ციმერმანის მიერ შექმნილი „მფრინავი ბლინი“ გახლდათ (სხვათა შორის, მის შექმნაში გამორიცხული არ არის არამიწიერი არსებების მონაწილეობა). ამ არატრადიციული მფრინავი აპარატის გამოცდა 1942-43 წლებში, სწორედ პენემიუნდეს პოლიგონზე მიმდინარეობდა. ამ ცოტა ხნის წინ, მესამე რაიხის საიდუმლო არქივებში დაცული მასალებიდან, ცნობილი გახდა, რომ „ციმერმანის ბლინის“ ჰორიზონტალური სიჩქარე 700 კმ/სთ-ს შეადგენდა (დაჯდომისას – 60 კმ-სთ-ს).

უკანასკნელ ხანებში კი, გამოჩნდა არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ გერმანელი კონსტრუქტორების ხელნაწერები ამერიკელებს ჩაუვარდათ ხელში.

კანადელი რუსის ხილვა

ომის დამთავრების შემდეგ, ლეონიდ ბელი საცხოვრებლად კანადაში გადავიდა, გამოიცვალა სახელი და გვარი და თავისი მძიმე წარსულის დავიწყებას შეეცადა. თუმცა, კანადელი ავიატორების სენსაციური აღმოჩენის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იძულებული გახდა საკუთარი წარსული კვლავ გაეხსენებინა. „1943 წლის სექტემბერში უნიკალური შემთხვევის მოწმე გავხდი, – განაცხადა ბელიმ.

ერთ-ერთი ანგარის მახლობლად მდებარე ბეტონის მოედანზე ოთხმა მუშამ მრგვალი პერიმეტრის მქონე აპარატი გამოაგორა, რომლის ცენტრშიც გამჭვირვალე კაბინა იყო მოთავსებული. აპარატი, რომელიც გასაბერ პატარა ბორბლებზე იყო შედგმული, ერთი შეხედვით გადაბრუნებულ ტაშტს მოგაგონებდათ. „ბლინმა“ შიშინისმაგვარი ხმა გამოსცა, ბეტონის საფარს მოსწყდა და ხუთი მეტრის სიმაღლეზე ჰაერში დაეკიდა. მოგვიანებით, ოდნავ შეღებული კარიდან, ყველაზე გასაიდუმლოებულ ანგარში შეხედვის საშუალება მომეცა: ის, რაც იქ ვნახე, ჩემი გონებისთვის სრულიად მიუწვდომელი იყო. ლითონისაგან ჩამოსხმულ დისკოს ფორმის აპარატებთან (კლასის მიხედვით, ეს აპარატები ჩემ მიერ მანამდე ნანახ „ბლინს“ აშკარად აღემატებოდა) ჰუმანოიდების ტიპის არსებები ფუსფუსებდნენ. მართალი გითხრათ, ვერ მივხვდი, ისინი ვერცხლისფერ სკაფანდრებში გამოწყობილი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ თუ უცხოპლანეტელები“.

ბელი ირწმუნება, ამ მფრინავ აპარატებს ისეთი ენერგიის მარაგი და სიმძლავრე ჰქონდა, ოკეანეზე გადაფრენაც არ გაუჭირდებოდაო.

შეგახსენებთ, რომ პირველი ინფორმაცია მფრინავი თეფშების შესახებ, 1947 წლის 24 ივლისს გამოჩნდა. 1947 წლის 24 ივლისს, როზუელის ავიაბაზის (ნიუ-მექსიკოს შტატი) 509-ე შერეული ავიაპოლკის ხელმძღვანელობამ ფერმერ უილიამ ბრეიზელის მიერ მფრინავი თეფშის ნამსხვრევების აღმოჩენის შესახებ, სენსაციური შეტყობინება გადასცა. მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ უმალ შეიტყო ამ სენსაციის შესახებ. ხუთი საათის შემდეგ, ოფიციალურმა პირებმა ეს ინფორმაცია უარყვეს: გაუგებრობა მოხდა, სინამდვილეში არანაირი მფრინავი თეფშის ნამსხვრევები არ ყოფილა, ადგილზე მხოლოდ გახეული მეტეოზონდი აღმოვაჩინეთო. ოფიციოზმა საკუთარი ინფორმაციის დამადასტურებელი ფოტოსურათებიც წარმოადგინა, რომელზეც მეტეოზონდის ნაფლეთები იყო აღბეჭდილი.

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი დღემდე ამტკიცებს, რომ კატასტროფის ადგილზე მისულ ამერიკელებს მართლაც მფრინავი თეფშის ნამსხვრევები დახვდათ, მაგრამ ისინი სიმართლის თქმას მოერიდნენ, რადგან შეეშინდათ, რომ ეს ფაქტი საზოგადოების დიდ ნაწილს თავზარს დასცემდა; ამიტომაც მოიგონეს მეტეოზონდთან დაკავშირებული გაუგებრობა. დღესდღეობით, თითქმის დამტკიცებულია, რომ ნახევარი საუკუნის წინ, ნიუ-მექსიკოში სწორედ „ციმერმანის ბლინმა“ განიცადა კატასტროფა. ნამსხვრევები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღწერილობა და ნახაზები, რომლებიც ბორტზე აღმოჩნდა, ამერიკელ მეცნიერებს ჩაუვარდათ ხელში.

რაც შეეხება არქტიკას, ხანგრძლივი დროის მანძილზე საიდუმლო გამოცდების პლაცდარმის როლს, სწორედ ის ასრულებდა. სავარაუდოა, რომ შვეულმფრენისა და თვითმფრინავების აფრენის ხმა, რომელიც კანადის ექსპედიციის წევრებმა გაიგონეს, არქტიკის ყინულებში განთავსებული ამერიკელების საიდუმლო ავიაბაზიდან ისმოდა...

■

პაბლო პიკასო პორტრეტის დახატვისას შემკვეთს ორმაგს ახდევინებდა, თუ მას ხელებსაც დაუხატავდა. მას, ვისაც ესმის „ხელების ენა“, ბევრი ინფორმაციის მიღება შეუძლია თანამოსაუბრის შესახებ. ამერიკელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თითებითაც შეიძლება განისაზღვროს ადამიანის ხასიათი, მისი პიროვნული თავისებურებები და საყვარელ ადამიანთან შეთავსების შესაძლებლობები... მაშ ასე, როგორ ახასიათებს თავის პატრონს სწორი, თლილი, ჩამოქნილი თითები?

ისინი, ვისაც ასეთი თითები აქვთ, ჭკვიანი, დინჯი და სერიოზული ადამიანები არიან. არ საუბრობენ ხმამაღლა თავიანთ გრძნობებზე, უჭირთ სიყვარულის გამოხატვა. რაც არ უნდა იმედგაცრუებულნი იყვნენ, სულით მაინც არ ეცემიან. უყვართ მოფერება, შექება, თავს ბედნიერად გრძნობენ, როცა მათზე ვიღაც ზრუნავს. პარტნიორებისგან დიდ სითბოს და სიყვარულს იღებენ, მაგრამ თვითონ ნაკლებს გასცემენ. სამაგიეროდ, ვისაც ერთხელ შეიყვარებენ, სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგულები რჩებიან.

რას გვეუბნება ხელები

თუჯი არათითი საჩვენებელ თითზე გრძელია

თქვენ წინაშეა პატივმოყვარე, ამპარტავანი ადამიანი, რომელიც კარიერისკენ მიილტვის. მისი ცხოვრების მთავარი ამოცანაა დიდი მიზნები, თუმცა მათი განხორციელებისთვის სხვების შრომას იყენებს. იგი სიყვარულშიც მაქსიმუმს მოითხოვს — ის ყველაზე და ყველაფერზე მეტად უნდა უყვარდეთ.

როცა არათითი საჩვენებელი თითის სიმაღლისაა

ეს მიუთითებს, რომ ჩვენ წინაშეა ნატურა, რომელიც სითბოს, სინაზეს და მოფერებას მოითხოვს. იგი ფრთხილია, სიყვარულშიც მზად არის, ბევრი რამ მოითმინოს, ოღონდ საყვარელი ადამიანი არ გაანაწყენოს. მისი კრედოა — ვუყვარვარ? ე.ი. ვარსებობ!

როცა ცერა თითი ოდნავ ბრტყელია, ლამაზი და პროპორციული

ასეთი ხელის პატრონები სანდო, ერთგული და თბილი ადამიანები არიან. სითამამესა და გამბედაობასთან ერთად, გამჭრიახი ჭკუა-გონებითაც გამოირჩევიან. უსაზღვრო ეროტიკული ფანტაზია აქვთ. სექსი მათთვის მხოლოდ გართობა არ არის. მზად არიან, სასურველი პარტნიორის მოსაპოვებლად იბრძოლონ და გამარჯვებულებიც ხშირად გამოდიან.

როცა ცერა თითი ძალიან მოკლეა

ასეთი ხელის პატრონები სუსტი ნებისყოფის არიან. აწუხებთ კომპლექსები. აკლიათ თვითშეფასების უნარი, არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში და სიყვარულსაც გაურბიან.

როცა შუათითი ბევრად აღემატება დანარჩენებს

ესე იგი, მისი პატრონი ენერგიული და ძალაუფლებისმოყვარე პიროვნებაა. იგი პრინციპულია სიყვარულშიც. ეჭვიანი და ტრადიციების მოყვარულია. პარტნიორს არ ენდობა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამოწმებს. ადვილად არ ტყუვდება. თვითონ ერთგულია და პარტნიორისგანაც იმავეს მოითხოვს.

გრძელი, წაწვეტებული თითები

ასეთი თითები სულიერად მდიდარ ადამიანებს აქვთ — მხატვრებს, მწერლებს, მსახიობებს... ისინი თავიანთ ერთგულებას ექსტრავაგანტურობის მიღმა მალავენ. თამაშობენ, თავიანთ მეორე ნახევრებს საგანგებოდ აეჭვიანებენ. ხან გულგრილობით, ხან ორაზროვანი ფრაზებითა და ქცევით აწვალებენ. მათ გვერდით ყოფნა ძნელია, მაგრამ საინტერესო.

მოუხეშავი, გაშლილი თითები

პრაქტიკულ, საქმიან და თავის შესაძლებლობებში დარწმუნებულ ადამიანებს აქვთ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ბიზნესმენები და პოლიტიკოსები. მათ სიყვარულისთვის ბევრი დრო არა აქვთ და არც სერენადების სამღერლად მიუწევთ გული. არარომანტიკულები არიან, სექსი კი მათი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ისინი შორი მანძილიდანვე იზიდავენ საპირისპირო სქესის ადამიანებს.

რბილი, მოძრავი თითები

ასეთი თითების მქონე ადამიანები ეშმაკები და მოხერხებულები არიან. მათი ნდობა ცხოვრებაში არ შეიძლება. მათთვის ერთგულება უცხო რამ არის და ალბათ ამიტომაც უჭირთ გარშემომყოფთა კეთილგანწყობის მოპოვება.

მარაოსავით გაშლილი თითები დიდი შუალედებით

უმჯობესია ასეთი ხალხისგან თავი შორს დაიჭიროთ და მათთან ერთად სერიოზული საქმე არ წამოიწყოთ. ისინი ტრაბახები და ეგოისტები არიან, ადვილად შეუძლიათ, უახლოესი ადამიანიც კი თხასავით გაყიდონ. სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მოკლე, მსხვილი და ჯოტიტა თითები

ეს არის ადამიანის სიზარმაცის, დარდიმანდობის გამომხატველი ნიშანი. ასეთი ადამიანები შესანიშნავი საყვარლები არიან, მაგრამ უპირატესობას ანგარებიან სიყვარულს ანიჭებენ. პარტნიორისგან გადამეტებულ ყურადღებას მოითხოვენ და ფუფუნების მონები არიან.

პროპორციული თითები

მიუთითებს კეთილ ნატურაზე. ცხოვრების მოწყობა და კომფორტის შექმნა ასეთი ადამიანებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათი ნდობა შეიძლება, რადგან უერთგულესი მეგობრები არიან. მათ აქვთ განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა და ჰაერივით სჭირდებათ სიყვარული.

ძალიან ჰატარა თითები

მათთვის დამახასიათებელია სუსტი ნებისყოფა და მერყევი ხასიათი. მუდამ განიცდიან, რომ ცხოვრებაში რაღაც ისე არ არის, როგორც საჭიროა. მელანქოლია ადვილად იპყრობთ და ძალიან იოლია მათთვის დისკომფორტის შექმნა. მომავალს ყოველთვის შიშით და ეჭვის თვალით უყურებენ. სიმარტოვე მათი უპირველესი მტერია. ■



თუ სმენა დაგიქვეითდათ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში ყოველ მეათე ადამიანს აღენიშნება სმენის დარღვევა, რომლის გამოსწორება სასმენი აპარატითაა შესაძლებელი. სმენასთან დაკავშირებული პრობლემის მქონე ადამიანთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს და სამწუხაროდ, მათ შორის ძალიან ბევრი ახალგაზრდაა. ამერიკაში 18 წლამდე ასაკის ადამიანთა 8%-ს დაქვეითებული აღმოაჩნდა სმენა.

სმენა ჩვეულებრივ თანდათანობით ქვეითდება და ხშირად ეს პროცესი ადამიანისთვის შეუმჩნეველი რჩება ხოლმე; როგორც წესი, ხმამაღლა ჩართული ტელევიზორით ან მუდმივი გაუგებრობებით შეწუხებული ოჯახის წევრები ატეხენ ხოლმე განგაშს. თუ მსგავსი სიტუაცია თქვენთვისაც ნაცნობია, გირჩევთ, დროულად მიმართოთ სპეციალისტს.

● სმენის შემოწმება შეგიძლიათ ოტორინოლარინგოლოგთან, სურდოლოგთან ან აუდიოლოგთან. ძირითადი გამოკვლევაა ტონალური აუდიომეტრია – მარტივი, უმტკივნეულო პროცედურა, რომლის დროსაც უნდა ამოიცნოთ სხვადასხვა სიხშირისა და სიმაღლის ბგერები. შედეგების მიხედვით შეირჩევა სმენის აპარატი.

● ზოგს ჰგონია, რომ სმენის აპარატის გამოყენება უკიდურესი ზომაა და უმჯობესია, სმენის გამოსწორება წამლებით ან ოპერაციით ვცადოთ. მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობაში (90%-ში) სმენის დაქვეითება შიდაყურის სტრუქტურების შეუქცევადი ცვლილებებითაა გამოწვეული. ასეთ დროს კი არც წამლები და არც ოპერაცია შედეგს არ იძლევა. გამოსავალი ერთია – სმენის პროთეზირება.

● დღეისათვის შექმნილია მინიატურული სმენის აპარატები, რომლებიც აბსოლუტურად შეუმჩნეველია ყურის უკან ან ყურში მოთავსებისას. დღეს სმენის აპარატი ისეთივე საჭირო და ჩვეულებრივი აქსესუარია, როგორიც სათვალე.

● არასწორია მოსაზრება, თითქოს სმენის აპარატის ხმარების შედეგად კიდევ უფრო უარესდება სმენა.

თუ სმენის აპარატი სწორადაა შერჩეული და აწყობილი და თქვენ მას მუდმივად (და არა დღეში 1-2 საათი) იყენებთ, მაშინ ყური და მასთან ერთად ტვინი საკმაო რაოდენობის ბგერით გამაღიზიანებლებს იღებს, გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და განუწყვეტლივ მუშაობს. ხოლო თუ ადამიანი ბგერათა სამყაროდან დიდი ხნით გამოეთიშება, მისი ტვინი თანდათანობით ივიწყებს მათ გარჩევას და ინტერპრეტაციას. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ სმენის კორექცია რაც შეიძლება ადრე მოხდეს – მაშინვე, როგორც კი მისი დაქვეითება დიაგნოსტირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრული ტექნიკა დღითი დღე იაფდება და კარგი ხარისხის სმენის აპარატებს დღეს მიუწვდომელი ფასები ნამდვილად აღარ აქვს. ■

პატარა მატყუარები

ორი წლის პატარა, რომელმაც ფლომასტრით ააჭრელა კედელი, უდანაშაულო სახით თვალებში გიყურებთ და გეუბნებათ: „მე არ მიქნია“. პირველკლასელი თანატოლებთან თამაშისას ხშირად ტრაბახობს: „ჩემს მამიკოს 5 მანქანა ჰყავს და კიდევ — შეეულმფრენი!“ ბავშვები ცრუობენ. როგორი უნდა იყოს ასეთ დროს მშობლის რეაქცია?

ქარი იმიტომ უბერავს, რომ ხეები ირხევა

სამ წლამდე ბავშვს საერთოდ არ შეუძლია მოტყუება – მას ჯერ იმდენად არ აქვს განვითარებული ლოგიკური აზროვნება, რომ ტყუილის სქემა მოიფიქროს და არც ფანტაზია ჰყოფნის, ამ სქემის განსახორციელებლად. პატარა რასაც ხედავს, იმას ამბობს: „ბურთი ჩამოვარდა და ვაზა გატყდა“. მაგრამ ზოგჯერ იგი უარყოფს სინამდვილეს და იმას ამტკიცებს, რაც არ ყოფილა. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

● ზოგჯერ ბავშვი ერთმანეთში ურევს მიზეზსა და შედეგს. იგი ფიქრობს, რომ ბურთი იმიტომ ჩამოვარდა, რომ ვაზა გატყდა.

● პატარები ადვილად ერთობიან და ივიწყებენ სიტუაციას. საკმარისია, ტელევიზორში მულტფილმს უყუროს, რომ აღარ ახსოვს, რა იყო მანამდე.

● ტყუილის კიდევ ერთი მიზეზი, შიშია. მას შემდეგ, რაც ბავშვი დაისჯება დანაშაულის გამო, მორიგი დანაშაულისას იგი დუმილს არჩევს და არ აღიარებს საკუთარ საქციელს.

როგორ მოიქცეს ასეთ დროს მშობელი?

უნდა იცოდეთ, რომ როდესაც პატარა სიმართლეს არ ამბობს, ამით სულაც არ სურს თქვენი დამცირება და მოტყუება. ნუ ჩაეძიებით მის მიერ წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას – შესაძლოა, მას არც კი ჰყოფნის სიტყვათა მარაგი ახსნა-განმარტებებისათვის. ნუ შეამკობთ ბავშვს ცუდი ეპითეტებით: „შე მატყუარა! დღეს ასე მატყუებ და მერე რაღას იზამ“. და კიდევ, ნუ დასჯით პატარას დანაშაულის აღიარებისას. უბრალოდ აუხსენით, რომ კედელზე ხატვა არ შეიძლება, სამაგიეროდ, შეუძლია ფურცელზე ხატოს.

მიუნჰაუზენის შთამომავლები

სკოლამდელი ასაკის ბავშვის მიერ ნათქვამი სიცრუე ფანტაზია უფროა, ვიდრე ტყუილი. მათ უკვე შეუძლიათ წარმოიდგინონ ის, რაც არ ყოფილა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ, რომ ტყუილის თქმის მორალურ ნორმებს არღვევენ.

● ბავშვი შეიძლება იტყუებოდეს იმისთვის, რომ მიიქციოს უფროსების ყურადღება. ჩვენ ხშირად დაკავებულები ვართ და შვილებისადმი სათანადო ყურადღებას ვერ ვიჩენთ. ტყუილის მთქმელი კი მთელი საღამოს განმავლობაში მშობლების ყურადღების ცენტრში ექცევა.

● ზოგჯერ სკოლამდელი პატარა

მიიწერს ხოლმე რაიმე კარგ საქციელს, რათა მშობლების ქება დაიმსახუროს. ასე, ის ბავშვი იქცევა, რომელიც გრძნობს, რომ ვერ ამართლებს მშობლების იმედს.

● ტყუილის თქმას იწყებს პატარა, რომელსაც განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ: დედა ერთს ითხოვს მისგან, მამა – მეორეს, ბებო კი – სულ სხვას. მაშ, როგორ მოიქცეს?

● თუ ამ ასაკში ბავშვი თანატოლებს ატყუებს, მას ამით სურს, შეიქმნას წარმატების შარავანდედი. ეს ნიშნავს, რომ მას თავდაჯერება აკლია.

● ტყუილის ბოლო მიზეზი კი ისევ დასჯის შიშია. თუმცა მას ფიზიკურ დასჯაზე მეტად, იმის ეშინია, რომ ვაითუ, დედას მისდამი სიყვარული გაუნელდეს?

როგორ მოვიქცეთ?

● ხშირად შეაქეთ თქვენი პატარა და დაარწმუნეთ, რომ გიყვართ. სამი წლის შემდეგ ბავშვს უნდა, რომ ამჩნევდნენ და სათანადოდ აფასებდნენ მის მიღწევებს.

● ოჯახში მოილაპარაკეთ, რომ პატარას ერთნაირი მოთხოვნები წაუყენოთ – მან კარგად უნდა გაიგოს, რა შეიძლება და რა – არა.

● თუ ხედავთ, რომ ბავშვი შიშის გამო გატყუებთ, შეიცოდეთ იგი და დაამშვიდეთ. მას თავადაც არ მოსწონს საკუთარი საქციელი. მაშ, რისთვის უნდა დასაჯოთ?

სასკოლო წარმატებათა მძევლები

8-9 წლის ასაკიდან ბავშვს უკვე ესმის, რომ ტყუილის მთქმელს აღარ ენდობიან, მასთან აღარ მეგობრობენ და ამის მიუხედავად, მაინც იტყუება.

● მას სურს, მოიპოვოს თანატოლთა აღიარება და ეშინია მშობლების რისხვის. ამ წლებში ბავშვის გონება სწავლაში წარმატების ირგვლივ ტრიალებს. ეს მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მზადაა ყველანაირი ტყუილი თქვას, ოღონდ ხალხის თვალში წარუმატებელი არ გამოჩნდეს. თუ ის მოხვდება ისეთ სიტუაციაში, სადაც წარმატებები სწავლაში არც ისე მნიშვნელოვანია, მას ტყუილის თქმა აღარ დასჭირდება.

● ტყუილის სათქმელად არსებობს კიდევ ერთი მიზეზი – მშობლების მიბაძვა. თუ დედა ტელეფონზე პასუხობს, რომ მამა შინ არ არის, მაშინ, როცა სინამდვილეში იგი შინაა, ანდა თუ დედა ასწავლის შვილს: „მოდი, ბებოს ვუთხრათ, რომ ვითომ დაგვავიწყდა“... ბავშვი ქცევის ასეთ წესს ეჩვევა.

როგორ მოვექცეთ ამ ასაკის მატყუარებს?

● იმისთვის, რომ ბავშვმა თანატოლებში თავდაჯერებულობა იგრძნოს, მას ესაჭიროება წარმატებისთვის ასპარეზი, რომელშიც თავის მეგობრებს გაეჯიბრება. დააკვირდით, რა გამოსდის თქვენს შვილს სხვებზე უკეთ. იქნებ, მუსიკის ან ცეკვის წრეზე მიიყვანოთ. ან იქნებ, სპორტულ სექციაში ჩაეწეროთ.

● ნუ იქცევით სასწავლო წარმატებების კონტროლიორად. მიანდვეთ ეს პროცესი მასწავლებელს. დაარწმუნეთ თქვენი შვილი, რომ რა ნიშნებიც არ უნდა მიიღოს, მაინც გეყვარებათ.

● ნუ მისცემთ შვილს ცუდ მაგალითს.

რატომ იტყუება მოზარდი

მოზარდი ტყუილებს აბსოლუტურად გაცნობიერებულად ამბობს, იცის, ის უარყოფითი შედეგებიც, რაც ამას მოჰყვება და მაინც, რა აიძულებს მას, იცრუოს?

● მოზარდი ამგვარად იცავს თავის შინაგან სამყაროს უფროსების უტაქტო ჩარევისაგან. მას არ სურს, დაგვანახვოს თავისი სულიერი განცდები და საიდუმლოებანი.

● თუ ბავშვობაში არ დავეხმარეთ შვილს, რომ ეპოვა სფერო, სადაც თავს კარგად იგრძნობდა, იგი განაგრძობს თანატოლების მოტყუებას ათასგვარი მონაგონით. შედეგად კი ტრაბახი მას ხასიათის თავისებურებად ექცევა.

● ამ ასაკში მწვავედ აღიქმება ორმაგი მორალი. თუ ჩვენ მოზარდს ერთს ვურჩევთ, მაგრამ თავად მეორეს ვაკეთებთ, ეს მის გაღიზიანებას იწვევს. ამის გამო კი სინდისის ქენჯნის გარეშე გვატყუებს.

როგორ მოვექცეთ?

● პატივი უნდა სცეთ მოზარდის შინაგან სამყაროს. ის თქვენი შვილია, მაგრამ უკვე იმდენად გაიზარდა, რომ თავისი საიდუმლოებებიც აქვს. ნუ შეეხებით მის ნივთებს დაუკითხავად, მოექეცით, როგორც ზრდასრულ ადამიანს.

● ჯერ კიდევ არ არის გვიანი, დაეხმაროთ ბავშვს, იპოვოს საკუთარი თავი რომელიმე სფეროში. თუ ამას შეძლებს, იგი ტრაბახს შეწყვეტს თანატოლებთან. ■

მედიცინის სიახლეები

ოსტეოპოროზის მკურნალობაში ექიმებს თურმე დათვები ეხმარებიან

ოსტეოპოროზი 50 წელს გადაცილებულ ყოველ მეორე ქალსა და ყოველ მეოთხე მამაკაცს აქვს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ იგი მცირე ფიზიკური აქტივობის შედეგია. ამ დროს ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნა მცირდება, ხოლო მისი დაშლის სიჩქარე იზრდება. თურმე ასეთი რამ იმ ცხოველებსაც ემართებათ, რომლებიც ზამთრის ძილს ეძლევიან. გამონაკლისია ამერიკული მურა დათვი, რომელსაც ზამთრობით თითქმის 5 თვე სძინავს, თუმცაღა ძვლოვან მასას არ კარგავს.

ამ მოვლენის ასახსნელად მიჩიგანელი მეცნიერები დათვის სისხლში ძვლოვანი მეტაბოლიზმის მაჩვენებლებს დააკვირდნენ და შეამჩნიეს, რომ ძილის დროს ძვლოვანი ქსოვილის დაშლა ჩქარდება, წარმოქმნის სიჩქარე კი იგივე რჩება, ხოლო გამოღვიძებების შემდეგ, მნიშვნელოვნად იზრდება. ამრიგად, ეს ორი პროცესი ერთმანეთს აბალანსებს და ხელს უშლის ასაკის მატების კვალდაკვალ ძვლების დასუსტებას.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ უნიკალური მოვლენის მიზეზი ის არის, რომ ძილის დროს დათვები არ შარდავენ და ნაწლავებს არ ითავისუფლებენ, ამიტომ კალციუმი ორგანიზმიდან არ გამოიდევნება და ძვლებში ლაგდება. მკვლევარებს იმედი აქვთ, რომ დათვის ჰორმონული ცვლის კვლევის საფუძველზე ადამიანის ოსტეოპოროზის მკურნალობის გზას მიაგნებენ. ■

ჯაჭოჩენილი ადამიანების ოსტროგოთური ჯაჭონათქვამები

ქარაგმა

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ მხატვარს ადრიან ლუდვიგ რიხტერს კოლეგამ სთხოვა, მისი სურათები ენახა და შეეფასებინა.

რიხტერი ეწვია მეგობარ მხატვარს, დაათვალიერა ნახატები და უთხრა:

— საშინელი პესიმისტი ხარ! სინამდვილეში, ადამიანები არც ისეთი ცუდები არიან, როგორც შენ მათ ხატავ...

ზოოლოგიური სენსაცია

რობერტ კოხი, რომელიც ბერლინში ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა, ამავე დროს, უნივერსიტეტის პროფესორი იყო და, ბუნებრივია, გამოცდებსაც იბარებდა.

ერთ-ერთ გამოცდაზე მან სტუდენტს ჰკითხა:

— მითხარით, ახალგაზრდა მეგობარო, როგორ უმკურნალებდით ლავიწგატეხილ ცხენს?

სტუდენტმა სამკურნალო საშუალებათა მთელი წყება ჩამოთვალა, მაგრამ გამომცდელი უარყოფის ნიშნად თავს ღიმილით აქნევდა.

ბოლოს, სტუდენტმა მთელი ცოდნა რომ ამოწურა, პროფესორი მიუახლოვდა და მხრებზე ხელი მოუთათუნა:

— გეტყვით, მე თვითონ როგორ მოვიქცეოდი. მაშინვე ბუნებისმეტყველების მუზეუმს დავუკავშირდებოდი და შევთაზებდი, ცხენი შეეძინათ...

სტუდენტმა გაკვირვებით შეხედა, ხოლო რობერტ კოხმა მშვიდად განაგრძო:

— ...რადგან ის პირველი ცხენი იქნებოდა, რომელსაც ლავიწი ექნებოდა...

ხუმრობა

XIX-XX საუკუნის გერმანელი მოქანდაკე და მხატვარი, ახალი ბაროკოს სტილის წარმომადგენელი რაინჰოლდ ბეგასი ცნობილი იყო თავისი ოხუნჯობებით, თუმცა ზოგჯერ, უტაქტო ხუმრობაც გამოსდიოდა.

ერთხელ, მეჯლისზე მან ჩია ტანის ადოლფ მენცელს მოჰკრა თვალი, მიუახლოვდა და ჰკითხა:

— მითხარით ერთი, პატივცემულო კოლეგა, დაბლა — თქვენთანაც — ასე ძლიერ ცხელა?

ანეკდოტები

***

— ახალი ამბავი იცი?.. ვალიკო საავადმყოფოში მოხვდა..

— ეგ როგორ?.. გუშინ დავინახე, ვიღაც ლამაზ ქალს მიჰყვებოდა გვერდით...

— ჰოდა... ცოლმაც დაინახა...

***

ტანია სამსახურიდან დაბრუნდა და იატაკის მორეცხვით გართულ ქმარს ნიშნის მოგებით ეუბნება:

— იცი, დირექტორმა ისევ მითხრა, რომ უჩემოდ ცხოვრება არ შეუძლია... ვითომ ხუმრობს?!

— იქნებ, არ ხუმრობს?.. — იმედიანად ახედა ქმარმა.

***

რაჭველი მგზავრი თბომავალზე:

— კაპიტანო... მაპატიეთ, რომ გაწუხებთ... მარა... ქვე 20 წუთის წინ, ჩემი ცოლი ეკა... ზღვაში გადავარდა...

— ...ქვე რატომ გადაიწურე იმედი, შე კაცო?.. მოძებნე... იქნება, აქანეა, ბოშო, — პასუხობს ასევე რაჭველი კაპიტანი.

***

ტიპი რესტორანში ზის. მასთან ოფიციანტი მიდის და ყურში ეჩურჩულება: „გივი, ცოლი სასტუმროში გღალატობს“. კაცი თავქუდმოგლეჯილი ჯდება მანქანაში და სასტუმროსკენ მიქრის. მოულოდნელად ეცინება: „რა მიმარბენინებს? მე ხომ გივი არ მქვია?“

***

სასამართლოზე:

— ბრალდებულო, გაძლევდათ თუ არა მოქალაქე ჰასანი ნარკოტიკს?

— არა.

— აბა, მისი ცოლი გაძლევდათ?

— პატივცემულო, ისევ ნარკოტიკზე მეკითხებით თუ?..

***

ადვოკატი კლიენტს:

— თქვენს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ყველაზე კარგი იქნება, თუ ცოლს დაუბრუნდებით!

— ჰო-ო... ნეტავ, ყველაზე ცუდი რაღა იქნება?!

***

პატარა მიშიკოს დღიურიდან:

„ამ ზაფხულს, სოფელში ბებოსთან დავისვენე, დავუჩეხე შეშა და სხვა ნივთები...“

***

მარო მიხოს:

— მიდი, ერთი, ჩვენი მეზობელი ზაქრუა მიბერტყე.

მიხო მიდის და ზაქროს გვარიანად მიბეგვავს, შინ დაბრუნებული კი ცოლს ეკითხება:

— რა დაგიშავა, ქალო?

— მეტი რაღა უნდა დამიშავოი? დილიდან საღამომდე სახლში მარტო ვარ... ეგ კიდენა, შემოვა... უყურებს ტელევიზორ და წავა... რა, მაგაი ტელევიზორი არა აქ?..

***

ორი ცისფრის დიალოგიდან:

— მე ჰოროსკოპით ლომი ვარ...

— მეც... ოღონდ... ძუ ლომი.

კვირის (10-16 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: ამ კვირაში განსაკუთრებით გაუმართლებთ ვერძებს, რომელთა საქმიანობაც ლოგიკურ აზროვნებას უკავშირდება. წარმატება ელით გამომძიებლებსა და ადვოკატებს. კვირის ბოლოს ქალი-ვერძი სხვა ადამიანების პრობლემების მოგვარებით იქნება დაკავებული.

მამაკაცი: სერიოზული საუბარი გელით ხელმძღვანელებთან. გამოიჩინეთ წინდახედულება და უკან დასაბრუნებელ გზას ნუ მოიჭრით.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: კვირის დასაწყისში მნიშვნელოვანი გადწყვეტილების მიღების წინ, გამოცდილ ადამიანებთან კონსულტაციები არ გაწყენდათ. თუ ამ რჩევას გაითვალისწინებთ, სამსახურში შექცას დაიმსახურებთ.

მამაკაცი: საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღების ცენტრში მოექცევით. შეეცადეთ, იყოთ დელიკატური და ისეთი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვოთ, რომელსაც შეუძლია სხვისი პრობლემების გულთან ახლოს მიტანა.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ქალი: ინტელექტუალური აქტიურობის პერიოდი გაქვთ. ნებისმიერ საზოგადოებაში თქვენი გამოჩენა ცეცხლოვან შოუდ გადაიქცევა და ეს სანახაობა ყველას დაამახსოვრდება.

მამაკაცი: თითქმის მთელი კვირის განმავლობაში გულჩათხრობილი იქნებით და მთელ დროს მომხდარი მოვლენების ანალიზში გაატარებთ. მხოლოდ უქმე დღეებში შეძლებთ განტვირთვას და გამხიარულდებით, რადგან ძველი სიყვარული შეგახსენებთ თავს ან ბავშვობის დროინდელ მეგობარს შეხვდებით.

ბერჩხეზი – 22/VI-22/VII

ქალი: ნუ ენდობით ბრმად ახალი პარტნიორების მიერ შემოთავაზებულ წინადადებას და საერთოდ, ამ კვირაში ბევრი ადამიანი შეეცდება თქვენს მოტყუებას. ენდეთ, მაგრამ შეამოწმეთ – ეს უნდა იყოს თქვენი მოქმედების ძირითადი პრინციპი.

მამაკაცი: ისეთ ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ, თითქოს მზად ხართ 24 საათის განმავლობაში მოლაპარაკებები აწარმოოთ. ხელმძღვანელები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს თქვენს საქმიანობას.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: ვარსკვლავები სიურპრიზებით სავსე კვირას გპირდებიან. ახალი თაყვანისმცემელი საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებთ. ცდუნებას ნუ აჰყვებით, სანამ დათანხმდებით, კარგად დაფიქრდით, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მას?

მამაკაცი: ამ კვირაში ბევრ საჩუქრებს მიიღებთ. სამსახურებრივი პრობლემები და ენებათაღლეგა ხუთშაბათის შემდეგ იჩენს თავს, მაგრამ ძალიან მალე მოგვარდება.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: მელანქოლია მოგეძალებათ. უნდა ეცადოთ, რომ შინ მარტო არ დარჩეთ. მეტი დრო დაყავით მეგობრებთან და საყვარელი ადამიანის გვერდით. ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჩაცმულობას და გარეგნობას.

მამაკაცი: შეგიძლიათ დრო მხიარულად გაატაროთ, დალიეთ, მეგობრებთან გაერთეთ. შეხვდით თქვენთვის სასურველ ქალს. შემდეგი კვირიდან კი მხოლოდ საქმეზე იფიქრეთ. თავი შეიკავეთ არაკორექტული საუბრებისა და მენტორული ტონისგან.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: ამ კვირაში შეიძლება უახლოესმა მეგობარმა ზურგი შეგაქციოთ, მაგრამ თუ არ გინდათ მისი დაკარგვა, შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი თქვენ უნდა გადადგათ. თუ დიეტის დაცვას აპირებთ, ჯობს ამ კვირიდან დაიწყოთ.

მამაკაცი: ემოციებით დატვირთული ხართ. ჯობს იპოვოთ განმუხტვის საშუალება. ივარჯიშეთ ან ხელოვნებით დაინტერესდით. ამ კვირაში შეიძლება შედევრი შექმნათ. ფინანსური პრობლემების მოგვარება შემდეგი კვირისთვის გადადეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ძალიან აქტიური და ენერგიული იქნებით. ნებისმიერ საქმეს, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით გაართმევთ თავს. პირად ცხოვრებაშიც გაგიმართლებთ. თქვენით სწორედ ისეთი ადამიანი დაინტერესდება, როგორზეც ოცნებობდით.

მამაკაცი: საკმაოდ მრავალფეროვანი საქმიანი ცხოვრება გელით. მაგრამ ყურადღების გარეშე ნუ დატოვებთ ჯანმრთელობას. მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებები აწუხებს, რთული პერიოდი იწყება. კარგი დროა უძრავი ქონების შესაძენად.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: რთული მდგომარეობიდან იოლად იპოვით გამოსავალს, თუ რჩევას მეგობრებს ჰკითხავთ. მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ჯობს ცხარე დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისგან თავი შეიკავოთ.

მამაკაცი: კარგია, თუ ამ კვირაში დაგეგმავთ სხვა ქვეყანაში გამგზავრებას. ვარსკვლავები საინტერესო მოგზაურობასა და წარმატების მიღწევას გპირდებიან. ბიზნესმენებს განსაკუთრებით გაუმართლებთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: ნუ დაინანებთ ფულს, ძვირად ღირებული ნივთის შეძენისათვის. თუ კოლეგებთან ურთიერთობა დაიძაბება, გულს ნუ გაიტეხთ, ეს დიდხანს არ გასტანს. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის წევრების მიმართ.

მამაკაცი: ბევრ საინტერესო ამბავს გაიგებთ. ნუ გაასესხებთ ფულს, ჯობს ისესხოთ, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ვალის უახლოეს მომავალში დაბრუნება თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

მეწყლული – 21/I-19/II

ქალი: კარიერისკენ სწრაფვა ხელს გიშლით კოლეგებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში. მათ თქვენი არ ესმის, თქვენ – მათი. სჯობს მეტი გულისხმიერებით მოეკიდოთ ადამიანებს, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს თქვენ გვერდით ატარებენ.

მამაკაცი: იყავით თბილი და მოსიყვარულე და ბედნიერება თვითონ გიპოვით. ამ კვირაში მოგეცემათ შესაძლებლობა დადოთ საქმიანი გარიგება, რომლის წყალობითაც ქონებას ძალიან სწრაფად დააგროვებთ.

თევზები – 20/II-20/III

ქალი: შეეცადეთ მეტი ყურადღება დაუთმოთ სამსახურებრივი საკითხების მოგვარებას. წვრილმანებზე ნუ ინერვიულებთ. ამ კვირაში თქვენი ეჭვიანობა ზენიტს მიაღწევს. გაითვალისწინეთ ეს და ნუ მოუწყობთ საყვარელ ადამიანს სკანდალს.

მამაკაცი: ზედმეტად არ ჩაერიოთ ოჯახის წევრების პირად ცხოვრებაში. ამ დღეებში მშვენიერი შანსი მოგეცემათ სწორედ ისეთი სამსახური მონახოთ, როგორზეც ოცნებობდით.



ცხენის სხვადასხვა სვლა
საფრანგ. ყოფილი კოლონია აფრიკაში
მტკვრის თევზი
ტბა აფხაზეთში
კორეული ავტომობილი
კატების თვე
იონების წარმოქმნა
ახალ ზელანდიელი აბორიგენი
ინდიელ ვინეტუუზე მოთხრობების ავტორი
„ლონდრე“ რამაზ ჩხიკვაძის პერსონაჟი
დაჭიმული მავთული საკრავზე
ესესხებული კაპიტალის სარგებლით მცხოვრები
ციტრუსოვანი მცენარე
მფ ნიკოლოზ II-ის მეფობის ბოლო პერიოდზე
ხასიათი
სინდისის მახასიათებელი
ორგანიზმის უარყოფითი ფიზიოლოგ. რეაქცია
ძველებური ფრანგ. სიგრძის ერთეული
კოქტეილი თეთრი კუბური რომისაგან
ქართული ტაძარი თურქეთში
...დე მოპასანი
ძვირის ანტიპოდი
სტარტის ანტიპოდი
დს. ნსფერის კონტინენტთა ერთობლობა
ცეცხლოვნებს ბრძოლა ბრძოლებს
თმის ბუნებრივი საღებავი
ნოტი
ბაბოს ...
ვატიკანის მმართველი
ზარნაშო
„რომელ პარტიას ეკუთვნი ეძგვერაძე ...“
სხლტახლეული თქმული გამკილავი ლექსი
W. ჰერიკის შინაური ცხოველი
საფარიკაო იარაღი
კლდიაშვილის ნაწარმოების გმირი
შეადგინა რამაზ ალანიამ

50-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა.

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მიხედვით, მრავალნიშნა რიცხვების ზეპირად გამრავლების მსოფლიო რეკორდსმენი გახლავთ ჰარი პრასადი (დაბადებული 1982 წლის 20 აგვისტოს), რომელმაც 1999 წლის 30 ოქტომბერს, ინდოეთში მათემატიკოსთა საზოგადოების თანადგომით მოაწყო ასპარეზობა და 8-ნიშნა რიცხვების ზეპირად გამრავლების მსოფლიო რეკორდი დაამყარა, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღემდე უცვლელია. არადა, საქართველოს თურმე ჰყავს ფენომენალური მახსოვრობითა და ზეპირად გამრავლების უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ერთ-ერთი მათგანი 24 წლის ვახტანგ აბაშიძე გახლავთ, რომელსაც არაოფიციალური მსოფლიო რეკორდსმენი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან მან ინდოელი პრასადის შედეგი გააუმჯობესა, როცა 30 წუთში 10-ნიშნა რიცხვების გამრავლება შეძლო. უფრო დაწვრილებით საკუთარი ნიჭის შესახებ თავად ვახტანგი მოგვითხრობს.

ვრცლოფიციალური ჟურნალისტი რეკორდსმენი

"3 დღეში ავითვისე ფრანგული, ესპანური და გერმანული ენების 400-400 სიტყვა"

სოფო ჭონიშვილი

— შვიდი წლის ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ძალიან იოლად შემეძლო ყველანაირი მათემატიკური მოქმედების ზეპირად შესრულება. ჯერ 3-ნიშნა და 4-ნიშნა რიცხვებით დავიწყე ანგარიში, შემდეგ ნელ-ნელა ვუმატებდი. სიმართლე გითხრათ, არც მე და არც ჩემს მშობლებს ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია.

— მასწავლებლები როგორ რეაგირებდნენ შენს ასეთ შესაძლებლობებზე?

— მასწავლებლებმა ეს ყველაფერი ძალზე ჩვეულებრივად მიიღეს, თითქოსდა გასაკვირი აქ არაფერი იყო. შეიძლება, უკვირდათ კიდეც, მაგრამ ამას რატომღაც ხმამაღლა არ აღიარებდნენ... სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე, ექიმი-სტომატოლოგი გავმხდარიყავი. ჩემი პროფესიით მხოლოდ ნახევარი წელი ვიმუშავე.

— თუკი მათემატიკაში ასეთი ძლიერი იყავი, ექიმის პროფესია რატომ აირჩიე?

— სხვათა შორის, ბაბუა მათემატიკოსი მყავდა. ეტყობა, მისი ნიჭი გამომყვა. ვინც კი ჩემი შესაძლებლობების შესახებ გაიგო, პროფესორებმა, აკადემიკოსებმა მითხრეს — რა გინდოდა სტომატოლოგიურზეო?!. გული მწყდება, რომ თავდაპირველად მიმართულება არავინ მომცა. ყველა მეუბნებოდა — მე რასაც ვაკეთებდი და რა შესაძლებლობებიც მქონდა, განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავდა. რა თქმა უნდა, სტიმული დავკარგე და ამიტომ გადავწყვიტე, ექიმი გავმხდარიყავი. მაგრამ მალე მივხვდი, რომ ეს საჩემო პროფესია არ იყო.

— გინესის წიგნში დაფიქსირებული რეკორდი რომ მოხსენი, როცა 10-ნიშნა რიცხვების ზეპირად გამრავლება მოახერხე, ვის თვალწინ დაფიქსირდა ეს ფაქტი?

— 2-3 წლის წინ, ერთ პროფესორთან მივედი და ვუთხარი, რომ შემეძლო ზეპირი ანგარიშით 10-ნიშნა რიცხვის კვადრატში აყვანა და სწორი პასუხის სულ რაღაც 20-30 წთ-ში მიღება. მას თითქოს არც გაჰკვირვებია: მერე რა? მაგას ხომ ყველა გააკეთებსო?!. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საზღვარგარეთ წავსულიყავი, რადგან ვფიქრობდი, რომ იქ ნამდვილად დაფასებდნენ ჩემს ნიჭს. მაგრამ იმ პერიოდში, რაღაც პრობლემების გამო ეს ვერ მოვახერხე და დროებით გადავიფიქრე. 7-8 თვის წინ, შემთხვევით შევხვდი ბატონ გიგლა გობეჩიას, ჟურნალ „ფენომენის" რედაქტორს და მისი თანდასწრებით, 10-ნიშნა რიცხვების გამრავლებით, მოვხსენი მსოფლიო რეკორდი, ოღონდ — არაოფიციალურად.

— ოფიციალურად გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრას ვერ შეძლებ?

— შეძლებით კი შევძლებ, მაგრამ ამისთვის ფინანსური საშალებებია საჭირო, ამიტომ ჯერჯერობით არ გამოდის.

— თუ შეგიძლია, დაგვიკონკრეტე, როგორ ახერხებ ამას. რაღაც შენეულ, განსაკუთრებულ მეთოდს ხომ არ ფლობ?

— გონებაში „ვხატავ" წარმოსახვით დაფას, რომელზეც „ვწერ" ციფრებს და ვიწყებ ანგარიშს. რაც უფრო მეტციფრიანია რიცხვი, შედარებით მეტი დრო მჭირდება. საერთოდ, ძალიან კარგი მახსოვრობა მაქვს. მაგალითად, 4 სთ-ში ვისწავლე 400-მდე ინგლისური სიტყვა.

— აბა, რამდენიმე უცხო ენა გეცოდინება...

— შენ წარმოიდგინე, კარგად არც ერთი არ ვიცი. ისე, მინდა სხვადასხვა ენა შევისწავლო. 3 დღეში ავითვისე ფრანგული, ესპანური და გერმანული ენების 400-400 სიტყვა ისე, რომ ერთმანეთში არ ამრევია. თუ მასწავლებელი დამიჯდება, ორ კვირაში ნებისმიერი უცხო ენა სასაუბრო დონეზე შემიძლია ვისწავლო.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— 8 თვის წინ დავიწყე ავეჯის ესკიზების ხატვა. ჩემი ნამუშევრები მოეწონა ერთ-ერთ ავეჯის მწარმოებელ ფირმას, რომელმაც მიმიწვია თავისთან სამუშაოდ. ახლა იქ ვმუშაობ. მალე ქარვასლაში ჩატარდება ჩემი დიზაინის ავეჯის ექსკლუზიური გამოფენა. იმედი მაქვს, რომ წარმატებით ჩაივლის და ვფიქრობ, რომ აქ მაინც შევძლებ ჩემი შესაძლებლობების რეალიზაციას.

P.S. 10-ნიშნა რიცხვების ზეპირად გამრავლების შედეგი — ე.ი. პასუხი — 20-ციფრიანი რიცხვია, რომელსაც ჩვეულებრივი კალკულატორი ვერ იტევს. ახალგაზრდა ქართველი ფენომენის, ვახტანგ აბაშიძის მიზანია, გინესის წიგნში შეტანილი მსოფლიო რეკორდის ოფიციალურად მოხსნა, რის მისაღწევადაც საზოგადოების მხარდაჭერას ელის...

■

კნჯნკუ კუფღსუფ ჯფღმე ზუკგემტუდ თუძფკედუჭუ

როგორ რეაგირებთ, როცა სიმართლეს პირში გეუბნებიან? ზოგჯერ ხომ ადამიანებს ძალზე უჭირთ პირში ნათქვამ მწარე სიმართლესთან შეგუება და ისინი ხშირ შემთხვევაში, ჭეშმარიტებისთვის თვალის გასწორებას, თავის მოტყუებას ამჯობინებენ.

პასუხების შემოთავაზებული სამი ვარიანტიდან აირჩიეთ ერთ-ერთი. ბოლოს კი, დაითვალეთ, რამდენჯერ აირჩიეთ „ა“, „ბ“ თუ „გ“ ვარიანტი.

1) წარმოიდგინეთ, რომ ახალგაზრდა ქალბატონი იხდის დაბადების დღეს და უკვე მეექვსე წელია, ურცხვად აცხადებს, რომ ოცი წელი შეუსრულდა. როგორი რეაქცია გექნებათ მის საქციელზე?

ა) მის სურვილს, დამალოს თავისი ასაკი, გაგებით მოეკიდებით;

ბ) მისი მხრიდან, ეს დროის შეჩერების სულელურ მცდელობად მიგაჩნიათ;

გ) პრინციპში, თქვენთვის ასეთი ტყუილი მიუღებელია.

2) წარმოიდგინეთ, რომ ეგზოტიკურ ქვეყანაში მოგზაურობთ და აღმოსავლურ ბაზარში მოხვდით. დაინტერესდებით თუ არა ბაზრის დახლებზე გამოტანილი თქვენთვის უცხო საქონლით?

ა) არც ისეთი ცნობისმოყვარე ხართ, რომ ამ საქონლის დანიშნულების გასარკვევად თავი შეიწუხოთ;

ბ) დახლზე გამოტანილ საქონელს კარგად შეათვალიერებთ და არც თქვენთვის უცხო ნივთების დანიშნულების გარკვევას დაიზარებთ;

გ) სამახსოვროდ უამრავ წვრილმანს შეიძენთ.

3) ვთქვათ, შენიშნეთ, რომ ძველი ტაძრის ნანგრევებს შორის ბავშვი ბურთს თამაშობს, უპირველეს ყოვლისა, რას გაიფიქრებთ?

ა) ასეთ ადგილზე ბურთით თამაშის უფლება მშობლებმა არ უნდა მისცენ ბავშვებს;

ბ) ტაძრის რელიგიური თუ ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ბავშვს ინფორმაცია მშობლებმა უნდა მიაწოდონ, თავად მან ხომ ამის შესახებ არაფერი იცის;

გ) თქვენთვის გაუგებარია, რატომ არ უნდა ითამაშოს ბავშვმა.

4) შემთხვევით შეიტყვეთ, რომ ერთ-ერთ პიროვნებას მომავლის წინასწარმეტყველების უნარი აქვს. როგორ მოიქცევით?

ა) სულაც არა გაქვთ იმის სურვილი, რომ ვინმეს ჭკუის დარიგებას უსმინოთ;

ბ) მოუსმენთ მას, მაგრამ საკუთარ აზრს ვერავინ შეგაცვლევინებთ;

გ) თქვენი მომავლის შესახებ ყველაფრის გაგებას მოისურვებთ.

5) ძველთაგანვე ბედნიერების სიმბოლოდ აღიარებული ცხრათვალა მზის თილისმა რომ გქონდეთ, რა ფრად შეღებავდით მას?

ა) ყავისფრად;

ბ) ნარინჯისფრად;

გ) მწვანედ.

6) იმის შეტყობის შანსი რომ მოგეცეთ, რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩათ — გამოიყენებდით თუ არა ამ შესაძლებლობას?

ა) არა, ეს სიცოცხლის ხალისს დაგიკარგავდათ;

ბ) რაღაც მომენტში, შესაძლოა, დათანხმებულიყავით ამაზე;

გ) ამ ამბავს დიდი სიამოვნებით შეიტყობდით.



ტესტის პასუხები

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „ა“, ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენი ცხოვრების დევიზია: „არ მაინტერესებს ის, რაც არ ვიცი!“ ეი. გამოდის, რომ ცხოვრების სტილით ძალზე ჰგავხართ სირაქლემას, რომელიც საფრთხის მომენტში თავს ქვიშაში ჩარგავს ხოლმე. გაფრთხილებთ, თქვენი ასეთი დაუდევარი ქცევის წყალობით, დროთა განმავლობაში შესაძლოა, რეალობის შეგრძნება საერთოდ დაკარგოთ.

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „ბ“ ეს ცხადყოფს იმას, რომ თქვენ შეგიძლიათ, ნორმალურად აღიქვათ სხვის მიერ ნათქვამი მწარე სიმართლე; ცხოვრებაში წარმოქმნილ უსიამოვნებებთან გამკლავების უნარიც გაქვთ და თქვენი ცხოვრების დევიზია: „შეუძლებელია, ადამიანმა ყველაფერი იცოდეს!“ თქვენ სიმართლეზე არასოდეს ხუჭავთ თვალს და სამართლიანი შენიშვნის სამომავლოდ გათვალისწინებას თითქმის ყოველთვის ახერხებთ.

თუკი თქვენს პასუხებში ჭარბობს ვარიანტი — „გ“, ეს მეტყველებს იმაზე, რომ საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი ხართ. „შიშველი სიმართლე“ თქვენი ცხოვრებისეული კრედოა. ირგვლივმყოფებს ყოველთვის პირში მიახლით ხოლმე სათქმელს და მათგანაც მოითხოვთ, რომ საკუთარი სათქმელი ყოველგვარი შელამაზებისა და პირმოთნეობის გარეშე მოგახსენონ. თქვენი დევიზია: „სწავლა — სინათლეა, უცოდინარობა — სიბნელე!“ გირჩევთ, ერთი რამ აუცილებლად გაითვალისწინოთ: ეცადეთ, თქვენი სათქმელი უფრო დელიკატური ფორმით გამოთქვათ, რადგან მეტისმეტად პირდაპირი ხასიათის გამო, თავადაც ირთულებთ ცხოვრებას და ირგვლივმყოფებსაც პრობლემებს უქმნით.

ჯატამ 19 დღე იფრინა

ორი წლის კატა – სახელად ბილი, პატრონთან ერთად აშშ-დან გერმანიაში მიფრინავდა. ცხოველი თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში მოათავსეს, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე კატამ გალიიდან ამოძრომა შეძლო და შეშინებული ტრიუმის რომელიღაც კუთხეში შეიყუჟა.

თვითმფრინავიდან ჩასვლის წინ, პატრონმა კატა მოიკითხა, მაგრამ ხელთ მხოლოდ ცარიელი გალია შერჩა. 19 დღე გაატარა ბილიმ თვითმფრინავში. ბოლოს, გაძვალტყავებული და ღონემიხდილი კატა ეკიპაჟის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. დასუსტებულ ცხოველს სასწრაფო ვეტერინარული დახმარება აღმოუჩინეს.

ამჟამად გამოჯანმრთელებული და კმაყოფილი კატა პატრონთან შეხვედრის მოლოდინშია.

ცოლ-ქმარი კებლები სიხარულით ცას ეწივნენ, როცა შეიტყვეს, რომ მათი ოთხფეხა მეგობარი გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ცოლ-ქმარი აპირებს, ავიაკომპანიას სასამართლოში უჩივლოს. ■

ამერიკელმა მხატვარმა მახინჯი თოჯინების ჯოლექცია შექმნა

დევიდ ხორვატმა სათამაშოების მთელი სერია შექმნა, რომელიც მხოლოდ მახინჯი თოჯინებისგან შედგება.

32 წლის მხატვარმა თავის ქმნილებას Uglydolls („მახინჯი თოჯინები“) უწოდა.

მათ უცნაური, უფორმო სხეულები აქვთ, პირის ნაცვლად კი – უხეში ძაფისგან მოქსოვილი ფართო, ნაიარევის მაგვარი ზოლი; ზოგიერთს სისხლისფერი ენა ტუჩს ქვემოთ დასთრევს, ზოგს კი – მეჩხერ კბილებს შორის აქვს მოქცეული; ბევრ თოჯინას მხოლოდ ერთი თვალი აქვს, სხვებს – სამი ერთად...

არაჩვეულებრივი კოლექციის მფლობელს იმედი აქვს, რომ მისი თოჯინები მყიდველებს მოეწონებათ და გამყიდველებიც კმაყოფილნი დარჩებიან. ■

ძაღლმა გადაარჩინა

4 წლის გოგონა, რომელიც მეოთხე სართულის აივნიდან გადავარდა, სასწაულებრივად გადარჩა: მან სხეულის მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო.

პატარა ლივია, აივანზე სკამზე იდგა და მაწანწალა ძაღლს – სახელად ნუსას, საჭმელს უყრიდა. რაღაც მომენტში, გოგონა წინ ზედმეტად გადაიწია, წონასწორობა დაკარგა და აივნიდან გადავარდა. მის გვერდით მდგომმა ბებიამ სწორედ ამ დროს მოიხედა და შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, რომ მისი შვილიშვილი ძირს ეგდო. ბებიას გოგონა ცოცხალი აღარ ეგონა... როგორც აღმოჩნდა, ლივია ძაღლს პირდაპირ ზურგზე დაახტა, რამაც დაცემის სიმძიმე შეამსუბუქა.

ლივია საავადმყოფოში წაიყვანეს, ჭრილობები ბრილიანტის მწვანეთი დაუმუშავეს და შინ გაუშვეს. ექიმების თქმით, გოგონა ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. საოცარია ისიც, რომ მაინცდამაინც არც ნუსა დაშავებულა. ძაღლს ადგილობრივ ვეტერინარულ კლინიკაში აღმოუჩინეს დახმარება. „ლივიას გადარჩენა ნამდვილი სასწაულია. ის ძაღლმა გადაარჩინა“, – ამბობს ბებია. მან ლივიას ძაღლის შინ ყოლის ნება დართო. ■

ნასვამ იგლისელებს სტადიონზე ყოფნა ახ ეკრძალებათ

დიდი ბრიტანეთის სასამართლომ ნასვამ ინგლისელებს ფეხბურთის მატჩებზე დასწრების უფლება დართო.

ბრიტანელმა მოსამართლემ უარყო 28 წლის ადრიან კერის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ „ბორასა“ და „არსენალის“ მატჩის მსვლელობის დროს (რომელიც ამ უკანასკნელის გამარჯვებით 4:0 დასრულდა), არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ კერის სტადიონზე ეძინა.

მატჩის დაწყებამდე 5 საათით ადრე კერიმ დაახლოებით 3 ლ ლუდი დალია. მას თამაშის დაწყებისთანავე ჩაეძინა და სტადიონიდან თითქმის უგონო მდგომარეობაში მყოფი გაიყვანეს.

მოსამართლე მაიკლ ტეილორმა, რომელიც უკლებლივ ყველა მატჩს ესწრება, გულშემატკივარს 370 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ჩამორთმეული აბონემენტი აღუდგინა, დამატებით 150 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა და პირობითი ორწლიანი სასჯელი გაუუქმა.

„ნებისმიერ ინგლისელს აქვს უფლება, ეძინოს სტადიონზე, თუკი მოისურვებს, – განაცხადა მოსამართლემ, – მით უმეტეს, თუ მატჩი უინტერესოა“, – დასძინა მან. ■

ფოტოკუთხეები

658/18

ინფორმაცია, ანალიზი, პროგნოზი, რჩევები...

ნოემერშია





თბილისის რუკა